უილიამ ფოლკნერი

ნეტის შეშლილობელი

William Faulkner

Intruder in the Dust

Penguin Books, 1960

ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი ამერიკელი მწერალი უ. ფოლკნერი ასე იგონებს ამ ნაწარმოების შექმნის ამბავს: „თავიდათავი ერთი იდეა იყო, იმ ხანად გაუთავებელ ნაკადად გამოდიოდა დეტექტიური რომანები, ჩემი ბავშვები კი სულ ყიდულობდნენ და სახლში მოჰქონდათ. ყოველ ნაბიჯზე ვხედავდი ამ წიგნებს. და მაშინ გავიფიქრე, კარგი იქნებოდა დეტექტიური რომანის დაწერა იმ კაცზე, ვინც ციხეში ზის, სადაცაა უნდა ჩამოახრჩონ და ის იძულებულია თავადვე დაუდგეს თავის თავს დეტექტივად, რადგან ვერავინ ვერ უპოვია დამხმარე. მერე მივხვდი, ეს კაცი ზანგი უნდა ყოფილიყო. მერე გაჩნდა ლუციუსის— ლუკას ბიჩემპის სახე. ეს წიგნი ასე დაიბადა. მისი საფუძველი გახდა სახე ადამიანისა, რომელიც ციხეშია და არ შეუძლია დეტექტივის დაქირავება...“.

თავი 1

იმ კვირადღეს, სწორედ შუადღით შერიფმა რომ ლუკას ბიჩემპი ციხეში მიიყვანა, უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა იმ ღამითვე (თუ გნებავთ, მთელმა ოლქმაც), ლუკასს თეთრი კაცი მოუკლავსო.

ის აქ იყო, ელოდებოდა. პირველი მოსულიყო, რათა არავის შეემჩნია რისთვისაც მოვიდა, დაკეტილი სამჭედლოს წინ, გადმოხურულში შეეფარებინა თავი ციხის პირდაპირ, სადაც ბიძამისს შეიძლება ვერ დაენახა, ანუ აღარ წასწყდომოდა, როდესაც მოედანს გამოივლიდა და ფოსტას მოაშურებდა თერთმეტი საათისთვის.

რადგან ისიც იცნობდა ლუკას ბიჩემპს ამ არემიდამოში სხვა თეთრების დარად, შეიძლება უკეთაც, გარდა კეროთერ ედმონდსისა, ქალაქიდან ჩვიდმეტი მილით დაცილებულ ვის მიწაზეც ცხოვრობდა ლუკასი. მოხდა ისე, რომ სწორედ აქ, ლუკასის სახლში ისადილა ამ ოთხი წლის წინათ, ზამთრის დადგომის ხანს, თორმეტი წლისა ყოფილა მაშინ. ბიძამისი ედმონდსის მეგობარი გახლდათ, ერთად სწავლობდნენ შტატის უნივერსიტეტში, ჰარვარდიდან და ჰაიდელბერგიდან დაბრუნებულ ბიძამისს უნდოდა დაესრულებინა სამართლის შესწავლა, რათა საოლქო სასამართლოს ადვოკატად ეყარა კენჭი, და სწორედ წინადღეს ედმონდსი ქალაქს, ბიძამისთან ჩამოვიდა რაღაც საოლქო საქმეების მოსაგვარებლად, ღამე იმათთან დარჩა და ვახშმობისას ედმონდსმა ასე უთხრა იმას:

— ჩემთან წამოდი ხვალ კურდღლებზე სანადიროდ, — მერე კი დედამისს მიუბრუნდა, — უკანვე გამოვგზავნი ხვალ საღამოსვე. ბიჭს გამოვაყოლებ ერთს თოფის წამოსაღებად, — მერე კი ისევ მას, — კარგი ძაღლი ჰყავს იმ ბიჭს.

— ამასაც ჰყავს კარგი ძაღლი, — უთხრა ბიძიამ და ედმონდსმა ჰკითხა:

თქვენი ბიჭიც ნადირობსო კურდღლებზე? და მაშინ ბიძიამ ასე მიუგო:

— პირობას გაძლევთ, ის თქვენსას ხელს არ შეუშლის.

ხოდა, მეორე დილით ის და ალეკ სანდერი ედმონდსთან ერთად იმის სახლში წავიდნენ. ციოდა იმ დილას, ზამთრის პირველი ყინვა დამდგარიყო, თეთვალდაყრილი, ცოცხალი ღობეები გარინდებულიყვნენ და გზის აქედან და იქიდან გუბურებს ყინვა გადაკვროდა, მეცხ-

რე მილზე მდებარე წყლის ჩქარ ღელესაც იგივე მოსვლოდა და ჯა-
დოსნურ მინასავით ნაზი სინათლე გადასდიოდა, პირველი ფერმა გა-
იარეს, მერე მეორე, მესამე, მეოთხე და თუმცა უქარო ამინდი იყო,
კვამლი მოსწვდათ და იქით, უკანა ეზოებში დაინახეს უკვე ორთქლ-
ადენილი ქვაბები და იმათ გარშემო მოფუსფუსე ქალები, რომლებ-
საც ჯერ კიდევ საზაფხულო ჩალის ქუდები ეხურათ და მამაკაცის
ფეტრის ძველი შლაპები, მამაკაცისავე ძველი პალტოები ეცვათ და
შეშას უწყობდნენ ქვაბებს, ხოლო კაცებს ტომრის ნაჭრის წინსაფ-
რები გაეკეთებინათ და მავთულებით დაემაგრებინათ ქურთუკის ზე-
მოდან, დანებს ლესავდნენ და ბაკებში ტრიალებდნენ, საიდანაც მო-
ისმოდა ღრუტუნი და ჭყვირილი, შიშის ზარი არ ეთქმოდა ღორების
წინათგრძნობას, არც განგაში, შეგრძნება ჰქონდათ რაღაცის, რომე-
ლიც ქუში, სლიპინა და ოკაინდელი ხვედრივით წამოდგომოდათ თავს,
დადგება ღამე და მთელი ეს არემიდამო გაივსებოდა უკანა ფეხებით
დაკიდებული იმათი სხეულებით და იქნებოდნენ ასე დაგრძელებულ-
ნი, ლანდად ქცეულნი, გამოცარიელებულნი და მძვინვარედ მიწის
ჭიპისკენ დრუნჩებით მიმართულნი.

იმასაც ვერ მიხვდა, თუ როგორ მოუვიდა ყველაფერი. ის ბიჭი,
ედმონდსის არენდატორის ერთ-ერთი ვაჟიშვილი, ალეკ სანდერზე
უფროსი და ტანდიდიც, ალეკ სანდერი კი მასზე უფრო ტანდიდი გახ-
ლდათ, თუმცა ასაკით თანატოლები იყვნენ, სახლში ელოდებოდათ
ძაღლითურთ, მწევარი უნდა ყოფილიყო, მცირეოდენი ნარევი, შეიძ-
ლება სუფთა ჯიშისაც, მოშავო-მოწითური, იქნებ პოინტერის სისხ-
ლიც ერია, შეიძლება ცოტა ზანგის ძაღლისაც ჰქონდა გადმოყოლილი,
კურდღელს რომ ამსგავსებენ, იმისა, სწორედ ისე, ხალხში რომ ამბობ-
ენ, ზანგს ჯორისა გადმოჰყოლიაო რაღაც, ალეკ სანდერს კი უკვე
მოემარჯვებინა რკინის კეტი, ქვემოთკენ მომრგვალებული, იმით ლია-
ნდაგს ამაგრებენ ერთმანეთზე, ამ კეტს ცოცხის ტარის გადანაჭერი
ჰქონდა ვადად და ამ მოწყობილობას კარგა მარჯვედაც ხმარობდა,
დაავლებდა ხელს და გასტყორცნიდა, ტყვიასავით, გაათავებდა კურ-
დღელს. ხოდა, ალეკ სანდერი და ედმონდსის ბიჭი ასეთი რკინის კე-
ტებით იყვნენ, ის კი თოფით. ქვემოთ დაუყვნენ, ერთი პარკიც გადა-
იარეს და ერთი მინდორიც, ერთ ღელეს მიატანეს, სწორედ იმაზე
უნდა ყოფილიყო გადებული მორი, ედმონდსის ბიჭმა რომ იცოდა,
და მაშინ ისეთი ამბავი გადახდა თავს, გოგოს თუ ეპატიება, სხვას
არავის, გავიდა იმ მორზე და შუამდე იყო უკვე მისული, არც კი ფიქ-
რობდა. ისე მიდიოდა, ღობის თავებზე ბევრჯერ უვლია, სულ ცოტა გა-
ნი რომ ჰქონია ისეთებზე. ამ მორზე ორჯერ უფრო მეტად გრძელი რომ
ყოფილა, და უცებ ასე ნაცნობი ის თოვლიანი მიწა ამოტრიალდა და
თავზე გადმოემხო. თოფი ხელიდან არ გაუშვია, ბრტყლად გადავარ-
და, მიწიდან არ მოწყვეტილა, ნათელ ზეცას მოსწყდა და ესღა ახ-
სოვს, ტკაცანი მოესმა ყინულისა და ვერც კი იგრძნო ისე ამოყო თა-

ვი წყალში ჯერ და მერე ჰაერში, როცა ამოყვინთა. თოფი ახლა უკვე ფსკერზე ეგდო და ხელმეორედ მოუხდა დაყვინთვა, ყინულოვანი ჰაერიდან ისევ ჩაყურყუმალავდა რათა მოენახა ის რაც დაკარგა, ცივი იყო წყალი, ვერ მიხვდა და ვერც ის გაიგო, თუ რამდენად დამძიმებულიყო მისი ტანსაცმელი—ჩექმები, სქელი შარვალი, ნაქსოვი პერანგი და სანადირო ქურთუკი, მხოლოდ ეს იყო, ხელების ქნევა უჭირდა, თოფი იპოვა, ფსკერს ფეხი დაკრა, გამოცურა, ცალი ხელით ნაპირს წაეპოტინა, ტირიფის ტოტს მოსწვდა, თოფი გამოიწვდინა და მაშინ კი ვიღაც ჩაეჭიდა იმის ლულას, ედმონდსის ბიჭი უნდა ყოფილიყო ის, რადგან იმ წუთას თვალი მოკრა ალეკ სანდერს, რომელმაც გრძელი და კარგა სქელი ჭოკის ბოლო შეაშველა ვითომ და სინამდვილეში კი ისევ წყალში გადააგდო თავით, კიდევ კარგი ის ტოტი არ გაუშვია ხელიდან, და მაშინ ვიღაცამ თქვა:

— მოაცილე ეგ ჯოხი, ველარ ამოდის ხომ ხედავ, — გაისმა ჩვეულებრივი ხმა იმიტომ კი არა, რომ ის უნდა ყოფილიყო ალეკ სანდერისა ან ედმონდსის ბიჭისა, მისთვის უკვე სულ ერთი იყო, ვისიც უნდა ყოფილიყო: ხოდა, ორივე ხელით ჩაეჭიდა ტირიფის ტოტებს და თხელი ყინული წკარუნით ეყრებოდა მკერდზე, თითქოსდა ტანსაცმლიანი კი არ მოძრაობდა, პონჩოსავით, იალქნის ტილოსავით ცივად გარშემოხვეოდა სამოსელი და ასე შეებოჭა თავიდან ბოლომდე; ცოტათი ზევით აფოფხება შეძლო და რეზინის ჩექმებიანი ფეხები დაინახა, ედმონდსის ბიჭისა და ალეკ სანდერის არ უნდა ყოფილიყო ის ჩექმებში შარვალჩატანიებული ფეხები და მუხლები; როგორც იქნა ამოძვრა, ამოვიდა და იმის წინ აღიმართა მხარზე ნაჯახგადადებული ზანგის კაცი, ცხვრის ტყავის სქელი ქურთუკი ეცვა და თავზე ეხურა ნათელი ფერის ფართო კიდეებიანი ფეტრის ქუდი, სწორედ ასეთს ატარებდა იმისი ბაბუა ერთ დროს, იდგა და უმზერდა და სწორედ ასე ნახა პირველად ლუკას ბიჩემპი და ასე დაამახსოვრდა კიდევაც, რადგან ლუკას ბიჩემპი არ იყო ის კაცი, ვისი დავიწყებაც ადვილად შეიძლებოდა; მხოლოდ ახლა იგრძნო წყლის სისველე, აცახცახებულ-აკანკალებული ასცქეროდა იმ სახეს, რომელიც ჩამოჰყურებდა იმას და ვითომცდა არც არაფერი მომხდარიყო, გაოცებაც კი არ დასტყობოდა, მხოლოდ დაჰყურებდა და ამ სახის პატრონს თითიც არ გაუტოკებია მის დასახმარებლად, წყლიდან ამოსაყვანად, მხოლოდ ასე უბრძანა ალეკ სანდერს. ის ჭოკი მოაცილეო; ამ სახის პატრონი კაცი შეიძლება ორმოცდაათისაც არ ყოფილიყო ან იქნებ ორმოცამდეც არ მიეტანებინა, მაგრამ ეს მისი ქუდი და თვალები გამცნობდათ, სწორედ ამ ხნისა უნდა ყოფილიყო, ზანგის კაცი იყო, თუმცა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამას თორმეტი წლის სულ მთლად გათოშილი ბიჭისათვის. ვინც ჯერ კიდევ ჭკუაზე ვერ მოსულიყო და სუნთქვა ეკვროდა, ქანცი გაწყვეტოდა; იმ კაცის სახეს რაც დაკრავდა არა ფერისა არ იყო, თეთრ კაცსაც არა აქვს ასე, ამაყად არ იმზირებოდა, არც

ზიზღით, შეუვალი და გულმშვიდი ჩანდა, მაშინ კი ედმონდსის ბიჭმა რაღაც უთხრა იმ კაცს რაღაც დაუძახა, ბატონო ლუკაზ თუ სხვა რამე, ხოდა, მიხვდა თუ ვინც იყო ის კაცი, წამოაგონდა როგორც ნაწილი მთელი ამბისა, ნაწყვეტი ამ მხარის ქრონიკისა, რომელიც ყველაზე უკეთ ბიძამისმა იცოდა: რაკი იგი ვაჟიშვილი გახლდათ ბებერი კეროთერ-მაკ-კასლინის, ედმონდსის პაპისპაპის მონისა, ვინაც არ ყოფილა უბრალო მონა იმ ბებერი კეროთერისა, არამედ ვაჟიშვილიც იყო მისი; ხოდა, ახლა ის იდგა თავიდან ფეხამდე აკანკალებული, ასე ეგონა, უკვე რამდენიმე წუთიაო, ის კაცი კი ისე შესცქეროდა მას ვითომცდა არაფერი არ მომხდარიყოს, აუმღვრეველი სახით. მერე ის კაცი მიტრიალდა, წავიდა და არც კი მოუხედავს და არც კი უფიქრია, თუ გაიგონეს ეს ჩემი სიტყვებიო, ეჭვიც არ გაუვლია გულში, იქნებ არც დამიჯერონო:

— ჩემსას წავიდეთ სახლში.

— ისევ ბ-ნ ედმონდსისას დავბრუნდები, — თქვა მან. იმ კაცს არც კი გამოუხედავს. პასუხიც არ გაუცია.

— იმისი თოფი შენ წამოიღე, ჯო, — ასე თქვა.

ხოდა, ის ედმონდსის ბიჭთან და ალეკ სანდერთან ერთად გაჰყვა იმ კაცს, ნაპირ-ნაპირ წავიდნენ ხიდისკენ, გზისკენ, სულ მალე გადაუვიდა კანკალი, მთლად გათოშილი და დასველებული იყო და თუკი ივლიდა, არა უშავდა. ხიდი გაიარეს. ჭიშკარი გამოჩნდა ერთი და ეტლის სავალი გზა პარკში, ედმონდსის სახლისკენ მიმავალი. ერთი მილი კიდევ ჰქონდათ გასავლელი და იქნებ კიდევაც გამშრალიყო და გამთბარიყო სანამ იქ მივიდოდა და სულ ამას ფიქრობდა, აი ახლა კი გადავუხვევთო იმ ჭიშკრისკენ და მაშინაც კი, როდესაც მიხვდა, არ მივიდოდნენ იქ, და უკვე კიდევაც გვერდზე ჩამოიტოვეს ის სახლი და სულ ასე ეუბნებოდა თავს, ედმონდსი უცოლოა, იმას სახლში ქალი არავინ ჰყავს და იქნებ არც კი შემიშვას თავისას და დედაჩემთან გამგზავნოსო, სულ ასე ეუბნებოდა ის თავის თავს და ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, ვერა და ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას იმ კაცს, სწორედ ასევე არ შეეძლო ბაბუას შეპასუხებოდა, იმიტომ კი არა, რომ შიში ჰქონდა მისი ან შეიძლება მოხვედროდა, თავიდათავი ის იყო, რომ მისი ბაბუა და იმათ წინ მიმავალი ის კაცი გულშიაც არ გაივლებდა, შეიძლება ბალღი გამიძალიანდეს და უარი მითხრასო.

ხოდა, იმ კაცს ნაბიჯიც არ შეუნელებია, როდესაც ჭიშკარს ჩაუარეს, არც კი გაუხედავს იქით; და ახლა კი გადაუხვიეს და ეს არ იყო კარგად დატკეპნილი ბილიკი, რომელიც მიდიოდა მოიჯარადრეებისა და მოსამსახურეების საცხოვრებლებისკენ, უფრო რომელიღაც ხევისკენ აეღოთ გეზი და რაღაც ზოლი თუ ძლივს შესამჩნევი ნაკვალევი მიჰყვებოდა გორაკის კალთას, უდაბური და გაუვალი ჩანდა ეს არემიდამო, და მალე სახლი თუ ქოხმახი იხილეს ერთი, მაშინ კი გაახსენდა დასასრული იმ ამბისა, ლეგენდისა ედმონდსის მამას ყოველ-

გვარი წესისა და რიგის დაცვით უბოძებია თავისი ზანგი ბიძაშვილისთვის და მისი მემკვიდრეებისათვის ეს ათი აკრი მიწა სახლაკითურთ, და ეს მოგრძო ნაკვეთი სამუდამოდ ჩაკვროდა ორ ათასიან პლანტაციას როგორც მარკა კონვერტის მუაგულს. შეუღებავი იყო ეს ხის სახლი და შეუღებავი იყო ღობეც, ასევე შეუღებავი, უსაკეტო ჭიშკრით და იმ კაცმა მუხლის კვრით შეაღო, შეუჩერებლივ შევიდა და ერთხელაც არ გამოუხედავს უკან, ერთი მეორის მიყოლებით მიჰყვნენ ის, ალეკ სანდერი და ედმონდსის ბიჭი. ზაფხულშიაც არ იყო აქ ბალახი, სულ მთლად მოტიტვლებულიყო აქაურობა, არც ფოთოლი, არც ღერო, და ყოველ დილით ხვეტავდა ამ ეზოს ლუკასის ქალებიდან რომელიმე ტირიფის ტოტებიდან შეკრული ცოცხით, ამის მერე კი რჩებოდა გასაოცარი ხვეული ზოლები და საღამოსკენ ეს აუარება ნახაზი სახეს იცვლიდა ნელ-ნელა და თანდათანობით, რაკიღა აქა-იქ ქათმის ნასკინტი ეტყობოდა და სამტოტა იდუმალი ანაბეჭდები (როგორც მოაგონდა ახლა, თექვსმეტი წლისას), სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო მიწის პირი იმ უხსოვარ დროს, როდესაც დახეტიალობდნენ ის ვეებერთელა ხვლიკები; ოთხივენი გაჰყვნენ სავალს, ანუ დატკეპნილი თიხის ზოლი გაიარეს, ლარივით სწორი და აქედან და იქიდან, ორივე, მხარეს ახორხლილიყო ცარიელი კონსერვის ქილები, დამტვრეული ფაიფური, ბოთლების ნამუსრევი, დაბოლოს ეს ეზო ებჯინებოდა შეუღებავ კიბესა და შეუღებავ აივანს, რომლის გასწვრივ ეყარა თუნუქის ცარიელი ქილები, ოღონდ ახლა უფრო დიდი ზომისა, ერთი გალონის მოცულობის ვედროები, რომლებიც ერთ დროს ბადაგით იყო სავსე ან საღებავით, ბევრი იყო ძირგავარდნილი ჭურჭელი წყლისა თუ რძის, ერთი ხუთგალონიანი ნავთის ბოცა, ზედა ნაწილი მისი ჩაღუნულ-მიგრეხილიყო, ერთიც ავზი, იმაში წყალს ათბობდნენ სამზარეულოსათვის (ალბათ ედმონდსისას), კიდე მთელ სიგრძეზე ატყავებული ჰქონდა ბანანივით, გასულ ზაფხულში ამ შელეწილი რკინიდან ყვავილები ამოზრდილიყვნენ, ახლა კი მკვდარი ღეროები და დამჭლეფებულ-გალეული მტვრიანებიღა დარჩენილიყო, იმას იქით კი უკვე სახლი იდგა, რუხი ფერის და გადატყავებული, თითქოსდა არა საღებავი არ გაეკარებინა და სწორედ ეს ნაგებობა წარმოადგენდა ამ მილეწილ-მოლეწილი სავალის გაგრძელებას, ისევე როგორც ღვია გვირგვინად მოვლებოდა ბერძნული კაპიტოლიუმის სვეტებს.

შეუჩერებლივ ავიდა ის კაცი კიბეზე, აივანი გაიარა, კარი გააღო, შევიდა და იმას შეჰყვა ის, ედმონდსის ბიჭი და ალეკ სანდერი, ბუნდი შესასვლელი, თითქმის ბნელიც კი იმისთვის, ვინც დღის სინათლიდან შემოსულიყო, და სუნი, სუნი, რომელიც მთელი ცხოვრება ასე იყო დარწმუნებული, ყოველთვისაა იმ ადგილას, სადაც ზანგის სისხლისანი ცხოვრობენ, სწორედ ისევე, როგორც მალისონის გვარის კაცი უთუოდ მეთოდისტი უნდა ყოფილიყო; მერე საძინებელში შევიდნენ: შიშველი, გადალეული, შეუღებავი იატაკი, ერთ კუთხეში ფართო, ჭრელ საბან გადაფარებული ბალდახინიანი ლოგინი, შეიძ-

ლება ის ადრე მოხუცი კეროთერ მაკ-კასლინისას იდგა, ჭურჭლეულის კარადა, ატკეჩილი, იაფფასიანი, გრანდ რეპიდში ნაყიდი, და იმ წუთას თითქოს მეტი ვერაფერი ვერ შეამჩნია, მხოლოდ მოგვიანებით დაინახა ან გაახსენდა, რომ თვალი მოჰკრა ბუხრის თაროს, ზედ ნავთის ლამპას ხელით მოხატული ყვავილებით, ერთ ლარნაკს, დახვეულ-დახეული გაზეთებით სავსეს, იმ თაროს ზემოთ კედელზე ეკიდა სამი წლის წინანდელი კალენდრის ფერადი ლითოგრაფია, პოკაჰონტასი იყო იმაზე გამოსახული, გამოწყობილი მოკასინებში, ფრთებით დამშვენებული, არშიით შემოვლებული ტანსაცმლიანი სიუსა თუ ჩიპევას ტომის ბელადი, იდგა იტალიურ მარმარილოს სვეტთან და დიდებულ კვიპაროსებიან ბაღს გაჰყურებდა; ჩაბნელებულ კუთხეში, ლოგინის პირდაპირ ორთა სურათი იყო ოქროთი მოვარაყებულ სამფეხზე, ოქროსავე მოვარაყებულ დიდრონ ჩარჩოში. მაგრამ ის სურათი უცებ არ დაუნახავს, რადგან ზურგით იდგა და ჯერ მხოლოდ ბუხარს უმზერდა, თიხით შელესილი და დაუმუშავებელი ქვის იყო ეს ბუხარი, ნაცარში ნახევრად ჩაფლული უკვე დაპატარავებული კუნძი ბჟუტავდა, ბუხრის გვერდით კი სარწეველა სკამზე ვიღაც იჯდა და სანამ იმის სახეს დაინახავდა, ასე გაიფიქრა, ბავშვიაო, მერე კი კარგა ხანს დააკვერდა, რადგან ასე ეგონა, კიდევ გამახსენდებაო რაღაც-რაღაცეები ბიძის მონაყოლისა ლუკას ბიჩემპის გამო თუ შესახებო, ხოდა, იმას რომ უყურებდა, პირველად წარმოიდგინა, თუ რა მოხუცებული უნდა ყოფილიყო ის კაცი, მართლაც... იმის წინ იჯდა თითქმის თოჯინას ხელა, წვრილ-წვრილი ბერიქალი, უფრო შავფერი, ვიდრე ის კაცი, შალმოსხმული, წინსაფარიანი, ქათქათა თეთრი ფერის თავსაფრით შეეხვია თავი და ეხურა ფერადი ჩალის ქუდი, რაღაცნაირად დაწნული. მაგრამ ვერა და ვერ გაიხსენა ბიძიას მონათხრობი, დაბოლოს, ისიც ვერ მოიგონა, ნამდვილად თუ ჰქონდა იმას მოყოლილი რამე; ის ახლა ბუხრის პირდაპირ იჯდა, სავარძელში, ედმონდსის ბიჭს ცეცხლის გასაჩაღებლად მოემარჯვებინა მორის ნაჭრები და ნაძვის გირჩები, ხოლო ალეკ სანდერი ჩაკუცქებულიყო და სველ ჩექმებსა და შარვალს ხდიდა, მერე კი წამოიწია და გამოაძვრინეს კიდევაც ქურთუკიდან და ნაქსოვი პერანგიდან, ორივენი გაფაციცებულნი იყვნენ, რათა არ წამოსდებოდნენ იმ კაცს, რომელიც ფეხებგაჩაჩხული იდგა ბუხართან და ზურგი ცეცხლისათვის მიეფიცხებინა. ისევ ის რეზინის ჩექმები ეცვა და შლაპაც კი არ მოეძრო თავიდან, მხოლოდ ის ცხვრის ქურთუკი გაეხადა, მერე ის ბერიქალი დაინახა, ჩიატანისა, უფრო პატარა ალეკ სანდერზეც, ვინც თორმეტისა იყო მხოლოდ, ხელში სხვა ფერადი საბანი მოემარჯვებინა.

— სულ გაიხადე, — თქვა იმ კაცმა.

— არა, მე... — იუარა იმან.

სულ გაიხადეო, გაიმეორა იმ კაცმა. მაშინ სველი საცვალიც მოიცილა და ისევ სავარძელში ჩაჯდა ბუხრის წინ, ახლა ცეცხლი აგუზგუზებულიყო, ის კი ისე გახვეულიყო საბანში, როგორც პარკში, სრუ-

ლიად გარშემობურვოდა ზანგის სუნი, ისეთი ნაცნობი, რომ არც არასდროს შეცდებოდა და არც იმის განსჯას დაიწყებდა, მაგრამ სულ რამდენიმე წუთში რაც მოხდა რომ არ მომხდარიყო, ისე ჩავიდოდა სამარეში, ამაზე ფიქრს არ მოჰყვებოდა, რასის სუნი არ იყო ეს, არც სიღარიბისა, იქნებ ეს იყო ნიშანი მდგომარეობის, აზრის, რწმენის, გათავისების, თავისდა უნებურად გათავისებისა იმ აზრის, რომ ზანგებს არც სჭირდებათ კეთილმოწყობილი ცხოვრება, ანუ იმათ არც სჭირდებათ კარგად დაბანვა, ანუ ხშირად ბანაობა თუნდაც სულ მოუწყობელ აბაზანაში და, მართალი თუ გნებავთ, კი აჯობებდა მაინცდამაინც ძალიან არც ყვარებოდათ წყალი. მაგრამ ეს სუნი არაფერს არ ნიშნავდა მისთვის ახლაც და მერეც; ჯერ კიდევ მთელი საათი იყო დარჩენილი, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა და ოთხი წელიც უნდა გასულიყო, სანამ ის მიხვდებოდა, იმდენად გაფუებულიყო ეს ამბავი, რომ უკვე მასზე ზემოქმედება მოეხდინა და უკვე დაკაცებული კიდევ უფრო კარგად მიხვდება და აღიარებს, ასეც უნდა მომხდარიყოო. ახლა კი მოეახლა ეს სუნი და კიდევაც გადაავიწყდა, შეეჩვია და იმიტომ, თანაც არ ახალი, ძველი იყო; მას ხომ პარალისას, ალეკ სანდერის დედის ქოხმახში უხდებოდა ცხოვრება, იქით, იმათ კარმიდამოს უკანა მხარეს, სადაც ის და ალეკ სანდერი ცუდ ამინდში თამაშობდნენ ხოლმე პატარაობისას, პარალი კი სამზარეულოში ტრიალებდა და ცოტას მოიცლიდა თუ არა, კვერებს შეუცხობდა იმათ და ის და ალეკ სანდერი ერთად ილუკმებოდნენ მადიანად; ვერც ვერასდროს წარმოიდგენდა თავის არსებობას უამსუნოდ, ისე ჰქონდა გამჯდარი სისხლსა და ხორცში. სულ მუდამ იყო ეს სუნი და ასეც იქნება ყოველთვის სანამ პირში სული უდგას, მისი ნაწილი შექმნილიყო, რადგან იმთავითვე აჰყოლოდა სამხრეთში დაბადებულს და მოცილებაც აღარ სჭირდებოდა, რადგან უკვე ვეღარც ამჩნევდა, სწორედ ისე, როგორც ჩიბუხის მწეველი, ვინც უკვე დიდი ხანია ეწევა და ჩიბუხის სუნი უკვე კარგა გასჯდომია იმის ტანსაცმელს, ფოლაქებსა და ფოლაქის შესაკრავებს. იმ საბნის სუნი გარშემოხვეოდა ასე მჯდომარეს და წასთვლიმა კიდევაც, ცოტათი კი გამოფხიზლდა, როდესაც კედელთან ჩაცუცქებულნი ედმონდსის ბიჭი და ალეკ სანდერი წამოდგნენ და გავიდნენ, მაგრამ რაკი კარგად არც გამოფხიზლებულიყო, ისევ ჩაიხვია ამ საბნის სითბომ, იმის გვერდით კი, ისევ ზურგით ცეცხლს მიფიცხებული და ზურგზევე ხელებშემოწყობილი ის კაცი იდგა, სწორედ ისევე, როგორც მაშინ, იმ წყალთან, ოღონდ ახლა ზურგზე ხელებშეწყობილი, უნაჯახოდ და ფიმცხვრისქურთუკოდ გახლდათ, სხვამხრივ კი ისეთივე, რეზინის ჩექმებსა და გახუნებულ სამუშაო ზანგურ ტანსაცმელში, გულის ჯიბიდან კი საათის კარგა მძიმე ოქროს ძეწკვი მოუჩანდა; სულ მალე, შევიდნენ თუ არა იმ ოთახში, შეამჩნია, ის კაცი მიტრიალდა და რაღაც აიღო ბუხრის თავიდან, პირში ჩაიდო, მხოლოდ მერე დაინახა თუ რა იყო: ოქროს კბილის საჩიჩქნი, სწორედ ასეთი ჰქონდა იმის ბაბუას, შლაპაც ძვე-

ლი ეხურა, დიდებული კი უნდა ყოფილიყო თავის დროზე, ასეთი უყიდია ბაბუას ოცდაათ-ორმოც დოლარად, კარგად არც ადგა ის შლაპა თავზე, თითქოს სადაცაა ჩამოუცურდებოდა კიდევაც გვერდზე მოქცეული, მთლად ზანგისა არ იყო მისი სახე, ცხვირი დიდრონი და მცირეოდნავ კეხიანიც და ის, რაც იმზირებოდა ამ სახით, არც შავი იყო და არც თეთრი, ამპარტავნობა არ ეტყობოდა იმას და მით უმეტეს ზიზღი, ჩვეულებრივ განუსჭვრეტელი იყო, აუმღვრეველი, შეუვალი.

ალეკ სანდერიც მობრუნდა იმისი ტანსაცმლით ხელში, თითქმის მაშინვე შემოეტანა ქუჩაზე გამომშრალი, ჩაიცვა, ფეხი ძლივს ჩაჰყო გახრიკინებულ ჩექმაში; ედმონდსის ბიჭი კი ისევ ჩაცუცქდა კედელთან, ხელიდან რაღაცას ჭამდა, მერე ასე თქვა, ბ-ნ ედმონდსისას მივალო სადილზე.

იმ კაცმა არც იუარა და არც დაუდასტურა. არც კი შერხეულა, არც კი შეხედა იმას. მხოლოდ ასე წარმოთქვა მტკიცედ და წყნარად, ქალმა უკვე სუფრა გააწყოო; იმ მოხუც დედაკაცს გვერდით ჩაუარა, კარში იდგა და მიიწვია, რათა გაეტარებინა, სამზარეულოში შეუშვა, იქ მაგიდაზე მუშამბა იყო გადაფარებული, მზე დანათოდა იმას სამხრეთისკენ გაჭრილი ოთხკუთხა სარკმლიდან, სადაც — კი იცოდა, მაგრამ რომ გეკითხათ, საიდან იცოდა, ვერ გეტყოდათ, რადგან აღარაფერი, აღარც ჭუჭყიანი საინები ელაგა — უკვე ეჭამათ ედმონდსის ბიჭსა და ალეკ სანდერს; ხოდა, ის დაჯდა და ჭამა დაიწყო, როგორც ჩანს, ლუკასის სადილს შეექცეოდა — კომბოსტოს სალათს, ფქვილში შემწვარ ერთ ნაჭერ ხორცს, დიდრონ, უფერულ, ნახევრად გამომცხვარ ნამცხვრის ნატეხს და ერთ ჭიქა კარაქშერეულ რძეს, ეს იყო ზანგების საჭმელი, რომელსაც შეჩვეული გახლდათ და კიდევაც იცოდა. რომ სწორედ ამას მოართმევდნენ, და, როგორც ჩანს, იმათ ის აერჩიათ, რაც მოსწონდათ; არა (თორმეტი წლისა ასე ფიქრობდა, ხოლო უკვე დაკაცებული პირველად გაიცდა, ნუთუ მართლაც ასე იყოო? იმიტომ, რომ თავიანთი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე იმათ არ ჰქონდათ საშუალება ისეთივე საჭმელი აერჩიათ, რასაც თეთრების სამზარეულოში მიირთმევდნენ, უფრო ის იყო, რომ თავად იმათ მოეხდინათ არჩევანი თავისი გემოვნებისამებრ და კუჭისამებრ; და ასე გავიდა ათი წუთი და კიდევ ოთხი წელიწადი ამის მერე და მთელი ეს ხანი სულ ცდილობდა თავი დაეჯერებინა, სწორედ ამ საჭმელმა დამაკარგვინაო წონასწორობა. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, თავიდათავი მიზეზი იმთავითვე ჩაბუდებულიყო იმის გულში, მთელი ეს ხანი ასე იყო ჩაგონებული, და სულაც ზედმეტი იყო იმ სახლისა და იმ საბნის სუნი, იმასაც ძლივს უძლებდა, რაც იმზირებოდა (იმას კი არ მოსჩერებოდა, იმზირებოდა მხოლოდ) იმ კაცის სახიდან; დაბოლოს წამოდგა, ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული მონეტა, ნახევარდოლარიანი და ისევ იმ ოთახში შევიდა, პირველად მაშინ დაინახა, რაკიღა პირისპირ შეეჩეხა, ის მოოქრულჩარჩოიანი პორტრეტი მოოქრულ სამფეხაზევე

შეშოდგმული, მივიდა და დააცქერდა, ბნელ კუთხეში იყო და კარგად არც ჩანდა, მხოლოდ ის ნასხურები ოქრო პრიალებდა, მერე კი ასე გაუელვა თავში, ნეტავი რას მივჩერებივარო, სულ ცოტა ხნის წინ განუახლებიათ ეს სურათი, მომრგვალებული, მცირეოდნავ ამობურცული მინიდან, თითქოს ჯადოქრის სარკეშიო, ისე იმზირებოდა ის კაცი, განუსჭვრეტელი, მშვიდი სახე, ქუდი ისევე გვერდულად მოქცეული, გაუხამებელი საყელო გველისთავა დიდრონი სამაჯურებით ჰქონდა მიმაგრებული თეთრ უჰალსტუხო პერანგზე და საათის გადანასკვული ძეწკვი გადმოშვებოდა კარგი შავი მაუდის ჟილეტზე, ის კბილის ჯაგრისი კი არსად ჩანდა, გაჩხინკული თოჯინის მსგავსი ქალი უმშვენებდა იმას მხარს, მხოლოდ სხვა ფერადოვანი ჩალის ქუდი ეხურა, შალმოხურული, სწორედ ეს დედაკაცი უნდა ყოფილიყო ის, თუმცა კი სულაც არა ჰგავდა და არც არასდროს ჰყავდა ნანახი და მაშინ ასე გაუელვა თავში, ეს, სურათზე გამოსახული რაღაცით სჭარბობდა აქვე მყოფს, უცხო სანახავი გახლდათ, რაღაც მაჯლაჯუნასებრი, წარმოუდგენელი; ქალმა ახლა დაილაპარაკა და იმან შეხედა მას, ის კაცი ისევ ისე ფეხებგაჩაჩხული იდგა ცეცხლთან და ბერიქალი ისევ იმ ძველ ადგილას იჯდა კუთხეში მიმდგარი თავის სარწეველა სავარძელზე და მან იცოდა, რაც ამ ოთახში შემობრუნდა, დედაკაცს ერთხელაც არ შემოუხედავს მისთვის და მაინც ასე კი თქვა:

— სულ ლუკასის ბრალია ეს ყველაფერი, — იმან კი მიუგო, რა ბრძანეთო. იმ კაცმა კი ასე უთხრა:

— მოლის არ მოსწონს, სურათი ვინც გადაგვიღო, იმ კაცმა მოახსნევინა ის ჭინჭი, — სწორედ ასეც იყო, თმა მოუჩანდა იმ ქალს და მუმიას მოჰგავდა ჰერმეტული მინის სარკოფაგში მომწყვდეულს და ასე გაიფიქრა მან **მოლი, რაღა თქმა უნდა** რადგან ახლა წამოაგონდა, თუ რა მოუთხრო იმას ბიძიამ ლუკასზე, ანუ ორივეზე. მან თქვა:

— რაღატომ მოახსნევინა?

— მე ვუთხარი, — მიუგო იმ კაცმა, — არ მინდა შინ ყანაში მომუშავე ზანგის დედაკაცის სურათი მქონდეს, — და მაშინ ის ცოლქმარს მიუახლოვდა, ის ხელი, ნახევარდოლარიანი რომ ჰქონდა, ისევ ჯიბეში ჩაიყო და ერთი ათცენტიანი და ორი ხუთცენტიანი მოსინჯა— მეტი არც ჰქონდა — ხელის გულზე აიკრა და ასე თქვა:

— ქალაქიდან ხართ გადმოსული. ბიძაჩემი გიცნობთ თქვენ — ადვოკატი გევინ სტივენსი.

— დედათქვენიც მახსოვს მე, — თქვა ქალმა, — მაშინ მის მეგი დენდრიჯს ეძახდნენ იმას.

— ის ბებია იყო ჩემი, — უთხრა მან, — დედაჩემიც სტივენსი ყოფილა ადრე, — და მაშინ გაუწოდა მონეტიანები და იმწამსვე როგორც კი მიხვდა, ქალი ფულს გამომართმევსო, იმასაც მიხვდა, რომ სწორედ ამ ერთადერთ წარუვალ წამს დააგვიანა სამუდამოდ, აღარაფერი აღარ ეშველებოდა და ცხელი სისხლი იმ წუთებივით ასევე ნელინელ წამოაწვა ყელსა და სახეზე, თითქოსდა სამუდამოდ გაუქვავ-

და ის გაშლილი და იმაზე ის სამარცხვინოდ გაწვდილი ხურდა ფული, სანამ იმ კაცმა მოწყალება არ მოიღო.

— რა საჭიროა? — თქვა კაცმა, არც კი შეტოკებულა, არც კი გადმოხრილა, რათა ენახა თუ რა ჰქონდა ხელის გულზე, და ისევ ის მარადიულობა, მხოლოდ ძარღვებში გაყინული ის ცხელი სისხლი თქრიალით აუმოძრავდა, როგორც იქნა მოთოკა თავისი სირცხვილი და დაინახა, ხელის გული გადმოუტრიალდა და ის მონეტიანები კი არ გაიქნია, დაბლა ჩამოყარა და რაწკარუწკით გააგორა შიშველ იატაკზე. ერთი ხუთცენტიანი კი რომელიღაც ხვრელში გაუჩინარდა შარიშურით, თითქოს თაგუნას გაერბინოს და მერე ისევ ის ხმა:

— აიღე!

და მორჩა, ისე კაცი ისევ ისე გაუნძრევლად იდგა, ხელები უკან შემოეწყო არც არაფრის მაცქერალს, მხოლოდ იმ ცხელ გაყინულ სისხლში შემოატანა არც არავისკენ მიმართულმა ხმამ: „აიღეთ ის მისი ფული“, წარმოთქვა ხმამ და მან დაინახა, ალეკ სანდერმა და ედმონდსის ბიჭმა ჩრდილით დაფენილ იატაკზე დაიწყეს ფოფხვა. „მიეცით“, თქვა იმ ხმამ და ესეც დაინახა, ედმონდსის ბიჭმა დაუდო ხელის გულზე ალეკ სანდერს ორი მონეტა და იგრძნო, ალეკ სანდერის ხელი ცდილობდა როგორმე მოექცია იმის თითებში ის ფული.

— ახლა კი წადით და იმ თქვენს კურდღლებს მიხედეთ, — თქვა ხმამ, — და ნუღარ გაეკარებით იმ ფშანს.

თავი 2

და ისევ გამოვიდნენ ისინი, ნათელ სიცივეში შეაბიჯეს (შუადღე იყო და ყველაზე უფრო ახლა იყო კარგი, დღეს მეტი სითბო აღარც იქნებოდა), უკან დაბრუნდნენ, ხიდი გაიარეს და (უცებ: თვალი მოავლეს იქაურობას, თითქმის ნახევარი მილი გამოჰყოლოდნენ იმ ფშანს და ვერც კი მიმხვდარიყვნენ) ძაღლმა კურდღელი მიიმწყვდია ბამბის მინდვრის ახლო და ისტერიული ყეფა ატეხა, პაწაწინა მოყავისფრო-მოწითურო ბურთულა გამოიჭრა იქიდან, წამის უმალესად გაიწელა და ისევ შეიკუმშა, საკრიკეტო ბურთს დაემსგავსა და იმ წუთსავე გველივით გაქანდა, გაიჭიმა ძაღლის წინარე, პაწაწინავე თეთრი კუდის თავი იკლიბაკლოდ მისხლტოდა მოშავბნელებულ ბამბის ბუჩქებში ტბორზე გაშვებული სათამაშო ხომალდის იალქანივით, ალეკ სანდერი კი უყვიროდა იმას ბუჩქნარში.

— ესროლე! ესროლე! — მერე კი, რაღატომ არ ესვრიო? და ის აუჩქარებლად მიტრიალდა და მტკიცედ მიაშურა ფშანს, ოთხი მონეტა ამოიღო ჯიბიდან და წყალში მოისროლა; და ღამით ლოგინში უძილოდ რომ წრიალებდა, მიხვდა, ლუკასისას რაც ჭამა, ის არ იყო საუკეთესო, რაც იმას მოართვეს, არამედ ის იყო რაც ჰქონდათ. მეტს

ვერც ვერაფერს მოართმევდნენ; ამ დილით ის ედმონდსის სტუმარი კი არ ყოფილა, თურმე ბებერ კეროეთრ მაკ-კასლინის ჰლანტაციაში მისულიყო და ლუკასმა ეს იცოდა, იმან კი არა. ხოდა, ლუკასმა სცემა, ბუხრის წინ ფეხებგაჩაჩხულმა მდგომარემ, ისე, რომ უკან შემოწყობილი ხელები არც კი მოუშველებია, გამოართვა ის მისი სამოცდაათი ცენტი და იმით სცემა და ახლა, უილაჯო მძვინვარებისაგან ჭკუაარეული ასე ფიქრობდა იმ კაცზე, ვინც მხოლოდ ამ თორმეტი საათის წინ ნახა პირველად, თურმე ასე ფიქრობდა იმაზე როგორც ყოველი თეთრი კაცი ამ მხარეში და ოლქშიაც, თუმცა ამას ის მხოლოდ მომავალ წელს გაიგებს პირველად: **უნდა გავაგებინოთ რომ ზანგია. ზანგი ვარო, უნდა აღიაროს. მერე კი შეიძლება იმას დავარქვათ ის, რაც იმას უნდა რომ ერქვას, როგორც ჩანს.** რადგან უკვე მაშინვე დაიწყო ძიება და ბევრიც გაიგო ლუკასის შესახებ. ყურმოკვრით კი არ გაუგია, ყველას ეკითხებოდა, ვისაც კი ნახავდა ამ არემიდამოში და ვისაც რამე შეიძლება სცოდნოდა იმ ზანგის შესახებ, ვინც ასე მიმართავდა ქალებს, „მემ“, თეთრი კაცების მსგავსად და თქვენ კი გეტყოდათ, „სერ“ ან „ბატონო“, თუკი თქვენ თეთრი იყავით. მაგრამ თქვენ ხომ იცოდით, რომ ის კაცი სულ სხვას ფიქრობდა და ისიც გესმოდათ, იმანაც იცოდა თქვენ რომ იცოდით, მაგრამ მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო, არას დაგიდევდათ. ასე, მაგალითად.

ეს მოხდა შაბათ დღეს საღამოს პირზე ამ სამი წლის წინათ, გზაჯვარედინზე მდებარე დუქანში, რომელიც სამი მილითაა დაცილებული ედმონდსების სახლს და სადაც ყოველ შაბათობით, საღამოს აქაური მკვიდრნი, არენდატორები და დაქირავებულები, შავები და თეთრები გამოივლიდნენ ხოლმე და უთუოდ შეისვენებდნენ ან შეიძლება შესულიყვნენ კიდევ რაღაცეების საყიდლად. იქვე ტირიფის, ალვისა და ლეღვის ხეებქვეშ, გადატკეპნილ ტალახში, წყაროსთან უნაგირისგან და ტვირთისგან გვერდებგადატყავებულ ჯორებსა და ცხენებს მიაბამდნენ. თავად კი დუქნის შესასვლელში შექუჩდებოდნენ, ან მტვრიან დახლთან მოკალათდებოდნენ, ზოგი იქვე წინ, სკამზე დაჯდებოდა ან ჩაცუცქდებოდა, სოდიან დასალევს მოიყუდებდნენ პირზე და თამბაქოს ღეჭვას მოყვებოდნენ, უდარდელად ასანთს გაკრავდნენ და ჩიბუხს გააბოლებდნენ; იმ დღეს სამი თეთრი ყმაწვილკაცი მოვიდა მეზობლად მდებარე სახერხიდან, გადაკრულში იყვნენ, ერთი იმათთაგანი აცვენილი და გიჟლარა იყო; ხოდა, ლუკასი შემოვიდა იმ თავისი მაუდის გახუნებულ შავ კოსტიუმში, კვირადღეს იცვამდა ხოლმე იმას, მშვენიერ ქუდსაც იხურავდა, ის თავისი მძიმე საათის ძეწკვიცა და კბილის ოქროს საჩიჩქნიც არ ავიწყდებოდა, და რაღაც მოხდა მაშინ, მიზეზი რა იყო, არ ამბობდნენ თუ იქნება არც იცოდნენ, შეიძლება ასე იყო, ლუკასი შემოვიდა, არც არავის გამოლაპარაკებია, პირდაპირ დახლთან მივიდა (ხუთცენტიანი ერთი კოლოფი კოჭას ორცხობილა

იყიდა), გამოტრიალდა, გახია მუყაო, ის კბილის საჩიჩქნი კი გულის ჯიბეში ჩაიტენა, ამოიღო ის კოჭას ორცხობილა, ხელის გულზე დაიდო და პირისკენ გააქანა; შეიძლება სულაც ისე იყო, უმიზეზოდ ის თეთრი კაცი წამოვარდა და ლუკასს მიაძახა, შე ისეთო და ასეთო, კისერსაც მოგიგრეხავო, შე ედმონდსის ნაბიჭვაროო. ლუკასმა კი ბოლომდე დაღეჭა ის კოჭას ორცხობილა, გადმოატრიალა კოლოფი, რათა მეორეც ამოეღო და ნელა მიუბრუნდა იმას, დააცქერდა იმ თეთრ კაცს ორიოდე წამით და მერე ასე უთხრა:

— მე ედმონდსი არა ვარ. ახალჩამოსულიც არ გახლავართ. აქაური მკვიდრი ვარ. მაკ-კასლინი.

— ასე სახე გაბადრული ნუ დაიარები, თორემ ყვავ-ყორნების საჯიჯგნად გაგხდი იცოდე, — უყვირა იმ თეთრმა კაცმა. წუთი თუ წუთნახევარი უმზერდა ლუკასი იმ თეთრ კაცს წყნარად და აღუმფოთველად, ერთი ხელით კარგა გადმოატრიალა ის მუყაოს კოლოფი, კიდევ ერთი კოჭა ორცხობილა მოიგდო, მერე კი ტუჩის კუთხე მოღრიცა, კბილებიც გამოაჩინა და იმ მდუმარებაში წკლაპუნი გაისმა, არც დაცინვის, არც გაკიცხვის და არც წყენის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო ეს ხმა, თავისდა უნებურად უნდა მოსვლოდა ვითარცა იმ კაცს, ვინც კოჭა ორცხობილას ღეჭავს სადღაც ასი მილის იქით სრულიად მარტოდ და უცებ კბილებში გაეჩხირება ნაჭერი, და მან თქვა:

— დიახ, ბევრჯერაც გამიგონია და მგონია ედმონდსები სულაც არ უნდა იყვნენ ამისი მთქმელნი, — აქ კი ის თეთრი კაცი წამოიჭრა ფეხზე, თავის უკან დახლზე მოაფათურა ხელი და ერთი დუჟინი გუთნის სახელურიდან ერთ-ერთს სტაცა და მოუქნია იმას, მაგრამ ამ დროს მედუქნის ვაჟი, ყოჩაღი ყმაწვილკაცი, გამოიჭრა დახლიდან, შეიძლება კიდევაც გადმოევლო ზედ და იმ თეთრ კაცს დაეტაკა, ასე რომ ის გუთნის სახელურის ტარი არავის არ მოხვედრია, მხოლოდ ცივ ღუმელს მიეხალა, და ვიღაც მეორემაც მოუსწრო, იმანაც გააკავა ის კაცი.

— წადი აქედან, ლუკას! — მხრებიდან გამოსძახა იმას მედუქნის ვაჟმა. მაგრამ ლუკასი არც კი განძრეულა, ზიზღი არ დასტყობია, არც დაცინვა და აღარც ისე დაძაბული იდგა, მარცხენა ხელში ის ჭრელი კოლოფი ეკავა, ორცხობილა კი მარჯვენაში, მშვიდად უმზერდა, როგორ აკავებდა მედუქნის ვაჟი და მისი მშველელი იმ დორბლებმორეულ და ჯავრით აყვირებულ თეთრ კაცს. აბა ჩქარა მოუსვიო აქედან, სულელო, დაუძახა მედუქნის ვაჟმა, და მხოლოდ მაშინ შეტოკდა ლუკასი, არ აჩქარებულა, აუჩქარებლად მიტრიალდა და კარს მიაშურა, მარჯვენა ხელი პირთან მიიტანა და რომ გადიოდა, შეამჩნიეს, აუმღვრევლად ღეჭდა იმ ორცხობილას.

თავიდათავი სწორედ ის ნახევარი დოლარი იყო. სინამდვილეში მთელი ის თანხა არც კი აღემატებოდა სამოცდაათ ცენტს. მაგრამ ძაძიხვე, იმ წაძის ძეათედიდანვე მან ერთ, დაუხურდავებელ მონეტია-

ნად გაამთლიანა, დიდზე, დიდი წონა მიანიჭა და სულაც აღარ ჰქონდა იმას ესოდენ პატარა ღირებულება; ხანდახან იყო და სულიერი გვემა და სიმძიმილი, ანუ ჩვეულებრივი სირცხვილი თუ რაღაც ამდაგვარი ისე აცვამდა ანწუხზე, რომ ბოლოს დადგებოდა წუთი და გულდამშვიდებულიც კი ასე ეტყოდა თავს **ნახევარი დოლარი ხომ მაინც დამრჩა, რაღაც ხომ მაინც დამრჩა** რადგან ახლა უკვე არა მარტო მისი შეცდომა და მისი თავსლაფის დასხმა, თავად მთავარი მოქმედი პირიც, ეს კაცი, ეს ზანგი, ეს ოთახი, ეს წუთი, ეს დღე, სუყველაფერი გარდასახულიყო და მრგვალი სიმბოლო მონეტა შექმნილიყო. ხანდახან ასე დაინახავდა თავს, წევს და სრულიად დაუნანებლად და აღუშფოთებლადაც კი დღითი დღე ამჩნევს, ფუვდება ის მონეტიანი, გიგანტური ხდება, დაბოლოს გაირინდება და სამუდამოდ გამოეკიდება იმისი ტანჯვა-ვაების მოშავბნელებულ თაღს ვითარცა საბოლოოდ მიცვალებული, ჩაუმცხრალი მთვარე და თავად ის კი, მისი საწყალობელი ჩრდილი ხელებს ასავსავებს საშინლად სულ და გულდაშანთული და ამავე დროს შეუსვენებელიც, რადგან აწი მას გაჩერება აღარ უწერია, ამ სადარდებლის მოცილება აღარ უწერია, აღარასოდეს ამაღლდება, რაკიღა არა მარტო თავისი კაცობა, მთელი რასაც კი შეურცხვენია; აქამომდე კი ყოველ საღამოს, სკოლის მერე და ყოველ შაბათს, თუკი ბეისბოლს არ თამაშობდა და არ ნადირობდა ან არ ჰქონდა საქმე, ან თუ არ სჭირდებოდა რამე, ბიძიასთან მიდიოდა სამსახურში, სადაც ტელეფონზე პასუხობდა ან რაღაც დავალების შესასრულებლად დარბოდა და ამ დროს ამას გარკვეული პასუხისმგებლობით, შინაგანი მოთხოვნილებითაც კი აკეთებდა, და, რაც უნდა ყოფილიყო, სურდა ამაღლებულიყო საკუთარ თვალში. ბავშვობიდანვე იყო ასე. მეხსიერების გაჩენისთანავე იგრძნო ბრმა და სრული თაყვანისცემა თავისი დედის ერთადერთი ძმისადმი და არც არასდროს უცდია ამის მიზეზის ჩახვედრა და სულ ასე იყო მას მერე; დაბოლოს, უკვე თხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი წლისა ის მოიგონებს ბიჭისა და მისი ბოჩოლას ამბავს, ყოველდღე რომ გადაჰყავდა ატატებული ღობეზე; გავიდა წლები, ბიჭი დაკაცდა, ხბო ხარად გადაიქცა და მაინც გადაჰყავდა ღობეზე ყოველდღე.

ხბოს მიტოვება კი ასე მოუხდა. სამ კვირაზე ნაკლები იყო დარჩენილი შობადღემდე, ყოველ საღამოს სკოლის მერე და შაბათობით მთელი დღე მოედანზე იყო ან სადმე, სადაც მისი ნახვა, მისი თვალთვალი შეიძლებოდა. კიდევ ერთი თუ ორი დღე ციოდა, მერე გათბა, ნიავმა დაუბერა, მზეს ღრუბელი გადაეფარა და გაწვიმდა, ის კი მაინც დადიოდა ან იდგა ქუჩაში, სადაც დუქნის სარკმლები გაივსო სათამაშოებით, საშობაო საჩუქრებით, საფეირვერკო მოწყობილობებით, ფერადი ნათურებით, ნაძვის ტოტებით, ზიზილ-პიპილებით, ანდა ამზირებოდა აფთიაქების, სადალაქოების ფანჯრის შეღებილ მინებში და აკვირდებოდა ჩამოსულთა სახეებს, ჯიბეში მოემარჯვებინა

ორი შეკვრა — ოთხი ორნახევარცენტიანი სიგარა ლუკასისა და საუნოსავი თამბაქო მისი ცოლისთვის ფერად საშობაო ქაღალდში გახვეული და ასე იყო მანამ, სანამ ედმონდსი არ ნახა და არ სთხოვა, დილით გადაეცითო ჩემგან. მაგრამ ეს უბრალოდ ჰფარავდა (ორჯერაც) იმ სამოცდაათ ცენტს, ის მიცვალებული, შემზარავი უძრავი დისკო კი მაინც ეკიდა მისი მძვინვარებისა და უილაჯობის პირაშკმულ და შავად მოზიმზიმე ხახაში: **ნეტავი ის პირველადვე ზანგი ყოფილიყო, სულ ერთი წამით მაინც, სულ ერთი პაწაწინა წამით მაინც,**— ხოდა, თებერვალში ფულის მოგროვება დაიწყო — მამა აძლევდა იმას ყოველ კვირა ოცდახუთ ცენტს სახარჯოდ და ოცდახუთსაც ბიძია უხდიდა გასამრჯელოდ, მაისი დადგა და უკვე კარგა ბლომად ჰქონდა მოგროვებული, წავიდა, დედამისი წაიყვანა, ის უფრო აარჩევინებდა და ყვავილებიანი ხელოვნური აბრეშუმის კაბა იყიდა და მოლი ბიჩემპს გაუგზავნა ფოსტით, კეროთერ ედმონდს უნდა მიეღო და გადაეცა დანიშნულისამებრ. დაბოლოს, თითქოსდა სული მოითქვა, რაკი გაუნელდა ის მძვინვარება, თუმცა კი ის წყენა თუ სირცხვილი ვერა და ვერ დაევიწყებინა; ის დისკო კი მაინც ეკიდა მოშვაბნელებული თაღის ქვეშ, მაგრამ უკვე თითქმის წელიწადი გასულიყო და ის თაღი აღარც ისე მოშავბნელებული იყო, ის დისკოც გაფერმკრთალებულიყო და უკვე დაძინებაც შეეძლო იმის ქვეშ უძილობით გატანჯული კაცივით, ვინც თვალს მილულავს დამავალი მქრქალი მთვარის შუქზე. მერე სექტემბერიც მოვიდა, იმ კვირაში სწავლაც უნდა დაწყებულიყო. ერთ საღამოს, როდესაც სახლში მოვიდა, დედამ უთხრა, ნახე, რა გამოგიგზავნესო.

ერთი გალონის ჭურჭელი იყო სავსე ახალი, შინგაკეთებული ბადაგით და უკვე ყველაფერი იცოდა კარგა ხნით ადრე სანამ დედა სიტყვას **დაამთავრებდა:**

— ვიღაცა უნდა იყოს, ბ-ნ ედმონდსისას ცხოვრობს.

— ლუკას ბიჩემპი, — თქვა მან, უფრო დაიყვირა, — დიდი ხანია წავიდა? რად არ დამიცადა?

— არა, — მიუგო დედამ, — მას არ მოუტანია. ვიღაცას გამოატანა. ვიღაც თეთრმა ბიჭმა მოიტანა ჯორით.

მორჩა, გათავდა. ისევ იქ მივიდა, საიდანაც წამოვიდა, თავიდან უნდა დაიწყოს ყველაფერი, თუმცა ახლა უარესიც კი იყო, რადგან ლუკასმა თეთრი ბიჭის ხელი მოიშველია მისი ფულის ასაკრეფად და უკან დასაბრუნებლად. მერე კი ესეც გაიფიქრა, სულაც არ შეუძლია თავიდან დაიწყოს, რადგან თუკი აიღებს ამ ბადაგის ჭურჭელს, უკანვე მიიტანს და მიანთქრევს ლუკასის კარს, მაშინ ის მონეტები მოუვა ისევ, ანუ ლუკასი ადგება და ააკრეფინებს ვიღაცას და უკან დაუბრუნებს, თანაც ჩვიდმეტი მილი უნდა გაიაროს შოტლანდიური ჰონით, ახლა კი უკვე დიდი იყო და რცხვენოდა იმით სიარული, ბედაური ცხენი ან უბრალო ცხენის ყოლას კი დედა არ ანებებდა, ისე,

ბიძია კი იყო შეპირებული; ჩვიდმეტი მილი უნდა გაიაროს, რათა იმ კართან მივიდეს და მიახეთქოს. მორჩა, გათავდა, ის, რასაც მისი განთავისუფლება, ანუ შვების მონიჭება შეეძლო, არა მარტო მიუღწეველი, გაუგებარი ჩანდა სულაც. მეტი რაღა დარჩენოდა, შემთხვევას უნდა დალოდებოდა და გულხელდაკრეფილი ყოფილიყო.

და ასე გავიდა ოთხი წელიწადი, თითქმის უკვე თვრამეტი თვე იყო, რაც თავისუფლად გრძნობდა თავს და ასე ფიქრობდა, გაიარაო ყველაფერმა: მოხუცი მოლი მოკვდა და იმისი და ლუკასის გათხოვილი გოგო ქმარითურთ დეტროიტში გადასულიყვნენ საცხოვრებლად, ხოდა, სრულიად შემთხვევით გაიგო, ლუკასი მარტოდ დარჩენილიყო იმ თავის სახლში, აღარავის აღარ იკარებდა და აღარც მეგობარი ჰყავდა ვინმე, თავისი მოდგმის ხალხსაც განუდგა და თითქოს თავიც კი მოჰქონდა ამით. მას მერე სამჯერ ჰყავდა ნანახი ის კაცი ქალაქის მოედანზე, ყოველთვის შაბათობით არა... მართალი თუ გნებავთ, ერთი წლის მერე, რაც უკანასკნელად ნახა, გაიხსენა, არც არასდროს უნახავს ის ქალაქში შაბათობით, როდესაც სხვა სოფლელი ზანგები და მეტი წილი თეთრებიც ჩამოდიოდნენ, შემთხვევით არ გადაეყრებოდა ხოლმე იმას, რადგან იცოდა, ყოველი წლის გარკვეულ დღეს უნდა ჩამოსულიყო და ისიც მაშინვე ნახულობდა მიზეზს ყოფილიყო მოედანზე, სადაც ლუკასს უნდა გამოევლო საჭირო და აუცილებელ საქმეზე სამუშაო დღეს თეთრი კაცისამებრ, ფერმერივით კი არა, პლანტაციის მფლობელივით, რომელიც ჟილეტ-ჰალსტუხებით გამოწყობილა ვაჭრების, ექიმებისა და ადვოკატების დარადაც, თითქოსდა ის უარყოფდა, ვერ შეგუებოდა არა მარტო აქაურ ზანგურ ცხოვრებას, საერთოდ ზანგობასაც და ყოველთვის ეცვა ის თავისი გაქექილი, თუმცა კი საგულდაგულოდ გაწმენდილი ძვირფასი შავი მაუდის კოსტიუმი, სწორედ იმაში იყო გამოწყობილი ფოტოსურათზე, მშვენიერი, გვერდზე მოქცეული ქუდიც ეხურა და თეთრი ქათქათა გახამებული პერანგიც ეცვა, მისი ბაბუას დროს იცვამდნენ ასე — ის და ის უჰალსტუხო სახელოც მძიმე საათის ძეწკვითურთ და, აგრეთვე, ოქროს საჩიჩქნითაც, იმის ბაბუასვე რომ დაჰქონდა ჟილეტის ზედა ჯიბეში. პირველად მეორე ზამთარში შეხვდა ლუკასს და სწორედ მაშინ გამოელაპარაკა პირველადვე და იმანაც მაშინვე იცნო ის, მადლობა გადაუხადა იმ ბადაგისათვის და ლუკასმა ზუსტად იმისი ბაბუასავით უპასუხა, თუმცა სიტყვებს სწორად ვერ გამოთქვამდა:

— ამ წელს კი გამოვიდა კარგი. ვაკეთებ მე იმას და გამახსენდა, ბიჭებს ტკბილზე კბილები უკაწკაწებს, კარგ ბადაგზე უარს როგორ იტყვიან-მეთქი, — წავიდა, გამოხედა და ასე დასძინა, — ამ ზამთარს კი ნულარ გადავარდები სადმე ფშანში. — კიდევ ორჯერ შეხვდა მას შემდეგ — შავ კოსტიუმსა და ქუდში. ის საათის ძეწკვიც ეკეთა, ოღონდ ამჯერად კბილის საჩიჩქნი აღარ ჰქონდა. ხოდა, ლუკასმა შეხედა მას, პირდაპირ თვალებში ჩააცქერდა და ჩაუარა გვერდით, და მან ასე გაიფიქრა **აღარ ვახსოვარ. ასე როგორ დავავიწყდი** სანამ შემ-

დეგ წელიწადს ბიძიამ არ უთხრა, ის მოლი, მისი ბებერი მეუღლე ერთი წლის წინ მოკვდა, არც კი შეწუხებულა, არც კი გაკვირვებია, საიდან იცისო ბიძიამ (როგორც ჩანს, ედმონდსმა უთხრა) ეს ამბავიო და მაშინვე საჩქაროდ დაიწყო დღეების გამოთვლა; სულიც მოითქვა, შვება იგრძნო, გულს ნათელი ჩაუდგა: **ცოლი ჰყავდა მკვდარი. ამიტომ ველარ დამინახა. თურმე ამიტომაც აღარ ეკეთა ის თავისი კბილის საჩიჩქნი;** მერე კი როგორღაც გაოცებულმა გაიფიქრა: **მგლოვიარე კაცი რაღას მოახერხებდა, ზანგობა არ შემატყობინო** და შემდეგ კი აღმოჩნდა, ისევ უდარაჯებდა, სწორედ ამ ორი წლის წინანდელივით დაეხეტებოდა მოედანზე, მაშინ ედმონდსი უნდოდა ენახა საშობაო საჩუქრების გადასაცემად; ორი თუ სამი თვე გავიდა ამის მერე და ასე გაუელვა თავში, ლუკასს ქალაქში წელიწადში ერთხელ ნახულობდა და ეს ხდებოდა ყოველთვის იანვარსა ან თებერვალში, და მაშინ კი მიხვდა პირველად თუ რატომ: მიწის წლიური ქირის გადასახდელად ჩამოდიოდა. ეს მოხდა იანვრის ბოლოს, ნათელი ცივი საღამო იყო. ქუჩის კუთხეში, ბანკთან იდგა, დამავალი მზის სხივებში და დაინახა, ლუკასი გამოვიდა სასამართლოს შენობიდან, მოედანი გადმოჭრა, პირდაპირ მისკენ წამოვიდა, ისევ იმ შავ კოსტიუმსა და უჰალსტუხო პერანგში, ის მშვენიერი ძველი ქუდი ისევ ისე დარდიმანდულად გვერდზე მოქცეოდა, წელში ისე გამართული მოდიოდა, რომ თითქოს ის კოსტიუმი მარტო მხრებზე ჰქონდა მორგებული და ჩამოშვებული და მაშინვე თვალი მოჰკრა იმ კბილის ოქროს საჩიჩქნის მედიდურ ბრწყინვას და იგრძნო, მთელი სახე გაუხევდა მოლოდინში, ლუკასმა გამოხედა, ისევ ისე ჩააცქერდა თვალებში, თხუთმეტი წამით მაინც და მერე კი ცოტათი იქით მიდგა, ჩაუარა და წავიდა; აღარც იმას გაუხედავს უკან, იდგა ქუჩის კუთხეში დამავალი, ცივი მზის შუქზე და ფიქრობდა **ამჯერად არც კი მოვგონებივარ. სულაც ვერ მიცნო. თავიც არ შეუწუხებია ჩემს დასავიწყებლად;** თითქოსდა რაღაც შვებით ფიქრობდა ასე: **მორჩა. გათავდა** რადგანაც უკვე თავისუფალი იყო, წავიდა, მოშორდა ის კაცი, ვინც მთელი სამი წელიწადი არ მოცილებია ძილსა თუ ღვიძილში. კიდევ შეხვდებოდა მას, რასაკვირველია; რაღა თქმა უნდა, ჩაუვლიან ერთმანეთს ამ ქალაქის ქუჩებში ისევე, როგორც დღეს, ყოველ წელს, სანამ ლუკასს პირში სული უდგას, მაგრამ ყველაფერი მორჩა, აწი აღარსად იქნება ეს კაცი, აჩრდილი იქნება მისი, რომელმაც უბრძანა ორ ზანგის ბიჭს აეკრიფა მისი ფული და უკანვე დაებრუნებინა; ის სხვა კი მხოლოდ მოგონება იქნება იმ ბალღისა, ვინც იმას ფული გაუწოდა და მერე იატაკზე მოისროლა და ვისაც კაცობაში გადასულს გადაჰყვება ის ძველისძველი, გაფერმკრთალებული სირცხვილი და წყენა და არა შურისგების, ნაცვალგების გრძნობა, ეს იქნება ჩვეულებრივი აღდგენა, განმტკიცება ღირსებისა იმ მამრის, რომლის ძარღვებშიც ფეთრი სისხლი სჩქეფს. და დადგება დღე და აღარც აჩრდილი იქნება იმ

კაცისა, რომელმაც ფულის აღების ბრძანება გასცა და აღარც ის სირცხვილი და წყენა დარჩება, წარიხოცება, შარიშურითლა მოეახლება როგორც მჟაუნას მომწარო-მოტკბო გემო, პატარაობაში, აწ ბავშვობის გარდასულ ხანაში რომ ღეჭავდა და ახლა მოაგონდებოდა ხოლმე და მაშინვე გადაავიწყდებოდა, გაცამტვერდებოდა მისი ალიკვალი; ხოდა, ასე წარმოუდგება, შეხვდებიან ისინი ერთმანეთს მოხუცებულნი, მთლად დაჩაჩახაკებულნი, სიკვდილის პირას მისულნი, თავით ფეხამდე აკანკალებულნი და სხვა ვერაფერიღა დაურქმევიათ ამ ყოფისთვის, ვცოცხლობთო, და მაშინ იმათ შორის წაშლილი იქნება განსხვავება, თუნდაც ნახევარი საუკუნისაც, რომლის დათვლა, გამოთვლა შეუძლებელია ვითარცა მტვერისა ნაცარში და ასე ეტყვის ის ლუკასს: **მე ის ბიჭი ვარ, თქვენი ნახევარი სადილი რომ შეაჭამეთ და იმან სცადა საზღაური გადაეხადა, სამოცდაათ ცენტს ეძახდა ხალხი იმ თანხას და ღირსებაშელახულმა ესღა მოიფიქრა, იატაკზე მოისროლა, თუ გახსოვთ?** ლუკასი კი: **მე მეუბნებით?** ანუ, შეიძლება პირიქითაც მომხდარიყო და ლუკასს ასე ეთქვა მისთვის **მე ვარ ის კაცი, როდესაც თქვენ იატაკზე ფული მოისროლეთ და აღარ აიღეთ, მაშინ იმ ორ ზანგის ბიჭს ავაღებინე და უკანვე დავაბრუნებინე. თუ გახსოვთ?** ის კი ასე ეტყოდა: **მე მეუბნებით?** რადგან ახლა უკვე ყველაფერი გათავებულიყო. მეორე ლოყა მიუშვირა, უარი არ უთქვამს. **თავისუფალი** გახლდათ.

მერე ერთხელ შაბათ საღამოს მოედანზე მიდიოდა, სახლში ბრუნდებოდა (ბურთი ითამაშა სასკოლო მოედანზე) და ყური მოკრა, ლუკასს ვინსონ გოური მოუკლავსო ფრეიზერის დუქანთან; დაახლოებით სამი საათისთვის შერიფს შეუთვალეს, ადგილზე არ იყო, იქიდან კი ადგილობრივი ხაზით ოლქის იმ შორეულ მხარეს აცნობეს, სადაც ის უნდა ყოფილიყო საქმეზე წასული და სადაც ეს ცნობა მიუვიდოდა გვიან ღამით ან სულაც განთიადის ხანს; თუნდაც შერიფი თავის განყოფილებაში ყოფილიყო, მაინც დროზე ვეღარ მივიდოდა მეოთხე უბანში და თუ იოკნაპატოფას ოლქი არ არის ისეთი ადგილი, სადაც ზანგს შეუძლია ზურგში დაახალოს ტყვია თეთრ კაცს, მაშინ ის ზემოთ ხსენებული უბანი ამ მხრივ მით უმეტეს არ არის ის ადგილი, სადაც ჭკუათმყოფელ ზანგს მოუვა თავში ვინმეს ესროლოს და განსაკუთრებით გოურებიდან რომელიმეს; უკვე წავიდა უკანასკნელი მანქანა სავსე ყმაწვილკაცებით და არა ყმაწვილკაცებითაც, რომლებიც საქმეზე მიდიოდნენ არა მარტო შაბათ დღეს - საღამოობით, მთელი კვირის განმავლობაშიაც სადაც კი ნახავდნენ, გინდ საბილიარდოში და გინდ სადალაქოშიც, რადგან ზოგი იმათთაგანი ბამბით ვაჭრობდა, ზოგი ავტომანქანებითა და ზოგიც მიწებითა და საქონლით, სანაძლეოსაც ჩამოდიოდნენ, ვინ გაიმარჯვებდა ცნობილი ბოქსიორებიდან, ვინ სროლაში და ვინ ბეისბოლის ეროვნულ ჩემპიონატში. ხოდა, სწორედ ეს ხალხი გაქანდა მოედნიდან, რათა თხუთმეტი მილის იქით დამდგარიყვნენ შარაგზაზე კონსტებლის სახლის წინ; ასე ამ-

ბობდნენ, იმ კონსტებლს დაუჭერია ლუკასი, თავისას მიუყვანია, ბორკილით მიუბავს ლოგინის ფეხზე და იმასთან დამჯდარა თოფმომარჯვებული (და ედმონდსიც იქ უნდა ყოფილიყო, რაღა თქმა უნდა, თუნდაც სოფლის სულ გამოსულელებულ კონსტებლსაც კი ეყოფოდა ჭკუა და ამ ოთხიოდ მილზე მყოფ ედმონდს შეატყობინებდა ამ ამბავს შერიფამდე ადრეც კი) იმ შემთხვევაში თუ გოურები და მისი ახლობლები არ დაელოდებოდნენ ვინსონის დაკრძალვას. რაღა თქმა უნდა, ედმონდსი იქ იქნებოდა; ედმონდსი ქალაქში რომ ყოფილიყო იმ დღეს, უთუოდ ნახავდა იმას დილას ან მერეც, სანამ ბეისბოლზე წავიდოდა, მაგრამ არ უნახავს, რადგან ის სახლში იყო, ოთხი მილის იქით; მაცნეს, როგორც ჩანს, უკვე ნანახი ეყოლებოდა და ახლა ედმონდსი კონსტებლის სახლში უნდა ყოფილიყო და ეს მანამ უნდა მომხდარიყო, სანამ მეორე მაცნე ჩაიწერდა შერიფის ტელეფონის ნომერს და იმას, რაც უნდა გადაეცა მისთვის, მერე კი უახლოეს ტელეფონთან მივიდოდა; ხოდა, ედმონდსი (უკვე ხელმეორედ გაუელვა თავში) და კონსტებლი, ორნიღა იყვნენ და ღმერთმა უწყის რამდენი იყვნენ ის გოურები, ინგრემები და უორკიტები და თუ ედმონდს არა სცალია, ვახშმობს ან გაზეთს კითხულობს, ან ფულს ითვლის და კიდევ ვინ იცის რას შვრება, ის კონსტებლი მარტო უნდა იყოს იმ თავისი თოფით; მაგრამ თავად ხომ თავისუფალია, რა მისი საქმეა; და კიდევაც ქუჩის კუთხეში მივიდა, იქიდან უკვე მისი სახლის გზა იწყებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ მზე კარგად ანათებს, დალამებამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა და უკან გამობრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და წამოაგონდა, რატომაც არ წავიდა პირდაპირ, თითქმის ცარიელ მოედანზე, შენობის კიბისკენ.

თუმცა, რაღა თქმა უნდა, ბიძამისი არ უნდა ყოფილიყო იქ ასე გვიანობამდე შაბათ საღამოს, მაგრამ კიბეზე ასვლის დროს არც კი ფიქრობდა ამაზე, იმ დღეს რეზინის ძირიანი ფეხსაცმელი ეცვა და თუ კედლის პირას, კიდე-კიდე აივლიდა საფეხურებს, მაშინ ის ხის კიბე ისე არ აჭრაჭუნდებოდა და არ აგრიალდებოდა; ასე ფიქრობდა, რა კარგი ყოფილაო ეს რეზინისძირიანი ფეხსაცმელი და მე არ ვიცოდი აქამდე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საფიქრალი გაქვს და უნდა აწონ-დაწონო საქმნელი; სამუშაოს დაკეტილი კარი დაინახა, ჯერ კიდევ არ ბნელოდა და შუქი არ ენთო იქ, მაგრამ ის კარი სწორედ ისე გამოიყურებოდა, როგორც უნდა გამოიყურებოდეს დაკეტილი კარი, ასე რომ თუნდაც მაგარძირიანი ფეხსაცმელი სცმოდა, მაინც არა უშავდა; თავისი გასაღებით გააღო კარი, შიგნიდან ჩარაზა და შევიდა მძიმე მოტრიალე სავარძელთან, ბაბუას იყო ეს სავარძელი, სანამ ბიძია წამოიღებდა; მიუჯდა ნაწერებით სავსე მაგიდას, რომელიც უკვე ბიძიას შეეცვალა და ძველის მაგივრად დაედგა, რამდენ საქმეს გადაუვლია ამ და იმ მაგიდებზე, რაც თავი ახსოვს, რაც ჩაჭდეულა მის მეხსიერებასა თუ რაღაცაში; ხოდა, ეს ზედაპირგადა-

ლეული მაგიდა და ეს კიდებაპრეხილი, ფერგადასული ქაღალდები ამცნობდნენ გაჭირვებასა და ვნებებს, რომელთა ზღვარი სრულიად ემთხვეოდა ამ ოლქისავე საზღვრებს; დამავალი მზე იჭვრიტებოდა თუთის ხის ტოტებსა და მინიდან და იმის შუქს მიეხაზ-მოეხაზა მაგიდის პირი, ჯამი სამაგრებითა და დასვრილ-დაჟანგებული კალმებით და მავთულით, რომელსაც ჩიბუხის საწმენდად ხმარობენ, აგრეთვე, ფერფლის გროვაზე დაგდებული, სიმინდისტარიანი ჩიბუხი, ჭუჭყიანი ყავის ფინჯანი და თეფში, ფერადი ჭიქა, ჰაიდელბერგის Stübe*, სავსე ჩამწვარი გაზეთების ნაგლეჯებით, ჩიბუხის გასაჩაღებლად რომ ეხმარათ. სწორედ ისევე იყო ჩამწვარი ქაღალდები ბუხრის თავზე შემოდგმულ ლუკასის ლარნაკში იმ დღეს და ვიდრე თავში გაუელვებდა, ეს კი რაღამ გამახსენაო, წამოდგა, აიღო ის ფინჯანი და თეფში, ოთახი გაიარა, ყავადანსა და ჩაიდანსაც სტაცა ხელი, საპირფარეშოში შევიდა, ჩაცალა, ჩაწმინდა, მერე სამზარეულოში წყალი გაავლო ფინჯანსა და თეფშს, წყლით გაავსო ჩაიდანი და ეს ყველაფერი იქვე თაროზე შემოდგა, უკანვე გამობრუნდა, იმ სავარძელში ჩაჯდა, ვითომ არც ამდგარიყო იქიდან, ბევრი დრო ჰქონდა ახლა, რათა თვალი აღარ მოეცილებინა ასე შეჩვეული, არეულ-დარეული მაგიდისთვის და ეცქირა თუ როგორ ილეოდა მზის სხივები ღამის დადგომისდა კვალად, ფიქრობდა, იხსენებდა, ასე ეუბნებოდა ბიძია, ყველაფერი, რაც კი აქვს კაცს, ეს დროა, რაც იმასა და სიკვდილს შუა ჩამდგარა და შიშს, ზიზღს ჰგვრის, და თავის ნახევარ დროს იმისთვის ხარჯავს თუ როგორ გაიყვანოს ის დანარჩენი ნახევარი; და უეცრად არც არაფრიდან მოაგონდა ის, რაც გაჩხეროდა გონებაში: ედმონდსი სახლში არ არის და საერთოდაც არ იმყოფება მისისიპში, ნიუ ორლეანის საავადმყოფოში წევს, ოპერაცია უნდა გაუკეთონ და თირკმლებიდან კენჭები ამოუღონ. ის მძიმე სავარძელი გრუხუნით გაგორდა იატაკზე ვითარცა ვაგონი ხის ხიდზე, ფიხზე წამოვარდა და მაგიდასთან იდგა მანამ, სანამ არ ჩაკვდა იმ გრუხუნის ექო და მერე თავისი სუნთქვაღა ესმოდა მეტი არაფერი, რადგან ის თავისუფალი იყო და მაშინღა შეტოკდა, როცა გაახსენდა, დედამ იცოდა, თუ როდის უნდა დამთავრებულიყო ბეისბოლის თამაში, თუნდაც იმის ყურამდე არც მისულიყო მაყურებლის ღრიალი ქალაქის მეორე ბოლოდან და ისიც იცოდა, რამდენი დრო უნდოდა ამ ბინდში მას სახლში მისასვლელად; კარი გამოიკეტა და კიბეზე დაეშვა, ჩამობნელებულიყო ახლა მოედანზე და უკვე სინათლეც აენთოთ აფთიაქში (სადალაქოსა და საბილიარდოში არც ჩაუქრიათ შუქი დილის ექვსი საათიდან, როდესაც ფეხსაცმლის მწმენდავმა და კარისკაცმა კარი გააღეს და თმის ნარჩენები და სიგარეტის ნამწვავები გამოხვეტეს გარეთ) და სავაჭროშიც, რათა მთელი ოლქიდან ჩამოსულებს, გარდა

---

* ოთახიდან (გერმან.).

მეოთხე უბნელებისა, შეეძლოთ აქ თავი შეეფარებინათ სანამ ფრეიზერის დუქნიდან არ შემოუთვლიდნენ, ყველაფერი კარგადაა და იმათ შეეძლოთ სატვირთო და პატარა მანქანები, ფურგონები, ჯორები წაეყვანათ უკანა ქუჩებიდან და ჩიხებიდან, სახლში წასულიყვნენ და დაეძინათ; ამჯერად კი გადაუხვია იმ კუთხეში და ციხე დაინახა, ბუნდად წამომართული და სარკმლებჩაბნელებული, მხოლოდ წინა მხარეს, მაღლა განათებულიყო ერთი ფანჯარა, ოთხკუთხა, რიკულებიანი, ჩვეულებრისამებრ აქედან ღამღამობით ზარისა და კარტის მოთამაშე, ლოთიფოთი, სამართებლის მტყორცნელი ზანგები ჩამოჰლრიალებდნენ ქუჩაში მდგარ თავის გოგოებსა და ქალებს, და სწორედ აქ უნდა ყოფილიყო უკვე სამი საათი ლუკასი (ალბათ ახლა რკინის კარს უბრახუნებდა და გაჰყვიროდა, ვახშამი მომიტანეთო ან უკვე ნავახშმევი იყო და ახლა გაიძახოდა, ეს რა მაჭამეთო, რაღა თქმა უნდა, უკვე ჰქონდა უფლება აქაურ ულუფასა და საკანზე) და, როგორც ჩანს, ეს ჩვენი ხალხი ასე ფიქრობს, მთავრობის ერთადერთი მოვალეობაა არჩევა ისეთი კაცისა, როგორიცაა შერიფი ჰემპტონი, ვისაც ძალა ერჩის, ანუ კი აქვს იმდენი ჭკუა და გონება, რომ ოლქი მართოს და მერე როცა კი მოახელეთებს სამუშაოზე მიიღო თავისი ბიძაშვილ-დეიდაშვილები და სიძეები, რომლებსაც ადრე საცა არ მისულან ყველგან მოცარვოდათ ხელი. მაგრამ ის ხომ თავისუფალია და თანაც ახლა ყველაფერი გათავებულიყო და რომც არ სცოდნოდა თავისი საქმნელ-სათქმელი, ხვალამდე ბევრი დრო ჰქონდა; მხოლოდ ამაღამ ჰაიბოის ხვალისთვის ორი ჯერი ქერი უნდა დაუყაროს და ამ წუთას იგრძნო ან სადაცა იგრძნობდა, რომ მაგრად მოშივებოდა და ფიქრით მაგიდას ეჯდა სახლში, ქათქათა გადასაფარებელი და ვერცხლის დანა-ჩანგალი, ჭიქები და ლარნაკი ნარგიზებითა და გლადიოლუსებით და ვარდებით, ბიძიამ თქვა:

— შენი მეგობარი ბიჩემპი მგონია ახლა ვეღარ გადარჩება.

— დიახ, — მიუგო მან, — ახლა კი ერთხელ ცხოვრებაში ბოლოსდაბოლოს ზანგად გახდიან.

— ჩარლზ! — უთხრა დედამ, ის კი ჭამდა ჩქარა და ჭამდა ბევრს, ლაპარაკობდა ჩქარა და ბევრს ბეისბოლზე და მოელოდა, შიმშილი ჭკუას დამაკარგვინებსო და უცებ მიხვდა, თურმე უკანასკნელ ლუკმას ღეჭავდა და ვერ დაეღეჭა, გულზე დაადგა და ძლივს გადაყლაპა, მაშინვე წამოვარდა.

— კინოში უნდა წავიდე, — თქვა მან.

— ჯერ ჭამა დაამთავრე, — უთხრა დედამ, მერე კი ასე დასძინა, — დაწყებამდე ჯერ კიდევ ერთი საათია, — ხოდა, ჯერ არც მამამისს მოუხმო და არც ბიძამისს, ყველა დროების უფალს, ათას ცხრაას ოცდაათის, ორმოცისა და ორმოცდაათის, — ფეხი აღარ გაადგა ქალაქში, ამაღამ არა-მეთქი, — დაბოლოს შეკივლება, შეცხადება, უზენაესი ხელისუფლების, მამის მოხმობა და ეს იყო ამოძახილი შიშის ზარისა და გულის ხეთქვის იმ ბუნდი უფსკრულოვანიდან,

სადაც ქალებს, დედებს მაინც, უხდებათ თავიანთი არჩევანის კვალობაზე ცხოვრება, — ჩარლი!.. — სანამ ბიძიამ ხელსახოცი არ დადო, არ ადგა და ასე თქვა:

— ახლა კი გაქვს შემთხვევა ძუძუს მოაშორო. ერთი დავალება უნდა მივცე, — გავიდა აივანზე, საიდანაც ბინდშერეული სიგრილე შემოიჭრა და ბოლოს ბიძიამ ასე უთხრა, — რას იზამ? კარგი, წადი.

— თქვენც ხომ წამოხვალთ? — ჰკითხა მან, მერე კი ასე უთხრა, — რატომ არ მოდიხართ? რატომ?

— რა მნიშვნელობა აქვს? — თქვა ბიძიამ, შემდეგ დასძინა, უკვე ორი საათია რაც გავიგე, როდესაც სადალაქოს ჩავუარეო. — გინდ ლუკასი იყოს და გინდ სხვა ვინმე ფერადკანიანი, — მაგრამ უკვე თავადაც ფიქრობდა ამის შესახებ, თუმცა ახლა, ბიძამისის ნათქვამის შემდეგ კი არა, ჯერ კიდევ მაშინ, ორი საათის წინ, როდესაც სადალაქოს წინ იდგა და ბევრიც ესმოდა, — თავიდათავი ის კი არ არის, სიცოცხლე რად მოსძულდა და რად დაახალა თეთრ კაცს ზურგში ტყვია, მთავარი ეს უნდა იყოს, სწორედ გოურის ესროლა და მაინცადამაინც მეოთხე უბანში, წადი, მაგრამ ნუ დაიგვიანებ: კაცმა ხანდახან მშობლებსაც უნდა სცეს პატივი.

მართლაცდა, ერთი მანქანა და შეიძლება სუყველაც უკან დაბრუნდა იმ სადალაქოსთან და საბილიარდოსთან და, როგორც ჩანს, ლუკასი ისევ ისე მშვიდობიანადაა მიჯაჭვული ლოგინის ფეხზე, ის კონსტებლი კი იქვე ზის (შეიძლება სარწეველა სავარძელში) იმ თავისი ცივი თოფით და შეიძლება კონსტებლის ცოლმა ვახშამი მოუტანა იმას და ლუკასს, ხოდა, მადიანად შეექცა იმიტომ კი არა, უფასოდ რომ მოართვეს, არამედ ხშირად როდი უხდებოდა იმას კაცისკვლა; დაბოლოს, ეს უნდა იყოს სწორი, იმ შერიფს როგორც იქნა შეატყობინეს და იმანაც შემოთვალა რომ დილისთვის ქალაქში დაბრუნდებოდა და მაშინვე წაიყვანდა ლუკასს, ხოდა, იმან როგორმე ხომ უნდა გაიყვანოს დრო სანამ კინო არ დამთავრდებოდა, ადგა და წავიდა, მოედანი გაიარა, სასამართლოსთან მივიდა და იქ დაჯდა, სკამზე. მრუმე სიცივე დავანებულიყო აქ და დაშტიალობდა უქაროდ აშრიალებული ხეთა ჩრდილები ვარსკვლავებით გადაჭედილი ცისქვეშ, აქედან ხედავდა განათებულ კინოს შესასვლელს და იქნებ სულაც მართალი იყო შერიფი, შეიძლება იმ გოურებს, ინგრემებს, უორკიტებსა და მაკ-კალუმებს იმისი ხათრი აქვთ, აკი ყოველ რვა წელიწადში იმას აძლევენ ხმას და იქნებ იმან ასე თუ ისე იცის, თუ რას იზამს ახლა ის ხალხი ან იქნებ მართალი იყვნენ ისინი, იქ, სადალაქოში და ინგრემები, გოურები და უორკიტები იმიტომ კი არ ითრევენ ფეხს, რომ ჯერ ვინსონი უნდა დამარხონ ხვალ, არამედ სულ უბრალო ამბავია, კვირადღე დადგება სამ საათში და ამ საქმის ჩქარა გაკეთება არ იქნებოდა, შუალამემდე უნდა მორჩენილიყვნენ, რათა დასვენების დღეს თავი არ შეეწუხებინათ; ხოდა, უკვე პირველნი გამო-

ვიდნენ იმ გადახურულიდან და მერე სხვებიც გამოჰყვნენ სინათლეზე თვალების ხამხამით და ერთ თუ ორ წამს ხელებსაც მოაფათურებდნენ და უკანვე მოჰქონდათ ამ ნაიარევ მიწაზე აწ უკვე განელებული გულის მგზნებარება, ცელულოიდური ბრწყინვალე ზმანებები; ასე რომ ახლა კი შეიძლება სახლში წასვლა, უფრო სწორად, შეიძლებოდა წასვლა; ის ქალი ხომ გუმანით გრძნობს კინოს დამთავრებას, ისევე, როგორც გრძნობს ბეისბოლის დასრულებას, თუმცა კი ვერასოდეს ვერ აპატიებს თავის ბიჭს ფოლაქების შეკვრა რომ ისწავლა და ყურების დაბანაც რომ შეუძლია და ახლა ასე თუ ისე შეგუებულია და თავად არ მოვა იმის წასაყვანად, მაგრამ მამამისს კი გამოუგზავნის, კი უნდა წავიდეს ახლა, სანამ კინო არ დამთავრებულა, ქუჩა ცარიელია და თავისუფლად შეუძლია სახლამდე სიარული, თავის ეზომდე მივიდა და კუთხეს აუხვია თუ არა, ბიძამისს შეეჩეხა ღობესთან, უქუდოდ იყო და ჩიბუხს მოაბოლებდა.

— ყური მიგდე, — უთხრა ბიძიამ, — მე დავურეკე და ველაპარაკე ჰემპტონს პედლერს ფილდ ოულდ ტაუნში და იმან უკვე შეატყობინა სკვაირ ფრეიზერს, ფრეიზერი კი სკიპუორტისას მივიდა და იქ ნახა ლუკასი ლოგინის ფეხზე ბორკილით მიბმული, ყველაფერი კარგადაა, ამაღამ სიწყნარე იქნება, ხვალ დილით კი ჰემპტონი მივა და ლუკასს ციხეში გადაიყვანს...

— ვიცი, — მან მიუგო, — ხვალ შუადამის დადგომამდე ლინჩს არ უზამენ, ჯერ ვინსონს დაკრძალავენ და ამასობაში კვირადღეც გავა, — არც შეჩერებულა, ისე დასძინა,—თუმცა მე ვინ მეკითხება. ლუკასს ასე ძალიან არ უნდა გადაედო თავი, ზანგობა რა საკადრისიაო. — რადგანაც ის უკვე თავისუფალია, ხოდა, იმ თავის ლოგინში მწოლარემ, იმ თავის გრილ, ბნელ ოთახში მყოფმა უკვე იცოდა, თუ რას იზამდა ხვალ და კიდევაც დავიწყებოდა ეთქვა ალეკ სანდერისთვის, დამატებით დაეყარა ჰაიბოისთვის ქერი, თუმცა დილასაც კი შეუძლია ამის გაკეთება და ახლა უნდა დაიძინოს, ათი ათასგზის უფრო კარგი საშუალება აქვს, ვიდრე ცხვარის დათვლა; მართლაცდა, ისე სწრაფად დაიძინებს, რომ ათამდეც ვერ ავა: მთლად გაცოფებული, გაალმასებული და გამძვინვარებულია — ზურგში ტყვია დაახალო თეთრ კაცს და სწორედ იმ თეთრ კაცს, ვინც ექვსი ძმიდან უმცროსი იყო და უკვე მოესწრო კატორღაში მოხვედრა არმიიდან დეზერტირობისთვის და კიდევ სხვა სასჯელიც აეკიდებინა, იძულებითი მუშაობა სახელმწიფო ფერმაში არყის გამოხდისთვის, სხვანიც ბევრნი იყვნენ დეიდაშვილ-ბიძაშვილები, სიძეები, რომლებიც ჰფლობდნენ მთელ უბანს იმ ოლქისას და იმათ რიცხვს ზუსტად თქვენი ბებიები და შინაბერა დეიდები ვერ იტყოდნენ, ვინ იცის რამდენია იმათი ღვთის პირიდან გადავარდნილი სანათესავო, შფოთისთავები, ფერმერები, მელიებზე მონადირენი, საქონლითა და ხე-ტყით ვაჭრები და არამცთუ ვინმეს შეეძლო რომელიმე იმათთაგანის მოკვლა, თითსაც ვერავინ ვერ დააკარებდა, რადგან სხვა კიდევ ბევრი შფოთის-

თავი, მელიებზე მონადირე, არყის გამომხდელი დაახლოებოდა, დაძმობილებოდა, დანათესავებოდა იმათ და შეექმნათ კლანი თუ ტომი, გარკვეული ჯურის კასტა და თავიანთი მთა მიუდგომელ ციხესიმაგრედ გაეხადათ და არც ეპუებოდნენ ადგილობრივ თუ ფედერალურ ხელისუფლებას, უბრალოდ როდი დაუსახლებიათ და წაურყვნიათ აქაურობა, მთელი ეს მხარე, ნაძვნარი გორები მოძრავი სახერხებითა და არყის საგამომხდელო მიწურებით, მთელი ეს არემიდამო მიეტოვებინათ ქალაქელ კანონის მცველებს, თუკი საგანგებოდ არ შემოთალიდნენ რამეს და თუკი ვინმე უცხო თეთრები მოხვდებოდნენ შემთხვევით აქ, ცდილობდნენ შეღამებისას ახლოს ყოფილიყვნენ გზატკეცილთან, ზანგები კი როგორ გაეკარებოდნენ აქაურობას, ერთი სიტყვით, სწორედ ისე იყო, როგორც ერთმა ადგილობრივმა მკვიდრმა ენაკვიმატმა კაცმა თქვა, უცხოთაგან აქ მხოლოდ მამაზეციერი თუ დაადგამდა ფეხს, ისიც დღისით, მზისით და კვირადღეს. ხოდა, ეს კუთხე გადაქცეულიყო თვითნებობისა და ძალადობის სინონიმად სრულიად გარკვეული საზღვრებითურთ, სწორედ ისე, როგორც ჟამიანობის დროს, და მთელი დანარჩენი ოლქისთვის ცნობილი იყო, რომ ოლქის ეს ნაწილი განსაზღვრული გახლდათ გარკვეული კოორდინატებით — მეოთხე უბანი; ოციან წლებში ასეთივე ცნობილი იყო კიკერო* ილინოისის შტატში და ყველამ იცოდა თუ ვინ ცხოვრობდა იქ და რასა შვრებოდა, იმათაც კი იცოდნენ, ვისაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რომელი შტატის ქალაქი იყო ჩიკაგო; და უფრო მეტიც, თითქოსდა განგებ შეურჩევიათ ის დრო, როდესაც ერთადერთი კაცი, გინდ თეთრი და გინდ შავი — ედმონდსი — ერთადერთი მთელ იოკნაპთტოპას ოლქსა და მისისიპშიც, ამერიკაშიც, მთელ ქვეყნიერებაშიც კი, ვისაც შეეძლო რაღაც მაინც ეღონა, თავი დავანებოთ იმის ძალასა და შესაძლებლობას (და აქ კი გადაიხარხარა, თუმცა უკვე ჩათვლემილიც იყო, რადგან წამოაგონდა თუ რა გაუელვა თავში, ვითომ კი ექნებოდა მნიშვნელობა ედმონდსის სახლში ყოფნას — იმ სახის კაცისთვის, ვინც გვერდზე ქუდმოქცეული, ბარონისა თუ ჰერცოგის, სკვაირის თუ კონგრესმენის მიხრამოხრით დგას ზორგზე ხელებშემოწყობილი და არც კი დახედავს, ისე უბრძანებს ორ ზანგს ბიჭს მონეტების აღებას და მისთვის დაბრუნებას; ბიძამისის სიტყვების გახსენებაც არ სჭირდებოდა მას, ვინც მას შემდეგ რაც წამოიზარდა და შეძლო ნათქვამის გაგება, ამას ჩასჩიჩინებდა, რომ არა კაცს ძალუძს ჩადგეს მეორე კაცისა და მისი ბედის შუაში, თუმცა ბიძამისს ჰაიდელბერგი და ჰარვარდი ჰქონდა დამთავრებული, იმასაც არ შეეძლო დაესახელებინა კაცი. საკმაოდ გაბედული და თავ-

---

* კიკერო (Cicero)—20-იანი წლების ცნობილ ამერიკელ განგსტერს ალ კაპონეს ჩიკაგოს ეს გარეუბანი თავის ადგილსამყოფელად და სათარეშოდ ჰქონდა გადაქცეული.

ზეხელაღებულიც, რომელსაც შეეძლო ჩამდგარიყო ლუკასისა და ამისი საქმნელს შუა), ეცადა ჩამდგარიყო ლუკასსა და იძის გააფთრებულ ბედისწერას შორის, ზურგზე განრთხმული იწვა ნიუ ორლეანის საავადმყოფოს სააპერაციო-ში; ხოდა, ლუკასს სწორედ ამ დროს წამოუარა და ნახა სწორედ ის მსხვერპლი და სწორედ ის ადგილი, შაბათი საღამო და სწორედ ის დუქანი, სადაც მას შეტაკება ჰქონდა ვიღაც თეთრ კაცთან ამას წინათ, თუმცა კი ერთხელ; და აარჩია პირველივე ამ საქმისათვის შესაფერისი შაბათი საღამო და თან წამოიღო ერთი ტყვიით აღჭურვილი კოლტის პისტოლეტი, ასეთს ახლა აღარც კი აკეთებენ და სწორედ ლუკასს შეეძლო წამოეღო სწორედ ასეთი და არა სხვა ვინმე სულიერს იმ ოლქში, იმ კბილის ოქროს საჩიჩქნისა არ იყოს, და დაუცადა იმ დუქანთან — ეს იყო ის ადგილი, სადაც შაბათ საღამოს, ადრე თუ გვიან, უნდა გამოჩენილიყო თუნდაც ამ ოლქის მეორე ბოლოში მაცხოვრებელი — სანამ არ მოვიდა მისი მსხვერპლი და ტყვია დაახალა და არავინ იცის რატომ, და რამდენადაც თავად გაიგო, მთელ დღეს და მაშინაც კი, როდესაც უკვე ღამე ამ მოედნიდან წამოვიდა, არავის მოუკლავს თავი, რათა დაეზუსტებინა, მაინც რა მოხდა; თუმცა არც ლუკასი უნდა შეწუხებულიყო დიდად, რადგან ეს ოცი თუ ოცდახუთი წელიწადი გულდაგულ და გაუნელებელი სიმტკიცით მოისწრაფოდა ამ ერთადერთი წამისკენ, როშელიც მას ზეობას მოაპოვინებდა; გაჰყვა იმ ტყიას პირამდე, იქამდე იმ დუქნიდან ერთი გადაფურთხებაღაა და შიგ ზურგში დაახალა იმ კაცს ტყვია, ყველამ გაიგონა გასროლის ხმა და მერე კიდევაც თავზე დაადგა გვამს, ხოლო ჯიბიდან იმ პისტოლეტის ლამაზი ტარი ამოსჩროდა და პირველებმა რომ მოირბინეს და ნახეს ეს სურათი, ამ ცხელ გულზე მაშინვე ლინჩს უზამდნენ, მაგრამ იმ შვიდი წლის წინანდელივით იმარჯვა დოილ ფრეიზერმა, როცა გუთნის სახელური ააცილებინა, და კიდევ მოხუცმა სკიპუორტმა — ჩიატანის, გაჩხინკულმა, სახე მთლად დანაოჭებულმა ბერიკაცმა, სიმაღლით ბიჭის ტოლა რომ იყო, ქურთუკის ჯიბეში უბუდოდ ჰქონდა გარჭობილი ნიკელირებული პისტოლეტი, ხოლო მეორედან ამოსჩროდა სასმენი მილი, რაღაც მსგავსი სამონადირეო რქისა, ყელზე გადაგდებული გამოყვანილი ტყავის ქამრით დაჰქონდა; ხოდა, იმანაც თავი გამოიდო, ივაჟკაცა და დაიხსნა ლუკასი (ვისაც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, იდგა თავისთვის და წყნარად, აუმღვრევლად, ზიზღითაც კი უმზერდა სუყველას), ბრბოს მოაცილა, თავისას წაიყვანა, ბორკილი დაადო და ლოგინის ფეხზე მიაბა, შერიფს დაუცდიდა, სანამ ის პატიმარს ქალაქს არ გადაიყვანდა და კიდევაც დაიცავდა, ვიდრე ის გოურები, იუორკიტები და ინგრემები და მთელი მათი ჯამაათი არ დაკრძალავდნენ ვინსონს, ამასობაში კვირადღეც გავიდოდა და ისინი გამოძინებულნი და დასვენებულნი შეეგებებიან ახალ კვირასა და თავიანთ საქმიანობას; და აჰა, სჯერა თუ არა, ეს ღამეც გაილია და მამლები ჯერ ხრინწიანად შეჰყივლებენ განთიადის დადგომას, მერე

კი ყველაფერი გაყუჩდებოდა ისევ და უცებ ავარდებოდა ჩიტების ჟრიამული და აღმოსავლეთის ფანჯარაში ძეეძლო დაენახა ბინდში შერეული ხეები, მერე კი მზე უკვე კარგა ამოსული იქნებოდა და ხის კენწეროებში გამოანათებდა და მალე იმასაც მოსწვდებოდა იმისი სხივების კონა; გვიანღა იყო და ასედაც უნდა მომხდარიყო, რაღა თქმა უხდა; ბაგრამ ის ხომ თავისუფალია, ისაუზმებს აუჩქარებლად, შეუძლია თქვას, საკვირაო სკოლაში მივდივარო ან სულაც აღარაფერს არ იტყვის, სახლის უკანა კარით გავა სასეირნოდ, უკანა ეზოს გაივლის, ხეივანში შევა, იმასაც გაივლის და მერე ტყით რკინიგზამდე გავა, დეპოსთან მივა, გამობრუნდება, მოედნისკენ წამოვა და მერე ასე გაიფიქრა, ამდენი რად უნდა ვიაროო, ფიქრს თავი დაანება, სახლის წინა მხარეს გაბოვიდა, წინა დერეფანი გამოიარა, დაბლა დაეშვა და ქუჩაში ამოჰყო თავი და სწორედ აქ გაახსენდა, პირველად ახლა მოაგონდა, ზანგთაგან არავინ უნახავს გარდა პარალისა, რომელმაც საუზმე მოუტანა; ჩვეულებრისამებრ სწორედ ამ დროს, კვირა დილით ის თითქმის ყოველთვის ხედავდა ყოველ აივანზე მოსამსახურე ქალს ან მზარეულს ახალ გაუთოებულ საკვირაო წინსაფრებში ჯაგრის მომარჯვებულებს, ზოგჯერ კი აივნიდან აივანზე ერთმანეთში ძუსაიფით გართულებს, და ბავშვებსაც, გამოწყობილებს, დაბანილ-გასუფთავებულებს, საკვირაო სკოლაში წასასვლელად მომზადებულებს გაოფლილ მუჭებში ხურდა ფული რომ მოექციათ, თუმცა კი ჯერ ადრეა ან იქნებ ორმხრივი შეთანხმებით, დაახლოებით თორმეტის ნახევარზე იოკნაპატოფას ოლქის გავარვარებული ჰაერი უხმოდ მოიღებს თრთოლვას თითქოსდა გულიდან ამოხეთქილი ამ აღთქმით, **დააცხრე მღელვარება იმ ადამიანებისა, რომლებმაც განიცადეს დიდი დანაკლისი და საკირე უნთიათ გულში, ჩემია შურისგება და მე მივაგებ, თქვა უფალმა, არა კაც კლა;** თუმცა ახლა ცოტათი გვიანიცაა, ლუკასისთვის რომ ეთქვათ, გუშინ, გვერდით იმ ციხისა, რომლის მეორე სართულის სარკმლების რიკულებიდან ჩვეულებრივ კვირადღეობით შავფერ და ზორბა ხელებს გამოჰყოფდნენ ხოლმე, ზოგჯერ იმათი თვალის თეთრონიც გაიელვებს სიბნელეში, დაბლა შეზარხოშებული ზანგის გოგოებისა და დიაცების ხმა ისმის, სიცილ-ხორხოცი, ხან გაივლიან, გამოივლიან, ხან კი შეჩერდებიან და მაშინ ასე გაუელვა თავში, გუშიხისაქეთ პარალის გარდა ზანგთაგან არავინ არ მინახავსო, თუმცა კი მხოლოდ ხვალ გაიგებს, რომ ყველა ის, ვინც ცხოვრობს ჰოლოუსა და ფრიდმონტაუნში იმ შაბათ ღამის მერე არ გამოსულან სამუშაოზე; არც მოედანზე გამოჩენილან, არც სადალაქოში, სადაც ფეხსაცმლის მწმენდავებს კვირა დილით მოცლა არა აქვთ; ფეხსაცმლის, ტანსაცმლის გაწმენდა, დავალებებზე გაგზავნა, აბაზანების გასუფთავება სატვირთო მანქანების ბერბიჭა მძღოლებისთვის, გარაჟის მუშებისთვის, აგრეთვე, ყმაწვილკაცებისთვის და არც ისე ყმაწვილკაცებისთვის, რომლებსაც მთელი დღე საბილიარდოში უხდებოდათ ტრიალი: და ის შერიფი ბოლოს მართლაც დაბ-

რუნდა ქალაქს ლუკასის წასაყვანად, აღარ დაუსვენებია კვირადღეს. ყური მიუგდო, გაიგონა, დუჟინი მანქანა გაქანებულიყო გუშინ ფრეიზერის დუქნისკენ და ცარიელი დაბრუნებულიყვნენ (იმან კი იცოდა, ჯერ კიდევ გვიანი ღამით ხალხით სავსე ერთი მანქანა მოსულიყო იქ, ხოდა, ახლა დაბრუნდნენ მთქნარებითა და გინებით, ვერა და ვერ გამოვიძინეთო, ლუკასის დანაშაულს ესეც დაემატებოდა უსათუოდ), ადრე გაუგონია ეს და თავადაც უფიქრია ამაზე, სანამ გაიგონებდა:

— ნიჩაბი თუ წამოიღო ჰემპტონმა. მეტი არც არაფერი დასჭირდება.

— ნიჩაბს იქ მისცემენ.

— კი, თუკი დარჩება რამე დასამარხავი. ბენზინს კი ნახავენ მეოთხე უბანში.

— მგონია ის ბებერი სკიპუორტი იზრუნებდა ამაზე.

— დიახ. მაგრამ ეს მეოთხე უბანია. ყველაფერს დაუჯერებენ სკიპუორტს, სანამ ის ზანგი იმასთანაა. თუმცა ჰემპტონი კი არის შერიფი იოკნაპატოფას ოლქისა, მაგრამ მეოთხე უბანში ის ჩვეულებრივი კაცია და მორჩა.

— არა. დღეს არაფერს არ იზამენ. ვინსონი უნდა დაკრძალონ ჯერ და გასვენების ხანს ზანგისთვის ცეცხლის წაკიდება თავად ვინსონის უპატივცემლობა იქნება.

— მასე უნდა იყოს. შეიძლება ღამისთვის გადასდონ.

— კვირა ღამისთვის?

— ეგ რა გოურების სადარდებელია? ლუკასს ამაზე ადრევე უნდა ეფიქრა და შაბათ დღეს არ უნდა მოეკლა ვინსონი.

— აბა რა ვიცი. ჰემპტონს ადვილად ვერ წაართმევ პატიმარს.

— ზანგსა და მკვლელს? მთელ ოლქსა და შტატებშიც ვინ დაეხმარება ზანგს, რომელმაც თეთრ კაცს ტყვია დაახალა ზურგში.

— და მთელ სამხრეთშიც.

— დიახ, და მთელ სამხრეთშიც. — ეს ყველაფერი ადრევე ჰქონდა გაგონილი, კიდევ გაიარა იქ, მაგრამ ვაითუ ბიძამისს მოაფიქრდეს სწორედ ამ დროს ქალაქს ჩამოსვლა, რათა შუადღის ფოსტას ჩამოუსწროს და თუ ბიძამისი ვერ დაინახავს მას, ასეც ეტყვის დედას, არ ვიცი სად არისო, და მაშინ ის გამოკეტილი კანტორა გაახსენდა, ბიძამისი კი სწორედ იქ მივიდოდა; ხოდა — ახლაღა წამოაგონდა, ამ დილით დაავიწყდა ჰაიბოისთვის დამატებით მიეცა ქირი და უკვე დაგვიანებულიცაა, თუმცა კი შეიძლება საკვები თან წაიღოს — ზუსტად იცოდა რასაც იზამდა: შერიფი ქალაქიდან დაახლოებით ცხრა საათზე წამოვიდოდა. კონსტებლის სახლისკენ თხუთმეტი მილი ცუდად მოხრეშილი შარაა გასავლელი და, რაღა თქმა უნდა, შერიფი სწორედ იქ მივიდოდა და ლუკასითურთ მხოლოდ შუადღით დაბრუნდებოდა, თუნდაც რომ თავისი ზოგი ამომრჩეველი მოენახულებინა გზად: მანამ კი ის თავისუფლად მოასწრებს სახლში მისვლას, ჰაიბოისთვის უნაგირის დადგმას, უკან დაკიდებს ტომრით ქერს და

ფრეიზერის დუქნის საპირისპირო მიმართულებით გასწევს, თორმეტი საათი ივლის, ასე, შუადღემდე არსად არ შეჩერდება, მერე ჰაიბოის აჭმევს, დილამდე დაასვენებს ან შეიძლება უფრო მეტი ხნითაც, როგორც მოახერხებს, მერე კიდევ თორმეტი საათი მოუნდება უკან წამოსვლას, შეიძლება ამდენიც არ უნდა, თერთმეტ საათში მოასწროს ყველაფერი, შეიძლება ოცდაოთხი საათი დასჭირდეს ან სულაც ოცდათექვსმეტი და სამაგიეროდ ყველაფერი მორჩება და გათავდება, გადაუვლის ის მძვინვარება და შფოთიანობა ლოგინში მწოლარეს და აღარ მოუხდება ცხვრის დათვლა დასაძინებლად; ხოდა გაუხვია, მერე მხარეს გაუყვა ქუჩას და დაკეტილი სამჭედლოს შესასვლელში დაიცადა, იმის მძიმე, ორფრთა კარს არც ურდულით კეტავდნენ და არც საკეტით, ხვრელები ჰქონდა აქედან და იქიდან დატანებული და იშაში კი ჯაჭვი გაყრილი და ბოქლომით გადაბმული, მაგრამ ის ჯაჭვი მოშვებული იყო და ამიტომაც კარებიც კარგა მაგრად შეწეულიყო, ნიშს დამსგავსებოდა ის ალაგი და თუ იქ ჩადგებოდა, ვერავინ დაინახავდა ვერც ქუჩიდან და ვერც ქვემოთ ჩავლილი ვინმე (დედამისი კი უთუოდ ვერ იქნებოდა აქ ამ დროს), თუკი საგანგებოდ არ შეჩერდებოდა და არ გამოიხედავდა; ზარების საამური, აუჩქარებელი რეკვა გაისმა, ჯერ აქეთ დაჰკრა, მერე იქით და იქით და მტრედები წამოიშალნენ გუნდ-გუნდათ, თავზე მოევლნენ ქალაქსა და მოედანს და უცებ საზეიმოდ, შავი ფერის კოსტიუმებში გამოწყობილი მამაკაცები გამოჩნდნენ და ქალებიც აბრეშუმის კაბებსა და ქოლგებით ხელში, ქალიშვილები და ყმაწვილკაცები, წყვილ-წყვილად, მორთულ-მოკაზმულები მოაბიჯებდნენ ამ საამური ჰანგების გადაძახილში გამოიარეს მოედანი და გამოცარიელდა მთელი ეს არემიდამო, თუმცა კი ერთხანს არ შეწყვეტილა ზარების რეკვა — ხმა ზეციური, არამიწიერი, ამაღლებული და შორეული, მოუხელთებელი ამ განრთხმული მიწისთვის, და თანდათანობით, ერთი მეორის მიყოლებით მიჩუმდნენ, გაილია იმათი ჟღერა, ჰაერი გაყუჩდა, გასრულდა გაუთავებელი, შიშნეული ფრთხიალი მაღლა აჭრილი მტრედებისა. ორი წლის წინათ ასე უთხრა ბიძიამ, შეგინება ცუდი არ არისო, ჭირიქით სასარგებლოცაა, მაგრამ ყველაფერი. რასაც კი ფასი აქვს, არ შეიძლება გაუთავებელი იყოს და თუკი წამდაუწუმ მოიშველიებ, შეიძლება გაკოტრდე, და მან თქვა, **რა ეშმაკი მინდა აქაო** და ამ კითხვას თავადვე გასცა საცხადო პასუხი, ლუკასის ნახვა არ უნდა, უკვე ნახა ლუკასი, ესლა უნდა, ლუკასმა ნახოს იგი, თუკი მოისურვებს, მოუტრიალდეს და გამოხედოს ჩვეულებრივი სიკვდილის პირას მისულმა კი არა, ცამდე აწვდილი ბენზინის ღრიალში. რადგან ის თავისუფალია. ლუკასი იმისგან რაღას უნდა მოელოდეს, ლუკასის მცველად ვერ დადგება, თავად ლუკასისაა ეს არჩევანი.

მერე უცებვე ხალხით გაივსო ცარიელი ქუჩა. თუმცა არც იმდენი ყოფილა, ორი დუჟინიც არ იქნებოდა, უცებ და არსაიდან გა-

მოსტყვრნენ ჩუმად. ასე კი ჩანდა, სავსეა აქაურობა, მოზღვავებულან, მოვარდნილან და უცებვე გადაუკეტავთ ის სავალი, ვერც ვერავინ გაივლის კი არა, ფეხსაც ვერავინ ვერ დაადგამს ამ ქუჩაზე, მოახლოებასაც ვერავინ გაბედავს, შორს დადგებიან, თითქოს აბრაა იმათ წინ აღმართული ასეთი წარწერით: „მაღალი ძაბვა“ ან „დანაღმულია“. იცოდა ვინც იყვნენ, ყველანი იცნო, ზოგიერთი ამ ორი საათის წინ ჰყავდა ნანახი და იმათი საუბარიც ჰქონდა მოსმენილი სადალაქოში — ყმაწვილკაცები და ორმოც წლამდე მიტანებული მამაკაცები, უცოლშვილონი, უსახლკარონი, რომლებიც შაბათ-კვირაობით ტანს იბანდნენ სადალაქოში, სატვირთო მანქანების მძღოლები, გარაჟის მუშები, ბამბის გამასუფთავებელი მანქანების მზეთავები, სოდიანი წყლის გამყიდველები აფთიაქიდან და ყველანი ისინი, ვისაც კი ხედავდა მთელი ეს კვირა საბილიარდოსა და იმის შორიახლოსაც; არც არავინ იცოდა რამე, თუ რასა შვრებოდნენ, საკუთარი მანქანებიც ჰყავდა იმათ და კარგადაც ხარჯავდნენ, თუმცა რამდენს არავინ იცოდა, როდესაც კვირის ბოლოს მემფისსა და ნიუ ორლეანში მიდიოდნენ სროსკიპოების მოსანახულებლად — სწორედ ასეთები ცხოვრობენ, ეუბნებოდა იმას ბიძია, სამხრეთის პატარა ქალაქებში და არავის უნახავს ისინი ბრბოს წინამძღოლებად და არც წამქეზებლებად, თავად არიან ყოველთვის შუაგული და მამოძრავებელი მასისა. მანქანას მოჰკრა თვალი, ამ სიშორეზევე იცნო, უფრო გუმანით მიხვდა, თუ ვინც იყო და აღარც დაუწყია იმაზე თავის ტეხა, იმ თავისი თავშესაფრიდან გამოვიდა, ქუჩა გაიარა და გასუსულ ხალხს მიუახლოვდა, ციხის მოაჯირის წინ იდგნენ, სავალი გადაეღობათ, ის მანქანა კი აუჩქარებლად მოდიოდა, წყნარად, ნება-ნება, თითქმის ზარზეიმურად, სწორედ ასე მოძრაობენ მანქანები კვირა დილით, ხოდა, მოუახლოვდა ციხეს და გაჩერდა. თანაშემწე იჯდა საჭესთან. დარჩა ისევ იქ მჯდომარე. მერე უკანა კარი გაიღო და შერიფი გადმოვიდა — ტანვეება, მოსული კაცი, თუმცა კი მსუქანი არ ეთქმოდა, გამოაკვესა პაწაწინა ნათელი თვალები, სახე შეუვალი ჰქონდა, მკაცრ-თავაზიანი, არც კი გახედა აქ მოსულებს, კარი დაიკავა, რათა არ დაკეტილიყო. მერე ლუკასი გამოვიდა იქიდან, ნელა და წელგამაგრებული, მართლაცდა, ამ კაცს მთელი ღამე ლოგინზე მიჯაჭვული გაეთენებინა, წაიფორხილა და თავი წამოჰკრა, წამოედო მანქანის კიდეს კარზემოთ, გამოძვრა და გაბრტყელებული ქუდი გადმოუვარდა თავიდან და დაეცა იმის ფერხთით. და სწორედ მაშინ დაინახა მან პირველად ლუკასი უქუდოდ და ასე გაიფიქრა, ედმონდსის გარდა მთელ ოლქში სწორედ აქ მოსულმა თეთრმა ხალხმა თუ ნახა ის თავშიშველი, მეტმა არავინ, ხოდა, უმზერდნენ თუ როგორ მოდიოდა ის თავდახრილი და წელგამაგრებული, ძლივს დაიხარა იმის ასაღებად, მაგრამ იმ ტანვეება და ამავე დროს საოცრად მოქნილმა შერიფმა დაასწრო, ლუკასს მიაწოდა, ის კი ისევ წელმოხრილი იდგა და თითქოსდა ძლივს შეძლო ქუდის დაკავება. თითქმის იმავე წამს, ხელი მოკიდა თუ არა, იმ

ქუდმა ისევ ის ძველი სახე მიიღო და ახლა უკვე ლუკასი წელში გასწორებულიყო, თუმცა კი თავი არ აეწია და სახეც არ უჩანდა, სახელოთი გადაუსვ-გადმოუსვა სწრაფად და მსუბუქად, სამართებელს ლესავენ ასე. შემდეგ თავი უკან გადააგდო და ქუდი დაიხურა თუ ძველებურად მოირგო თავზე, თითქოსდა თავად კი არ დაუხურავს, გამოქნეულს შეუშვირა თავი, და ახლა უკვე წელგამართული იყო იმ თავის შავ კოსტიუმში, რომელიც ასეთი ღამის შემდეგ კარგა მაგრად დაჭმუჭნილიყო (ცალ მხარეზე, სულ ზემოდან და ქვედა კიდემდე, მთელ სიგრძეზე ჭუჭყი აჰყოლოდა, რაკიღა გამოუხვეტავ იატაკზე იწვა დიდხანს და გაუნძრევლად, გადატრიალება არ შეეძლო), ლუკასმა პირველად გამოხედა მათ და მან გაიფიქრა **ახლა. ის ახლა დამინახავს** და მერე ასე გაიფიქრა **დამინახა. მორჩა, გათავდა და** მან კიდევ ასე გაიფიქრა **არც არავინ დაუნახავს იმას** რადგან იმისი სახე იმათკენ არც იმზირებოდა, მხოლოდ მიტრიალებული იყო იმათკენ, მედიდური და წყნარი, თუმცა არა გამომწვევი და შიშნეული; მტკიცე, განუსჭვრეტელი, თითქმის ფიქრიანი, შეუვალი, აუმღვრეველი, თვალი მაშინაც უცემდა, როდესაც ბრბოში ვიღაცამ ჰაერი შეისუნთქვა და ასე ამოთქვა;

— მოაძვრე ქუდი, ჰოუპ, თავიანად.

— გასწით აქედან, ბიჭებო, — თქვა შერიფმა, — სადალაქოში მიბრუნდით, — მერე ლუკასს მიუტრიალდა, — კარგი, წამოდი.— და მორჩა, ის სახე გამოჩნდა კიდევ ერთი წამით, არც არავისკენ მაცქერალი, მხოლოდ იმათკენ მიტრიალებული, შერიფმა კი უკვე ციხის კარიბჭეს მიაშურა, ლუკასი იმას გაჰყვა, და თუკი ცოტა იჩქარებს, მოასწრებს ჰაიბოისთვის უნაგირის დადგმას და გასწევს მანამ, სანამ დედა მოიკითხავდეს და ალეკ სანდერს სადილზე დააძახებინებს. და დაინახა, ლუკასი შეჩერდა, შემოტრიალდა, თურმე შემცდარიყო, იცოდა ლუკასმა თუ სადაც იდგა ის ბრბოში და სანამ სულ მიტრიალდებოდა, გამოხედა და უთხრა:

— თქვენ გეუბნებით, ყმაწვილო კაცო, ბიძათქვენის ნახვა მინდა მე. — მიტრიალდა მერე, მიჰყვა შერიფს ცოტათი წელგამაგრებული იმ თავის დასვრილ შავ კოსტიუმში, მედიდურად ეხურა ის ქუდი, რომელიც ახლა მზეზე გახუნებული ჩანდა. ვიღაცამ ამოთქვა ბრბოში:

— ადვოკატი კი არა, მეკუბოვეც აღარ დასჭირდება, გოურები მოუვლიან ამაღამ იმას, — იმან კი ჩაუარა შერიფს, რომელიც შეჩერდა და ბრბოს მოუტრიალდა, გამოხედა, განუცხადა, ცივად, თავაზიანად და აუმღვრევლად:

— მე თქვენ გითხარით, გასწით აქედან. მეტს აღარ გეტყვით.

თ ა ვ ი 3

პირდაპირ სახლში რომ მისულიყო სადალაქოდან იმ დილით და მაშინვე ჰაიბოისთვის უნაგირი დაედგა, როგორც კი ეს მოაფიქრდა, ახლა, უკვე ათი საათის წასული, ორმოცდაათი ძილის გავლას მოასწრებდა.

ზარები აღარ რეკდა, ქუჩაში ამ დროს მწუხრის წირვაზე ერთად მიმავალ ახლობლებს თუ შეხვდებოდით და არც დილანდელი საზეიმო განწყობილება შეიმჩნეოდა, სიმყუდროვე, დინჯი სვლა ერთი ფარნიდან მეორემდე, ლაციცი საღამოსეული შუქჩრდილებისა, კვირადღის სიწყნარე და ის და ბიძია თავისთვის აუჩქარებლად ჩაუვლიდნენ იმათ, შორიდანვე თვალს მოკრავდნენ და არც დაიწყებდნენ იმაზე თავის მტვრევას, როდის, როგორ და რად გვინახავსო ისინი — მთავარი ანაგობა, იმათი ხმა კი არ იყო, მთავარი ყოფნა იყო იმათი, ურთიერთდასწრება, არსებობა იმათი სწორედ ამ ადგილსა და სწორედ ამ წამს, და სულ ესაა საჭირო, რათა იცნო ისინი, რომელთა შუაგულში ტრიალებ და თუნდაც გვერდზე მიდგე, ტროტუარის ბალახით შეფენილ კიდეზე მოგიხდება ფეხის დადგმა და იქნებ მაშინ დაეძახა (იმის ბიძიას) ვიღაცის სახელი, შეიძლება რაღაც ეთქვა იმათთვის, მოეკითხათ ერთმანეთი და მერე ისევ შემდგარიყო ტროტუარზე.

მაგრამ ცარიელი იყო ამ საღამოს ქუჩა. დაკეტილი, ჩაჩუმებული, დადარაჯებული ჩანდა სახლები და ბაიბური არ ისმოდა, ჩვეულებრივ კი აქაური მაცხოვრებლები (გარდა ეკლესიაში წასულებისა) მაისის ამ საამურ საღამოს ბინდით გარშემოვლებულ თავ-თავიანთ აივნებზე ნავახშმევს ცოტა ხნით გამოსულნი და სავარძლებსა და სარწეველებში მჯდომარენი ერთმანეთთან მუსაიფით შეიქცევდნენ თავს. და სწორედ ეს სახლები იყო გამოკეტილი. მაგრამ ამ საღამოს კი ნახეს ერთი კაცი, არ მიდიოდა, გაჩერებული იყო ერთი პატარა, მეწაღის ფარდულის მსგავსი სარდაფის წინ, ორი სახლის შუაში იყო ჩაჭედილი ის და სამივენი ისე ახლოს იდგნენ, რომ ერთიდან მეორეში შეიძლებოდა საპირფარეშოს წყლის გაჩხრიალების გაგონება (ბიძიამ აუხსნა: „თუ შენ დაიბადე, გაიზარდე და მთელი სიცოცხლე იქ გაგიტარებია, სადაც არც არაფერი გესმის გარდა ჭოტის კივილისა ღამით და მამლებისა გამთენიის ხანს, ნესტიან დღეს კი ჩაგესმის, მეზობელი ორი მილის იქით ტყეს ჭრის და შენ გიხარია ადამიანების სიახლოვე, მათი ხმა, როდესაც წყალს აჩხრიალებენ და ორაგულის ან წვნიანის კონსერვს ხსნიან“), ხოდა, ის კაცი, ჩრდილზე უფრო ბნელი და ჩუმი, ამ ერთი წლის წინ სოფლიდან ქალაქს ჩამოსულიყო და პატარა დუქანი დაედგა გზის პირას, მუშტრებად მხოლოდ ზანგები ჰყავდა, მანამ არ შეუმჩნევიათ, სანამ ზედ არ გადააწყდნენ, თუმცა კი იმან უკვე იცნო ორივენი თუ არა, ბიძია მა-

ინც და დაელოდა, კარგად არც იყვნენ იმასთან მოახლოებულნი, რომ ბიძიას გამოელაპარაკა:

— ცოტა ადრე ხომ არ გამოსულხართ, ადვოკატო? მეოთხე უბნელებმა ჯერ ძროხა უნდა მოწველონ და შეშაც დაჭრან, საუზმის თადარიგი დაიჭირონ და სანამ ქალაქს წავიდოდნენ, ვახშამიც უნდა მოასწრონ.

— იქნებ სახლში დარჩენა ამჯობინონ ამ კვირა საღამოს, — მიუგო იმას გვერდით ჩავლილმა ბიძიამ, ამაზე კი იმან სწორედ ისევე თქვა, როგორც იმ კაცმა სადალაქოში იმ დილით (და აქ ბიძამისის ნათქვამი წაითაგონდა, მართლაცდა რა ცოტა სიტყვის მარაგი სჭირდება კაცს თავის საკეთილდღეოდ და ცხოვრების მოსაწყობადაც და არა მარტო ცალკეულ პირებს, ბევრს იმის მსგავს მთელ მოდგმასა და ჯამაათს სიტყვის რამდენიმე საბრუნიღა სჭირდება თავიანთი მწირი ვნებების, სურვილებისა და საწყაულის გამოსახატავად):

— რას იზამ. კვირადღე რომ არის, რა იმათი ბრალია. იმ ნაბიჭვარს თავიდანვე უნდა ეფიქრა, სანამ თეთრ კაცს მოკლავდა შაბათ საღამოს, — და რაკიღა ჩაუარეს, ხმას აუწია, — ჩემი ცოლი ამ საღამოს ვერ არის კარგად და თანაც არ მინდა იმ ციხის წინ სულ ტყუილუბრალოდ ხეტიალი. მაგრამ მიშველება თუ დასჭირდებათ, დამიძახონ.

— მგონია კი იციან იმათ და კიდევაც აქვთ თქვენი დახმარების იმედი, ბ-ნო ლული, — უთხრა ბიძიამ, გზა განაგრძეს. — ხედავ? — დასძინა ბიძიამ, — ბოლმა არ უდევს გულში იმ შავდრუნჩიანებისა, როგორც ის ეძახის, და თუ ჰკითხავ, ის უთუოდ გეტყვის, ზოგიერთ თეთრებზე უფრო მე მიყვარსო ისინი, ასე იცის და ასეც სჯერა. ისინი კი, ის ზანგები, რომლებიც იმის დუქანში დადიან, ატყუებენ, ხანდახან დასცანცლავენ რამდენიმე ცენტისას რაღაცას დუქნიდან, შეიძლება უფრო მეტიც მიაქვთ, ერთი შეკვრა საღეჭი რეზინი ან ლილა, ან ბანანები, ან სარდინის კონსერვები, ან ფეხსაცმლის ლაქი, ან თმის დამყენებელი ბოთლი სითხე, სამოსლის ან წინსაფრის ქვეშ დამალავენ და მანაც ეს ყველაფერი იცის, შეიძლება თავადაც სჩუქნის რაღაც-რაღაცებს, ძვლებსა და ხორცის ნაჭრებს, ყასაბს რომ დარჩენია მაცივარში, ნაყარნუყარა კანფეტებსა და ქონს. ყველანი მხოლოდ ამას მოითხოვენ, თავიანთი ზანგობა ახსოვდეთ სულ მუდამ. ლუკასიც სწორედ ასე მოიქცა: გული მოუვიდა და თეთრი კაცი მოკლა, შეიძლება ის ბ-ნი ლული ასე ფიქრობს, ყველა ზანგსაც უნდა ეს და ახლა თეთრები გამოიყვანენ იმას და ცეცხლს მისცემენ, ყველამ ის უნდა გააკეთოს, რაც უნდა გააკეთოს და ლუკასის სურვილიც ეს უნდა ყოფილიყო თეთრების მსგავსადვე; ისიც და ესენიც მისდევენ წესსა და რიგს, ზანგი ზანგობს და თეთრებიც ისე იქცევიან როგორც ეს თეთრებს შეეფერება და ყველა გულს მოიოხებს ამის მერე (ბ-ნი ლული ხომ გოურთაგანი არ გახლავთ) და კიდევაც განქარდება მათი მძვინვარება; და ბ-ნი ლული ის კაცი იქნება, ვინც პირველი დადებს

ლუკასის დასამარხავ ფულს და შეეწევა იმის ქვრივსა და ობლებს, თუკი დარჩება ვინმე, წინაპართა ნაკლი ბრნად გადადის თაობიდან თაობაზე და კაცი დიდად არც შეიწუხებს თავს რაიმეს შესაცვლელად.

ახლა ისინი მოედანს ხედავდნენ, გამოცარიელებულს, უშუქო დუქნების ამფითეატრს, წერწეტ თეთრ სვეტს კოხფედერატების მონუმენტისას ვეებერთელა სასამართლო შენობის წინ, ამ ნაგებობის კოლონები ზეაღმართულიყო და მუქად წარმოეჩინა ოთხკუთხა საათის ციფერბლატი აქედან და იქიდან სუსტად განათებული პატარა ნათურებით, რომლის სინათლე არ შეეფერებოდა იმის მექანიკურ გამაფრთხილებელ და მომაჯადოებელ ზარს ვითარცა ციცინათელას ნათება. ციხეც გამოჩნდა იმ წუთას და ფარნების ბრდღვიალით და კაშკაშით, ძრავის ზათქით და გრუხუნით საიდანღაც ბრიყვულად გამოსტყვრა მანქანა, ერთი ციდა ამ ბუმბერაზ ღამესა და ამ ცარიელ ქალაქთან შედარებით და ტრიალს მოჰყვა მოედანზე; და ხმა, ყმაწვილკაცის ხმა მოისმა იქიდან — უსიტყვებო, ყვირილი არა, ღრიალი იყო მრავალმნიშვნელოვანი და აზრმოკლებული და იმ მანქანამ გაასრულა წრე, მიტრიალდა და გაქრა, განქარდა. ციხისკენ გადაუხვიეს. შენობა აგურისა იყო, ოთხკუთხა, აგურისავე ოთხი ბარიელეფური სვეტი წინა მხარეს და აგურითვე გაყოლებული მთელი ლავგარდანი, რადგან ძველად აეგოთ და მაშინ კარგად აგებდნენ, ციხეებსაც კი, ლამაზად და გულდაგულ, და გაახსენდა ბიძიას ნათქვამი, სახელმწიფო შენობები კი არა, არცა ეკლესიები, ციხეები გვამცნობენო ამ ოლქისა და მისი ხალხის ისტორიას, კედლებზე დაჩხაპნილი არა მარტო იდუმალი, ("დავიწყებული ინიციალები და სიტყვები და მთელი წინადადებებიც გაჰყვიროდნენ ტანჯვა-ვაებასა და ბრალდებას, არამედ თავად ეს აგურები და ქვები ღაღადებდნენ არა ნაწილს, მთელს, შეუმუსრავს, ზოდებად ჩამოსხმულ წამებას, მოყივნებას, გვემას, სირცხვილს, სინანულს, რომლითაც დაშანთული იყო გულები და გაცამტვერებულიყვნენ, გამქრალიყვნენ, გარდასახულიყვნენ, აღგვილიყვნენ მიწისაგან პირისა. სწორედ ასე იყო, რადგან ეს შენობა და ერთი ეკლესია უძველესი იყო ამ ქალაქში, ხოლო სასამართლო და სხვა, რაც კი იდგა ამ მოედანზე, ფედერალური ჯარის ნაწილებმა დაწვეს 1864 წლის ბრძოლის შემდეგ. რადგან კარის ზემოთ, მარაოსებრი სარკმლის ერთ-ერთ მინაზე სახელი იყო ამოკაწრული ერთი ყმაწვილქალისა, მისივე ხელით, ალმასით, სწორედ იმ წელიწადს, ხოდა, ის ორჯერ თუ სამჯერ წელიწადში ადიოდა გალერეაზე იმ იდუმალი, ბარედან უკუღმა წარმოჩენილი ნაწერის სანახავად, იმიტომ კი არა, რომ წარსულის სუნთქვა მოახლებოდა, არამედ კვლავ გაეთავისებინა მარადიულობა, უკვდავება, წარუვალობა სიყმაწვილისა — ეს იყო სახელი ვიღაც იმ დროინდელი მეციხოვნის ასულისა (და ბიძიამ, რომელიც ყველაფერს ხსნიდა ფაქტებით კი არა, უფრო იმით, რასაც გადაულახავს მშრალი სტატისტიკის სამანები და რაც მისწვდენია სიმართლის იმ ლიბოს, გულის სიღრმემდე რომ შეგძრავს და ჩვეულებრივ ინფორმა-

ციას ძლიერ შორავს; და ბიძიამ ასე უთხრა, რომ მისისიპის ეს მხარე სრულიად ხელუხლებელი იყო მაშინ, ქალაქი, დასახლება და თემობა სულ ორმოცდაათ წელს ითვლიდა, და ყველანი, ვინც კი აქ საცხოვრებლად ჩამოვიდნენ, რაღა თქმა უნდა, პირველი ახალმოსახლენი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ მაშინ, ერთად შრომობდნენ, ერთად იღამებდნენ და ითენებდნენ და არა საზღაურისა და პოლიტიკური აღზევებისთვის, უფრო ამიტომ, თავიანთი მემკვიდრეებისთვის შეექმნათ ქვეყანა, სადაც გინდ მეციხოვნე, გინდ სასტუმროს მფლობელი, გინდ მჭედელი და გინდ დახლიდარი უნდა იყოს ის, ვისაც ადვოკატი, მემამულე, ექიმი და მღვდელი ჯენტლმენს დაუძახებს), ვინც იმ საღამოს სარკმელთან იდგა და უმზერდა კონფედერატების განადგურებული ბრიგადის უკან დახევას და უცებ თვალი მოჰკრა ამ სივრცეში ერთ შემოძენძილ, წვერგაუპარსავ ლეიტენანტს, რომელიც წინ მიუძღოდა დამარცხებულ რაზმს და ამ ქალიშვილს არ ამოუკაწრავს მინაზე მისი სახელი და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დროინდელი ქალწულები არასგზით არ იზამდნენ ამას, მან არც კი იცოდა იმ ყმაწვილკაცის სახელი, ვინც მისი ქმარი გახდა ექვსი თვის შემდეგ.

მართალი თუ გნებავთ, საცხოვრებელს მოჰგავდა პირველ სართულზე გაყოლებული ეს ბალუსტრადებიანი ხის გალერეა. მაგრამ ამის ზემოთ კედელი იყო ერთადერთი, სწორკუთხა, სქელრიკულებიანი სარკმლითურთ და ასე გაიფიქრა ისევ, კვირადღე ღამღამობით, აწ უკვე გარდასულ ჟამიდანვე სულ ასე იყო — სანამ ნავახშმევს მეციხოვნე სინათლეს არ ჩააქრობდა, კიბეზე არ გამოვიდოდა და ღრიალს არ დაიწყებდა, თქვენი ხმა არ გავიგონოო — ჩანდა მოქნილი შავფერი, გისოსებიდან გამოწვდილი ხელები და ხმებიც ესმოდა, აუჩქარებელი, შეუშფოთებელი; იქ, დაბლა მდგომარე ქალებთან, წინსაფრიან მზარეულებთან თუ ბიძებთან მუსაიფი გაემართად, მათი გოგოებიც იდგნენ, ფოსტით გამოწერილ ჭრელ-ჭრელ ტანსაცმლებში გამოწყობილები და ყმაწვილკაცებიც, რომლებიც ჯერ არ მოხვედრილიყვნენ ციხეში ან სულ ახალი გამოსულები იყვნენ იქიდან. მაგრამ ასე არ ყოფილა ამ საღამოს, განყოფილების სიღრმიდანაც სიბნელე გამოსჭვიოდა, თუმცა კი რვა საათი არ იყო და მას შეეძლო დაენახა, წარმოედგინა, ჯგუფად კი არ იდგნენ, მხარდამხარ, თუმცა მხრებით არ ეხებოდნენ ერთმანეთს და, რაღა თქმა უნდა, გაყუჩებულან, არც იცინიან და არც საუბრობენ ამ საღამოს, სხედან სიბნელეში და კიბისთავს უთვალთვალებენ, რადგან პირველად არ მომხდარა, როცა თეთრების ბრბოსთვის ნაცრისფერი იყო ყველა შავი კატა და ყოველთვის თავს არ შეიწუხებდნენ და არ მოჰყვებოდნენ იმათ დათვლას.

და ღია იყო კარიბჭე, ფართოდ გაფეთქილი და მანამდე ასე არც არასდროს უნახავთ ზაფხულობით, თუმცა კი მეციხოვნის ოთახი სწორედ პირველ სართულზე იყო; კედელზე მიბჯენილ სკამზე მჯდომარე ქაცი თავის პირდაპირ მთელ ჭუჩას ხედავდა, თუმცა ის არც მეციხოვნე გახლდათ და არც შერიფის თანაშემწე, ამიტომაც მაშინვე

იცნო ის: უილ ლიგეიტი, ვინც ქალაქს ორი მილით დაცილებულ პატარა ფერმაში ცხოვრობდა და საუკეთესო ტყისმჭრელად იყო ცნობილი, დიდებული მსროლელიც იყო და მთელ ოლქში ირმებზე კარგი მონადირის სახელი ჰქონდა გავარდნილი; ხოდა, სწორედ ის იჯდა სკამზე გადაყრდნობილი და დღევანდელი მემფისური გაზეთის იუმორისტულ გვერდს ჩაჰკირკიტებდა, გვერდით კი კედელზე აყუდებული ჰქონდა ის მისი მრავალნაცადი თოფი, რომლითაც იმდენი ირემი დახოცა (და დათხილი კურდღლებიც კი), ვინ მოსთვლის, ჩვეულებრივი იყო ის ორლულიანი თოფი და ის გაზეთი არ დაუწევია, არც კი შეტოკებია. თვალის ერთი მოკვრით იცნო ისინი მანამ, სანამ ჯერ კიდევ ჭიშკრისკენ გადმოუხვევდნენ და უკვე გაფაციცებული უმზერდა შემოსულებს და მიმავალთ; კიბე აიარეს, გადაჭრეს აივანი და შევიდნენ, იმ წუთასვე მარჯვნივ კარიდან მეციხოვნე გამოსტყვრა, კაცი ბოლმიანი, ღიპიანი, ფეთხუმი, მოიჩქაროდა შეშფოთებული, სახემოღუშული, მძიმე პისტოლეტი გაერჭო სატყვიე ქამარში, გინდაც აბრეშუმის ჩაჩი და გინდაც მეთხუთმეტე საუკუნის მონის ყელსაბამი ჰქონოდა; ისეთივე შეუფერებელი და უადგილო ჩანდა ეს სარტყელი, კარი მიხურა და ბიძიას შესჩივლა:

— იმ კარიბჭის დაკეტვასაც არ მანებებს! დაუკავებია ხელში ის სულელური გაზეთი და მიდი, ვისაც მოესურვება, შემოვა კიდევაც!

— იმას ვაკეთებ, რაც ბ-ნმა ჰემპტონმა მითხრა, — წყნარად და თავაზიანად წარმოთქვა ლიგეიტმა.

— იმ ჰემპტონს მგონია ამ სულელური გაზეთით უნდა მეოთხე უბნელების შეჩერება! — შეჰყვირა მეციხოვნემ.

— არა მგონია იმას იმ მეოთხე უბნელების შიში ჰქონდეს, — ისევ წყნარად და თავაზიანად თქვა ლიგეიტმა, — მე ეს აქაურების გასაფრთხილებლად მაქვს მომარჯვებული.

ლიგეიტს შეხედა ბიძიამ: — მე მგონია ტყუილად არ ირჯება. მანქანა დავინახეთ, ერთი იმათთაგანი მოედნის გარშემო ტრიალებდა, როდესაც ჩვენ მოვედით, კი უნდა იყოს აქ ნამყოფი.

— ჰო, ერთხელ და ორჯერ! — მიუგო ლიგეიტმა, — შეიძლება სამჯერაც, თუმცა არც კი მიმიქცევია ყურადღება.

— ჯანდაბას ჩემი თავი, მე კი მაინც იმედიანად ვარ, — თქვა მეციხოვნემ, — ჩიტების მოსაგერიებელი ამ სარაკუნათი ვის შეაშინებ.

— კი ბატონო, — უთხრა ლიგეიტმა, — მე არც მაქვს იმათი შეჩერების იმედი, თუკი საკმაო რაოდენობა ხალხისა მოინდომებს აქ მოსვლას და იმის გაკეთებას, რაცა სურთ, ვერც ვერავინ შეაჩერებს, რადგან დარწმუნებულნი არიან, კი შეგვიძლიაო ამის ქმნა. მაშინ კი თქვენ და ის თქვენი პისტოლეტი დამეხმარება.

— მე? — შეჰყვირა მეციხოვნემ, — მე გადავუდგები იმ გოურებსა და ინგრემებს რაღაც სამოცდათხუთმეტი დოლარის გულისთვის თვეში? ამ შავდრუნჩას თავი შევწირო? და თუკი არ გამოსულლებულხართ, არც თქვენ იზამთ ამას.

— ჰო, ეს ჩემი მოვალეობაა, — ჩვეულებრისამებრ თავაზიანად წარმოთქვა ლიგეიტმა, — წინ აღვუდგები. ბ-ნმა ჰემპტონმა ხუთი დოლარი მომცა ამისთვის. მერე ბიძიას მიუბრუნდა, — მგონია თქვენ მისი ნახვა გინდათ.

— დიახ, — მიუგო ბიძიამ, — ბ-ნი ტაბსის ნებართვით.

მეციხოვნე ბოლმითა და შეშფოთებით დააცქერდა ბიძას.

— თქვენც უნდა გაეხვიოთ ამ ამბავში. განზე ვერ დადგებით, — მკვეთრად მიტრიალდა, — წამოდით, — და იმ კარში შევიდა, სადაც იქვე ლიგეიტი იჯდა სკამზე გადაყრდნობილი; უკანა მხარეს გავიდნენ, აქედან მეორე სართულზე ამავალი კიბე იწყებოდა, ჩამრთველი გააჩხაკუნა იქვე, სინათლე აანთო და ასვლა დაიწყო, მისი ბიძია და ის აყვნენ, ქამარში გაყრილი რევოლვერის ბუდეს უმზერდა დაკვირვებით, ბარძაყზე რომ ამოებურცებოდა და გაჭრებოდა. უეცრად მეციხოვნემ თითქოსდა შეჩერება მოინდომა და ბიძიამაც მოინდომა შეჩერება, მაგრამ მეციხოვნემ გზა განაგრძო და ასე უთხრა თავმოუბრუნებლად, — არ გეწყინოთ, ყველაფერს გავაკეთებ, თუკი შევძლებ. სანამ აქ მოვიდოდი, მეც ფიცი მაქვს დადებული, — ხმას აუწია ცოტათი, თუმცა კი წყნარად, ასე წარმოთქვა: — მაგრამ ნურავინ იფიქრებს, დიდად მეხალისებოდეს. ცოლი მყავს და შვილები და იმ აყროლებული ზანგის გულისთვის თავს ვერავის მოვაკვლევინებ.—ისევ აუწია ხმას, უკვე აღარ იყო წყნარად: — და თავი რაღად მინდა ცოცხალი, თუკი ის ნაბიჭვრები პატიმარს წამართმევენ. — ახლა კი შეჩერდა, შედგა საფეხურზე იმათ ზემოთ, ორივეს ჩამოჰყურებდა და ჩქარ-ჩქარა ცოფებმორეულმა ამოთქვა ჯავრითა და ზიზღით: — კი აჯობებდა ყველასთვის, გუშინვე წაეყვანათ, როცა კი წაასწრეს...

— მაგრამ არ წაუყვანიათ, — თქვა ბიძიამ, — და მგონია არც იზამდნენ ამას. და თუკი იზამენ,ამას არცა აქვს მნიშვნელობა. შეიძლება ჰქნან და შეიძლება არა, და თუ არ იზამენ, ამას რა სჯობია, მაგრამ თუკი მოინდომებენ, ჩვენ აღვუდგეთ წინ, თქვენ, ბ-ნი ჰემპტონი, ლიგეიტი, ყველანი-მეთქი, ყველაფერი უნდა ვქნათ რაც კი შეგვიძლია, მანამ კი არაფრის დარდი არ უნდა გვქონდეს, ხომ გაიგეთ?

—დიახ, — მიუგო მეციხოვნემ. მერე მიტრიალდა და გზა განაგრძო, თან გასაღების ასხმა მოიმარჯვა, იმ სატყვიე ქამრის ზემოთვე რომ ჰქონდა დამაგრებული. ვეება კარს მიადგა კიბის თავზე (ქეთილნახელავი იყო ის დიდი კარი, ორი დუიმის სისქისა და მძიმე ახალი ბოქლომით დაკეტილი, ხოლო ურდული რკინისა იყო და რკინისავე კილოებში ჯდებოდა, რკინისავე ანჯამებით დაეტანებინათ ამ კარს და ყველაფერი ეს ასი — ას ათი წლის წინათ გამოუჭედიათ იმ სამჭედლოში, რომლის წინაც ის იდგა გუშინ; შარშან მოხდა ეს ამბავი, ზაფხულის ერთ დღეს ვიღაც უცხო, ქალაქელი კაცი მოვიდა, არქიტექტორი გახლდათ და ბიძიას მოაგონებდა რაღაცით, უქუდოდ, უჰალსტუხოდ, სატენისო ფეხსაცმელი ეცვა, ფლანელის ძველი შარ-

ვალი, სამ ათას დოლარად ღირებულ გადასაწევ სახურავიან მანქანაში ერთი ყუთი შამპანური ეწყო, შემთხვევით კი არ ჩამოსულა აქ, საგანგებოდ გამოუწევია, პირდაპირ ტროტუარზე ავარდა და ვიტრინაში შეიჭრა, მილეწ-მოლეწა იქაურობა, დალეული, გამხიარულებული იყო, ჯიბეში ორმოცდაათი ცენტიღა ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ ბლომად ჩაელაგებინა ნაირნაირი მოსაწვევი ბარათები და ნიუ იორკის ერთ-ერთი ბანკის ექვს ათას დოლარიანი საჩეკო წიგნაკი. ხოდა, მაშინვე მოითხოვა, ციხეში ჩამსვითო, თუმცა კი ზედამხედველი და იმ ვიტრინის პატრონი, ორნივე სთხოვდნენ, სასტუმროში წამოდი, კარგად გამოიძინე, მერე კი ჩეკი გამოწერე და აანაზღაურე რაც დაამტვრიეო; მაგრამ აღარ მოეშვა და ბოლოს ზედამხედველმა ციხეში წაიყვანა, სადაც მაშინვე ჩვილივით ჩაეძინა, მანქანა კი გარაჟში გაგზავნეს შესაკეთებლად. მეორე დილით, ხუთ საათზე კი მეციხოვნემ დაურეკა ზედამხედველს, მოდი და აქედან მოაცილეო ეს კაცი; თურმე გაუღვიძია თუ არა, ამტყდარა და იმ ციხის ზანგი ბინადარნი წამოყარა ფეხზე. ზედამხედველი მივიდა, გარეთ გამოიყვანა ის კაცი, მაგრამ იმან თავისი არ დაიშალა და პატიმრების ჯგუფს შეუჩნდა, ქვაფენილის შესაკეთებლად მიჰყავდათ ისინი, არ დაანებეს და თუმცა უკვე მანქანა გამოუყვანეს, მაინც არ მიდიოდა, იმ ღამეს სასტუმროში დარჩა, ორი დღის მერე ბიძიას წამოუყვანია თავისას ვახშამზე, სამი საათი ისხდნენ და ლაპარაკობდნენ ევროპაზე, პარიზსა და ვენაზე, და ის და დედა ისხდნენ იქ და ყურს უგდებდნენ იმათ საუბარს, მერე მამამ ბოდიში მოიხადა და წავიდა; კიდევ ორი დღე დარჩა ამის მერე და აღარ მოეშვა ბიძიას, მერსა და მთელ საკრებულოს, იქნებ როგორმე ის კარი მომყიდოთ მთლიანად თავისი ურდულით, კილოებითა და ანჯამებითო), გააღო და შევიდა.

იმათ უკან დარჩათ სამყარო ადამიანებისა, იმ ადამიანებისა, ხალხისა, ვინც შრომობდნენ, ჰქონდათ სახლკარი, ზრდიდნენ ბავშვებს და ცდილობდნენ ცოტა უფრო მეტი ფული ეშოვნათ, წესიერი ან, ყოველ შემთხვევაში, კანონიერი გზით, რათა გასართობად დაეხარჯათ მცირეოდენი და უსახსროდ არც სიბერეში დარჩენილიყვნენ. ხოდა, გაიღო თუ არა ის მუხის კარი, მაშინვე ცხვირ-პირში ეცათ შემპალი სუნთქვა ადამიანის დამდაბლების და სიცარიელისა — სიმყრალე კრეოზოტის, განავლის, ნარწყევ-ნაფურთხის, განქიქების, სიდუხჭირის, უარყოფისა და განდეგილობისა საცხადოდ გარშემობურვოდათ და ძლივს აზიდეს ამ მურტალ ჰაერში თავიანთი სხეულის სიმძიმე, უკანასკნელი საფეხური აიარეს და შევიდნენ დერეფანში, რომელიც, მართალი თუ გნებავთ, ნაწილი იყო იმ საერთო დილეგისა, საჩიხე. გამოცალკევებული დანარჩენი არედან მავთულის ღობით საქათმის თუ ძაღლის სადგომის მსგავსად, შიგნით, იქით, მოშორებულ კედელთან ხუთი ზანგი იწვა, უმოძრაონი, თვალდახუჭულები, თუმცა არც კი ხვრინავდნენ, ჩქამიც კი არ ისმოდა იმათი, იწვნენ გაშეშებულნი, მუმიებივით ეყარნენ ერთი მტვრიანი, უხუფო ნათურის შუქზე,

კვლავ შეჩერდა მეციხოვნე და იმ მავთულის ბადეს ჩაეჭიდა, მძვინვარედ გადახედა იქ მყოფთ.

— ერთი შეხედეთ, — წარმოთქვა მეციხოვნემ ხმამაღლა, თუმცა კი გაწვრილებული ხმით, თითქოსდა ისტერიკა მორეოდა, — კრავებივით არ განაბულან ეს ჯოჯოხეთის მუგუზლები, არც ერთს არ სძინავს და რაღას იტყვი, როცა თეთრების ბრბოს შუადღით შემოიჭრება აქ რევოლვერებითა და ბენზინით. წამოდით, — დასძინა მან, მიტრიალდა და წავიდა, ერთ კარს ჩაუარა, იმ ბადეში ჩატანებულს, ბოქლომით კი არა, უბრალოდ იყო ჩარაზული ბოსელივით თუ მარცვლეულის ყუთივით, მეციხოვნემ ჩაუარა იმას.

— საკანში ხომ არ ჩაგიმწყვდევიათ? — ჰკითხა ბიძიამ.

— ჰემპტონმა მიბრძანა, — თავმოუბრუნებლად მოუგო მეციხოვნემ, — არ ვიცი, შეიძლება ვიღაც თეთრი პატიმარი მოიყვანონ და ისიც კარგად დაისვენებს აქ, სანამ ვინმეს მოკვლას დააპირებდეს. ყოველ შემთხვევაში იმ საწოლებიდან საბნები ავიღე.

— იქნებ ამიტომ დიდხანს არც მოუხდება იმას აქ გაჩერება და ველარც მოასწრებს გამოძიებას? — თქვა ბიძიამ.

— ხა, ხა, — უცნაურად წვრილი ხმით, იქედნურად ჩაიცინა მეციხოვნემ, — ხა, ხა, ხა, ხა.

და ბიჭი მიჰყვებოდა ბიძიას და ფიქრობდა, ადამიანიშვილის საქმნელთაგან ყველაზე უფრო მკვლელობას სჭირდება განმარტება, ადამიანიშვილი ბევრს ცდილობს, რათა მარტო იყოს ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც, სასიყვარულოდაც, მაგრამ ყველაზე მეტად მაშინ იღწვის განსამარტოებლად, როდესაც სიცოცხლე უნდა მოუსწრაფოს სხვას, შეიძლება მანამდე მკვლელობასაც კი მიმართოს, თუმცა კი კაცისკვლა საბოლოოდ და სრულიად გაანადგურებს მას; მეციხოვნემ კარი გააღო, ახალი ფოლადის რიკულები ჰქონდა იმას და ბოქლომი ედო ვეებერთელა, ქალის ხელჩანთის ტოლა, რომელიღაც სხვა გასაღები ამოაძვრინა იმ შეკვრიდან იმის გასაღებად და მერე მიტრიალდა, წავიდა, ჩქარა გასწია და იმისი ფეხის ხმა გაისმოდა, სანამ იმ მუხის კარმა არ გაიბრახუნა კიბესთან; იმ კარს იქით კი საკანი გამოჩნდა ძლივს-ძლივს განათებული, მტვრიანი, ბუზებისაგან დასვრილ ჭერზე მიმაგრებული მქრქალი ნათურით, ცოცხის შესადგმელი ალაგის ოდენა იქნებოდა ეს საკანი და რაც დაეტეოდა იქ, ეს უნდა ყოფილიყო ერთი მეორეზე გადაბმული ორი ლოგინი კედელთან და არც საბანი იყო იქ და არც ლეიბი; ხოდა, ის და ბიძია შევიდნენ იქ და პირველადვე დაინახა ის ქუდი და შავი კოსტიუმი, გადმოშვერილი კედელზე მიჭედილი ლურსმნიდან და მხოლოდ მერე გაახსენდა, თუ რა შვებით ამოისუნთქა და ასე გაიფიქრა: **უკვე წაიყვანეს. წაიყვანეს. დავაგვიანეთ. ყველაფერი მორჩა. გათავდა.** რადგან არ იცოდა, თუ რა მოელოდა აქ, მაგრამ იმას კი ვერ წარმოიდგენდა, რაც ენახა — საგულდაგულოდ გადაეფინათ ქვედა ლოგინის შიშველ ზამბარებზე გაზეთები, ზედაზე კი ასევე გადაე-

ფინათ იმ გაზეთის ერთი ნახევარი, ისე რომ სინათლე არ მოხვედროდა დაბლა მწოლ ლუკასს, ვისაც სასთუმლად ცალი ფეხსაცმელი ამოედო, ხელები კი მკერდზე დაეწყო და მშვიდად იყო, ანუ ისე მშვიდად ეძინა, როგორც ეს ბერიკაცებს სჩვევიათ, პირი გაღებოდა და ხმადაბალი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხვრინვა ამოეშვა, ის კი იდგა და სუნთქვა შეკვროდა საშინელი ბოლმისგან კი არა, გააფთრებისგან, როდესაც დაჰყურებდა ამ სახეს და პირველად ხედავდა ასეთს, უკვე აღარ იყო დამალული ასაკი და ცხადლივ ჩანდა მისი სიბერე და მიხრწნილება, ასევე ბებრულად დაკოჟრილი ხელები ჰქონდა, რომლითაც სწორედ გუშინ ტყვია დაახალა ზურგში სხვა იმის მსგავს არსებას, ახლა კი წყნარად და მშვიდობიანად ეწყო მკერდზე, უსაყელო, გახამებულ ძველმოდურ პერანგზე, შეკრული რომ ჰქონდა მოვერცხლილი ბრინჯაოს საკინძით, რომელიც პატარა გველისთავის ტოლა იყო და მოღუნულ ისარს მოჰგავდა, და ასე ფიქრობდა: **ის ხომ შავდრუნჩაა ყველა მისნაირივით, თუმცა კი ცხვირი სწორი აქვს და თავაღერებული დადის, თან საათის ოქროს ძეწკვი დააქვს და არაობაა მისთვის ყოვილი მისტერი, თუნდაც ასე მიმართოს ვინმეს. მხოლოდ შავდრუნჩას შეუძლია კაცის მოკვლა, ზურგში ტყვია დაახალოს და მერე ბალღივით მშვიდად დაიძინოს, თუკი სადმე ნახავს მისაწოლს;** ხოდა, თვალს არ აცილებდა მას და ლუკასი არც კი შეტოკებულა, ისე დამუწა პირი, ასწია ქუთუთოები, წამით ჭერს მიაჩერდა, მერე არც კი გაუქანებია თავი, გადმოატრიალა თვალის კაკალი და ბიძია დაინახა, მაინც არ შერხეულა, ისევ ისე მწოლი უმზერდა იმას.

— რაო, ბერიკაცო, — უთხრა ბიძიამ, — ეს რა ჯოჯოხეთი დაგიტრიალებია.

მაშინ კი შეინძრა ლუკასი. ძლივს წამოჯდა და ძლივს გადმოიშვირა საწოლიდან ფეხი, მერე ორივე ხელით ცალ მუხლს წაეტანა და ააქანავა, ასე აღებინ თო ,�avenn მიღრანჯულ ჭიშკარს, კუთვასა და გმინვას მოჰყვა, არამცთუ საცხადოდ და მოურიდებლად, ხმამაღლადაც, თუმცა კი ეტყობოდა სულს ითქვამდა ამით, სწორედ ასე კუთავენ და გმინავენ ისინი, ვისაც დიდხანს, გაუთავებლად აწვალებს ტკივილები და ისე არიან შეჩვეულები, რომ თუკი გაუნელდებათ, თავგზა აებნევათ, შესძრავთ ეს დანაკლისი, ის კი უყურებდა და ყურს უგდებდა იმას ისევ ისე აღშფოთებული და ახლა უკვე გაოცებულიც, რადგან ამ კაცისმკვლელს თავს წამოდგომოდა არამცთუ სახრჩობელას აჩრდილი, ბრბო, ლინჩის მოსაწყობად აბობოქრებული; ხოდა, იმანაც ნახა რა დრო საკუთავად, ზურგი სტკივა თურმე, თითქოსდა დიდი ხნის სიცოცხლე უწერია და არც არასდროს გაუნელდება ეს შემოჩვეული ტკივილი.

— ასე უნდა იყოს მგონია, — მიუგო ლუკასმა, — ამიტომაც მოგიხმეთ თქვენ, რას მიპირებთ?

— მე? — თქვა ბიძიამ, — არაფერს. მე გოური არ გახლავარ. არც მეოთხე უბნელი ვარ.

ძლივს დაიხარა ლუკასი და თავის ფეხებს დააცქერდა, მერე საწოლის ქვეშ დაიწყო ხელის ფათური და იქიდან მეორე ფეხსაცმელი ამოაძვრინა, ისევ გასწორდა და საწოლის ზამბარების ჭრაჭუნით ძლივს უკან მიტრიალდა, მაშინ კი ბიძიამ ხელი გაიწვდინა, ის სასთუმალად დადებული ფეხსაცმელი აიღო და მეორის გვერდით დააგდო. მაგრამ ლუკასს აღარ ჩაუცვამს ფეხთ. საწოლზე გაირინდა ისევ, მუხლებზე დაიწყო ხელები, თვალი დაახამხამა. მერე ცალი ხელი გაიქნია, თითქოსდა უნდოდა მოეცილებინა სუყველაფერი, გოურები, ბრბო, შურისძიება, გაცამტვერება.

— კი მექნება ამისი დარდი, როცა მოვლენ, — თქვა მან, — კანონს ვეძებ. თქვენ არა ხართ ჩვენი ოლქის ადვოკატი?

— ჰო, — მიუგო ბიძიამ, — მაგრამ ეს სამხარეო პროკურორის მოვალეობაა, იმას შეუძლია სახრჩობელაზე გაგაგზავნოს ან პარჩმენს, იმას და არა მე.

ლუკასს ისევ აუტყდა თვალების ხამხამი, მალ-მალე არა, მაგრამ ამჯერად გაუსრულებლივ. ის უმზერდა იმას და უცებ მიხვდა, ლუკასი არც კი უყურებდა ბიძიას. უკვე სამი, ოთხი წამი იქნებოდა ასე.

— ვიცი, — უთხრა ლუკასმა, — თქვენ შეგიძლიათ ჩემს საქმეს ხელი მოკიდოთ?

— თქვენს საქმეს? დამცველი უნდა ვიყო თქვენი სასამართლოზე?

— მე გადაგიხდით, — მიუგო ლუკასმა, — დარდი ნუ გაქვთ.

— მე ვერ დავიცავ მკვლელს, რომელსაც შეუძლია კაცს ზურგში ტყვია დაახალოს, — უთხრა ბიძიამ.

ლუკასმა კვლავ იმავე მოძრაობით გაიქნია თავისი შავფერი დაკოჟრილი ხელი.

სასამართლოს არც ვგულისხმობ, ჯერ ადრეა, — და ახლა დაინახა, ლუკასი ბიძიას გამოსცქეროდა, თავაუწევლად, იდუმალ და ყურადღებით უთვალთვალებდა იმას ჭაღარა, ჩამოწოწილი წარბების ქვეშიდან. მერე ლუკასმა ასე დასძინა: — ვინმე უნდა დავიქირავო...— და შეჩერდა. შეჰყურებდა იმას და გაახსენდა ერთი აწ მიცვალებული მოხუცი ქალი, შინაბერა, მის მეზობლად ცხოვრობდა, ვინც პარიკს ატარებდა და საკუჭნაო ყოველთვის ჰქონდა სავსე შინ გაკეთებული ნამცხვრებით მთელი იმ ქუჩის ბავშვებისათვის; ხოდა, ერთხელ ზაფხულში (შვიდი-რვა წლისა იქნებოდა მაშინ) ხუთასის თამაში შეასწავლა იმათ; კარტს უსხედან მაგიდასთან, ზაფხულის დილაა და მაინც კარგა შაგრა ცხელა, აივნის ერთ მხარეს ფარდაა ჩამოშვებული და აქეთ მზე აღარ აღწევს, ის ბერიქალი კი თითებს დაისვენებს და ხელში მომარჯვებული დასტა კარტიდან ერთს ამოიღებს და მაგიდაზე დადებს, თუმცა კი ხელი იქვე აქვს, არ აცილებს მანამ, სანამ იმის გვერდით მჯდომი შემდგომი მოთამაშე ცმუკვას არ დაიწყებს სიხარულისა თუ აღტაცებისაგან ან შეიძლება სულაც ხშირი სუნთქვა აუტყდება, რაკიღა გულში უკვე გამარჯვების ნათელი ჩადგომია, და მა-

შინ ის ქალი სწრაფად იტყვის: „დაიცადე. შევცდი, სხვა ამომიღია თურმე“, ის კარტს აიღებს, ისევ ჩაიბრუნებს ხელში, სხვას ჩამოვა. სწორედ ასე ჰქნა ლუკასმა. და თუ მანამდე წყნარად იყო, ახლა სრულიად გარინდებულიყო. თითქოსდა სუნთქვაც შეეწყვიტა.

— ვინმეს დაქირავებაო? — უთხრა ბიძიამ, — თქვენ გყავთ ადვოკატი. სანამ აქ მოვიდოდი, თქვენი საქმე მე ვითავე. გეტყვით კიდევაც რაც უნდა ჰქხათ, ოღონდ ჯერ ყველაფერი უხდა ძოძითხროთ.

— არა, — მიუგო ლუკასმა, — ვინმეს დაქირავება მინდა-მეთქი. შეიძლება ის არც იყოს ადვოკატი.

ახლა კი ბიძია დააცქერდა ლუკასს, რაო, რა უნდა ჰქნათო?

ორივეს უმზერდა ის. სულაც არ ჰგავდა იმ მისი ბავშვობის დროინდელ ხუთასის თამაშს. უფრო პოკერს მოაგონებდა, კარგა ხნის წინ რომ ჰქონდა ნანახი. თუ იზამთ იმას, რასაც მე გთხოვთო? ჰკითხა ლუკასმა.

— მგონია შენ ჩემი თანხმობა გინდა წინასწარ, სანამ რამეს მეტყოდე, — თქვა ბიძიამ, — კარგი, — მაშინვე დასძინა, — მე შენ გეუბნები რაც გინდა, ზუსტად მითხარი, რა მოხდა გუშინ?

— მაშ თქვენ უარს მეუბნებით, — მიუგო ლუკასმა, — თქვენ არც ჰო მითხარით და არც არა.

— არა! — მკაცრად უთხრა ბიძიამ, ხმამაღლადაც, თუმცა კი მაშინვე გონს მოვიდა, მაგრამ ერთხანს ვერ შეძლო დაწყნარება და სიტყვები მარცვალ-მარცვალ, მძვინვარე-შთამბეჭდავად წარმოთქვა.— რადგან ვინმეს რამეს ვერც მოსთხოვთ. თქვენ ციხეში ხართ და უნდა ილოცოთ, რათა იმ წყეულმა გოურებმა აქედან არ გაგათრიონ და პირველივე ფარნის ბოძზე არ ჩამოგკიდონ. ვფიქრობ და ვერ მიმხვდარვარ, რად დაანებეს შენი ქალაქში გადმოყვანა.

— დარდი არა მაქვს, — თქვა ლუკასმა, — მე მინდოდა...

— ეს იმათ უთხარი, — მიუგო ბიძიამ, — იმ გოურებს, როდესაც აქ შემოცვივდებიან ამაღამ. უთხარი იმ მეოთხე უბნელებს, დაივიწყეთ... — ის შეჩერდა, თავს ძალა დაატანა როგორმე დაწყნარებულიყო და არ გამოემჟღავნებინა თავისი მძვინვარება, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და მაშინვე ამოისუნთქა, — მოდი, ზუსტად მიამბე თუ რა მოხდა გუშინ.

ლუკასმა მცირე ხნით იყუჩა, ლოგინზე იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო, შეუვალი, აუმღვრეველი გახლდათ, ბიძიას აღარც უმზერდა, ტუჩებს აცმატუნებდა, თითქოსდა გემოს უსინჯავდა რაღაცას. მერე თქვა, ორნი იყვნენ, სახერხზე შეამხანაგებულნი, ტყეს ყიდულობდნენ და ისე ჭრიდნენო...

— ვინ იყვნენ? — ჰკითხა ბიძიამ.

— ვინსონ გოური იყო ერთი იმათთაგანი.

კარგა ხანს არ მოუცილებია ბიძიას იმისთვის თვალი. მაგრამ ახლა უკვე სრულიად დამშვიდებულიყო და ასე უთხრა:

— ლუკას, თუ გიფიქრია როდისმე, თეთრებს რომ მიმართავ, მისტერო, და მართლაც ამ სიტყვისდა კვალად მოქცეულიყავი, იქნებ არც კი მოხვედრილიყავი აქ, ხომ ასეა?

— სწორედ ახლა უნდა დავიწყო, — მიუგო ლუკასმა, — ხოდა, სულ ასე მოვმართავ იმათ, მისტერ-მეთქი, სანამ ისინი არ გამათრევენ და კოცონზე არ დამსვამენ.

— ვერც ვერაფერს გიზამენ სასამართლომდე, — უთხრა ბიძიამ,— ნუთუ შენ არ იცი, მეოთხე უბანიც კი ვერ მოერევა ბ-ნ ჰემპტონს... განსაკუთრებით აქ, ქალაქში?

— შერიფ ჰემპტონს ახლა თავის ლოგინში სძინავს.

— მაგრამ იქ კიბეზე ლიგეიტია ხელში თოფმომარჯვებული.

— უილ ლიგეიტს მე არ ვიცნობ.

— ირმებზე მონადირეს? ვინც გაქცეულ კურდღელსაც არ ააცილებს ტყვიას?

— ჰა-ჰა, — თქვა ლუკასმა, — გოურები ირმები ნუ გგონიათ. აფთრები და ჯიქები არიან და არა ირმები-მეთქი.

— კარგი, — თქვა ბიძიამ, — მაშინ მე აქ დავრჩები, ნულარაფრის დარდი ნუ გაქვს. ახლა კი მითხარი, ვინსონ გოური და ის ვილაც სხვა ტყეს ყიდულობდნენ. ის სხვა ვინღაა?

— ჯერჯერობით მხოლოდ ის ვინსონ გოურია ცნობილი.

— და ის ისე სახალხოდ მოკლეს, ზურგში ტყვია დაახალეს დღისით, მზისით, — თქვა ბიძიამ, — ვინ არის ის მეორე კაცი?

ლუკასმა არ უპასუხა. არც კი შეტოკებულა, შეიძლება არც არაფერი გაუგონია, იჯდა გულმშვიდად და გონებაგაფანტული, არც გამოელოდა რამეს, იჯდა თავისთვის, ბიძია კი უთვალთვალებდა იმას. მერე ბიძიამ თქვა:

— კარგი. ტყე რომ მოზიდეს, მერე კი რა ჰქნეს?

— დააწყვეს, მერე კი უნდა დაეჭრათ და დაეყიდათ მთლად. მხოლოდ იმ მეორეს ღამღამობით გაჰქონდა, სატვირთო მანქანა შემოჰყავდა გვიან, სიბნელეში, ტვირთავდა და გაჰქონდა გლაზგოსა და ჰოლი-მაუნტში და ჰყიდდა, ფულს კი ჯიბეში იდებდა.

— საიდან იცი?

— მინახავს ის კაცი. ვუთვალთვალებდი იმას, — სულაც არ შეპარვია ეჭვი ამ მის სიტყვებში, რადგან მას ახსოვდა ეფრაიმი, პარალის მამა, ქვრივი იყო და ისე მოკვდა, სიცოცხლის ბოლომდე მთელი დღეები სარწეველა სავარძელში იჯდა ზაფხულობით და სთვლემდა, ხოლო ზამთრობით ბუხარს მიუჩოჩდებოდა, ღამღამობით კი ხეტიალს მოჰყვებოდა გზებზე, კი არ მიდიოდა სადმე, დაეხეტებოდა, ზოგჯერ ქალაქიდან ხუთ თუ ექვს მილს გაივლიდა და განთიადის ხანს თუ დაბრუნდებოდა სახლში და მერე ისევ მთელი დღე სთვლემდა იმ თავის სავარძელში.

— კარგი, — თქვა ბიძიამ, — მერე რა მოხდა?

— არაფერი, — მიუგო ლუკასმა, — ყოველღამ პარავდა შეშას.

— ბიძიას ათიოდე წამით თვალი არ მოუცილებია ლუკასისთვის, მერე კი წყნარად წარმოთქვა, ველარ მალავდა გაოცებას. — ხოდა, შენ აიღე ის პისტოლეტი და მიხვედი წესრიგის დასამყარებლად. შენ, ზანგის კაცმა, აიღე პისტოლეტი და იმ ორ თეთრს მსაჯულად მოევლინე. მაინც და რა გეგონა? და მაინც რა გეგონა-მეთქი?

— არც არაფერი მეგონა, — მიუგო ლუკასმა, — მე მინდოდა...

— შენ იმ დუქანში მიდიოდი, — უთხრა ბიძიამ,—ხოდა, შეგხვდა ვინსონ გოური, იმ ტყემდე გაჰყევი და მოუყევი იმ მისი ამხანაგის ამბავი, ასე და ასე, გძარცვავსო, იმან კი ერთი შეგიკურთხა, რა შენი მოსატყუებელი მე ვარო, და მართალი იყავი თუ არა, სხვას მაინც ვერაფერს გეტყოდა და, შეიძლება ხელი გკრა და დაგცა და წავიდა თავის გზაზე, შენი კი ტყვია დაახალე ზურგში...

— არავის არ წავუქცევივარ მე, — უთხრა ლუკასმა.

— მით უარესი, — თქვა ბიძიამ, — მით უარესი შენთვის თავდაცვას ამას ველარ დაარქმევ. ზურგში ესროლე შენ იმას. და მერე თავზე დაადექი, ის ბოლადენილი პისტოლეტი კი ჯიბეში გქონდა გაჩრილი და იქამდე იყავი, სანამ თეთრები არ მოცვივდნენ და ხელი არ გტაცეს. და კიდევ კარგი ის რევმატიზმით დაბრეცილი, გალეული კონსტებლი აღმოჩნდა იქ, საქმე არ ჰქონდა, ეს ჯერ ერთი, და კიდევ, სულაც არ იყო მისი საქმე ის, რაც გააკეთა, უწყისების მიტანა ევალება მას და პატიმრის გადაყვანა ციხეში, ამისთვის დოლარს უხდიან, ხედავ, იმ კაცს ეყო ვაჟკაცობა და დაგიხსნა იმ დაწყევლილი მეოთხე უბნელებისგან, მთელი თერთმეტი საათი გდარაჯობდა, სანამ ჰემპტონს არ გაახსენდა ან დრო არ ნახა, ან არ მოახერხა შენი ციხეში გადაყვანა, მთელი ის ხანი შეძლო მოეგროვებინა ისინი, და ვერც გიშველიდა ვერავინ, თუნდაც ასი წლის მანძილზე შემოკრებილი მეგობრები...

— მე მეგობრები არა მყავს, — მიუგო ლუკასმა მედიდურად და მტკიცედ და კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბიძიამ არ დააცადა:

— ჯანდაბას, მართალს ამბობ, არა გყავს. და რომც გყოლოდა, იმ პისტოლეტის გასროლით ცხრა მთას იქით გადაკარგავდი სუყველას... რაო? — დასძინა ბიძიამ, — რაო, რა სთქვი?

— გადავიხდი-მეთქი, ესა ვთქვი, — მიუგო ლუკასმა.

— ვიცი, — უთხრა ბიძიამ, — მეგობრებს ვერ უხმობ საშველად. ნაღდს იხდი ყოველთვის. დიახ, ვიცი-მეთქი. ახლა კი ყური მიგდე. მსაჯულთა წინაშე წარდგები ხვალ. ბრალდებას წამოგიყენებენ. მაშინ კი აჯობებდა შენი გადაყვანა მოტსტაუნს ან კიდევ უფრო შორს, წემდეგი თვის სასამართლო სხდომის დაწყებამდე, მე ვეტყვი ჰემპტონს, მაშინ კი შენ აღიარებ დანაშაულს, მე ვთხოვ ოლქის პროკურორს იმ სესიაზე გაგიყვანოს, რადგან მოხუცი კაცი ხარ და აქამდე დანაშაული არ ჩაგიდენია; მე იმისი იმედი მაქვს, რომ მოსამართლე

და ოლქის პროკურორი იოკნაპატოფადან ორმოცდაათი მილის იქით ცხოვრობენ. მაძინ შენ არ ჩამოგახრჩობენ, კატორღაში გაგგზავნიან, თუძცა არა მგონია იძდენი იცოცხლო, რომ ვადამდე განთავისუფლებას ძოესწრო, მაგრამ გოურები იქ ვერ მოგწვდებიან. გინდა ბე დავრჩები ამაღამ?

— არ უნდა, მგონია, — უთხრა ლუკასმა. — გუშინდელი ღამე ფეხზე გავატარე და შეიძლება ახლა ცოტათი წავიძინო. თქვენ თუ აქ დარჩებით, დილამდე აღარ გაათავებთ ლაპარაკს.

— სწორია, — მოუჭრა ბიძიამ და მერე იმას უთხრა, წამოდიო. კარს მიაშურა. იქ ბიძია შეჩერდა, ლუკასს მიუბრუნდა, იქნებ გინდაო რამე?

— ცოტა თუთუნი გამომიგზავნე, — თქვა ლუკასმა, — თუკი ის გოურები ბომცეძენ მოწვევის საძუალებას.

— ხვალე იყოს, — უთხრა ბიძიამ, — ამაღამ შეგიძლია დაიძინო. — და წავიდა, ის გაჰყვა, ბიძია წინ გაუშვა, კარი გაიარა, გვერდზე მიდგა და იქიდან საკანში დაიწყო მზერა, სანამ ბიძია არ გამოვიდა და კარი არ ჩარაზა, მძიმე ფოლადის ურდული ღრჭიალით შევიდა ფოლადისავე ღარში, ყრუდ, ბუნდად მოისმა იმისი ხმა და თითქოსდა რაღაც საბოლოო წერტილს მიტანებული გაილია, გასრულდა მსგავსად იმ კოსმიური ზახილისა, რომლითაც, ასე თქვა ბიძიამ, კაცის შექმნილი მანქანები ბოლოს მოუღებენ, აღგვიან პირისაგან მიწისა თავიანთ შემქმნელებს და დარჩება უსაგნოდ და უმიზნოდ, არც არაფერი ექნება გასახადგურებელი, მიუკეტავენ კარბორუნდით გამოჩარხულ კარებს აპოთეოზს მიტანებულნი ამ თავიანთი მოდგმის დამაარსებელთ საათის საბოლოო რეკვით კი არა, მარადიულობის კიჟინით; ბიძიას ფეხის ხმა მოისმოდა, გაჰქონდა ზარი და გუგუნი ქვევით, დერეფანში, და შემდეგ კაკუნი გაისმა მოღუნული თითებისა იმ მუხის კარზე, და ის და ლუკასი უმზერდნენ ერთმანეთს ფოლადის რიკულებში, ლუკასი შუაგულ საკანში დამდგარიყო იმ ნათურის შუქზე და იმას გამოსცქეროდა, არა ეტყობოდა რა, თუ რას ფიქრობდა, და უცებ ასე ეგონა, ლუკასმა რაღაც წარმოთქვაო ხმამაღლა. მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს იმას, მხოლოდ თვალი მიაპყრო სიტყვის უთქმელად, ჯიუტად, სანამ მეციხოვნის მოახლოებული ნაბიჯების ხმა არ გაისმა კიბეზე და არ გაიგრიალა იმ ნაჭედმა ურდულმა.

და ჩარაზა ის ურდული მეციხოვნემ, ჩაუარეს ლიგეიტს, რომელიც ასაწყობ სკამზე იჯდა და იმ გაზეთის იუმორისტულ გვერდს ჩაჰკირკიტებდა, ღია კარის პირდაპირ თავისი თოფი ჰქონდა აყუდებული, ქვემოთ დაეშვნენ, ჭიშკარსა და ქუჩას მიაშურეს, მერე გაიარეს ის ჭიშკარი, სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა ბიძია; ის კი შეჩერდა, ფიქრს მიეცა **ზანგი კაცისმკვლელი, თეთრს ტყვია დაახალა ზურგში და არც კი სწუხს.**

მერე ასე თქვა: — მგონია მე აქ ვნახავ სტივენ მაკ-გოანს, აქ

უნდა იყოს სადმე მოედანზე. იმას უნდა ჰქონდეს აფთიაქის გასაღები. ლუკასს ამაღამ მოვუტან თუთუნს. — ბიძია შეჩერდა.

— დილამდე დაიცადე, — უთხრა ბიძიამ.

— კარგი, — მან მიუგო, ბიძამისის დაკვირვებული მზერა შეიგრძნო და არც კი ფიქრობდა იმაზე, თუ რას ეტყოდა, უარი რომ ეთქვა ბიძიას მისთვის, თუმცა არც არაფერს მოელოდა. თავისთვის იდგა მხოლოდ.

— მასე იყოს, — თქვა ბიძიამ, — ოღონდ დიდხანს ნუ გაჩერდები. — ხოდა, ახლა კი შეეძლო წასვლა. მაგრამ ფეხი არ გადაუდგამს.

— მგონია თქვენა თქვით, ამაღამ აღარაფერი მოხდებაო.

— ახლაც ასე მგონია, — მიუგო ბიძიამ, — მაგრამ რა იცი. გოურებისთანებს დიდად არ აწუხებს სიკვდილი, გინდაც მომაკვდავის ხილვა. მაგრამ მიცვალებულს კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და იმას, თუ როგორა კვდებიან, განსაკუთრებით მათი სისხლნი და ხორცნი. თუკი თუთუნს იშოვნი, ტაბსს მიეცი, ის მიუტანს, შენ კი სახლში წამოდი.

ხოდა, ახლა ვერც კი მოასწრო თქმა, დიახო, ბიძია მაშინვე მიტრიალდა და წავიდა, იმანაც გასწია მოედნისკენ, და მიდიოდა მანამ, სანამ არ გაილია ბიძიას ფეხის ხმა, მერე კი შედგა და იქით იყურებოდა, შავ ლანდად მოჩანდა ბიძამისი და ბოლოს სინათლეზე თეთრად გაჰკრთა იმისი ტილოს კოსტიუმი, ცოტა ხანიც და განქარდა საბოლოო ფარნის შუქს მიტანებული; სახლში რომ წასულიყო და ჰაიბოის მოჯდომოდა მაშინვე, როგორც კი შერიფის მანქანა იცნო ამ დილით, უკვე რვა საათი იქნებოდა გასული მას მერე და ორმოცი მილიც კი ექნებოდა გავლილი; და მიტრიალდა, ისევ იმ ჭიშკარს მიაშურა, თვალი ჰკიდა ლიგეიტმა, გამოხედა იმ გაზეთის იუმორისტული გვერდის ზემოდან და იცნო ჯერ კიდევ მანამ, სანამ იმ ჭიშკართან მივიდოდა; და თუკი ის პირდაპირ წავა, გასასვლელს ნახავდა ღობეში, იქიდან კი ერთ ხრიოკ მინდორს გაივლის, უნაგირს დაადგამს ჰაიბოის, საძოვარზე გასასვლელი ჭიშკარით გაიჭრება, უკან ჩამოიტოვებს ჯეფერსონსა და შავდრუნჩა მკვლელებს, ყველასა და ყველაფერს, მიუშვებს აღვირს და გააქროლებს მას ჰაიბოი სადაც მოესურვება და რაც შეიძლება შორს და მანამდე ივლის, სანამ ქანცი არ გამოელევა, მერე კი თუ უნდა სულ ნელა იაროს იმისმა ბედაურმა, ოღონდ კი კუდით ჯეფერსონისკენ და შავდრუნჩა მკვლელებისკენ იყოს; გაიარა ის ჭიშკარი, ავიდა, გადაჭრა ის აივანი და კვლავ გამოსტყვრა ის მეციხოვნე მარჯვენა კარიდან შეშფოთებული და გაჯავრებული.

— კიდევ, — თქვა მეციხოვნემ, — აღარ კმარა?

— რაღაც დამავიწყდა, — მან მიუგო.

— იყოს დილამდე, — უთხრა მეციხოვნემ.

— ახლა წაიღოს, — ჩვეულებისამებრ წყნარად, დამარცვლით თქვა ლიგეიტმა, — თუკი დილამდე დარჩება, შეიძლება გადატკეპნონ

სულაც, — ხოდა, მიტრიალდა მეციხოვნე, ისევ აუყვა კიბეს, ისევ გააღო ის მუხის კარი.

— მეორეს კი ნულარ გააღებთ, — თქვა მან, — იმ რიკულებიდანაც შემიძლია. — და ლოდინი აღარ დაუწყია, კარი მიიხურა მის უკან, გაიგონა, საკეტი ჩასხლტა ჭრილში, მერედა რა მოხდა, შეიძლება დააკაკუნოს. კიბეზე ჩამავალი მეციხოვნის ფეხის ხმა გაიგონა, შეუძლია ხმამაღლა დაიძახოს და იატაკს ფეხი დაჰკრას და ლიგეიტი მაინც გაიგონებს, ასე გაიფიქრა **შეიძლება ის დაწყევლილი ერთი თეფში სალათა და ხორცის ნაჭერი გამიხსენოს ან იქნებ მითხრას, მხოლოდ მე შემოვრჩი იმას, მხოლოდ მე და მეტი არც არავინ და ეს საკმარისი იქნება** — სწრაფად მიაშურა იმ ფოლადის კარს, ლუკასი იყო იქ გაუნძრევლად, შუაგულ საკანში მდგომარე იმ ნათურის ქვეშ და კარს გამოჰყურებდა, ის კი მიუახლოვდა, შედგა, მკვეთრად წარმოთქვა. ბიძამისსაც კი აჯობა, ისე:

— კარგი. მაინც რა გნებავთ?

— მიდი და ის ნახე, — თქვა ლუკასმა.

— სად მივიდე და ვინ ვნახო? — იკითხა მან. მაგრამ უკვე ყველაფერს კარგად მიხვდა. თითქოსდა სულ მუდამ იცოდა, ასეც უნდა მომხდარიყო. რაღაც შვებით გაიფიქრა **მორჩა, გათავდა** და ამ დროს კი მისი შინაგანი ხმა შფოთიანად გაიძახოდა: მე? **მე-მეთქი?** და ეს იმასა ჰგავს, რაღაცას გაურბიხართ, შიში გაქვთ, თავზარდაცემულიცა ხართ მთელი ეს წლები და ასე გგონიათ, მთელი ცხოვრებაც, და მაინც მოხდა მოსახდენი და იყო, ტკივილი, ანწუხზე აცმა და რახან ასეა, გასრულდა, მოგვარდა ყველაფერი.

— მე გადაგიხდით, — უთხრა ლუკასმა.

ხოდა, ყურს აღარც უგდებდა, საკუთარი ხმაც კი არ ესმოდა გაოცებულსა და ცოფებმორეულს: „მე უნდა წავიდე იმ საფლავის ამოსათხრელად?“ მერე კი უკვე აღარც ფიქრობდა **ხედავ რა უნდა დაშიჯდეს ის ერთი თეფში ხორცი და კომბოსტო.** რადგან უკვე კარგა ხანია გადაებიჯებინა ამ ზღვარს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რაღაცამ — რაც უნდა ყოფილიყო — დააყოვნა ამ ხუთი წუთის წინ და გაჰყურებდა იმ სივრცეს, ანუ გაუვალ უფსკრულს, რომელიც გადაჭიმულიყო იმასა და მოხუცი ზანგი კაცისმკვლელს შუა და დაინახა, გაიგონა, ლუკასმა რაღაც უთხრა იმას იმიტომ კი არა, რომ ის გახლდათ ჩარლზ მალისონ უმცროსი, იმიტომ კი არა, იმისი მწვანილი რომ მიირთვა და გათბა იმის ცეცხლთან, არამედ ამიტომ, ის გახლდათ ერთადერთი იმ თეთრთაგან, ვისთანაც ლუკას შეეძლო გამოლაპარაკება ახლა იმ წუთის დადგომამდე, როდესაც საკნიდან გამოიყვანენ და დაბლა თრევით ჩაათრევენ და სწორედ მას მოეახლება იმისი თვალების ჩუმი, სასოწარკვეთილი ნათება. მან უთხრა:

— აქეთ მოდით. — ლუკასი მოუახლოვდა, ღობესთან მოსული ბალღივით დადგა ხელებით რიკულებს ჩაჭიდებული. არც კი ახსოვს, თუ როგორ მოხდა, მაგრამ დაიხედა და დაინახა იმ რიკულებს ჩაჭი-

დებული თავისი ხელებიც, ორი წყვილი ხელი, შავ-თეთრნი, ჩაჭიდებულნი იმ რიკულებს და იმათ ზემოთ სახეებითაც პირისპირ მდგომარენი. მოვედი, თქვა მან, რა გინდათო?

— წადით და ის ნახეთ, — უთხრა ლუკასმა, — თქვენ რომ უკან დაბრუნებით და თუკი გვიანლა იქნება, მე შემიძლია ახლა ქაღალდზე ხელი მოგიწეროთ, ამდენი და ამდენი მმართებს-მეთქი თქვენი, რამდენს გამომართმევთ?

მაგრამ ის ყურს არც უგდებდა, უკვე იცოდა და ასე წარმოთქვა თავისთვის, ჩვიდმეტი მილი უნდა გავიაროო იმ სიბნელეში...

— ცხრა, — მიუგო ლუკასმა, — გოურები კალედონიურ* სამლოცველოსთან მარხავენ. იმ გორებისკენ პირველივე მოსახვევს უნდა მიჰყვეთ, მეცხრე მილის ფშანის ხიდთან. ნახევარ საათში მიხვალთ იქ ბიძათქვენის მანქანით.

— ... ვაითუ გოურებმა დამიჭირონ საფლავის თხრისას. მერედა რად, არც კი ვიცი. არც ის ვიცი, რად უნდა ვნახო. რად-მეთქი?

— ჩემი პისტოლეტი ორმოცდაერთი კალიბრიანი კოლტია,—თქვა ლუკასმა. მართლაცდა, ასე იყო. კალიბრიღა არ იცოდა მან, კარგი იარაღი იყო, კარგადაც გაძართული, ძველი ყაიდისა და ისეთივე იშვიათი და გასაოცარი როგორც ის ოქროს საჩიჩქნი, რომლითაც იქნებ (უეჭველადაც) ის ბებერი კეროთერ მაკ-კასლინი ამაყობდა ამ ნახევარი საუკუნის წინათ.

— კარგი, — მან მიუგო, — მერედა რა?

— ის არ მოუკლავთ ორმოცდაერთი კალიბრის კოლტით.

— რითიღა მოკლეს?

ლუკასს ამაზე აღარაფერი უთქვამს, გაუნძრევლად იდგა იმ ფოლადის კარს უკან, ხელებით მოყრდნობილი იმ რიკულებს, ფშვინვაღა ისმოდა მისი. მეტს არც მოელოდა ლუკასისგან და იცოდა კიდევაც, არც არასდროს იტყოდა ლუკასი რამეს, სიტყვას არ დაძრავდა ვინმე თეთრთან და ისიც იცოდა, თუ რად დაიცადა ლუკასმა, რათა იმისთვის, ბალღისთვის ეთქვა იმ პისტოლეტის შესახებ, ბიძამისს კი არ უთხრა, არცა შერიფს, ვინც მოვალე იყო სამარე გაეხსნა და გვამი ენახა; ის გაოცებულიც კი იყო, რომ ლუკასმა კინაღამ ბიძიას არ მოუთხრო ყველაფერი და გაითავისა, დააფასა ბიძიას ეს ნიჭი, ყველა მოუთხრობდა იმას იმ ამბავს, რასაც სხვას არავის არ ეტყოდა, იმასაც კი ეუბნებოდნენ, თეთრ კაცს რომ არა და არ გაუმხელდა ზანგი; მოხუცი ეფრაიმი და დედამისის ბეჭედი გაახსენდა, ხუთი წელიწადი იყო გასული იმ ზაფხულის მერე, იაფი ქვით გაწყობილი ის სამკაული ტყუპისცალივით ჰგავდა იმ მეორეს, რომელიც კალიფორნიაში ჰქონდა მის დაქალს; დედა მაშინ ვირჯინიაში, სუითბრიერში სწავლობდა და ის და მისი დაქალი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ და ის

---

* შოტლანდიის ძველი სახელწოდება.

ბეჭდები თავიანთი დანაზოგით უყიდიათ, ერთმანეთისთვის გაუცვლიათ და შეუფიცავთ, როგორც ეს გოგოებს სჩვევიათ, სიკვდილამდე ნუ მოვიცილებთო. მოხდა ისე, რომ ახლა იმ დაქალის ქალიშვილი სწორედ სუითბრიეერში იმყოფებოდა სასწავლებლად; დედასა და იმ კალიფორნიელ ქალს უკვე კარგა ხანია არ ჰყავდათ ნანახი ერთმანეთი და შეიძლება აწი აღარც კი შეხვედრილიყვნენ. დედა მართლაც არ იცილებდა იმ ბეჭედს; ეოთ დღეს კი დაკარგა; ახსოვს, ღამით გამოეღვიძა, ხედავს, სინათლე ანთია ქვევით და მიხვდა, დედამისი კიდევ ეძებდა იმ ბეჭედს და მთელი ეს ხანი მოხუცი ეფრაიმი იჯდა იმ თავის შინ ნაკეთებ სარწეველა სავარძელში პარალის აივანზე; ხოდა, ერთხელ ეფრაიმმა უთხრა იმას, ნახევარ დოლარად გაპოვნინებო დაკარგულს, მისცა მან ეფრაიმს ნახევარი დოლარი და იმ დღესვე ერთი კვირით წავიდა სკაუტთა ბანაკში, ჩამოვიდა უკან და დედამისი დაინახა, გაზეთები დაუფენიათ მაგიდაზე, ვეებერთელა ქილა გადმოეპირქვავებინათ იმასა და პარალის, ფქვილს ჰყრიან იქიდან და ჩანგლებით ურევენ, პირველად გაახსენდა ამ ერთი კვირის მანძილზე ის ბეჭედი, პარალისას მიირბინა, სადაც ეფრაიმი იჯდა ხოლმე იმ თავის სავარძელში აივანზე; ეფრაიმმა უთხრა მას: „ღორების სალაფავს ქვეშა მამაშენის ფერმაში“; და აღარც იყო საჭირო ეთქვა ეფრაიმს, ასე და ასეაო, რადგან თავადაც უკვე მიმხვდარიყო: ქ-ნი დაუნსი, მოხუცი თეთრი ქალი, ვინც ჭუჭყიან ქოხში ცხოვრობდა და მელიას სოროსავით ყარდა იქაურობა; ზანგების დაბაში, ქალაქის განაპირას იყო მისი ქოხი და მთელი დღეები და ღამღამობითაც, გვიანობამდე დადიოდნენ აქ ზანგები; ის დედაკაცი (პარალისაგან არ გაეგო, ვინც არ ვიცი, ეუბნებოდა ან დროს ვერ ნახულობდა, ალეკ სანდერმა ალბო) მარჩიელობისა და ექიმბაშობის გარდა დაკარგული ნივთების პოვნაშიც შველოდა ხალხს; ხოდა, ის ნახევარდოლარიანი იმას მიუვიდა და იმანაც მაშინვე და საბოლოოდ დაიჯერა, ის ბეჭედი უკვე ნაპოვნიაო და არც კი მოიკითხა, თუმცა რაღაც-რაღაცების გაგება კი მოინდომა და ეფრაიმს ჰკითხა: „მთელი ერთი კვირა გცოდნია სადაცაა და რად არ უთხარი იმათ?“ გამოხედა იმას ეფრაიმმა მშვიდად და ნება-ნება რწევით მოწუწნა ის თავისი გაცივებული, ფერფლით გამოტენილი ჩიბუხი და ყოველ გაქანებაზე პატარა დგუშის დარ ხმას რომ გამოსცემდა: „კი შემეძლო მეთქვა დედაშენისთვის, მაგრამ ვინმე ხომ უნდა დახმარებოდა იმას. და, ამიტომაც გელოდებოდი. ბავშვებსა და დედაკაცებს კი აქვთ დრო. ყურის დაგდება შეუძლიათ. მაგრამ ხანდაზმულ კაცებს მამაშენივით და ბიძაშენივით არ შეუძლიათ ყურის დაგდება. დროს უფრთხილდებიან. საქმეს რა გამოუღევდა. კარგად დაიმახსოვრე, რადგან მოვა დრო და გამოგადგება. თუ როდისმე რაიმეს გაკეთება მოგიხდება, რასაც ყველას ვერ ეტყვი, მამაკაცებს თავი დაანებე, მიდი ქალებთან და ბავშვებთან ისინი დაგეხმარებიან“. და გაახსენდა, მამამისი თუმცა არ განრისხებულა, მაგრამ კი გაჯავრებულა და კინაღამ ცოფებიც არ მოერია, ასე როგორ იქ-

ნებაო, მერე კი ზნეობრივ ქადაგებასა და დაცვას მოჰყვა. და ბიძამისმა კი, ვინც განწყობილი იყო დაეჯერებინა ის, რაც სხვა ასაკოვანი ხალხი ეჭვით მოეკიდებოდა მხოლოდ იმიტომ, საღი გონებით ძნელი გასათავისებელი იყო; ხოლო დედამისი უკვე გულმშვიდად და ჯიუტად გამზადებულიყო ფერმაში წასასვლელად, სადაც აღარ ყოფილა უკვე ერთ წელიწადზე მეტი, მამამისი კი რამდენიმე თვის წინ იყო იქ ნამყოფი ჯერ კიდევ მანამ, სანამ ბეჭედი დაიკარგებოდა; ხოდა, ბიძამისმა უარი თქვა მანქანა გამოეყვანა იქ მისასვლელად, მამამისმა კი კაცს უხმო გარაჟიდან და იმან მიიყვანა იქ დედამისი, ფერმაში მივიდნენ და იქაური მოსამსახურე მოიშველიეს, გადასწიეს ღორების გობი და იპოვნეს ის ბეჭედი. მხოლოდ ახლა რაღა სახსენებელია ის იაფფასიანი ბეჭდები, რომლებიც ერთმანეთს გაუცვალა ორმა გოგომ ოცი წლის წინათ, თავად სიკვდილი მოახლოებულიყო უსირცხვილო გააფთრებით იმიტომ კი არა, რომ მკვლელს მოსურვებოდა ასე, არამედ ამიტომ, შავი კანის ფერის მიუხედავად ლუკასმა არ ინება ბევრის თქმა იმისათვის; ხოდა, ასე გაიფიქრა სულ უფრო და უფრო გამძვინვარებულმა: **დავუჯერო? რა დავუჯერო?** რადგან ლუკასს არც კი უთხოვნია მისთვის, დამიჯერეო, არც კი უთხოვნია, პატივი მეცი, სასოწარკვეთილებით არ შეჰღაღადა, კაცი არა ხარ, შემიბრალეო, ფული შესთავაზა, თუკი ბევრს არ გადამახდევინებო და იმას მარტოდმარტოს უნდა გაევლო ჩვიდმეტი მილი (არა, ცხრა, გაახსენდა, რაღაც ხომ გავიგონეო მაინც) ბნელ-უკუნეთში, სიცოცხლე სასწორზე შეაგდოს, დაიწყოს იმ კაცის საფლავის თხრა, ვინც ერთი იმათთაგანი იყო, რომლებსაც შეუძლიათ მძვინვარედ და უწყალოდ ანწუხზე აცვან ადამიანიშვილი და არც კი თქვან რატომ. მაინც კვლავ სცადა ეკითხა, თუმცა კი იცოდა, ლუკასმა თავის მხრივ იცოდა, ის წავიდოდა და ამავე დროს მან ისიც იცოდა, თუ როგორი იქნებოდა მისი პასუხი.

— რომელი პისტოლეტით მოკლეს ის, ლუკას, — და პასუხიც ზუსტად ისეთი იყო, როგორც ის მოელოდა და ლუკასმაც იცოდა ეს ამბავი.

— მე გადაგიხდი, — უთხრა ლუკასმა, — მაგრამ მითხარი რამდენს მთხოვ რომ შევძლო და მე გადაგიხდი.

ღრმად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა, ერთმანეთს მოსჩერებოდნენ ისინი იმ რიკულებში, ბერიკაცის დანისლული თვალები უმზერდა მას იდუმალებითა და განუსჭვრეტელად. დაჟინებული თხოვნა აღარ ჩანდა იმის მზერაში და მან ასე გაიფიქრა მშვიდად **არა მარტო მაჯობა იმან, არც არასდროს, წამითაც არ შეპარვია ეჭვი ამაში.** მან უთხრა:

— კარგი. ვთქვათ და დავხედე, მაგრამ ამით რა გეშველება? თუნდაც იმ ტყვიის შესახებაც გითხრა. თქვენ ხომ გესმით. უნდა ამოვთხარო, ამოვიყვანო სანამ ის გოურები მომისწრებდნენ, ქალაქს ჩამოვიტანო, სადაც ბ-ნი ჰემპტონი მემფისიდან ექსპერტს ჩამოიყვანს, ვისაც შეუძლია თქვას რამე იმ ტყვიაზე — ლუკას შეჰყურებდა ის, ბერიკაცს რბილად მოეკიდებინა ხელი საკნის შიგნიდან რიკულებისთვის

და აღარც კი უყურებდა იმას. კვლავ ღრმად ჩაისუნთქა. — მაგრამ მთავარი მაინც ეს არის, მიწიდან ამოვიღო და იქ წავიღო, სადაც ვინმე ნახავს... — ლუკასს დააცქერდა — იქ უნდა მივიდე; ამოვთხარო და უკან, ქალაქს დავბრუნდე შუაღამის დადგომამდე ან პირველ საათამდე და შეიძლება შუაღამითაც უკვე გვიანი იყოს. არ ვიცი; ამას როგორ ვიზამ. ვერ შევძლებ.

— შეეცდები დაგელოდო, — თქვა ლუკასმა.

თავი 4

ძველისძველი, ნახმარი პიკაპი იდგა იმის სახლთან ტროტუარის ახლოს. რვა საათს უკვე კარგა ხანია გადაცილებული იყო, რაღას მოესწრებოდა, ოთხ საათზე ნაკლები დრო ჰქონდა, რათა ბიძამისი შერიფისას მისულიყო, დაერწმუნებინა იგი, მერე მოსამართლე თუ სხვა ვინმე ეცნახათ, აეხსნათ, დაეჯერებინათ, სამარის გათხრა

ნაცვლად, უჰალსტუხო საკვირაო პერანგსა და შარვალში გამოწყობილი ქალი იჯდა, უბრალო ჩითის კაბა ეცვა ცალ, თავზე დაეკოსებინა თითქოსდა მცირეოდნავ მტვერდაკრული შავი შლაპა, ზუსტად ასეთ ბებიამისი ატარებდა, და მაშინვე იცნო, ვინც იყო, ჯერ კიდევ მანამ სანამ იმის საათს დაინახავდა, ოქროსი იყო ის საათი, ბრტყელ მკერდზე ოქროსავე ქინძისთავით მიბნეული იმის მსგავსად თუ სწორედ ისევე როგორც სამკერდე გულის ტუზი მოფარიკავის ტილოს ქურთუკზე — რადგან მას შემდეგ, რაც ბებია მოკვდა, აღარ უნახავს ვინმე ნაცნობი ქალი, ვინც ატარებდა, ახუ, ჰქონოდა ასეთი საათი, გაუკვირდა, პიკაპი მაინც როგორ ვერ ვიცანიო, მისს ჰებერშემს ეკუთვნოდა, ამ ოლქის უძველესი გვარის წარმომადგენელს. სამნი იყვნეს ოდესღაც: ექვინი ჰებერშემი, მფლობელი ფუნდუკისა, რომელსაც ერქვა „ჰოლსტონი“, ვიღაც ჰუგენოტის უმცროსი ვაჟიშვილი, გრენიე იყო ის გვარად, ჯერ კიდევ მაშინ ჩამოსულიყო ცხენით აქ, როდესაც არც საზღვრები იყო ჩამოყალიბებულ-აღნიშნული, სახელებშერქმეული და ჯეფერსონი გახლდათ ის ადგილი, სადაც ჩიკაოსოს ტომის ხალხი სავაჭროდ მოდიოდა და ჩიკასოსურადვე ეძახოდნენ რაღაცას, სწორედ ამის მეშვეობით გამოაგნებდნენ აქ უგზოუკვლო ტევრებსა და ლერწმოვანებში, უღრან ტყეებში, მაგრამ ახლა ყოველივე აღგვილიყო მიწისაგან პირისა და მეხსიერებიდანაც; „ჰოლსტონი“ ახლა ჩვეულებრივი სასტუმრო იყო მოედანზე და ამ ოლქში ვიღას ადარდებდა ამ სახელის წარმომავლობის ამბავი; ლუი გრენიეს, პარიზული განათლების მქონე დახვეწილი მანერების დილეტანტი არქიტექტორის სისხლი, ვისაც მცირეოდენი საადვოკატო პრაქტიკა ჰქონდა და ძირითადად პლანტატორობითა და მხატვრობით გაელია თავისი წუთისოფელი (უფრო კარგად ჰფლობდა ტილოსა და ფუნჯს, ქერისა და ბამბის მოყვანა მაინც(ჯდამაინც არ ეხერხებოდა), ახლა სჩქეფდა ერთი შუა ასაკს მიტანებული, წყნარი, გულმხიარული ბავშვური საბისა და ჭკუის კაცის ძარღვებში, ის ცხოვრობდა ნახევრად სოროსა თუ ფარდულში, რომელიც თავისი ხელით ჰქონდა აგებული ძველი, შემპალი ფიცრებით, გაბრტყელებული საღუმელე მილებით, კონსერვის კოლოფებით, მდინარის პირას, ქალაქიდან ოც მილზე, რა ხნისა იყო არ იცოდა და არც კი შეეძლო დაეწერა „ლონ გრინაპი“, როგორც ის ეძახდა თავის თავს და არც კი უწყოდა, რომ მიწა ბისი ქოხმაზითურთ იყო უკანასკნელი ნაგლეჯი იმ ათასეულობით აკრისა, რომელსაც მისი პაპისპაპა ჰფლობდა და მხოლოდ მისს ჰებერშემი დარჩენილიყო, სამოცდაათი წლის შინაბერა, ვინც ძველი კოლონიური ყაიდის სვეტებიან სახლში ცხოვრობდა, ქალაქის განაპირას, არც შეუღებავთ მას მერე, რაც ამ ქალის მამა მოკვდა, აქ არც დენი და არც წყალი იყო გამოყვანილი, ორი ზანგის მსახური ჰყავდა (რაღაც გაუელვა წამით თავში და სანამ გაითავისებდა, უკვე მეორე წამში განქარდა, კი არ მოიცილა, განქარდა), ქოხი ჰქონდა იმათ უკანა ეზოში, ქალი (ცოლი იმ ზანგი მსახურისა) სამზარეულოში

ტრიალებდა, ხოლო მისი ქმარი და მისს ჰებერშემი წიწილებს ზრდიდნენ, ბოსტნეულს უვლიდნენ და ,ქალაქს ,ჰაჰქონდათ გასაყიდად იმ პიკაპით. ამ ორი წლის წინ ერთი ძვალმსხვილი ბებერი თეთრი ცხენი ჰყავდათ (ამბობდნენ, ოცი წლისა იყოო და როგორც ახსოვს, ქონიანი თეთრი ბეწვის ქვეშ იმას ბალღისამებრ ვარდისფერი კანი ჰქონდა) და ორთვალა. მერე კარგი მოსავალი ნოუწევიათ თუ რაღაც გამართლებიათ და მისს ჰებერშემს ნახმარი პიკაპი უყიდია, ყოველ დილით ზამთარსა თუ ზაფხულში ხედავდნენ იმას ქუჩაში, ერთი სახლიდან მეორე სახლამდე მიმავალს, მისს ჰებერშიმი იჯდა საჭესთან, ბამბის წინდები ეცვა, ეხურა შლაპა, რომელიც უკვე ორმოცი წელიწადია არ მოუცილებია, ეცვა სუფთა ჩითის კაბა, „სირს რობაკის“ კატალოგში ენახა ის, ღირდა ორი დოლარი და ოთხმოცდათვრამეტი ცენტი, ქინძისთავით ოქროს პაწაწინა საათი მიებნია მკერდზე, რომელსაც არც არასდროს გაჰკარებია ჩვილი ძუძუს მოსაწოვებლად, იმას ეცვა ის ფეხსაცმლები და ხელზე წამოცმული ჰქონდა ის თათმანები, რომლებიც, დედას ასე ჰქონდა ნათქვამი, ნიუ იორკის მაღაზიაში შეუკვეთავს, პირველი ოცდაათ-ორმოც დოლარად, მეორე კი თხუთმეტ-ოც დოლარად, იმის მოსამსახურე ზანგის კაცს კი კარგა დიდი ღიპი დასდებოდა და კალათით სახლიდან სახლში დაჰქონდა ერთ ხელში მწვანილი და კვერცხები, მეორეთი კი უკვე ბუმბულგაცლილი წიწილა — იცნო, გაახსენდა, კიდევაც მიიპყრო მისი ყურადღება (გარკვეული ხნით) და მოიცილა, დრო აღარ ჰქონდა, სწრაფად ამოთქვა:

— საღამო მშვიდობისა, მისს ჰებერშემ. მაპატიეთ, ბიძია გუვინს უნდა ვუთხრა რაღაც, — მერე ისევ ბიძიას მიუბრუნდა, — გევინ ბიძია...

— ხოდა, ასე მისს ჰებერშემ, — სწრაფად, იმწამსვე წარმოთქვა ბიძიამ იმ იერითა და ხმით, რომელიც სხვა დროს მაშინვე მიახვედრებდა, თუ რისი თქმა სურდა ბიძიას. მაგრამ ახლა ვერა. არც კი გაუგონია რამე. ყურის დაგდება არც კი შეეძლო. მართალი თუ გნებავთ, სათქმელი დროც აღარ ჰქონდა, ჩქარა და წყნარად ლაპარაკობდა, თუმცა კი მტკიცედ და მხოლოდ ბიძიას მიმართავდა, მისს ჰაბერშემი უკვე დავიწყებოდა, აღარ ახსოვდა თუ იყო იქ:

— რაღაც უნდა გითხრათ თქვენ, — და შეჩერდა იმ წუთასვე იმიტომ კი არა, რომ სათქმელი გაასრულა, დაწყებულიც კი არ ჰქონდა, უფრო ამიტომ, პირველად გაიგონა, რომ ბიძია არც კი იყო შეჩერებული, ნახევრად მიბრუნებული იჯდა სავარძელში, ცალი ხელი უკან გადაეგდო, მეორეთი კი მაგიდაზე დაედო წინ იმ თავისი თიხისა და სიმინდის ღეროს ანთებული ჩიბუხით და ასე თქვა ისეთი ხმით, წკეპლას იქნევსო თითქოს:

— ხოდა, თავად შენ მიუტანე. თუ იქნებ არც კი გიშოვნია იმის-

თვის თამბაქო. იმან კი რაღაც არაკი გიამბო, კი მოგეწონებოდა მგონია.

მორჩა და გათავდა. შეეძლო ახლავე წასულიყო, სწორედაც მართლაცდა, რაღას მოდიოდა აქ, რად შემოიჭრა ამ დერეფანსა ან ან სახლში, სჯობდა უკანიდან შემოერბინა და ალეკ სანდერისთვის დაეძახა საჯინიბოსკენ მიმავალ გზაზე; ლუკასმა უთხრა იმას ციხეში ამ ოცდაათი წუთის წინ, როდესაც უკვე თითქმის რაღაც ზღვარს იყო მიტანებული და თავს წამოდგომოდა იმ გოურების აჩრდილი, ასე გაუფიქრებია იმ კაცს მაშინ, არ ივარგებსო რამე ვუთხრა იმის ბიძიას ან სხვა ვინმეს, თეთრთაგანს. თუმცა კი ისევ ისე გაუნძრევლად იდგა, მისს ჰებერშემი აღარც ახსოვდა, დავიწყებოდა; მაპატიეთ, ესღა თქვა და გაქრა არა მარტო ოთახიდან, ამ წამიდანაც ისე, როგორც ილუზიონისტი ერთი სიტყვით ან ხელის აქნევით გააქრობს პალმის ხეს ან კურდღელს, ან ვარდების ქოთანს და ახლა ისინი მარტონი დარჩენილიყვნენ, სამნი იმათთაგანი — ის კართან, კარს ხელმოკიდებული, სანახევროდღა იმ ოთახში მდგარი, სადაც არც არასდროს ყოფილა ნამდვილად შემოსული და კარგად ფეხშემოდგმული, საიდანაც სანახევროდვე გასულიყო და დერეფანში იმყოფებოდა; აქ რამ წოიყვანა, დროს რად კარგავდა; ბიძამისი კი ისევ ისე იჯდა საგარძელზე გადაწოლილი ქაღალდებით სავსე მაგიდასთან, აქავე იყო მეორე ისეთი გერმანული ფინჯანი დახვეული ქაღალდებით გამოტენილი და ალბათ დუჟინი ისეთივე თიხისა და სიმინდის ღეროს ჩიბუხი ამა თუ იმ ზომით მომწვარი; აქედან სამ მილზე კი — ბერიკაცი ერთი, მარტოხელა უმეგობრო ახირებული მზვაობარი გულამაყი შეუვალი (თავხედიც კი) იმ საკანში, სადაც პირველივე ნაცნობი ხმა შეიძლება იყოს ცალხელა ნაბ გოურისა, ვინც ასე დაიძახებს ქვემოთ: „გზა მიტიე, უილ ლიგეიტ. იმ შავდრუნჩასთვის მოვსულვართ ჩვენ“, ამ ლამპით განათებული ოთახის იქით კი გურგური გააქვს ვეება დროებას, რომელიც კი არ უახლოვდება შუალამეს, მოათრევს ამ შუალამეს იმიტომ კი არა, რათა ეს შუალამე გადაამზღრიოს, უფრო ამიტომ, თავად ეს შუალამისეული ბზღვრევა აღამაღლოს ცად; და მან იცოდა, ის საბედისწერო წუთი მაშინ კი არ დამდგარა, როდესაც მან უთხრა ლუკასს კარგიო იმ მისი საკნის ფოლადის კარში, არამედ ახლა, როდესაც ის დერეფანში გადააბიჯებს და კარს გამოკეტავს. ხოდა, კვლავ შეეცადა, წყნარად იყო, არც კი აჩქარებულა ახლა, არც კი მისძალებია, თუმცა დაჟინებითა და ჭკუადახედულად წარმოთქვა:

— იქნებ არც კი იყო მისი პისტოლეტით მოკლული.

— რაღა თქმა უნდა, — მიუგო ბიძიამ, — მეც ასე ვიტყოდი, ლუკასი ან სხვა ზანგი მკვლელი, ან თუნდაც ვინმე ბრიყვი თეთრთაგანი კაცისმკვლელი რომ ვყოფილიყავი. იმან შეიძლება ასე გითხრა, მე გავისროლეო იმ ჩემი პისტოლეტით. მაგრამ ვის მოარტყა? კურდღელს თუ იქნებ კონსერვის ქილას, ან იქნებ ხე ამოიღო მიზანში,

რათა გაეშინჯა დატენილი თუ იყო და სროლა თუ შეიძლებოდა იმით. თუმცა ამას თავი დავანებოთ. ვთქვათ და მართლაც ასეა, მერედა რაო? რას იტყვი? არა, ლუკასმა რა გითხრა-მეთქი?

და იმან ასეც კი უპასუხა ამაზე, იქნებ ბ-ნმა ჰემპტონმა ამოთხარის და ნახოსო?

— რის საფუძველზე? ლუკასი ხომ ორი წუთის მერე, თითქმის ვასროლისთანავე დაიჭირეს, თავს დადგომოდა ჯიბეში ბოლადენილი პისტოლეტით. არც კი უთქვამს, არ გამისროლიაო; ჩვენების მოცემაზე უარს ამბობს, მეც არ მეუბნება, თავის ადვოკატს, თავისივე არჩეულ ადვოკატს. რასა შვრება? სჯობს იქ მივიდე და კიდევ ერთ იმისა ვაჟს ვესროლო, ვიდრე ასე ვუთხრა ნაბ გოურის, შენი ბიჭის გვამი უნდა ამოვთხარო საფლავიდან, სადაც დაკრძალულია და წესიც აქვს აგებული. და თუკი ვიზამ ამას, მაშინ სჯობს ასე ავუხსნა, სამარის გათხრა იმიტომ მინდა, რათა ოქროს კბილები დავაძრო მიცვალებულს; ამას კი როგორ ვეტყვი იმ კაცს, ზანგის გადარჩენა მინდა მეთქი ლინჩისგან.

— მაგრამ თუკი... — თქვა მან.

— ყური დამიგდე, — უთხრა ბიძიამ როგორღაც ქანცმილეული თუმცა კი შეუვალი ნოთმინებით, — როგორმე მომისმინე. ლუკასი ჩაკეტილია იმ ფოლადის კარს უკან. დიდებულადაცაა დაცული ჰემპტონის მიერ თუ სხვათა მიერაც და უკეთესს ვერც ინატრებს. უილ ლიგეიტს ნათქვამი აქვს, კი მოიძებნება ხალხი და კიდევაც შეძლებენ იმასთან შეჭრას, ვერც ტაბსი და ვერც ის კარი შეაჩერებს იმათ, თუკი მოინდომებენ. მაგრამ არა მგონია ბევრნი იყვნენ ისეთები, რომლებსაც მაინცდამაინც ლუკასის ჩამოკიდება უნდათ ტელეფონის ბოძზე, ბენზინის გადასხმა და ცეცხლის წაკიდება.

ხოდა, ისევ. მაინც ცდილობდა. მაგრამ თუკიო... — კვლავ წარმოთქვა და უკვე მესამედ გაიგონა ზუსტად ის, რაც უკვე ორგზის უთხრეს ამ თორმეტი საათის განმავლობაში და კვლავ გააოცა სიმწირემ, თითქმის უკვე წესად შემოსულმა ამა თუ იმ კაცის ლექსიკონის სიღარიბემ, უსუსურობამ საერთოდ ლექსიკონისა, რომლის მეშვეობითაც ადამიანიშვილს შეუძლია შედარებით მშვიდობიანად ცხოვრება დიდ ნახირსა თუ ჯოგში ან ბეტონის ბაგაში, ბიძამისსაც აგრეთვე.

— თუნდაც მასე იყოს. ლუკასს უნდა ეფიქრა სანამ თეთრ კაცს ტყვიას დაახლიდა ზურგში. — და მხოლოდ მერე მიხვდა, ბიძამისი მისს ჰებერშემს ელაპარაკებოდა; იმ წუთას ის ვერც ხედავდა ამ ქალს ოთახში, აღარც კი ახსოვდა, რომ ამ ქალს უკვე კარგა ხანია შეეწყვიტა არსებობა და მიტრიალებული იყო, კარს კეტავდა და მაშინ ჩაესმა ბიძამისის აზრმოკლებული ხმა: — მე იმას ვუთხარი, რაც უნდა ჰქნას. მოსახდენი ჯერ კიდევ მაშინ ნოხდებოდა, როცა იმ სახლთან, უკანა ეზოში იყვნენ და არც არასდროს დაანებებდნენ ბ-ნ ჰემპტონს იმის ქალაქში ჩამოყვანას. მართალი თუ გინდა, ვერ მიმხვ-

დარვარ, რად არ ჰქნეს, მიზეზი რა იყო, ბედი იყო მისი თუ მოუხერ-ხებლობა, თუ ის ბებერი ბ-ნი გოური სულ მთლად დაჩაჩანაკებუ-ლა; კარგად კი მოგვარდა და ახლა აღარაფერი უჭირს, მე მივალ და დავარწმუნებ, დანაშაული აღიაროს, თქვას, შემთხვევით **მომიხდაო;** ის ბოხუცი კაცია და ოლქის პროკურორი თანახმა იქნება საკატორ-ღო ციხეში გადააგზავნონ და თუკი რამდენიმე წელიწადს კიდევ იცოცხლებს, — და მან დახურა კარი, ყველაფერი ეს აღრევე ჰქონდა გაგონილი, საკმარისია, უნდა გასწიოს, წავიდეს ამ ოთა-ხიდან, სადაც არც არასდროს ყოფილა მთლად შემოსული და ნეტავი რას მოდიოდა, კარის სახელური შეიგრძნო, მას მე-რე, რაც ხელი მოკიდა და ფიქრებმა მოიცვა მსგავსად იმ გაშ-მაგებული, თუმცა კი საგულდაგულოდ მოთმინებამოკრებილი კაცი-სა, ვინც ცეცხლმოკიდებულ სახლში მიმობნეული მძივების აკრეფას ცდილობს; **ახლა ისევ უკან უნდა გავბრუნდე ციხეში და ვკითხო ლუ-კასს, სად არის-მეთქი.** მიხვდა, შეიძლება ლუკასი ეჭვობდა, რა-ღაცას ფიქრობდა და მაინც, მიუხედავად ამისა სულითა და გულით მოელოდა, თავად ბიძია და შერიფი წავიდოდნენ იქ იმიტომ კი არა, ჩემი სიტყვა დაიჯერესო, არამედ ამას როგორ წარმოიდგენდა. ამას როგორ გაივლებდა გულში — მე და ალეკ სანდერს მოგვიხდებათო ამის გაკეთება; უცებ გაახსენდა, ლუკასს კარგად გაუთვალისწინებია, სულ ყველაფერი გაუთვალისწინებია, წამოაგონდა ეს და სული კი არ მოითქვა, უფრო ცოფები მოერია, გაწიწმატდა, ვერც იფიქრებდა, ასე თუ გამძვინვარდებოდა, ლუკასმა არა მარტო უთხრა თუ რაც უნ-დოდა, ზუსტადაც მიუთითა ის ადგილი და ისიც არ დავიწყებია, რო-გორ, რა გზით უნდა მისულიყო იქ და მხოლოდ ამის მერე ჰკითხა, **იზამ თუ არა ამასო** — შრიალი გაიგონა იმ სამკითხველოდან. მოხ-ლებზე ეხლებოდა მამას ის გაზეთი, სიგარის კვამლმაც გამოატანა იქიდან, საფერფლიდან ადიოდა ბოლი იმას ხელთან და ცისფერი ზო-ლი მოიკლაკნებოდა გამოღებული კარიდან, როდესაც მამა ნათაზს და-არტყამდა სინონიმებისა და მოსაძებნი სიტყვის მოფიქრებისას და (ესეც მოაგონდა) იმან რომ უთხრა, თუ რით უნდა წასულიყო და წა-მოსულიყო, და ასე წარმოიდგინა, კვლავ აღებს კარს და ბიძაშისს ეუბნება: **თავი დავანებოთ ლუკასს. ერთი თქვენი მანქანა მათხოვეთ** მერე მამასთან შედის ოთახში, ასე ეუბნება — მანქანის გასაღები სულ იმას აქვს ჯიბეში, მხოლოდ ტანსაცმლის გახდის ხანს გაახსენდება ხოლმე მისი ამოღება და იქ დატოვება, სადაც დედა ნახავს დილით— **გასაღები მომეცი, მამი, ქალაქგარეთ უნდა გავიდე და გვამი ამოვთხა-რო საფლავიდან;** მისს ჰებერშემის პიკაპიც კი მოაგონდა მისი სახ-ლის წინ მდგარი (მისს ჰებერშემი კი არა: არც არასდროს გახსენე-ბია ეს ქალი. მისი მანქანა მოაგონდა, ორმოცდაათი იარდის იქით იდ-გა ცარიელი და უმეთვალყურეო); გასაღები კი, როგორც ჩანს, იქა-ვეა, მანქანაში, ხოდა ის გოურები რომ დაიჭერენ მას მათი ვაჟიშვი-

ლის თუ ძმის ან ბიძაშვილის საფლავის გათხრისას, მანქანის ქურდიც ჩაუვარდებათ ხელში.

რადგან (მოიცილა მოიკვეთა უკუაგდო ერთბაშად მოისროლა მიაგდო ეს კანფეტივით სლიპინა-წებოვანი სისულელე) მიხვდა, რომ არც არასდროს შეპარვია ეჭვი, კი, ის წავიდოდა იქ და გვამსაც ამოთხრიდა. ხედავს, სამლოცველოს უახლოვდება, სასაფლაოში შედის თავისუფლად, ძალამიუტანებლად, დროის დაუკარგავად; ხედავს, სულ ადვილად ამოაქვს გვამი, აღუშფოთებლად, არც სული ეხუთება, არც კანკალი ეკიდება, არც თავზარი ეცემა, და მხოლოდ მაშინ ნოიჭრება, დააცხრება შუაღამე, მოაჩერდება, გაგუდავს და თუმცა კი უნდა, მაგრამ ვერა და ვერ ხედავს რაღაა იმის იქით, იმის უკან, ვერც მოიხელთებს და ვერც დასცემს. ხოდა (აღარ შეჩერებულა მას შემდეგ, რაც კარი მოიხურა) მთელი სხეულით გაიჭრა რაღაც მომაკვდინებელ განსჯა-გამოთვლაში, წყნარი ნძვინვარებით და სასოწარკვეთილად დაუნჯებული ფიქრით მოჰყვა ზომასა და წონვას, „უნდა“ — „არ უნდა“, რადგან არც ყოფილა „არ უნდა“; მისი იქ წასვლის მიზეზი ის იყო, რომ სხვა არავინ იზამდა ამას, არავინ იმის გარდა, არც არავინ, რადგან შერიფი ჰემპტონიც (vide*, უილ ლიგეიტია იქ და მისი თოფი, აყუდებული ციხის ღია კარწინ, ვითარცა სცენა განათებული და ვინც არ გაივლის, ყველა შეამჩნევს მას, ისე, როგორც თავად ის ყველას, ვინც მოუახლოვდება კარიბჭეს) კარგად არ არის დარწმუნებული, რომ ის გოურები და მთელი მათი ჯამაათი და ძმაბიჭები არ შეცვივდებოდნენ ამაღამ ციხეში ლუკასის გამოსაყვანად, ყველანი მოეხვეტებიან ამ ქალაქში და შეეცდებიან ლუკასისთვის ლინჩის ქმნას. მაშინ იქ, იმ არემიდამოში აღარავინ იქნება და ვერც ვერავინ დაიჭერს სამარის თხრის ხანს, და თუ ეს სწორედ ასეა, მაშინ ისიცაა ცხადი, ასე თუ არ იქნება, თუ ისინი ამაღამ ქალაქს არ წავლენ ლუკასის გამოსათრევად, ნაშინ ერთი მაინც გადაეყრება იმასა და ალეკ სანდერს იმ ორმოცდაათი თუ ასი კაციდან და ყმაწვილკაციდან, რომლებიც ერთმანეთთან არიან შეკრულნი სისხლით თუ მელიებზე ნადიროობით თუ არყის ხდით თუ ტყის ჭრით; და კიდევ ესეცაა, ის იქ ცხენით უნდა წავიდეს, მიზეზი ერთია: თექვსმეტი წლის ბიჭის გარდა ვინ წავა იქ, ვისაც ცხენი ჰყავს და არჩევანი უნდა გააკეთოს, მარტოდ წავა და მალევე მივა, სამაგიეროდ სამჯერ უფრო მეტი დრო დასჭირდება გვამის ამოსათხრელად, რადგან ერთი რას გახდება, კიდევაც უნდა ამოთხაროს, კიდევაც უნდა გუშაგად დადგეს და ყურები დაცქვიტოს ან ალეკ სანდერს წაიყვანს (იმასა და ალეკ სანდერს ადრეც უნოგზაურიათ ჰაიბოით, და ათ მილზე მეტიც გაუვლიათ — ტანვეება, ძვალმსხვილი ლაფშა იყო , ხუთი კადონის გადავლა შეეძლო ას სამოცდათხუთმეტი ფუნტი ტვირთით მაშინაც კი, როდესაც ორივე მიჰყავდა; დაურვებული ოთხით მიდიოდა ხოლმე, თუმცა

* შეხედე (ლათ.).

ალეკ სანდერს უჭირდა ამ სიჩქარის გაძლება, რადგანაც უნაგირის უკან უხდებოდა ჯდომა. ამ ცხენმა, აგრეთვე, უცნაური სიარული იცოდა, გაჰქუსლავდა, შეანელებდა. როგორღაც მიხრიალებდა და არა ერთი მილის გავლა შეეძლო ასე, ალეკ სანდერი ჯერ უკან შემოუჯდებოდა, მერე კი უზანგს ხელჩაჭიდებული მისდევდა) და სამჯერ უფრო მალე ამოთხრიდა გვამს და საშიში ის იყო, რომ ალეკ სანდერი ლუკასს დაუმშვენებდა გვერდს, თუკი ბენზინმომარჯვებულ გოურებს ჩაუვარდებოდა ხელში; და უცებ შენიშნა, ისევ მიუბრუნდა იმ კანფუტს, სწორედ ასე უჭირს კაცს ცივ წყალში ფეხის ჩაყოფა და თავისდა უნებურად საუბარი გაუმართა ლუკასს:

ცხენით უნდა წავიდეთ. სხვანაირად რას გავხდებით ლუკასი კი:

შეიძლება იმას მანქანა სთხოვოთ; ის კი:

უარს გვეტყვის უთუოდ. ნუთუ არ გესმით? უარსაც გვეტყვის და ჩაგვკეტავს კიდევაც, ცხვირსაც ვეღარ გამოვყოფ გარეთ, იმ ცხენისთვის ვეღარც მივალ; ლუკასმა კი:

კარგი. კარგი. მე სულაც არ მინდა შენი გაკიცხვა. რაც უნდა იყოს, ის გოურები შენ კი არ მიგცემენ ცეცხლს — დაბლა ჩავიდა და უკანა კარს მიადგა: მართალი არ იყო, მაშინ კი არა, როდესაც უთხრა, კარგიო იმ ფოლადის რიკულებში ან მაშინ, როდესაც უკან მიდგა და იმ კანტორის კარი დაკეტა, უფრო ახლა, ამ გამოუსწორებელ წამს, რომლის მერეც აღარ შეიძლება დაბრუნება; შეუძლია აქ გაჩერდეს და არც არასდროს გადავლოს ზღვარი, დაე იმ შუაღამის ნანუსრევი უვნებლად და უღონოდ დააცხრეს კედლებს, მაგარია, კი გაუძლებენ; სახლისაა ეს ზღუდენი, ვერ შეიმუსრება, შიშსაც გაუძლებს — არც კი შეჩერებულა, თავისთვისაც კი არ უკითხავს, იქნებ ვერც კი გავბედოო შეჩერება, კარს იქით გადააბიჯა უხმაუროდ, ჩაირბინა კიბე და გადაეშვა ნაზი მაისის ღამის გამძვინვარებულ, უკიდეგანო მორევტრიალში, სწრაფად გაიარა ეზო, მიაშურა ჩაბნელებულ ქოხმახს, სადაც პარალი და ალეკ სანდერი იმდენადვე არ იყვნენ დაძინებულნი, რამდენადაც სხვა ზანგები ერთ მილზე ქალაქიდან, არც აპირებდნენ დაძინებას, არც ლოგინში შეწოლას, წყნარად ისხდნენ თავისთვის სიბნელეში დაკეტილი კარებისა და დარაბების მიღმა, ელოდებოდნენ ჩქამს თუ ჩურჩულს მძვინვარებისას და სიკვდილისას, რომელიც კი უნდა გამოჰყოლოდა გაზაფხულის ფშვინვას; და შეჩერდა და დაუსტვინა, ნიშანი მისცა, ის და ალეკ სანდერი ასე უხნობდნენ ერთმანეთს მას მერე, რაც სტვენა ისწავლეს, წამებს ითვლიდნენ, სანამ ხელახლა მისცემდნენ ნიშანს და ასე გაიფიქრა, ალეკ სანდერს არანაირი სტვენით ვერ გამოიყვანს ამაღამ სახლიდან და უცებ უხმაუროდ, ბნელით მოცული ჩრდილიდან გამოსტყვრა ალეკ სანდერი, გამოვლო უმთვარო, მოქურუხებული არე, ცოტა ოდნავ უფრო მაღალი გახლდათ, თუმცა კი იმათ შორის რამდენიმე თვის სხვაობა იყო, ნოუახლოვდა, არც კი გამოხედა მას, იმისი თავის ზემოთ,

მოედნისკენ იცქირებოდა, თითქოსდა ტრაექტორია შეეძლო მოეხაზა ბეისბოლის ბურთივით იმის მზერას და გადავლებოდა ქუჩებსა და სახლებს, მერმე დაშვებულიყო მოედნის შუაგულში და ეხილა არა მოშავბნელებულ ეზოებში ჩაჩუმქრული სახლები, მშვიდობიანი ვახშმები, დასვენება და ძილი, რომელიც იყო მთელი დღის ბოლო და ჯილდო, არამედ მოედანი: სავაჭრო და სამმართველო შენობები, სასანართლო და სატუსაღო, სადაც ერთმანეთს შეჭიდებოდნენ ვნებანი ადამიანიშვილთა, რომლებისთვისაც დასვენება და პატარა სიკვდილი— ძილი იყო ბოლო, თავშესაფარი და ჯილდო.

— ჯერ არ მისულან იმ ბებერ ლუკასთან, — თქვა ალეკ სანდერმა.

— შენიანები კი რას ფიქრობენ? — მან უთხრა.

— რასაც შენ, — უპასუხა ალეკ სანდერმა; — ლუკასასთანები არ გამოგვილევენ სადავიდარაბოს.

— მაშინ სჯობს ბიძია გევინისას მიხვიდე სამსახურში, ჩემთან ერთად ნუღარ წამოხვალ.

— სად ნუ წამოვალ? — თქვა ალეკ სანდერმა. და იმან მიუგო ბ ქვახედ და მოუკიბავად, სულ ხუთი სიტყვით.

— ვინსონ გოურის გვამი უნდა ამოვთხაროთ, — ალეკ სანდერი არც კი შეტოკებულა, მხოლოდ იქით, იმის თავს ზემოთ იცქირებოდა მოედნის მიმართულებით, — ლუკასმა მითხრა, ჩემი იარაღით არ ვარისო მოკლული.

ალეკ სანდერი არც კი შეტოკებულა. ისე ჩაიცინა, ჩუმად, უმხიარულოდ, არც გაჯავრებით და ასე შემდეგ; ეს ხმა იყო მხოლოდ ის ხმა რა ხმაც იყო, სუნთქვა რომ ისმის, ისე, და ეს სუნთქვის ხმაა და მეტი არაფერი,—მე მდიდარი ვარ, — მიუგო მან, — ფული არ მჭირდება.

— ჰაიბოის მაინც დაადგი უნაგირი, მე კი წავალ და ფარანს მოვნახავ, ეს ხომ შეგიძლია? — თქვა მან, — ისე არ გაამაყებულხარ რომ ლუკასის გულისთვის ეს საქმე არ ქნა, მე მგონია.

რაღა თქმა უნდაო, უთხრა ალეკ სანდერმა და მიტრიალდა.

— ნიჩაბი და წერაქვიც წამოიღე, და გრძელი თოკიც. ესეც დამჭირდება.

— კარგი, უთხრა ალეკ სანდერმა. შეჩერდა. მიტრიალდა სანახევროდ. — ჰაიბოის როგორღა წამოაღებინებ ნიჩაბსა და წერაქვს, როდესაც სახრესაც კი ვერ გუობს შენს ხელში?

— არ ვიცი, — თქვა მან და უკანვე, სახლს მიაშურა და ჯერ ასე ეგონა, ბიძია გამოვიდა სადარბაზოდან, სახლს შემოუარა და აქ ბოდიისა სწრაფად, იმიტომ კი არ მოაფიქრდა ეს, ბიძიამ რაღაც ეჭვი აიღო ან გუმანით იგრძნოო, გულშიაც არ გაუვლია ეს ამბავი, ბიძიამ ხომ იმწამსვე, დაუფიქრებლად და მტკიცედ უარყო ეს მისი ვარაუდი, ამის შესაძლებლობაც კი; უფრო ეს იყო, ვერ მოგონებოდა, ვინ უნდა ყოფილიყო აქეთ მომავალი და მაშინაც კი, როდესაც დაი-

ნახა ის ქალი და ნაშინაც კი, როდესაც იცნო მისი ქუდი, მაინც ვერ მიხვდა, თუ ვინ იყო, სანამ მისს ჰებერშემმა სახელი არ დაუძახა. პირველად ასე გაუელვა თავში, ახლავე და უხმოდ უნდა ავურბინოო გარაჟის კუთხეს, საიდანაც ღობესთან მივიდოდა ჩუმად, ზედ გადაძვრებოდა, საჯინიბოს მიადგებოდა, ჭიშკრით მდელოზე გავიდოდა ისე, რომ სახლს არც ჩაუვლიდა გვერდით, მართალია იქ ფარანი ანთია... მაგრამ დააგვიანდა, მოესმა, დაუძახეს: „ჩარლზ“, მღელვარე ჩურჩულით უხმობდნენ, მოუახლოვდა ის ქალი, წინ დაუდგა, ისევ ჩასჩურჩულა, სწრაფად, მღელვარედ:

რაო, რა გითხრა? და უმალვე გაახსენდა, თუ რა გაუელვა თავში ბიძიასთან მყოფს, როცა იცნო ეს ქალი და მაშინვე გადაავიწყდა: მოხუცი მოლი, ლუკასის ცოლი, ქალიშვილი იყო იმ ბებერი ექიმი ჰებერშემის ბიძის მონა ქალისა, ის და მისს ჰებერშემი ერთი ხნისანი იყვნენ, სულ რამდენიმე დღე იყო სხვაობა მათ შორის და ორივენი მოლის დედის ძუძუს სწოვდნენ, ერთად იზრდებოდნენ ტყუპი დებივით, ერთ ოთახშიაც იძინებდნენ, თეთრ გოგის ლოგინში აწვენდნენ, ხოლო ზანგისას გვერდით, ტახტზე. თითქმის მოლისა და ლუკასის ქორწინებამდე გაგრძელებულა ასე, და მისს ჰებერშემმა ზანგურ ეკლესიაში მონათლა მოლის პირველი ბავშვი.

— იმან თქვა, ჩემი პისტოლეტი არ იყოო, — უთხრა მან.

— ხოდა, იმას არ უქნია, — თქვა ქალმა ისევე სწრაფად და მღელვარების გარდა კიდევ რაღაც გაისმა იმის ხმაში.

— მე ეს არ ვიცი, — მან მიუგო.

— სისულელეა, — თქვა ქალმა, — თუკი მისი პისტოლეტი არ იყო...

— მე არ ვიცი, — ისევე მიუგო.

— შენ უნდა იცოდე, ხომ ნახე, ელაპარაკე...

— მე არ ვიცი, — უთხრა მან. უთხრა სწრაფად, მშვიდად, როგორღაც უნდობლად გაოცებული, თითქოსდა ახლაღა მიმხვდარიყო, თუ რას იყო შეპირებული, რა ჩაეფიქრებინა, — არ ვიცი და რა ვქნა. ჯერ არ ვიცი. იქ მინდა წასვლა... — შეჩერდა, ხმა ჩაუწყდა. ესეც გაიფიქრა, ნეტავი უკან ჩამიბრუნდესო ის სანახევროდ ამოთქმული წინადადება. თუმცა აწი უკვე გვიანღაა და ქალმა თავად დაასრულა ის წინადადება და ახლა კი აწივლდება, აკივლდება, მთელ სახლს შეჰყრისო. მაგრამ იმავე წამს შეწყვიტა ამაზე ფიქრი, ქალმა კი ასე სთქვა წყნარი და ჩქარი ჩურჩულით:

რაღა თქმა უნდაო; იმას კი წამის ნახევარში ასე გაუელვა, ქალმა ვერაფერი ვერ გაიგოო და იმავე წამის მეორე ნახევარში დაავიწყდა კიდევაც; ხოდა, იდგნენ ის ორნი პირისპირ, უჩინარნი ამ სიბნელეში, დაძაბული და გამალებული ჩურჩულის წიაღ; და მაშინვე თავისი ხმა გაიგონა, ზუსტად ისევე ამოთქვამდა სიტყვებს; შეთქმულებივით არ იყვნენ ეს ორნი უფრო იმით ჰგავდნენ, ვინც უსათუოდ აპირებენ რაღაცის გაკეთებას, გადადგმას პირველი ნაბიჯისას და მა-

ინცადამაინც არც სჯერათ, თუ შეძლებენ, თუმცა კი მტკიცეა ეს მათი გადაწყვეტილება. — ჩვენ არც კი ვიცით, რომ ეს მისი პისტოლეტი არ არის. იმან თქვა, არ არისო.

— დიახ.

— იმან არა თქვა ვისია, იმან ისროლა თუ არა, იმას არც ის უთქვამს, მე არ მისროლიაო. ესღა თქვა, ჩემი პისტოლეტი არ არისო.

— დიახ.

— და ბიძაშენმა, იქ, იმ თავის კაბინეტში ზუსტად ისევე თქვა, როგორც ის გეტყოდა, მეტს ვერც გეტყოდა რანეს. — იმას პასუხი არ გაუცია. თუმცა კითხვა დასმულიც არ ყოფილა. ქალმა არც აცალა ბიჭს რამის თქმა. — კარგი, — თქვა ქალმა, — ახლა კი რა ვქნათ. უნდა ვნახოთ, იყო თუ არა მისი პისტოლეტი... ვნახოთ, თუ რისი თქმა უნდოდა იმას? წავიდეთ იქ და მერე რა?

ისევე უხეშად მიუგო ამ ქალს, როგორც ალეკ სანდერს. მოკლედ და გასაგებად, უნდა დავხედოთო იმას, და არც კი დაყოვნებულა იმის გასაფიქრებლად, ქალს ახლა კი აღმოხდებაო კვნესა.

— იქ უნდა წავიდეთ, ამოვთხაროთ, წაბოვიღოთ ქალაქში, სადაც ვილაც ნახავს, ვინც ტყვიებში ერკვევა, ვინც ნახავს ტყვიას და იმის ნაკვალევს...

— დიახ, — თქვა მისს ჰებერშემმა, — რაღა თქმა უნდა. ნამდვილად ის ვერ ეტყოდა ამას შენს ბიძიას. ის ზანგია, ბიძაშენი კი კაცი, — ხოდა ახლა მისს ჰებერშემი იმეორებს, იმასვე ამბობს, და მან გაიფიქრა, ლექსიკონის სიმწირე, სიღარიბე ლექსიკონისა კი არის თავიდათავი, პირველადვე უფრო ეს არის, განზრახ, მიმძლავრებით აღგვა კაცის ბიწისაგან პირისა თავისთავად უბრალოა და საბოლოო და ისიც, რაც კი ითქმება ამის ირგვლივ და რაც მოაქცევს, გამოჰყოფს, ჩააჭდევს ადამიანიშვილის ქრონიკებში, ისიც უბრალო და მარტივი უნდა იყოს და ამავე დროს თითქმის ერთფეროვნულადაც გამეორებულიც: და კიდევ, უფრო ვრცლად და განზოგადებულადაც რომ ითქვას, ის, რასაც გაიძახოდა მისს ჰებერშემი, ჩვეულებრივი სიმართლე იყო, ფაქტი კი არა, და ამის წარმოსაჩენად სულაც არ იყო საჭირო წილადობილა, ორიგინალობა, რადგან ეს საყოველთაო სიმართლეა, ის უნდა იყოს საყოველთაო სიმართლე და ამას არც უნდა ბევრი ლარი და ხაზი, ნცირეოდენი რაღაც რომ გადარჩეს, ისეთი, დედამიწის ბურთი რომ არის, რათა ყოველი ჩახვდეს სიმართლეს; დაყოვნებაა ახლა საჭირო, შეჩერება, დაცდა. — ლუკასმა იცოდა, ბავშვი თუ იზამს ამას ან ჩემნაირი დედაბერი, ვინც მაინცდამაინც თავს არ აიტკივებს ამით, ცხადი უნდა იყოსო და უცილობელიო. შენი ბიძისა და ბ-ნ ჰემპტონის მსგავსი მამაკაცები უკვე კარგა ხანი არიან მამაკაცები, კარგა ხანია მოცლა არა აქვთ... რა ვქნათ?—დასძინა ქალმა, — ქალაქში ჩამოვიტანოთ, სადაც ვინმემ უნდა მისი ნაჭრილობევი ნახოს. და იქნებ მართლაც ლუკასის პისტოლეტიდან იყოს გასროლილი? — ამაზე კი აღარაფერი უპასუხა იმან, ახლაც აღარ

დაუცდია ქალს, მიტრიალდა და თქვა, — ნიჩაბი და წერაქვი გვინდა ჩვენ, ბატარა ფარანიც მაქვს მანქანაში...

— ჩვენ? — იკითხა მან.

ქალი გაჩერდა, თითქმის მოუთმენლად ასე უთხრა, თხუთმეტი მილიაო აქედან...

— ათი, — მან მიუგო.

— ... ექვსი ფუტი სიღრმისაა ის სამარე. ახლა რვასაა გადაცილებული, შენ კი შუაღამემდე უნდა მიხვიდე იქ და უკანვე წამოხვიდე ქალაქში.—და რაღაც უთხრა კიდევ, მაგრამ იმას არ გაუგონია. ყურს არც კი უგდებდა. თავად ეუბნებოდა ამას ლუკასს ამ თხუთმეტი წუთის წინ და მხოლოდ ახლა მიხვდა თუ რას ეუბნებოდა. სხვისი ნათქვამის მერეღა ჩახვდა ყველაფერს, ის კი არ გაიგო რა შემზარავი რაღაცის გაკეთებას ვაპირებო, უფრო ეს გაითავისა, ფიზიკურად თვალუწვდენელ, გარდაუვალ და ვეება რაღაცას გადავეყარეო; ასე წარმოთქვა წყნარად, დაუძლეველი უიმედობით გამსჭვალული გაოცებით:

— ჩვენ ვერ შევძლებთ ამის გაკეთებას.

— ვერა, — მიუგო მისს ჰებერშენმა, — რაო?

— ქალბატონო, — უთხრა მან, — რა მითხარით?

— მანქანა არა გყავს-მეთქი.

— ცხენით გვინდოდა წასვლა ჩვენ.

ახლა ქალმა თქვა, ჩვენო?

— მე და ალეკ სანდერს.

— მაშინ სამნი ვიქნებით, — უთხრა ქალმა, — სად არის ის შენი წერაქვი და ნიჩაბი. მანქანის დაქოქვის ხმა არ ესმით სახლში, სადაცაა დაეჭვდებიან, — ისევ მიტრიალდა.

— დიახ, ქალბატონო, — თქვა ძან, — ღობეს გაუყევით, იქით, ჭიშკრისკენ, იქ შეგხვდებით. — გაიგონა, მანქანა დაიძრა, ღობეზე გადაძვრა, საჯინიბოს შავი ხახიდან ჰაიბოის შუბლზე აღბეჭდილნა თეთრმა ლაქამ გამოანათა, ალეკ სანდერს უკვე მოსართავი მოეჭირა და ახლა ღვედიც უნდა დაემაგრებინა. რგოლიდან მოუშვა აღვირი, მერე გაახსენდა და ისევ მოუჭირა, კადონზე მიბნეული რგოლიდან აღვირის მეორე ბოლო გამოაძვრინა, გავაზე გადაუგდო ჰაიბოის, საჯინიბოდან გამოიყვანა და მოახტა.

— გამომართვი, — უთხრა ალეკ სანდერმა და გაუწოდა წერაქვი და ნიჩაბი, მაგრამ ჰაიბოი როკვას მოჰყვა, ჯერ არც ჰქონდა დანახული თუ რა ჰქონდა იმას ხელთ, სწორედ ასე იცოდა ყოველივის, თუკი თვალს მოკრავდა თუნდაც სახრეს, მოსწია აღვირი და ცხენი უკან მიაგდო, ალეკ სანდერმაც შეუყვირა, მანდ დადექო! და გადაუტყლაშუნა გავაზე, მას კი გაუწოდა ნიჩაბი და წერაქვი, იმან კი უნაგირს მიაჭირა ნიჩაბ-წერაქვიანი ხელი და ამავე დროს უნდოდა ფეხი ამოეღო უზანგიდან და ჰაიბოი ადგილზევე გაეჩერებინა ერთი წამით, რათა ამ დროს ალეკ სანდერს უზანგზე დაედგა ფეხი და ამოსულიყო,

ჯერ კიდევ კარგად ვერც გადაელაჯებინა იმას ფეხი, რომ ჰაიბოი მოსწყდა და კინაღამ არ გაქანდა, მაგრამ იმან ცალი ხელით შეაჩერა, ის წერაქვი და ნიჩაბი ეხეთქებოდა უნაგირს, ცხენი შემოატრიალა, მინდორზე გამოაგელვა და ჭიშკრისკენ გასწია, მომეცი ეგ ჯანდაბის ნიჩაბი და წერაქვი, დაუყვირა ალეკ სანდერმა, ფარანი თუ მოგაქვსო?

— მერედა შენ რა? — უთხრა იმან, ალეკ სანდერი გადმოიხარა და გამოართვა მას ნიჩაბი და წერაქვი, ჰაიბოის კვლავ წამით შეეძლო თვალი მოეკრა იმათთვის, მაგრამ ამჯერად ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდა და კიდევაც მოახერხა ცხენის მოთოკვა-დამორჩილება. — შენ არც არსად მოდიხარ და ფარანი რაღად გინდა.

თითქმის ჭიშკართან იყვნენ უკვე მისულნი. მოშავბნელებულ ლაქად გამოჩნდა მანქანა, ღობის იქით, ფერმილეულ გზაზე, თუ იქნებ იცოდა სადაც იყო და იმიტომ ხედავდა ლანდად. ალეკ სანდერმა კი ცხადლივ დაინახა ამ სიბნელეში, თითქმის ცხოველივით მახვილი თვალის პატრონმა, წერაქვი და ნიჩაბი იმას ჰქონდა და ორივე ხელდაკავებული იყო და, მაინც, უეცრად გამოიწვდინა ხელი და აღვირი მოსწია, ისე მიაგდო ჰაიბოი უკან, რომ კინაღამ უკანა ფეხებზე დასცა, მაშინვე ამოთქვა მსტვინავი ჩურჩულით, რა არისო?

— მისს იუნის ჰებერშემის მანქანაა, — მან მიუგო, — ჩვენთან ერთად მოდის. ჯანდაბას, თავი გაანებე ამ ცხენს, — ხელი სტაცა აღვირს, თუმცა ალეკ სანდერი არც გაძალებია, იმწამსვე დაანება და მიაძახა:

— ხოდა, მანქანით წამოიღოს, — თქვა ეს და ნოისროლა ნიჩაბი და წერაქვი, ჭიშკარს მიახეთქა გრუხუნით, თავად კი დაბლა ჩამოსხლტა და სწორედაც მოასწრო, რადგან ჰაიბოი ყალყზე შედგა და მანამ არ დაეშვა, სანამ იმან ყურებს შუა არ დაჰკრა ღვედი.

— ჭიშკარი გააღე, — თქვა მან.

— ცხენი რაღად გვინდა, — უთხრა ალეკ სანდერმა, — მოხსენი უნაგირი და აქვე დააბი. დავბრუნდებით და მერე შევიყვანოთ.

მისს ჰებერშემიც ამასვე ამბობდა ჭიშკრის იქიდან, ჰაიბოი კი უკან იხევდა, ჩლიქებს ურტყაბდა მიწას, თითქოსდა შიშობდა, ვაითუ ალეკ სანდერმა რაღაც გამომიქნიოსო, ამ დროს ის ნიჩაბსა და წერაქვს მანქანის საბარგულში სდებდა, მისს ჰაბერშემის ხმაც მოისმა მანქანის სიღრმიდან:

— კარგი ცხენი ჩანს, გაჭენებაც შეუძლია, ხომ?

— დიახ, ქალბატონო, — მიუგო მან, — არა, — ასე დასძინა, — ცხენი უნდა წამოვიყვანო, იმ საბლოცველოსთან უახლოესი სახლი ერთი მილით მაინცაა დაცილებული, მაგრამ ვაითუ ვიღაცამ გაიგონოს მანქანის ხმა. მანქანა გორის ძირას დავტოვოთ, როდესაც იმ ფშანს გადავალთ. — მერე იმ ქალს დაასწრო და სანამ ის ჰკითხავდა, ასე უპასუხა,—ცხენი ხომ გვინდა სანამ იმას მანქანამდე ჩამოვიტანდეთ.

— კი,—თქვა ალეკ სანდერმა. არ იცინოდა, თუმცა არც არავინ იფიქრებდა ამას.—როგორ გგონია ის ცხენი წამოიღებს იმას, რასაც ამოთხრი. როდესაც იმის წამოღებაც არ უნდა რითაც უნდა ამოთხარო?— მაგრამ უკვე თავადაც მიმხვდარიყო, ასეც იქნებაო და აქ ბაბუას მონათხრობი გაახსენდა, ძველად, ჯეფერსონიდან თორმეტი მილის იქით, იოკნაპატოფას ოლქში, ირემზე, დათვსა და გარეულ ინდაურებზე ნადირობდნენ, მონადირეების შესახებაც მოუთხრო იმან, ესენი იყვნენ: მაიორი დე სპეინი — ბაბუას დეიდაშვილი, ბებერი გენერალი კომპსონი, ბიძია აიკ მაკ-კასლინი, პაპისპაპა ბიძიადვე რომ მოსდიოდა კეროთერ ედმონდს, ვისაც ახლა ოთხმოცდაათი წელიწადი შესრულებოდა, ბუნ ჰოგენბეკი, ვის მამასაც ჩიკასოს ტომის ქალი ჰყავდა ცოლად, ზანგი სემ ფატერსი, რომლის ბიძია ჩიკასოს ტომის ბელადი გახლდათ, მაიორ დე სპეინის ცალთვალა ჯორი ალიისი, რომელიც დათვის სუნსაც არ უფრთხოდა, და მან ასე გაიფიქრა, თუკი შენ ჯამი ხარ შენი წინაპრებისა, მაშინ იმ შენს წინაპრებს როგორ მოეცარათ ხელი, რომ იმათ მემკვიდრეს, სოფლის სასაფლაოს ამომტრიალებელს, არ არგუნეს შთამომავალი იმ ცალთვალა ჯორისა, რომელიც მას ამ ტვირთის წამოსაღებად გამოადგებოდა.

— არ ვიცი, — თქვა ნან.

— იქნებ ისწავლოს მანამ, სანამ უკან, მანქანასთან მოვბრუნდებოდეთ, — თქვა მისს ჰებერშემმა, — ალეკ სანდერმა თუ იცის მანქანის წაყვანა?

— დიახ, ქალბატონო, — მიუგო ალეკ სანდერმა.

ჰაიბოი ისევ მოუსვენრად იყო, თუკი ახლა იმის დაურვებას მოინდომებდა, მაშინ ის უთავბოლოდ ნოჰყვებოდა ცმუტვას, და რახან ამაღამ გრილოდა, პირველი მილი სულ ჭენებ-ჭენებით წაიყვანა, თან თვალი არ მოუცილებია იმ მანქანის უკანა ფარნებისათვის, შემდეგ კი სვლას უკლო, სულ უფრო და უფრო გაილია იმისი შუქი და მალე სულაც გაქრა მოსახვევში, მაშინ კი მიუშვა ჰაიბოი და ისიც წავიდა იმ თავისი ჩვეულებრივი ჩლატაჩლუტით, ხან აჩქარებული, ხან შენელებული სვლით, რომელსაც მართალია ვერა მსაჯი ვერ მოუწონებდა, მაგრამ ასე კარგა მაგრა კი იმოკლებდა გზას. ცხრა მილი სავალი იყო ჯერ კიდევ და რაღაც ბოლმიანი გაოცებით გაიფიქრა, ახლა კი მაქვსო საფიქრალი დრო, თუმცა კი უკვე დაგვიანებულიც იყო ფიქრი, იმ სამთაგან ვერც ერთი გაბედავს ფიქრს და ყველაფერი რაც შეძლეს ამაღამ, ის იყო, რომ საბოლოოდ დაკარგეს უნარი განსჯისა და ფიქრის, აწონ-დაწონვის; ქალაქიდან ხუთ მილს გაივლის და კიდევაც გადაივლის (მისს ჰებერშემმა და ალეკ სანდერმა, როგორც ჩანს, უკვე შეძლეს იმ ნანქანით) იმ უჩინარ გამყოფ ზოლს, რომლის იქითაც მეოთხე უბანი იწყება, სახელგანთქმული და საარაკო და ის, რაც კი იყო უდავო და გარკვეული, ის იყო, რომ ფიქრის თავიც აღარ ჰქონდათ არც ერთ იმათთაგანს, იმის ფიქრის, რომ სულ ადვილად შეიძლებოდა აქ შემოჭრილნი ხიფათს გადაჰყროდნენ, მეოთხე

უბანში ორი რამ იყო ხიფათის თავწყარო, მეოთხე უბანში არ მოსწონდათ ბევრი, რისი გაკეთებაც ქალაქელებს შეეძლოთ (ამ ოლქის სხვა უბნელებსაც, თუ გნებავთ), ხოდა, სწორედ ამათ, ამ თექვსმეტი წლის თეთრ ბიჭს და ზანგ ბიჭსაც და კიდევ ერთ სამოცდაათ წელს მიტანებულ თეთრ ბებერ შინაბერას ხვდათ წილად ამის გაკეთება, ერთდროულად ამ ორივე უსაშინელესი საქმის გაკეთება, რაც კი შეუძლია ადამიანიშვილს მოაფიქრდეს, გულში გაივლოს, ჩაიფიქროს, ორივე ერთად კი სწორედ ის არის, საფლავის შეგინება თავისივე თვისტომისა, რათა ამით შურისძიებისგან დაეხნათ კაცისმკვლელი ზანგი.

მაგრამ რაც უნდა იყოს, ხომ გაფრთხილებულნი იქნებიან ისინი (თუმცა ახლა კი არც უფიქრია, ვის რა შეღავათი ექნებოდა ამ გაფრთხილებით, რაკიღა ისინი, ვისაც ეს გაფრთხილება სჭირდებოდათ, უკვე შვიდი-რვა მილით იყვნენ დაცილებულნი ციხეს და იმდენად სწრაფად მიდიოდნენ რამდენადაც ის ბედავდა თავისი ბედაურის აჩქარებას), რადგან თუკი ის მეოთხე უბნელები ამაღამ იქ მისვლას აპირებენ, მაშინ ბალევე გადაეყრება მათ გზაზე (თუ ისინი გადაეყრებიან იმას) — მოდიან და მოგრაგნიან არემიდამოს მინგრეულ-მონგრეული, დასვრილ-გადატყავებული მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანებით, რომლითაც გადააქვთ ხე-ტყე, ცხენებსა და ჯორებზეც ამხედრებულნიც მოიჩქარიან. თუმცა რაც ქალაქიდან წამოვიდა, ჯერ არავინ შეხვედრია; გამოცარიელებული და გაფერმკრთალებული გზა გარინდებულა იმის წინ და იმის უკანაც, ჩაბნელებული სახლები და ქოხბახებია მის უკანვე, დაყურსულნი, ჩაჩუჟქრულნი, ბნელი მინდვრები სიბნელესვე ერთვიან შორეთში და ირგვლივ გადახნული მიწის სუნი ტრიალებს, ხანდახან აყვავილებული ბაღების თავბრუდამხვევი სურნელებაც მოიჭრება საიდანღაც და გადმოეფინება გზაზე, ის კი მიაპობს ამ დამათრობელ ჰაერს ვითარცა გარსშემოჯარულ კვამლს და იქნებ დამშიაც მოდის საქმე, სადაცაა იმედის ნატამალიც გაიჭიატებს და სანამ თავის დაოკებას შეძლებდა, ასე გაიფიქრა **იქნებ ჩვენ შევძლოთ, იქნებ შევძლოთ როგორმე;** — ჯერ კიდევ მანამ, სანამ შეძლებდა ამ ფიქრის ჩაჭიდებას, ჩახშობას, გაქრობას, არა იმიტომ, რომ მას არ შეეძლო მართლაც დაეჯერებინა ამის შესაძლებლობა და არცა იმიტომ, რომ ვერ ბედავდა ამის გაფიქრებას, გამხელას საკუთარი თავისთვის ამ იმედის თუ სურვილის, რომელსაც სასოწარკვეთილების ძალისხმევით წაეპოტინება ხოლმე სასწორზე შეგდებული კაცი, უფრო ამიტომ, ამ ფიქრის სიტყვებით ხორცშესხმა ასანთის გაკვრას დაემსგავსებოდა, როდესაც წყვდიადი კი არ გაქრება, უფრო ცხადლივ გამომზეურდება შემზარაობა — გაიელვებს და წამით გამოჩნდება ამ გამოცარიელებული გზის სიშავე გამოცარიელებულსავე არემიდამოს გაკრული და აღბეჭდილი ენით უთქმელი განლეული უარყოფის ნიშნით.

რადგანაც თითქმის უკვე ნიაღწია კიდევაც; ალეკ სანდერი და მისს ჰებერშემი უკვე ოცდაათი წუთის მოსულები იქნებოდნენ იქ და იმე-

დის ნატამალმა გაუელვა თავში, იქნებ ალეკ სანდერი მიხვდა და ისე დააყენა მანქანა, რომ ვინმე გამვლელმა ვერ მოკრას თვალი; იმავე წამს ასე გაიფიქრა, რაღა თქმა უნდა, სწორედ ასე იზამდა ალეკ სანდერი და ალეკ სანდერში კი არ შეპარვია ეჭვი, არამედ საკუთარ თავში, ალეკ სანდერში ეს როგორ შემეპარაო ეჭვი — რაც ქალაქიდან წანოვიდა, ზანგთაგან არავინ უნახავს, სხვა დროს კი მაისის საღამოს, კვირადღეს ეს გზა სავსეა ზანგებით, ყმაწვილკაცები და ყმაწვილქალები, გოგოები, ბერიკაცები და ბერიქალები და ბალღებიც არიან ესენი, თუ ძალიან გვიან არ არის, მეტწილად კი მაინც მამაკაცებია, უცოლო ყმაწვილკაცები, რომლებიც ორშაბათიდანვე, დილიდან საღამომდე გუთნით ღრღნიან მიწას, ბელტებს ბელტებზე აწვენენ და მისდევენ ქანცგაწყვეტილ, არაქათგამოლეულ ჯორებს, ხოლო შაბათ შუადღისათვის დაბანილები და წვერგაპარსულები, სუფთა, საკვირაო ტანსაცმლებში გამოწყობილები გამოვლენ და მთელი შაბათი ღამეც დადიან მტვრიან გზებზე და ნერე მთელ კვირადღესაც და კვირაღამესაც მიაყოლებენ და იმდენს დაეხეტებიან, რომ იმდენი დროლა რჩებათ სახლში მობრუნდნენ და სამუშაო ტანსაცმელ-ფეხსაცმლის ჩაცმა მოასწრონ, მორეკონ ჯორები და ორმოცდარვა საათის ღვიძილის შემდეგ, შეიძლება ქალთან დაწოლა მოეხერხებინათ სადმე, ორშაბათს, მზის ამოსვლისთანავე ისევ ნინდორი და ისევ გუთანი და გააფთრებული ჭიდილი მიწასთან, მაგრამ არა ახლა და არა ამაღამ, როდესაც პარალისა და ალეკსანდერის გარდა უკვე ოცდაოთხი საათი იქნებოდა რაც არავინ უნახავს ზანგთაგანი, თუმცა ამას მოელოდა კიდევაც, რადგან ორივე მხარე, ზანგებიცა და თეთრებიც ისე იქცეოდნენ, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ ასეთ დროს; სუყველანი აქ არიან, არც არსად გაქცეულან თუმცა კი ვერ ხედავთ იმათ აქ ყოფნას, იმათ სიახლოვეს: შავი მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები ელოდებიან იმ თავიანთ კარ-ფანჯრებ, დარაბებ მიკეტილ სახლებში, განრთხნულნი, მობუზულნი და განაბულნი არ არიან, ბოღმა არ ახრჩობთ, არც შიშით გული უსკდებათ, ისე ელოდებიან, სწორედ ეს არის იმათი იარაღი, თეთრები ამაში ვერც დაუდებენ ტოლს — თუკი ის მიმხვდარი იყო ამ ამბავს — ვერ შეძლებენ ამას; მოთმინება; თვალში არ უნდა შეეჩეხონ, არც გზაზე არ უნდა გადაეყარონ ვინმეს — მაგრამ არა აქ, ნიშანწყალიც არ არის აქ იმათი, ამ მრავლის უმრავლესი შავფერი, უჩინარი და მონლოდინე ადამიანიშვილისა, თავად ეს გზაც იყო იმის დასტური (კიდევ რამდენიმე ხანი უნდა გამოხდეს, სანამ გაიგებს თუ რა შორს შეუტოპავს მისისიპის პროვინციაში 'მცხოვრებ ყრმას, ვისაც ჯერ კიდევ დღეს, მზის ჩასვლის ხანს ასე ეგონა — იქნებ სჯეროდა კიდევაც, თუკი როდისმე უფიქრია ამის შესახებ — ბალღი ვარ პირზე რძეშეუშრობელი ჩემი მშობლიური მიწის ხანგრძლივი ტრადიციების ხვანჯებში გახვეული, ანუ მზის სინათლეზე გამოსაღწევად მოტანებული ტვინგამოლაყებული ნაყოფი საშოსეული — თუკი ნიხვედრილი იქნებოდა, რა საშინლად მტკივნეულია მშობიარობა — ბრმა და

უგრძნობელი, გაჩენის მსუბუქი და ბუნდი კრუნჩხვებისგან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეული), რომ განზრახ შეუქცევია ზურგი ამ შავი მოდგმის ხალხისთვის, რომელთა ოფლითაც იქმნება მთელი ამ მხარის დოვლათი და ამას ჯავრით, მძვინვარებით, წყენითაც კი არა შვრება, არამედ რაღაც მთლიანი, მტკიცე და საბოლოო უარყოფის გრძნობით რასობრივი შეუწყნარებლობისადმი კი არა, ადამიანის ტომის ბიწიერებისადმი.

ახლა ის უკვე აქ არის; ჰაიბოიმ იყოჩაღა და თანდათანობით მოუმატა სვლას, თანაც ცხრა მილის შემდეგ წყლის სიახლოე იგრძნო, იმანაც შეამჩნია ხიდი, ანუ ბნელში განრთხმული ვიწრო ზოლი, გზა აქ ორი მხრიდანვე მოშავბნელებული ტირიფნარით იყო გარსშემოჯარული და ეს გადაბურული ფერდობები აქეთ და იქითაც მდინარის განტოტებისკენ ეშვებოდა დაბლა; ალეკ სანდერიც გამოჩნდა, ხიდის მოაჯიოს ბოცილდა, ჰაიბოიმ შეჰფრუტუნა იმას და იმანაც მაშინვე იცნო ის, აღარც კი გაოცებულა და არც კი გახსენებია: ცოტა ხნის წინ ასე ფიქრობდა, თუ მიხვდება ალეკ სანდერი მანქანის დამალვასო, არც კი გახსენებია, სწორედ ამას მოელოდა, აღარ შეჩერებულა, აღვირს მოსწია, რათა ჰაიბოი ნელა გადასულიყო ხიდზე, შემდეგ კი მიუშვა და უკვე ხიდის გალმა გზიდან გადაახვევია, დაბლა ჩაიყვანა წინა ფეხების მოუხრელად, ხტუნვა-ხტუნვით, ჯერ კიდევ უხილავი წყლის მიმართულებით და სულ მალე დაინახა კიდევაც იმის მოლივლივე ზედაპირზე არეკლილი ზეცა; აქ კი ჰაიბოი შედგა და ისევ მოჰყვა ფრუტუნს, მერე უეცრად ყალყზე ავარდა, უკან გადაქანდა და კინაღამ ძირს არ დასცა.

— ბახრჩობელა ქვიშნარს გრძნობს, — თქვა ალეკ სანდერმა, — თავი დაანებე, დაიცადოს სახლში მისვლამდე. მეც ახლა სხვა რამე მინდა და არა ის, რასაც ვაკეთებ.

მაგრამ მან ჰაიბოის ცოტათი გადაახვევია ნაპირზე და ისევ მოინდომა დაშვება წყლისკენ, ცხენმა კვლავ დაიფრუტუნა და, რაღა თქმა უნდა, უკან მიატრიალა, გზაზევე აიყვანა, უზანგიდან ფეხი გამოიღო, რათა ალეკ სანდერს შეედგა და ჰაიბოი უკვე მიდიოდა, როდესაც ალეკ სანდერი კარგად მოკალათდა ზედ. აქაო, უთხრა ალეკ სანდერმა, მაგრამ მან მკვეთრად გადაახვევია ჰაიბოის შარაგზიდან ვიწრო, ტალახიან სავალზე, რომელიც ჩაბნელებული გორაკებიდან მოემართებოდა, თითქმის მაშინვე დაიწყო აღმართი, მაგრამ ჯერ კიდევ არც კი შედგომოდნენ აღმასვლას, რომ ნაძვნარის მსუყე სურნელება მოეახლათ, თუმცა კი ნიავიც არ იძროდა, ხელივით მკვრივად მოსწვდათ, თითქოსდა წყალში ჩადიოდნენ მთელი ტანით. სულ უფრო ციცაბო ხდებოდა აღმართი, ორნი შემოჯდომოდნენ იმ ცხენს, მაგრამ ბაინც მოინდომა ფერდობზე არბენა ჩვეულებრისამებრ, ხოდა, კიდევაც გაქანდა, ბაგრამ მან აღვირს მოქაჩა და მერეც მაგრად ეკავა, ხელზეც დაიხვია ბოლოს, ცხე-

ნი ახლა მიტორტმანებდა, მიირწეოდა, სანამ ფერდობი ვაკედ არ გარდაისახა და მაშინ ალეკ სანდერმა თქვა, აქაო, გზის ჩამობნელებული კიდიდან მისს ჰებერშემი გამოეგება იმათ წერაქვითა და ნიჩბით ხელში. გაჩერდა ჰაიბოი და ალეკ სანდერი ჩამოხდა, იმანაც მიბაძა.

—შენ ნუ, — უთხრა მისს ჰაბერშემმა, — სამუშაო იარაღი მე მაქვს და ფარანიც.

— ჯერ კიდევ ნახევარი მილია დარჩენილი, — მან მიუგო, — აღმართზე უნდა ვიაროთ, ქალის შესაფერისი უნაგირი არ არის, მაგრამ კი შეგიძლიათ გვერდულად დაჯდეთ. მანქანა სად არის? — ჰკითხა მან ალეკ სანდერს.

— ბუჩქების იქით, — უპასუხა ალეკ სანდერმა, — ჩვენ აქ აღლუმზე არა ვართ მოსულნი. მით უმეტს მე.

— არა, არა, — თქვა მისს ჰებერშემმა, — ისეც წაგოვალ.

— დროს მოვიგებთ ასე, — უთხრა მან, — ახლა უკვე ათს იქნება გადაცილებული. წყნარი ცხენია, მაშინ ალეკ სანდერის ბრალი იყო, წერაქვი და ნიჩაბი გაიქნია...

— რასაკვირველია, — მიუგო მისს ჰებერშემმა. სამუშაო იარაღები ალეკ სანდერს გაუწვდინა და ცხენს მიუახლოვდა.

— რა ვქნა, ეს რომ არა... — თქვა მან.

— ჰაი, — ამოთქვა ქალმა და აღვირი გამოართვა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ის ხელს შეაშველებდა ფეხის დასადგმელად, თავისით სტუცა ფეხი უზანგში და მსუბუქად, სწრაფად შეჯდა ცხენზე, თავად მას და ალეკ სანდერსაც არ დაუდო ტოლი, ძლივს მოასწრო იმან სახის მიტრიალება, ქალის გამოხედვას გრძნობდა ამ მოძრაობის დროს. — ჰა, — კვლავ ამოთქვა ქალმა, — მე უკვე სამოცდაათი წლისა ვარ. ახლა ამ ჩემი კაბის დარდი არა მაქვს, ისეთ საქმესა გვაქვს ხელი მოკიდებული, — ჰაიბოი მიატრიალა, გზაზე შეაგდო თუ არა, ალეკ სანდერმა თქვა:

სსუო. შედგნენ, გაირინდნენ ამ უჩინარი ნაძვნარის სურნელებით გარშემობურულნი. — ჯორი მოჰყვება დაბლა ფერდობს, — ჩაიჩურჩულა ალეკ სანდერმა.

იმან მაშინვე დაიწყო ცხენის მოტრიალება. — მე არაფერი არ შესმის, — თქვა მისს ჰებერშემმა, — ხომ არ მოგეჩვენა?

— არა, ქალბატონო, — უთხრა მან და ჰაიბოი გზიდან გადაიყვანა, — ალეკ სანდერი არ შეცდება. — და ხეებსა და მცენარეებში ჰაიბოის თავთან მდგომმა მეორე ხელით ნესტოები დაუჭირა, ვაითუ შესჭიხვინოსო იმ ცხოველს — ცხენი თუ ჯორი მართლაც ეშვებოდა დაბლა, გზისკენ. დაუჭედავი უნდა ყოფილიყო და ის, რაც გაიგონა, ეს იყო საუზანგე ღვედების ხახუნი და გაუკვირდა კიდეც (თუმცა ეჭვიც არ შეპარვია, რომ ასეც იყო), როგორ გაიგონა ეს ჩუმი ხმაური ალეკ სანდერმა ჯერ კიდევ ორი წუთის წინ, სანამ ის პირუტყვი მათ მოუახლოვდებოდათ. მერე მან დაინახა ის, ანუ, უფრო სწორად, ის ადგილი, სა-

დაც იმან ჩაიარა — რაღაც ლაქა თუ მოძრაობა, უფრორე ჩაშავებული ჩრდილი, ვიდრე გაფერმკრთალებულ, მტვრიან გზაზე ჩაჭდეული ჩრდილი, გორაკებიდან დაბლა ჩამომავალი, ტყავის გახახუნების ხმა მოისმა და ჩაკვდა, გაილია, მაგრამ ერთხანს მაინც იყვნენ გაჩერებულნი.

— რა მოჰქონდა იმას უნაგირზე გადადებული? — თქვა ალეკ სანდერმა

— ვერც ვერაფერი დავინახე, — მიუგო მისს ჰებერშემმა. ისევ გზაზე გადმოიყვანა ცხენი. — და თუ კიდევ... — დასძინა მან.

ალეკ სანდერი გაიგონებსო, უთხრა მან. ჰაიბოი კი მძლავრი და ჩქარი ნაბიჯით ისევ შეუდგა აღმართს, იმას კი ცალი ხელით მოჰქონდა წერაქვი, მეორეთი კი უზანგს ჩასჭიდებოდა მისს ჰებერშემის თხელ წვივთან, იქითა მხრიდან კი ალეკ სანდერს დაეკავებინა ნიჩაბი და მიისწრაფოდნენ დანთქმულნი ნაძვნარის მსუყე და ცოცხალ სურნელებაში, რომელიც ისე მიწძლავრებია ფილტვებს, სუნთქვას, ვითარცა (ასე ჰქონდა წარმოდგენილი: არც არასდროს მიგემნიაო, თუმცა კი შეეძლო — წმინდა ჯამისადმი მიმთხვევა რა სახსენებელია, რადგან ეს უბრალო მიმთხვევა არ არის, მისი გემო მჟავეა და მკვეთრი, ესაა მარად მჩქეფარე სიცხლის ჩვენი უფლისა და არ გაისინჯების, დაბლა სტომაქისკენ კი არ იძვრის, არამედ მაღლა და გარდმოედინება კიდეც, ჩაინთქევა ყოვლის ცოდნის წიაღში სიკეთისა და ბოროტების, არჩევანის, უარყოფისა და გათავისების შუა სამარადისოდ — შობადღეს სამადლობელ მაგიდასთან ჯდომის ხანს, მაგრამ ეს არც უნდოდა არასდროს) ღვინო სტომაქს. კარგა მაღლა ასულიყვნენ ახლა, სადღაც შორეულ ბნელ-უკუნეთში ინთქმებოდნენ გორები, თავბრუდამხვევი იყო ეს სივრცე და სიმაღლე, დღისით კი შეიძლებოდა დანახვა თუ როგორ მიიხვეოდა ეს ნაძვნარით შეფენილი ფერდობები ერთი მეორის მიყოლებით აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ და კიდევაც მოჰგავდა კაროლინის ციცაბო მთებს და შოტლანდიურისაც, საიდანაც მისი წინაპრები იყვნენ ჩამოსულნი, თუმცა თავად ჯერ არ ჰქონდა ნანახი; ცოტათი სუთქვა ეკვროდა კიდევაც და არა მარტო ესმოდა, კიდევაც გრძნობდა მკვეთრ ხრიალს ჰაიბოის ფილტვებისას, როდესაც ეს ოთხფეხი ლამობდა ფერდობზე აჭენებას მხედარი ქალითურთ და იმ ორთა თრევა-თრევით; მისს ჰებერშემი აკავებდა ცხენს. ეწეოდა აღვირს და ბოლოს მოევლნენ იმ გორას და ალეკ სანდერმა ჩაიჩურჩულა, აქაო; მისს ჰებერშემმა გზიდან გადაახვევია ცხენს, რადგან აქედან ვერაფერს ვერ ხედავდნენ და ცხოლოდ ძლივსღა შეეძლო გაერჩია ნაკაფი ადგილი იმიტომ კი არა, რომ ეს ნაკაფი ადგილი იყო, ზეცაზე ვარსკვლავები ბჟუტავდნენ და იქ, სადაც ავდარს ნიადაგი გადმოერეცხა, წაფერდებული საფლავის ქვაც გამოჩნდა. ის სამლოცველო კი ძლივსღა გაარჩიეს (გადატყავებული, შეუღებავი ხისა და პატარა ეზოზე ცოტათი უფრო დიდი), ხოდა, ჰაიბოი შემოატარა სამლოცვე-

ლოს, იმის უკან აღვირი მოხსნა და იმით ზედ მიაბა, მერე უკან დაბ-
ოუნდა, სადაც მისს ჰებერშემო და ალეკ სანდერი უცდიდნენ.

— ახალმიწადაყრილი ეს უნდა იყოს, — ჩაიჩურჩულა მან — ლუკასმა თქვა, გასული ზამთრის მერე აქ მეტი არავინ დაუსაფლავებიათო.

— დიახ, — მიუგო მისს ჰებერშემმა, — ყვავილებიცაა. ალეკ სანდერმა უკვე იპოვნა. — მაგრამ რათა დარწმუნებულიყო (ფიქრით წყნარად მიმართა ვიღაცას, თავად არ იცოდა ვის: **კიდევ ბევრი შეცდომა ბომბივა, ოღონდ ხეტავი ასეთი არა)**, დაჭუჭნული ცხვირსახოცი დააფარა ფარანს და უმალ, წამით ერთი წვრილი სხივიღა დაანათა ახალშეზვინულ ბორცვს და ორიოდე გვირგვინი და თაიგული გამოაჩინა და თითო-ოროლა ყვავილიც, მეორე წამს კი გვერდით საფლავის ქვა დაინახა **ამანდა უორკიტი, მეუღლე ნ. ბ. ფორესტ გოურისა 1878-1926** და მაშინვე გააქრო, ისევ ჩამოწვა სიბნელე და ნაძვნარის მძაფრი **სურ**ნელება, ერთხანს იდგნენ ამ ახალ შეზვინულ ბორცვთან. არც არაფერს შვრებოდნენ. რა გულის ამრევიაო, თქვა მისს ჰებერშემმა.

— მარტო თქვენთვის?—უთხრა ალეკ სანდერმა,—იმ მანქანამდე ნახევარი მილია. თავდაღმართიცაა.

ქალი დაიძრა პირველად. ყვავილები მოაცილე, თქვა მან. ფრთხილად, შენ უფრო დაინახავო.

— დიახ, ქალბატონო, — მიუგო ალეკ სანდერმა, — ბევრი არ უნდა იყოს. მიყრილ-ბოყრილია მგონია.

— მაგრამ ჩვენ ნულარ მივყრი-მოვყრით, — უთხრა მისს ჰებერშემმა, — ფრთხილად აკრიფე. — თერთმეტი საათი უნდა ყოფილიყო; ვერც მოასწრებდნენ; მართალი იყო ალეკ სანდერი; რა უნდა ჰქნან და მანქანასთან უნდა დაბრუნდნენ, გაიარონ ქალაქი და აღარც **გაჩ**ერდნენ, ფიქრიც არ დაიწყონ, მანქანა უნდა მართონ, ყოჩაღად უნდა იყვნენ, რათა მანქანამ იაროს და იაროს, არ გაჩერდეს სადმე, არც აღარასდროს უნდა დაბრუნდნენ უკან; მაგრამ იმათ მაინც არა აქვთ დრო და ეს იცოდნენ კიდევაც მანამ, სანამ ჯეფერსონიდან წამოვიდოდნენ და იმას ასე გაუელვა თავში, მართლაცდა რომ არ წამოსულიყო ალეკ სანდერი, იმან ხომ თქვა, არ წამოვალო და მაშინ ის როგორ წავიდოდა მარტოდ და მაშინ (იმწამსვე) ამაზე ფიქრს თავი დაანება; ალეკ სანდერმა ნიჩაბი მოიმარჯვა, იმან კი წერაქვი, თუმცა მიწა ისე რბილი იყო, რომ სულაც არ სჭირდებოდა წერაქვი. (და რბილი რომ არ ყოფილიყო, ვერც ვერაფერს გახდებოდნენ თუნდაც დღისით), ორი ნიჩბით უფრო ჩქარა იმუშავებდნენ, მაგრამ ახლა რაღა დროს ამაზე ფიქრია, უცებ ალეკ სანდერმა იმას ნიჩაბი გამოუწოდა, ორმოდან ამოძვრა და თვალს მიეფარა (ფარანი არც კი მოუშვილებია), საოცარი შეგრძნობის უნარი ჰქონდა, სულაც არ სჭირდებოდა თვალი და სმენა, მაშინ ხომ მიხვდა, რომ ჰაიბოი მახრჩობელა ქვიშნარს უფრთხოდა **იმ** ფშანთან, იმ გორიდან ჩამომავალი ცხენის თუ ჯორის არსებობა მთელი ერთი წუთით ადრე გაიგო, სანამ ის და მისს ჰებერშემი ყურს

მოკრავდა იმ უცნაურ ხმას; დაბრუნდა და მოიტანა ბოკლე ფიცარი, ასე რომ ახლა ორივეს ჰქონდა ნიჩაბი და მალე ამოესმა იმას, ჰლიპ! ალეკ სანდერი იღებდა იმ ფიცრით მიწას და ისროდა მაღლა ხვნეშით, „ჰაჰ!“ და ასე იმ ფიცრის ყოველ მოქნევაზე... სულ უფრო მალ-მალე მოისმოდა ეს განძვინვარებული ხვნეშა და ბოლოს კიდევ უფრო სულ ჩქარა და ჩქარა, მორბენალის გულის ცემასავით: „ჰაჰ!.. ჰაჰ!.. ჰაჰ!“ და იმან მოაძახა მხრიდან:

— ნუ ჩქარობ, ყველაფერი კარგად იქნება, — წამით წელი გამართა, რათა ოფლი მოეწმინდა სახიდან და თავს წამომდგარი მისს ჰებერშემი დაინახა, ისევ ისე უძრავად მდგარი, ლანდად გამოკვეთილიყო ზეცაზე ჩითის სწორ კაბასა და თავზე დაკოსებულ შლაპაში, ასეთი ბევრს არ უნახავს ეს ქალი ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე და როგორც ჩანს არც უნახავს ასე ნახევრად გადათხრილ საფლავთან მდგომარე; კიდევ და კიდევ დაჰკრა ნიჩაბი და უცებ ფიცრის გაბრახუნება გაიგონა ფიცარზე, მაშინ ალეკ სანდერმა მკვეთრად ამოთქვა:

— წადი, ადი, და ხელს ნუ მიშლი, — და მაღლა ამოაგდო ის ფიცარი, მერე ხელი სტაცა, გამოსტაცა ნიჩაბი, ის კი ამოძვრა ორმოდან და ჯერ კიდევ არც კი გასწორებულიყო, რომ მისს ჰებერშემნა დახვეული თოკი მიაჩეჩა ხელში.

ფარანიცო, უთხრა მან, ქალმა ესეც მისცა, ერთხანს ასე იდგა, სანამ ამ ძალუმმა, მკვეთრმა და გარინდებულმა ნაძვნარის სურნელებამ ოფლი არ შეუშრო მთელ სხეულზე, თუმცა კი ცივად მიკვროდა ზურგზე პერანგი, ქვემოთ კი უჩინარი ნიჩაბი ეხეთქებოდა, ფხაჭნიდა ფიცარს, მერნე გადაიხარა და ჩაანათა ის ფარანი, შეუღებავი ნაძვის ხისგან გამოჭრილი კუბოს სახურავი დაინახა.

— კარგია, — თქვა მან, — საკმარისია, ამოდიო, და ალეკ სანდერმა უკანასკნელად დაჰკრა ნიჩაბი, მიწა ამოაყოლა და იმასთან ერთად ამოიქნია, თავადაც ისარივით ამოიჭრა ორმოდან, ის კი იქ ჩახტა და თან ფარანი ჩაიყოლია და მხოლოდ მაშინ გაახსენდა ჩაქუჩი, ძალაყინი... რაღაც უნდოდა, ისე სახურავს ვერ წამოსწევდა და თუ რამეს ნახავდა, მხოლოდ მისს ჰებერშემის მანქანაში ნახევარი მილის იქით, დაბრუნებისას კი უკანვე უნდა ამოევლო ის გორა, მერე კი დახრილს ხელის ცეცებით უნდა მიეკვლია ხრახნი თუ სხვა რაღაც ამდაგვარი, რისი ამოძრობაც იქნებოდა საჭირო და უცებ რას ხედავს, სულაც არ არის დამაგრებული ის სახურავი; ცალი ფეხი გადააბიჯა, თავი შეიმაგრა ასე, მოსწია სახურავი და იდაყვით გააჩერა, თოკის ბოლო ნახა და მოიმარჯვა, ფარანი აანთო, ჩაანათა და სთქვა, დაიცადეთო, ასე სთქვა, დაიცადეთო. ესლა ამოთქვა, დაიცადეთო, დაბოლოს, მისს ჰებერშემის მსტვინავი ჩურჩული ჩამოესმა:

— ჩარლზ... ჩარლზ!

— ეს ვინსონ გოური არ არის, — თქვა მან, — ეს კაცი მონტგომერია გვარად. ტყის შემსყიდველი ვიღაც, კროსმენის ოლქიდან.

თავი 5

საფლავში უკანვე ჩაყარეს მიწა, რაღა თქმა უნდა, იმას ცხენით მოუხდა დაბრუნება. მაგრამ გათენებას მაინც ჯერ კიდევ ბევრი უკლდა, როდესაც ჰაიბოი ალეკ სანდერს დაუტოვა ჭიშკართან, მდელოზე და შეეცადა არ დავიწყებოდა ფეხაკრეფით შესვლა სახლში რომ უცებ სადარბაზოს კარი გააღო თუ არა, თმაგაშლილი, პერანგის ამარა დედამისი ეცა მოთქმა-კივილით: „სად იყავი?“ ბიძამისის კარამდე მიჰყვა და სანამ ბიძია რაღაც-რაღაცეებს იცვამდა, მოაძახა: „შენ? საფლავს თხრიდი?“ და რაღაც მოღლილი გაუნელებელი მოთმინებით და თითქმის ქანცგაწყვეტილი ამდენი ხანხალით და ნიჩბის ქნევით და ნელრე ისევ ნიჩბის ქნევით და ისევ ხანხალით, მაინც ლამობდა როგორმე თავი აერიდებინა კიდევ ერთი ნახტომისთვის, თუმცა კი სწორედაც არ ჰქონდა რამე იმედი.

— ალეკ სანდერი და მისს ჰებერშემი მეხმარებოდნენ, — მაგრამ როგორც ჩანს, ამაოდ დაშვრა, თუმცა დედა ჯერ კიდევ არ უწევდა ხმას: გაოგნებული იყო და არა ესმოდა რა, სანამ ბიძია არ გამოვიდა, უკვე ჩაცმული, ჰალსტუხიც არ დავიწყებოდა, წვერგაუპარსავი იყო და ასე სთქვა:

— ნუ, მეგი, მაინცდამაინც გინდა ჩარლი გააღვიძო?—დედა იმათ სადარბაზოს კარამდე გამოჰყვა და მხოლოდ მაშინ თქვა — და აქ მან კვლავ გაიფიქრა, ქალების ძლევა არ იქნება, რადგან იმათთვის განგებას რაღაც მოქნილობა მოუმადლებია, ჩვეულებრივი მოძრაობის უნარი ეს არ უნდა იყოს, უფრო რაღაც მზადყოფნის უნარი ნიავქარივით თუ თავად ჰაერივით განქარდეს, დათბოს თავისი პოზიცია და პრინციპიც კი; ვაჟკაცობის მოხმობა თქვენ არცა გჭირდებათ. ყველაფერი გაქვთ, სრულყოფილია თქვენი იარაღი, საბრძოლო ცოდნა, სამართალიც თქვენ მხარეზეა, მრავალნაცადიც ბრძანდებით და ასე შემდეგ, ხოდა, შეტევაზე გადადიხართ, გაჰქუხს ბრძოლის ველზე თქვენი ყიჟინა, მიიწევთ, მიანგრევთ ყველაფერს, ანუ, ასე გგონიათ სანამ არ მიხვდებით, მტერი ამდგარა და ბრძოლის ველს გასცლია და თან თქვენთვის წაურთმევია, წაუგვრია მხნეობა და შემართება; გგონიათ, რომ აიღით ციხე-სიმაგრე და თურმე ნუ იტყვი, არც არავის დაუკავებია არემიდამო და თქვენს დაუცველ ზურგში სრულიად მოულოდნელი ომია გაჩაღებული, დედამ თქვა:

— ძილი ხომ უნდა! ერთი წუთითაც არ გაკარებია ლოგინს, — ხოდა, ის შედგა სანამ ბიძიამ არ უთხრა, არ დაუსისინა:

— გაინძერი. რა დაგემართა? ნუთუ არ იცი, ის ორივეს გვაჯობებს, მე და შენ, როგორც იმ ბერიქალმა ჰებერშემმა გაჯობათ შენ და ალეკ სანდერს; შეიძლება კი წასულიყავი იქ შენით, ვინმეს არ ეთრიე, ისე, მაგრამ ალეკ სანდერი სწორედ ვერ გაბედავდა, თუმცა არც შენი მჯერა, საქმე საქმეზე თუ ბიდგებოდა იქ თუ ჩაძვრებოდი, — ხოდა, გაჰყვა

ბიძიას, მისს ჰებერშემს და იმის მანქანას მიაშურეს, ბიძიას ავტომობილის უკან რომ იდგა (ის ავტომობილი გუშინ საღამოს გარაჟში იყო; მერე დრო უნდა შეარჩიოს და არ დაავიწყდეს ჰკითხოს ბიძიას, სად გაგგზავნათო დედამ ჩემს მოსაძებნად). — ვითომ არც არაფერი მეთქვას შენთვის, — თქვა ბიძიამ, — დაივიწყე. პირითა ყრმათა, ძუძუმწოვართა, ბერიქალთა, — პერიფრაზირება იყო ეს მისი სიტყვები, — რაც მართალი — მართალია, მაგრამ ვის მოეწონება სიმართლე, როდესაც ღამის სამ საათზე მიახლიან პირში. და დედაშენსაც ნუ დაივიწყებ, რაც შენ, რაღა თქმა უნდა, არც შეგიძლია; ეს ქალი უკვე დიდი ხანია იღწვის ამისთვის. ისეც უნდა გაჰსოვდეს, იმათ შეუძლიათ ყოველი ფაქტის გაზიარება (მხოლოდ მამაკაცები გაურბიან ფაქტებს), ოღონდ პირისპირ არ უნდა შეეჩეხონ ამ ფაქტებს; იმათ შეუძლიათ შეეგუონ ფაქტებს და სახე იქით მიატრიალონ, ერთი ხელი კი ზურგს უკან გამოიწვდინონ ნექრთამე ვაიპოლიტიკოსივით. შეხედე ამ ქალს, შეიძლება დიდხანს და ბედნიერად გალიოს ეს წუთისოფელი, მაგრამ არც არასდროს, იოტისოდნავადაც არ გაპატიებს, შარვლის შეკვრა რომ შეგიძლია შენით.

და მაინც, გათენებას ჯერ კიდევ კარგა ხანი უკლდა, როდესაც ბიძიამ ავტომობილი გააჩერა შერიფის სახლის ჭიშკართან, შევიდნენ, მიადგნენ იმის ნაქირავებ ბინას (თუმცა მესამედ იყო უკვე არჩეული ამ თანამდებობაზე, სულ თორმეტი წელიწადი მსახურობდა შერიფად ჰემპტონი და თითქმის ორჯერ უფრო სჭარბობდა ის დრო, რაც არ მუშაობდა ამ ადგილზე; თავის თავს თავად ხოვ არ მიანიჭებდა ამ უფლება-მოვალეობას. სოფლელი გახლდათ, ფერმერი იყო, შვილი ფერმერებისა, მაშინაც, როდესაც პირველად აირჩიეს და ახლაც, მას ეკუთვნოდა ის ფერმა და სახლი, სადაც დაიბადა, ქალაქში კი ამ სამსახურისთვის ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, გაუვიდოდა ვადა და თავის სახლში ბრუნდებოდა და იქ იყო მანამ, სანამ ისევ არ იყრიდა კენჭს და ისევ არ გახდებოდა შერიფი).

— არა მგონია მაგრად ყაინოს, — თქვა მისს ჰებერშემმა.

— არც სძინავს, — მიუგო ბიძიამ, — საუზმეს იმზადებს.

— საუზმეს იმზადებსო? — ჩაეკითხა მისს ჰებერშემი და მხოლოდ ახლა შეამჩნია ბიჭმა, რომ ფეძილობისგან და ამდენი დავიდარაბისგან ქანცი გასცლოდა ქალს, მიუხედავად იმისა, რომ წელგაბართული მიდიოდა და შლაპაც ქინძისთავით მიბნეულივით ეხურა, მთელი ეს ხანი არც გვერდზე მოქცევია და კინკრიხოზე ჰქონდა სულ, რადგან კისერი სწორად ეკავა ზანგის ქალივით, რომელსაც მთელი ოჯახის სარეცხი თავით დააქვს.

— ის სოფლელი კაცია, — თქვა ბიძიამ, — გათენდება და კარგად უნდა ჭამოს, ამ დროს სადილობს, ქალბატონი ჰემპტონი ახლა მემფისშია, იმათი ქალიშვილი ბავშვს ელოდება, დილის ოთხის ნახევარზე ცოლის გარდა კაცს ვინ მოუმზადებს საუზმეს. რომელი ქალაქელი მზარეული იზამს ამას, რვა საათზე მივა ხოლმე ჭურჭლის

გასარეცხად. — ბიძიას არ დაუკაკუნებია კარზე, კარი უნდა გაეღო, როდესაც შეჩერდა, თავი გასწია და ალეკ სანდერს გახედა ქვევით, კიბეზე რომ იდგა — იმედი ნუ გაქვს, თავს ვერ დაიძვრენ, ვითომ აქაოდა დედაჩემი არჩევნებში არ მონაწილეობსო, — უთხრა მან ალეკ სანდერს, — შენც უკან გამომყევი.

მერე ბიძიამ კარი გააღო და იმ წუთას ეცათ ყავისა და შემწვარი ღორის ხორცის სუნი, ლინოლეუმის იატაკს გაჰყვნენ და იქით გასწიეს, საიდანაც სუსტი სინათლე გამოსჭვიოდა, დერეფნის ბოლოს, მერე ლინოლიუმითვე დაფენილი სასადილო ოთახი გაიარეს, აქ ქირით გამოტანილი ავეჯი იდგა, სამზარეულოში შევიდნენ, ღუმელში შეშას გაჰქონდა ტკაცატკუცი და იქვე ორთქლადენილ ტაფას შერიფი დასტრიალებდა, მაისურითა და შარვლით იყო, აჭიმები გადმოშვებული ჰქონდა, წინდები ეცვა, თმა გაბურძგნოდა ნამძინარევი ათი წლის ბიჭივით, ერთ ხელში დანა მოემარჯვებინა, მეორეში კი ჭურჭლის გასამშრალებელი ტილო. ჯერ კიდევ ბაშინ მოეტრიალებინა შერიფს კარისკენ ვეებერთელა სახე, სანამ შევიდოდნენ, და იმან დაინახა, პაწაწინა თვალებით ჯერ ბიძიას გამოხედა, მერე მისს ჰებერშემს, მას და ბოლოს ალეკ სანდერს, გამოხედა იმათ და კი არ გაუფართოვდა, სულ უფრო დაუწვრილდა გუგები. წამით ნემსის წვერის ოდენა გაუხდა. შერიფმა არაფერი სთქვა, მხოლოდ ბიძიას გამოჰყურებდა ახლა და ის პაწაწინა თვალები თითქოსდა კვლავ მოუდიდდა, ასე სულს მოითქვამს ხოლმე კაცი, როდესაც შვებას იგრძნობს მკერდში და იმ დროს, როდესაც საბივენი ჩუმად იყვნენ და შერიფს მისჩერებოდნენ, ბიძიამ საჩქაროდ, სულ რამდენიმე სიტყვით მოუთხრო ყველაფერი, რაც იცოდა, ლუკასს რაღაცის თქმა, უფრო სწორად, რაღაცის თხოვნა რომ უნდოდა მისთვის ცხენში, დაბოლოს ისინი რომ შევიდნენ ბიძიასთან ოთახში, ათი წუთის წინ და გააღვიძეს. თქვა ეს და გაჩერდა და იმან შეამჩნია, როგორც გამოხედა სამივეს იმ თავისი პაწაწინა მკაცრი თვალებით, ფლიკ, ფლიკ, ფლიკ, და მერე ბიძიას დააცქერდა თხუთმეტიოდე წამით, ამჯერად სულაც თვალის დაუხამხამებლად. მერე შერიფმა თქვა:

— თქვენ ჩემთან არ მოხვიდოდით ამის მოსათხრობად დილის ოთხ საათზე, მართალი რომ არ იყოს.

— თქვენ არა მარტო თექვსმეტი წლის ბავშვებს უგდებთ ყურს, — უთხრა ბიძიამ, — უნდა შეგახსენოთ, მისს ჰებერშემიც იყო იქ.

— არ არის საჭირო, — მიუგო შერიფმა, — შეხსენება არ მჭირდება, — მიტრიალდა ეს ტანვეება კაცი. ორმოცდაათს უკვე კარგა ხანია გადაცილებული იყო და არ გეგონებოდათ თუ ასე სწრაფად შეეძლო მოძრაობა, ვერც კი შეამჩნიეს ისე უცებ გადმოიღო ღუმელის უკან ლურსმანზე დაკიდებული მეორე ტაფა და უკვე თითქმის მიბრუნებული იყო მაგიდისკენ (სულაც ახლაღა დაინახა შებოლილი ბარკლის ნახევარი) და როგორღაც ისევ წამის უმალესად ხელი დაავლო

საშზარეულო დანას, ეს ყველაფერი უცებ გააკეთა, სანამ ბიძია ამის თქმას მოასწრებდა:

— ამდენი დრო კი გვაქვს? ჩვენ უნდა მოვასწროთ სამოცი მილის გავლა ჰერისბერგამდე და ოლქის პროკურორის ნახვა, თან მისს ჰებერშემი და ეს ორი ბიჭი უნდა წავიყვანოთ მოწმეებად, უნდა დავარწმუნოთ ის, რათა შუამდგომლობა აღძრას ვინსონ გოურის გვამის ექსგუმაციისათვის.

შერიფმა სწრაფად გაუსვა დანას ტილო, მე მგონია თქვენა თქვით, ვინსონ გოური არ არისო იმ სამარეში.

— ოფიციალურად ასეა, — მიუგო ბიძიამ, ჩვენი ოლქის საბუთებით ის იქ არის. ხოდა თქვენ, აქ ცხოვრობთ, იცნობთ მისს ჰებერშემსა და მეც მთელი ეს ხანი, რაც კი მსახურობთ, და უკვე ორჯერ მკითხეთ, რას ფიქრობთ, ჯიმ ჰოლიდეი რას იტყვისო ამაზე?... მერე ის სამოცი მილი უკან უნდა გამოვიაროთ თქვენი მოწმეებითურთ, ის შუამდგომლობა მოსამართლე მეიკოქსს უნდა შივუტანოთ, რათა იმან ორდერი მოგვცეს...

შერიფმა ტილო მაგიდაზე დააგდო. რა საჭიროაო? ძლივს გასაგონად, თითქმის სხვათა შორის ამოთქვა მან; და აქ ბიძიას ხმა აღარ ამოსულია და იმას დააცქერდა თუ როგორ გამოტრიალდა ის მაგიდიდან დანით ხელში.

ჰოო, — თქვა ბიძიამ.

— და კიდევ იცით რას ვფიქრობ, — თქვა შერიფმა, — მიკვირს კიდევაც, რად ვერა ხვდებით. თუ იქნებ ხვდებით.

ბიძია თვალს არ აცილებდა შერიფს. ხოდა, ალეკ სანდერმა, — ყველას უკან ის იდგა სასადილო ოთახში სამზარეულოს კართან — წარმოთქვა სრულიად აუმღვრევლად, თითქოსდა კარგად შედგენილ განცხადებას კითხულობდა და ასე წარმოაჩენდა იმას, რაც არ ჰქონდა და არც არასდროს დასჭირდებოდა:

— იქნებ ის სულაც არ იყო ჯორი, იქნებ ის სულაც ცხენი იყო.

— ხოდა, იქნებ ახლა მაინც მიხვდით, — თქვა შერიფმა.

ჰოო, გაიმეორა ბიძიამ და ასე დასძინა, დიახო. მაგრამ ახლა მისს ჰებერშემმა დაიწყო ლაპარაკი. სწრაფად და მკაცრად გახედა ალეკ სანდერს და მერე ასევე სწრაფად და მკაცრად შერიფს მიუბრუნდა.

— მეც ასევე ვფიქრობ, — თქვა მან, — და მგონია კი ვართ იმისი ღირსი კუკუმალობანა რომ არ ვითამაშოთ.

— მეც ასე მგონია, მისს იუნის, — უთხრა შერიფმა, — ოღონდ ვინც სიმართლე იცის, ის ახლა არ არის ამ ოთახში.

ჰოო, თქვა მისს ჰებერშემმა. მერე იმანაც დასძინა, დიახო, რაღა თქმა უნდა, შერიფს მიაშურა, ნაგიდისა და კარს შუა მიასწრო და დანა გამოართვა, მაგიდასთან მივიდა, იმან კი გვერდით ჩაუარა და კარისკენ გასწია, ბიძია მიჰყვა იმას, ის და ალეკ სანდერიც, სასადილო ოთახი გაიარეს და ჩაბნელებული შემოსასვლელიც, კარი გაიხურეს;

იმას კი გაუკვირდა, შერიფმა ბოლომდე რად არ ჩაიცვაო მაშინვე, ადგომისთანავე; კაცს, ვინც რატომღაც, ანუ ჩვეულებრისამებრ დილის ოთხის ნახევარზე დგება და თავად იმზადებდა საუზმეს, რად უჭირდა ხუთი წუთით ადრე ადგომა, რათა პერანგი და ფეხსაცმლები ჩაეცვა; აქ მისს ჰებერშემმა რაღაცა სთქვა და მაშინღა გაახსენდა ეს ქალი, რაღა თქმა უნდა, ლედის აქ ყოფნა იყო მიზეზი, პერანგისა და ფეხსაცმლის ჩასაცმელად იმიტომ წავიდა, საუზმეს აღარ მიუჯდა, მისს ჰებერშემი რაღაცას ამბობდა და ის შეკრთა, არც კი შეტოკებულა, ისე, გამოერკვა რამდენიმე წამით თუ იქნებ წუთითაც ცხენივით ფეხზე ჩაძინებულმა, მისს ჰებერშემი ჯერ კიდევ იმ ხორცს კიდით სდებდა, რათა პირველი ნაჭერი ჩამოეთალა. ან ქალმა თქვა, ჰერისბერგში დაურეკოს ოლქის პროკურორს, იმან კი მოსამართლე მეიკოკსს გადმოურეკოს, რად არ შვრება ამასო?

— კი შვრება, — მიუგო ალეკ სანდერმა, — რეკავს.

— იქნებ სჯობდეს შემოსასვლელში გახვიდე და იქ კარგად გაიგონებ იმის სიტყვებს, — უთხრა ბიძიამ ალეკ სანდერს. შემდეგ ბიძიამ კვლავ მისს ჰებერშემს გახედა; იმანაც დაინახა, სწრაფად სჭრის ლორს ის ქალი, მანქანასავით სწრაფად. — ბ-ნი ჰემპტონი ამბობს, — ქაღალდები არ არისო საჭირო. თავად ნოვუვლითო ამ საქმეს მოსამართლე მეიკოქსის მოუშველებლად.

მისს ჰებერშემმა დანას ხელი გაუშვა, კი არ დადო, ხელი გაშალა და იმავე წამს ტილო აიღო, ხელები შეიმშრალა, მოტრიალდა, წამოვიდა იმ მაგიდიდან, სამზარეულო გამოვლო, შერიფზე უფრო სწრაფად გამოიარა, მაშინ რაღას ველოდებით, თქვა მან, იმას ველოდებით როდის ჩაიცვამს კოსტიუმს და ჰალსტუხს გაიკეთებსო?

ბიძიამ სასწრაფოდ მიაშურა ამ ქალს. ამ ბნელაში რა უნდა ვქნათ, უთხრა მან, გათენებას უნდა დავუცადოთო.

— ჩვენ არ ველოდებოდით, — მიუგო მისს ჰებერშემმა. მერე გაჩერდა. რაღა უნდა ექნა, პირდაპირ ბიძიასკენ უნდა წამოსულიყო, თუმცა ბიძია არც კი გაკარებია მას, იმასა და კარს შუა იდგა, ქალი იძულებული გახდა გაჩერებულიყო ერთი წამით, რათა ბიძიას გზა მიეცა მისთვის; და იმანაც შეხედა ამ ქალს, წელგამართულს, ტანთხელს, ვისაც ჩამოსწოწოდა ჩითის კაბა იმ მისი შლაპის სადა სიმრგვლეს ქვეშ და ასე გაიფიქრა მან **რა მოხუცია** და მაშინვე შეასწორა: **ქალმა, ლედიმ ეს არ უნდა გააკეთოს** და მერე გუშინდელი საღამო მოაგონდა, როდესაც კანტორის კარი დაკეტა, ეზოში გამოვიდა და სტვენა-სტვენით დაუწყო გამოხმობა ალეკ სანდერს, მაშინაც კი იცოდა, სჯეროდა — და ახლაც სჯერა — მარტოდაც წავიდოდა იქ, თუნდაც ალეკ სანდერს უარი ეთქვა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისს ჰებერშემმა სახლს შემოუარა და იმას გამოელაპარაკა, უკვე იცოდა, კი წავიდოდა და აღასრულებდა კიდევაც და აქ კვლავ ის ბერიკაცი ეფრაიმი გაახსენდა, ასე უთხრა იმან, როდესაც ის ბეჭედი იპოვნეს ღორების სალაფავი

ვობის ქვეშ: **თუკი რამე გაქვს გასაკეთებელი საჩქაროდ და დრო აღარ გაქვს, დაცდა არ შეგიძლია, მამაკაცებს ნურაფერს ეტყვი, წესისა და რიგის მიხედვით მუშაობენ ისინი, როგორც შენი ბიძია ამბობს. მიდი ქალებთან და ბავშვებთან, საქმის მოგვარება იმათ შეუძლიათ.** შემოსასვლელი კარი გაიღო, გაიგონა, შერიფმა სამზარეულოს მოაშურა. მაგრამ შერიფი არ შემოსულა სამზარეულოში, კართან შეჩერდა, დადგა იქ, როდესაც მისს ჰებერშემმა მკაცრად უთხრა, თითქმის მძვინვარედ:

— რაო? — იმ კაცს არც ფეხსაცმელი ჩაუცვამს და ჩამოწოწილი აჭიმებიც არ აუწევია, თითქოსდა არც გაუგონია მისს ჰებერშემის ნათქვამი; იდგა ეს გოლიათი, მთელი კარი ამოევსო და მისს ჰებერშემს დასცქეროდა — იმის შლაპას კი არ უმზერდა, არც იმის თვალებსა და არც სახეს, უბრალოდ უმზერდა იმას, ასე დაჰყურებენ რუსული ან ჩინური ასოების რიგს და ვიღაცას, თქვენ რომ ენდობით, ასე უთქვამს თქვენთვის, ასე და ასე იწერებაო თქვენი სახელი, დაბოლოს ჩაფიქრებულმა და გაოცებულმა წარმოთქვა:

— არა, — მერე თავი მიატრიალა და იმას შეხედა და დასძინა,— არც შენ, — მერე კიდევ მოატრიალა თავი, სანამ ალეკ სანდერი არ დაინახა, ალეკ სანდერმა კი შერიფს ახედა, მერე გვერდზე გაიხედა და ისევ ახედა ორი წამის შემდეგ, შენ, — უთხრა შერიფმა, — შენმეთქი. შენ წახვედი იქ იმ სიბნელეში და მკვდარი კაცის ამოთხრაში შეეშველე. უფრო მეტიც, იმ თეთრი კაცისა, ვისზეც სხვა თეთრებს ნათქვამი აქვთ, ზანგს მოუკლავსო. რატომ? მისს ჰებერშემმა თუ გაიძულა?

— არც არავინ, — მიუგო ალეკ სანდერმა, — თავადაც არ ვიცოდი თუ წავიდოდი. უარზე ვიყავი, ჩიკმა იცოდა რომ არ წავიდოდი. მაგრამ როგორც კი იმ მანქანასთან მივედით, ყველა ასე ფიქრობდა, რომ მეც წავიდოდი და ისე წავედი არც კი ვიცოდი.

— ბ-ნო ჰემპტონ, — თქვა მისს ჰებერშემმა. ახლა კი გამოხედა იმას შერიფმა. იმისი ხმაც კი გაიგონა.

— თქვენ კიდევ არ დაგიმთავრებიათ ამ ხორცის დაჭრა? — უთხრა მან, — აბა ერთი დანა მომეცით. — ქალს მკლავზე ხელი მოკიდა და მაგიდასთან მიიყვანა. — გეყოფათ ამაღამ რაც გადაგხდათ თავს. სულ მალე გათენდება და ხალხი დღისით არ უზამს ლინჩს. გათენებამდე უნდა მოასწროთ როგორმე და ხანდახან ბედი არ სწყალობთ, რაღაც შეუშლით ხელს. მაგრამ დღისით არ შვრებიან ამას, რადგან მაშინ ერთმანეთის სახის დანახვა შეუძლიათ. ვის უნდა ორზე უფრო მეტი კვერცხი?

ალეკ სანდერი სამზარეულოში დატოვეს, მაგიდას მიჯდომოდა სასაუზმოდ, იმან, იმისმა ბიძიამ და მისს ჰებერშებმა კი სასადილო ოთახში შეიტანეს თავიანთი საუზმე, ერბოკვერცხი, ხორცი და წუხანდელი ნამცხვარი, რომელიც ახლა დაებრაწათ, ყავადანიც, რომელშიაც იმდენი ხანი თუხთუხებდა გაუწურავი სითხე, სანამ შერიფი არ

მიხვდა იმის გვერდზე გადადგმას; თუმცა ოთხნი იყვნენ, შერიფმა ხუთი ფინჯანი გააწყო და ის იყო მაგიდას მიუსხდნენ, რომ შერიფმა თავი ასწია და ყური მიუგდო; იმას კი არც არაფერი ესმოდა, მერე წამოდგა და ბნელ შემოსასვლელში შეაბიჯა, მერე იქიდან სახლის უკანა მხარეს გავიდა, იქიდან კარის გაღების ხმა მოისმა და შერიფი მობრუნდა, ისევ შემოვიდა და იმას უილ ლიგეიტი შემოჰყვა, უთოფოდ, იმან კი თავი მოატრიალა, ფანჯარაში გაიხედა უკან, თენდებოდა მართლაც.

შერიფმა თეფშები ჩამოარიგა, ხოლო იმისმა ბიძიამ და ლიგეიტმა თავიანთი და შერიფის ფინჯნები ყავადანს შეუშვირეს, მისს ჰებერშემმა ყავა ჩამოასხა. დაბოლოს, იმას უცებ ასე მოეჩვენა, თითქოს უკვე კარგა ხანია ესმოდა შორიდან შერიფის სიტყვები: „... ბიჭი... ბიჭიო...“ მერე კი — გააღვიძე, გევინ, საუზმე ჭამოს სანამ დაიძინებდესო. ხოდა, ის შეკრთა, ისევ თენდებოდა და მისს ჰებერშემი ისევ ასხამდა ყავას, იმანაც დაიწყო ჭამა, ღეჭავდა და ყლაპავდა კიდევაც, თითქოსდა ეშვებოდა და ეცემოდა ამ ღეჭვის ხანს ძილის თვალუწვდენელ, ღრმა და წებოვან ლაფში, მოზუზუნე ხმებში, კარგა ხანია გასრულებულ ამბავს რომ ამცნობდა და რომელიც უკვე სულაც აღარ იყო მისი მოსაგვარებელი; შერიფისა იყო ეს ნათქვამი:

— ჯეკ მონტგომერის თუ იცნობ კროსმენის ოლქიდან? ეს ბოლო ექვსი თვეა ქალაქიდან აქ ხშირად ჩამოდიოდა, ხომ ასეა? — მერე ლიგეიტის ხმა:

— სწორია... ნაქურდალ ტყეს ყიდულობს. ფუნდუკი აქვს, ზედ ტენესის საზღვარზე, მემფისიდან რომ გამოდიხარ იქვე, რესტორანს ეძახდა იმას, თუმცა არც გამიგონია ვინმეს იქ რამე ეჭამოს, მერე კი იქ ვიღაც კაცი მოკლეს ამ ორი-სამი წლის წინ. თუმცა არც არავინ იცის თუ იყო ჯეკი ამ საქმეში გარეული, მაგრამ ტენესის პოლიციამ ის უკანვე, მისისიპს გამოაძევა ყოველი შემთხვევისათვის. მას მერე მე მგონია მამამისთანაა ფერმაში გლაზგოს ახლოს. იქნება ზის იქ და ელოდება, ხალხს გადაავიწყდება ის საქმე და სადმე გზის პირას ფუნდუკს გავხსნი, სადაც იატაკქვეშ არყის ყუთებს დავმალავო.

— ჩვენთან კი აქ რას აკეთებდა? — ჰკითხა შერიფმა. ლიგეიტმა ასე უპასუხა:

— ტყეს ყიდულობდა, მგონია. იმ ვინსონ გოურისაგან ხომ არა... — რაღაც უცნაურად ამოთქვა, — **ყიდულობდაო? მერე კი ჩვეულებრივად დასძინა,** — ახლა კი რას შვრება? — და ამჯერად კი იმისი საკუთარი ხმა გაისმა, აუმღვრეველი ღრმა ძილის ზედა პირას მიგდებული, აუმღვრეველი და არც ჰქონდა მნიშვნელობა, ხმამაღლა ამოთქვამდა თუ არა:

— არც არაფერს არა შვრება.

ნერე კი სული მოითქვა, რაკიღა იმ სახლის ცხელი, სულისშემხუთველი სიცხიდან ჰაერში გადმოაბიჯა. დილაა, მზეს ოქროსფრად

შეუფერავს ხეთა წვეროკინები, ოქროსფერადვე შერთვია ქალაქის შადრევნის უძრავად აჭრილ წყლის მომსხო ნაკადს, რომელსაც აბლაბუდასებრი საცეცები აეშვირა ცისფრად აპრიალებული ზეცისკენ. ოთხნი სხედან ახლა ბიძიას მანქანაში, შერიფი კი წინა მინასთან, საჭესთან არის მომდგარი, ჩაცმულია და ნარინჯისფერ-მოყვითალო ჰალსტუხითაც მორთული, ასე უთხრა ბიძიამ:

— მისს იუნისი სახლში მიიყვანე, ცოტა წაძინებას მაინც მოასწრებს. მე კი, ასე, ერთ საათში გამოგივლით.

მისს ჰებერშემი წინ, ბიძიას გვერდით იჯდა და ესლა ამოთქვა: „ოჰ“, და მორჩა. ლანძღვას არ მოჰყოლია. არ სჭირდებოდა და იმიტომ. ლანძღვაზე უფრო შთამბეჭდავი და მტკიცე იყო ის, რაცა თქვა. ბიძიასკენ გადაიხარა და ასე უთხრა შერიფს: — დაჯექით იმ თქვენს მანქანაში და ციხეში მიდით ან იქ, საიდანაც უნდა მოევლოს ამ საქმეს, რათა ამოთხრას შეუდგეთ. ჩვენ იქ მიწის ჩაყრა მოგვიხდა, რადგან ვიცოდით, არ დაგვიჯერებდით, სანამ თქვენი თვალით არ ნახავდით. მიდით, — ასე დასძინა, — იქ შევხვდებით ერთმანეთს, ნიდით-მეთქი.

მაგრამ შერიფს ფეხიც არ მოუცვლია. იმას ესმოდა ამ კაცის სუნთქვა, ფართო, ძალუმი, თითქოსდა ხვნეშისო.

— რაღა თქმა უნდა, არ ვიცი, — თქვა შერიფმა, — ლედის არც რა აწუხებს გარდა იმ ორი ათასიოდე ჭუჭულისა, თუმცა კი უნდათ იმათ ჭმევა, ფოფინი და წყლის დალევინება და კიდევ ის ხუთი აკრი ბოსტანი და მეტი არც არაფერი, მთელი დღე. მაგრამ ეს ორი ბიჭი სკოლაშია წასასვლელი. რაც უნდა იყოს, არ გამიგონია, პედსაბჭოს დადგენილება გამოეტანოს, ბავშვებმა გაკვეთილები გააცდინონ და გვამების ამოსათხრელად წავიდნენო.

ამაზე კი ამ ქალმაც არა თქვა არაფერი. სავარძელს არ გადაყრდნობოდა, წინ გადაწეული იჯდა, რათა შერიფისთვის თვალი არ მოეცილებინა, და იმან ასე გაიფიქრა კვლავ **ძალიან მოხუცებულია ეს ქალი, არ არის ეს მისი საქმე;** თუმცა ეს ქალი რომ არ ყოფილიყო, მაშინ, სამივენი და, აგრეთვე, მისი დედა, მამა და პარალიც ასე ეძახიან, ბალღებიო, სწორედ იმათ და მეტ არავის მოუხდებოდათ ამის გაკეთება, მაგრამ შეძლებდნენ თუ არა, კი იყო მაინც ეს საქმე გასაკეთებელი. იმიტომ კი არა, სამართლიანობა, წესრიგი დაცულიყო, საქმე ისაა, უდანაშაულობა არ უნდა შებღალულიყო; და ასე **ფიქრობდა ბიჭი, არის კაცი,** ვისაც **სხვისი** მოკვლა **სურს** იმიტომ კი არა, რაღაც საბაბი თუ მიზეზი აქვს, კაცის მოსაკლავად ხელები ექავება და იმიტომ, და მხოლოდ ამის შემდეგ თხზავს ხოლმე საბაბსა და მიზეზს, რათა ხალხში იცხოვროს და გონიერი არსება ერქვას; ვისაც არ უნდა მოსურვებოდა გოურის მოკვლა და იმის სანაცვლოდ სხვა ჩაედო სამარეში, სხვანაირად ვერ მოუვლიდა იმ თავის, მკვლელი კაცის ხელების ქავილს. ხოდა, ვინსონ გოურის ძმაკაცებსა და ნათესავებს უნდა მოეკლათ ლუკასი და კიდევ ვიღაც, სულ ერთია,

მხოლოდ ამის მერე შეეძლოთ დაწოლა, გულმშვიდად სუნთქვა, ცოტათი შეწუხებულიყვნენ კიდევაც და დაწყნარებულიყვნენ მერე. ძერიფს ახლა ხმა წყნარი გახდომოდა, თითქმის დამტკბარიც.

— წადით სახლში, თქვენ და ამ ბიჭებმა კარგი საქმე გააკეთეთ. ნამდვილად დაიხსენით კაცის სიცოცხლე. ახლა კი სახლში წადითბეთქი, დანარჩენს ჩვენ ვიზამთ. ლედის იქ რა უნდა.

მაგრამ ამით სულ ცოტა ხანით თუ შეუჩერებიათ მისს ჰებერშემი, წუხელ იქ კაცებს რა უნდოდათო.

— დაიცადე, ჰოუპ, — თქვა ბიძიამ, მერე კი მისს ჰებერშემს მიუბრუნდა, თქვენ საქმე გაქვთო ქალაქში. მერე კი ასე დასძინა, თუ გესმითო. ახლა კი მისს ჰებერშემი გამოსცქეროდა ბიძიას. არც კი გადაყრდნობილიყო მანქანის სავარძელზე, ჯერ სულაც არ აპირებდა დახებებას; გამოსცქეროდა, თუმცა კი სულაც არ შეეცვალა ერთი მონაწილე მეორეთი, არამედ სულის ძოუთქმელად და ჯიქურ ორივეს შეეჭიდა, ბაქიბუქს არ მოჰყოლია, დანდობაც არ უთხოვია. — უილ ლიგეიტი ფერმერია, — უთხრა ბიძიამ, — მთელი ღამე იქ იყო. სახლში უნდა წავიდეს და იქაურობას ცოტათი მაინც მიხედოს.

— ნუთუ ბ-ნ ჰემპტონს სხვა დამხმარე არავინ ჰყავს? — იკითხა მისს ჰებერშემმა, — მისი თანაშემწეები რაღას შვრებიან?

— ისინი უბრალო თოფებიანი კაცებია, — მიუგო ბიძიამ, — ლიგეიტმა ასე გვითხრა გუშინ ჩიკსა და მე, თუკი საკმაო ხალხი გამოჩნდება, ვინც ამის გაკეთებას მოისურვებს და კიდევაც მტკიცედ დადგებიან, მე და ბ-ნი ტაბსი იმათ ვერ დავაკავებთო. მაგრამ თუკი ქალი, ლედი, თეთრი ლედი-მეთქი... — ბიძია შეჩერდა, შეწყვიტა, ისინი ისევ მიაჩერდნენ ერთმანეთს; ის კი უმზერდა იმათ და გაახსენდა. ნისი ბიძია და ლუკასი იდგნენ წუხელ საკანში (წუხელ იყო, რაღა თქმა უნდა, არადა წლები გასულიყო თითქოს), ახლაც ცხადლივ ხედავს იმათ — მხოლოდ ახლა მოსწვდნენ ერთიმეორის სულს ბიძია და მისს ჰებერშემი და ერთმანეთს თვალებით არცა სჭამენ, როდესაც გრძნობების სიცხოველე აბსოლუტურის ზღვარს არის მიახლოებული და საბოლო ჯამში ეს უნიათო, აბურდული აღქმა და სანსკრიტის ამოკითხვა ერთი და იგივეა — ვითარცა პოკერში შერჩენილ ორ მოთამაშეს, რომლებსაც საბოლოო ნოგების იმედი აქვთ. ბიძიამ ასე გაასრულა ის თავისი სიტყვა — იქნება იქ თავისთვის მჯდომარე, ყველას თვალწინ, ხოდა, პირველივე გამვლელი განგაშს ატეხს მანამ, სანამ მეოთხე უბნელები მანქანებში ბენზინს ჩაასხამენ ქალაქში წამოსვლის წინ... ამასობაში ჩვენ იქ მივალთ და ყველაფერს კარგადაც დავასრულებთ, მორჩა და...

მისს ჰებერშემმა ნელინელ დაიწია უკან და ბოლოს გადაეყრდნო კიდევაც მანქანის სავარძელს. ასე თქვა: „ხოდა მე იქ ვიჯდები კიბის თავში კაბაგაშლილი, ანუ, იქნებ სჯობდეს ნოაჯირს მიყრდნობილს ცალი ფეხი ქ-ნ ტაბსის სამზარეულოს კედელს მქონდეს მიბჯენილი, ამ დროს კი თქვენ მამაკაცები, რომლებმაც გუშინ დრო ვერ

ნახეთ რამდენიმე შეკითხვა მიგეცათ ბებერი ზანგისთვის და მთელი ღამე იმან ისღა მოახერხა, 'მოეხმო ბიჭი, ბავშვი...“ — ბიძიას აღარაფერი უთქვაბს. შერიფი კი მანქანის ფანჯრისკენ გადმოხრილი იდგა და ფართოდ, ღრმად სუნთქავდა, სუნთქვა კი არ უჭირდა, სხვანაირად როგორღა უნდა ესუნთქა ამ გოლიათ კაცს. მისს ჰებერშემმა ასე დასძინა, ჯერ სახლში წამიყვანეთ. რაღაც-რაღაცები მაქვს შესაკეთებელი. ტყუილად ხომ არ ვიჯდები შუადღემდე, შეიძლება ქ-ნმა ტაბსმა იფიქროს, თუ არ ველაპარაკე, მოსწყინდებაო. ჯერ სახლში წამიყვანეთ-მეთქი. ერთი საათის წინათვე მივხვდი, თქვენ და ბ-ნ ჰემპტონს ერთი სული გაქვთ როდის მორჩებით ამ საქმეს, მაგრამ ჩემს წაყვანას და მოყვანას ბევრი დრო არ უნდა. ალეკ სანდერს შეუძლია ჩემი მანქანა ციხესთან მიიყვანოს. სკოლაში 'ხომ მიდის, და იქ დატოვოს ჭიშკართან.

დიახ, ქალბატონო, მიუგო ბიძიამ.

თავი 6

ხოდა, შინ მიიყვანეს მისს ჰებერშემი, ქალაქის სულ განაპირას, ხვავრიელფოთლოვანი კედრის ტევრში გაიარეს და იმისი სახლის შეუღებავი შესასვლელის სვეტებს მიადგნენ; ქალი მანქანიდან გადმოვიდა, სახლში შევიდა და, როგორც ჩანს, არც შეჩერებულა, რადგან თითქმის მაშინვე გაიგონეს, ვიღაცას დაუძახა იმან, იქ, უკან გასულმა — ზანგის ბერიკაცი უნდა ყოფილიყო, მოლის ძმა და ცოლისძმა ლუკასისა — ხმაჩახრინწული ეძახდა, რადგანაც დაღლილ-დაქანცულიყო უძილობისაგან, მერე კი გამოვიდა და გამოიტანა მუყაოს ყუთი, რომელიც სავსე უნდა ყოფილიყო გასაუთოებელი თეთრეულის მოგრძო ქსოვილებითა და დახვეული ჩულქებით, ისევ მანქანაში ჩაჯდა და მოედნისკენ გამოსწიეს დილის მორეცხილ-მოსუფთავებული ქუჩებით, ჯეფერსონის დაარსების დროინდელ ძველ და დიდ, აწ უკვე შენპალი ხის სახლებს ჩამოუარეს, დაბურულ ბაღებსაც, სწორედ ასეთი ჰქონდა მისს ჰებერშემს ასწლოვანი ხეები და ყვავილნარი ხარობდა აქ და ისეთი უცნაური მცენარეები, რომლის სახელები მხოლოდ ორმოცს გადაცილებულებმა. თუ იცოდნენ, თუნდაც ბავშვებით ყოფილიყო დასახლებული ეს არემიდამო, მაინც მოგაგონებდათ დედაკაცთა აჩრდილების, ბერიქალების, შინაბერებისა და ქვრივების საცხოვრისს, სადაც ახლაც, სამოცდათხუთმეტი წლის შემდეგ მოელიან სატელეგრაფო ცნობებს ტენესის, ვირჯინიისა და პენსილვანიის ბრძოლების შესახებ; ეს სახლები უკვე აღარც დგანან ქუჩის პირას, მხრებს ზემოთ იმზირებიან ზეგინდელი სახლებისას, რომლებიც პატარები, სუფთა, ერთსართულიანებია, აგებულია ფლორიდული და კალიფორნიული ნახაზების მიხედვით, გარაჟდატანებულია ყველა, ფაქი-

ზად მოვლილი, საგულდაგულოდ შეკრეჭილ ბალახიანი ნაკვეთებითურთ, ბუჩქები აქ სევდისმომგვრელად დგას, ამ ოცდახუთი წლის წინ აგრე ერთი მეორეზე მიწყობილი სახლები ვერ იყო კარგი სანახავი, რადგან მაშინ ასე ფიქრობდნენ, ერთი მისასვლელი მოუხერხებელი იქნებოდა რამდენიმესთვის; შეძლებული ყმაწვილი მეუღლეები ცხოვრობენ ასეთ სახლებში ორი ბავშვით და (როგორც კი ყელამდე გაივსებოდნენ) თითოეული საკუთარ მანქანას შეიძენდა, გახდებოდა წევრი საოლქო კლუბისა, ბრიჯის მოთამაშეთა საოლქო კლუბისაც, ახალგაზრდული საროტარო და კომერციული კლუბის წევრებიც ხდებოდნენ, ყოველს აქვს პატენტირებული სამზარეულო მოწყობილობანი, აგრეთვე, გამაგრილებელი, გამსუფთავებელი ელექტროხელსაწყოებიც, ემსახურებათ ფერადკანიანი, ფაქიზად ჩაცმული მოსამსახურე გოგოები, რომლებსაც კოხტა ჩაჩები ახურავთ და კარგადაც ხმაროობენ ამ ხელსაწყოებს, ზოგჯერ კი ტელეფონით ემუსაიფებიან თავიანთ მეზობლად მოსამსახურე დაქალებს, ამ დროს კი ოჯახის დედები სანდლებსა და შარვლებში გამოწყობილები, ფეხის ფრჩხილებშეღებილები, პომადაწასმულ ტუჩებში სიგარეტგაჩრილები დადიან მაღაზიიდან მაღაზიაში და საქონლით ივსებენ თავიანთ ჩანთებს.

ანუ ყოველთვის ასე იყო და ასეც უნდა ყოფილიყო: კვირადღეს ისე ჩაივლიდნენ, არც კი მიაქცევდნენ ყურადღებას, ცხადი იყო, ამ დღეს არც არავინ ააზუზუნებდა მტვერსასრუტს, არ გააჩხაკუნებდნენ ელექტროღუმელის ჩამრთველს, რადგანაც ეს დასვენების დღეა ან იქნებ ნათლობაა, ან საზეიმო დაკრძალვა, მაგრამ ახლა ორშაბათია, ახალი კვირა იწყება და უქმედ ყოფნა მორჩა, გათავდა, კარგად გამოძინებული ბავშვები სკოლაში მიდიან, ქმარი და მამა დახლში უნდა დადგეს ან სამსახურში წავიდეს, ან „ვესტერნ იუნიონის“ რედაქციაში უნდა იტრიალოს, სადაც ყოველ საათს მოდის ცნობები ბამბის ფასების შესახებ; საუზმის დროა, ჩქარობენ, დადიან წინ და უკან, მაგრამ ზანგები კი ჯერ არ სჩანან. ფაქიზად თმებგადავარცხილნი, გამოწყობილები გუშინდელ ჭრელ-ჭრელ და ნაირნაირ კაბებში, რომლებიც ფოსტით აქვთ გამოწერილები, ასეთს ჰარპერის მაღაზიაში ვერ იყიდიდნენ და მხოლოდ გაპრიალებულ სამზარეულოში შემოსვლის ხანს იხურავენ ჩაჩებსა და იკეთებენ წინსაფრებს, არც ხანში შესული ზანგის ქალები მოსულან ჯერ, სახლში შეკერილი ჩითის ან ტილოს უჯრედებიანი გრძელი კაბები აცვიათ ამათ, წინსაფრებიც უბრალო უკეთიათ და არც იცილებენ მთელი დღე და სულაც აღარ არის მიმანიშნებელი იმათი სამუშაოსი, არც მამაკაცები მოსულან, ვინც უკვე უნდა შედგომოდნენ ცოცხალი ღობეებისა და ბუჩქების ბოვლას; არც ისინი ჩანდნენ (ახლა მოედანზე მოჩანდნენ ისინი), რომლებსაც სათანადო უწყება აგზავნიდა ქუჩების მოსახვეტად, მოსაწმენდათ და გადაყრილი საკვირაო გაზეთების გროვებისა და ცარიელი სიგარეტის კოლოფების ასაღებად; გადასჭრეს მოედანი და ციხესთან მივიდნენ,

ბიძიაც გადავიდა მანქანიდან და მისს ჰებერშემთან ერთად კიბეს გაუშურა, იმ ღია კართან ავიდნენ, იმის პირდაპირ კი უკვე ლიგეიტის ის ცარიელი სკამი იდგა კედელთან, ის კი კვლავ ამოყურყუმალავდა ხანგრძლივი ლბილი უჟამო შავფერი ძილის ჩქერალიდან და წელანდელივით შენიშნა, დრო არც კი გასულიყო, ბიძია ჯერ კიდევ ქუდს იხურავს და ტრიალდება კიბიდან ჩამოსასვლელად. მერე კი თავიანთ სახლთან გაჩერდნენ, ალეკ სანდერი მაშინვე გასხლტა მანქანიდან, შენობას შემოურბინა და გაუჩინარდა, და მან ასე თქვა:

— არა.

— კი, — უთხრა ბიძიამ, — ახლავე გამოდი, სკოლაში უნდა წახვიდე. ანდა სჯობს დაწვე და დაიძინო... ჰო, — მერე უცებ ბიძიას გაახსენდა, — ალეკ სანდერიც. ისიც სახლში იყოს დღეს. რადგან კრინტი არ უნდა დაძრათ ამაზე ვინმესთან, სანამ ყველაფერი არ მორჩება. ხომ გესმის.

მაგრამ ის ყურს არ უგდებდა, ის და მისი ბიძია არც კი ლაპარაკობდნენ ერთსა და იმავე საგანზე და მაშინაც კი, როდესაც თქვა, არაო და როდესაც ბიძია უკვე გადმოსული იყო მანქანიდან, სახლისკენაც მიბრუნებული, შეჩერდა და იმას გამოხედა და კარგა ხანს უმზერდა, მერე კი ასე თქვა:

— ჩვენ ყველაფერი წალმა-უკუღმა გამოგვდის მგონია, ხომ? ეს მე უნდა გკითხო შენ, თუ ნიშვებ-მეთქი. — რადგანაც დედაზე ფიქრობდა, ახლა კი არ გახსენებია, ჯერ კიდევ მაშინ მოაგონდა, როდესაც ის-ის იყო მოედანი გადმოიარეს ამ ხუთი წუთის წინ; ამაზე ადვილი რა არის, გადმოვა ბიძია მანქანიდან და შერიფის მანქანაში ჩაჯდება და იქნება იქ მანამ, სანამ ისინი იმ სამლოცველოსკენ არ გასწევენ, ჯერ კიდევ მაშინ გაიფიქრა ეს, როგორც ჩანს, და კიდევაც იზამდა ამას, მაგრამ ძილმა გააბრუა, დაშალა ტან-ოგში და გამოალენჩა; ისიც იცოდა, წინააღმდეგობას ამჯერად ვერ გაუწევდა დედას, თუნდაც კარგად გამოძინებული ყოფილიყო, ის გარემოება, რომ ამ თერთმეტი საათის მანძილზე უკვე ორჯერ, ერთხელ იდუმალ და მეორედ კი გასაოცარი საშინელი სისწრაფით გასულიყო ფონს, ახლა უკვე დასამარცხებლად განწირულს ხდიდა მას; ამას ფიქრობდა, რა ეპასუხა ბიძიასთვის, იმის გულუბრყვილო და ბავშვურ ნათქვამზე. სკოლაში ლაპარაკს დაიწყებთო, იმაზეც, ინან რომ უთხრა, დასაძინებლად უნდა წახვიდეო, და მაშინ კი პირისპირ გადაეყრებოდა დედის მოუხელთებელ და ულმობელ შემოტევას. ბიძია მიმხვდარიყო ამ მის გასაჭირს, მანქანასთან მდგომარე გულდათუთქული და ინედმიხდილი გამოსცქეროდა, თუმცა კი თავად უკვე ორმოცდაათი წლის ბერბიჭა იყო და ოცდათხუთმეტი წელია რაც თავი დაეღწია ქალის კალთას, ამ კაცმა კარგად იცოდა, ახსოვდა, თუ რას მოიშველიებდა დედამისი, როგორ, სკოლა გააცდინა, ფეხზე ძლივსღა დგას; და თუ დასჭირდებოდა, სხვა ბევრსაც მოიმარჯვებდა, ყურსაც არ დაუგდებდა და ვერანაირი საბუთით ვერ დაუმტკიცებდით, სახლში უნდა დარჩენა თუ წასვლა,

რაც არ უნდა თქვათ, სულ ერთია, მოქალაქის მოვალეობა, ვინმეს სიცოცხლის ხსნა, ჩვეულებრივი ადამიანური სამართალი რომ გიხმობთ და თუნდაც თქვენი საკუთარი სულისთვის მშვიდობის მოპოვება გსურთ და მეტი არაფერი. ბიძიამ თქვა:

— კარგი. წამოდი. ნე ვეტყვი.

უნდა გამოსულიყვნენ და იმან უეცრად წყნარად და გაოცებითაც ასე ამოთქვა არა უიმედობით შეპყრობილმა, უფრო იმით, რამდენ ხანს შეუძლია ადამიანიშვილს სასოეგაწართმეული ყოფნა: თქვენ ხომ მხოლოდ ბიძია ხართო ჩემი.

— უფრო უარესიც, — მიუგო ბიძიამ, — მე მხოლოდ მამაკაცი ვარ. — ბიძია ახლაც მიუხვდა, — კარგი. იქნებ პარალისთანაც გავხდე რამეს. ერთ ბედქვეშა ხართ ორივენი. ფერი არა აქვს დედის გულს.

და იქნებ ახლა ბიძია ასე ფიქრობდა, ქალების დამარცხება შეუძლებელია, საომარ ველსაც კი ვერ მიაგნებთ, რათა თქვენი დამარცხება აუწყოთ ვინმეს, მოწინააღმდეგეს უკვე ადგილსამყოფელი ექნება შეცვლილი; ეს გაახსენდა, ამ ორი წლის წინ, ბოლოს როგორც იქნა, სკოლის ფეხბურთელთა გუნდში მოხვდა თუ რომელიღაც გამარჯვების შემდეგ შეიყვანეს იქ ან იმის მაგივრად მოიწვიეს საქალაქთაშორისო შეჯიბრებაში, ვინც ძირითადი მოთამაშე იყო და ვარჯიშზე დამტვრეულიყო, ან ვერ თამაშობდა კარგად იმხანად, ან შეიძლება სულაც დედამისმა არ დაანება წასვლა თუ რაღაც ამდაგვარი, ზუსტად არც ახსოვდა, რადგან მთელი ეს ხუთშაბათი და პარასკევი ამაოდ დაიღალა ამ ფიქრით, თუ როგორ ეთქვა დედისთვის, მოტსტაუნს მივდივარ, შეჯიბრებაში უნდა გამოვიდეო, ბოლო წუთამდე ვერაფერი ვერ მოიფიქრა და რაღა უნდა ექნა, რაღაც მიკიბ-მოკიბა; კი გაუძლო ქალის აბობოქრებას, რადგანაც მამამისი ყოფილა იქ. (კი ვერ გაეთვალისწინებინა ეს გარემოება — იმიტომ კი არა, რომ არ სურდა, გაოგნებული ან თავგზააბნეული იყო ჯავრისა და სირცხვილისაგან და იმ სირცხვილისაგანაც, რომ ჯავრით აღარ იყო და რცხვენოდა (ამ ქალის რაღაც ნათქვამზე დაიყვირა კიდევაც: „გუნდის ბრალია ერთი ბავშვიღა რომ გყევარ?“), ფიქრი რომ უხდებოდა ამაზე.) და პარასკევს შუადღით, იმ თავის გუნდთან ერთად წასული ისე გრძნობდა თავს, როგორც ჯარისკაცი, რომელმაც თავი დააღწია თავისი დედის მკლავებს და რაღაც უღირსი საქმის გამო გასწია საბრძოლველად; რაღა თქმა უნდა, იმ ქალს შეებრალებოდა ის, თუკი ხელი მოეცარებოდა და პირდაპირაც შეხედავდა სახეში, თუ ასე არ მოხდებოდა, მაგრამ ეს ამბავი სულ მთლად იქნებოდა გახირული მათ შორის მარად მბჟუტავ და წარუვალ ბუნდ გრძნობად; ხოდა, მთელი ის პარასკევი ღამე ცდილობდა დაძინებას იმ უცხო ლოგინში და მეორე დღის მთელი ეს ხანი თამაშის დაწყებამდე სულ ამას ფიქრობდა, კი იქნებოდა კარგი ჩემი გუნდისთვის, რომ არ წამოვსულიყავიო სულაც, რადგან სხვაგან ქრისო ჩემი გონება; სანამ პირველად არ დაუსტვი-

ნეს, და მერე, სულ დაბლა მოქცეულიყო, სადღაც ზემოდან კი ორივე გუნდი გადმომხობოდა თავზე, იმას კი მკერდზე მიეჭირა ბურთი და პირი და ნესტოები გამოვსებოდა გამომწვარი კირით, რომლითაც კარის ხაზი გაევლოთ და ყოველივე ამის ზემოთ მრავლის უმრავლეს ხმაში, ღრიანცელში გაისმა მოზეიმე, სისხლმოწყურებული და ყოვლისშემცველი კივილი. დაბოლოს, თავი რომ დააღწია იმათ, გამოძვრა და სული მოითქვა, დაინახა დედა ბრბოს წინ და არა ტრიბუნაზე მჯდომარე, იმათ შორის იყო, ვინც ხაზთან წინ და უკან დარბოდა, რათა არ გამოპარვოდა ყოველი წვრილმანი ამ თამაშისა, მერე კი, საღამოს, როდესაც ნაქირავებ მანქანაში ისხდნენ და უკან, ჯეფერსონში ბრუნდებოდნენ და ის მძღოლის გვერდით იჯდა, მისი დედა და სამი მისი გუნდის წევრი — უკან, სულ გაისმოდა ამ ქალის ხმა, ამაყად, მშვიდად და უწყალოდ, თავად თუ იტყოდა ასე: „კიდევ გტკივა ეგ ხელი?“ და ბოლოს, მხოლოდ სახლში შესულმა ასე გაიფიქრა, ეს ქალი ახლა კართან, თმაგაშლილი და პერანგის ამარა იქნება და ახლა, სამი საათის მერე ისევ იმ გაუთავებელი წუწუნითა და ჩივილით დამხვდებაო. მაგრამ იმ ქალის მაგივრად მამამ შემოჰღრიალა, სწორედ ახლა გამოსულიყო სასადილო ოთახიდან, ბიძიასიც კი არ მოერიდა, ამან კი პირდაპირ სახეში მიახალა.

— ჩარლი, ჩარლი. კარგი ერთი, რა მოგვიდა? — და მხოლოდ მაშინ დედა სრულიად ჩაცმული, საქმიანი სახით, გულდინჯად გამოვიდა სამზარეულოდან, აქეთ წამოვიდა და ხმის აუწევლადაც კი უთხრა მამას:

— ჩარლი, დაბრუნდი და დაამთავრე შენი საუზმე. პარალი ამ დილას ცუდადაა და მთელი დღე სადილის კეთებას ვერ გადაყვება,— მერე კი მას მიუბრუნდა, ეს საყვარელი მარად ნაცნობი, მთელი ცხოვრება იმის სულსა და გულში ჩაჭდეული სახე, რომელსაც ვერ აღუწერდა ვინმეს უცხოს ისე, რომ საცნაური გაეხადა მისთვის და თავადაც ვერ იცნობდა, სხვას რომ აეწერა მისთვის, ხოდა, საქმიანად, წყნარად და ახლა ცოტათი უყურადღებოდაც კი, წუწუნით, წუწუნით ამოთქვა მხოლოდ იმიტომ, რომ ოდინდელმა ჩვეულებამ თავისი ჰქნა, პირი არ დაგიბანიაო; არც კი დაყოვნებულა, არც მოუხედავს, თუ მომყვებაო უკან, კიბეზე ავიდა, სააბაზანოს კარი შეაღო, ონკანიც კი გახსნა, საპონიც შემოაჩეჩა ხელში და იქვე დადგა პირსახოცმომარჯვებული და მომლოდინე იმ გამომეტყველებით, სული და გული რომ შექმნილიყო მისი, ნთელი ცხოვრება არ გაუნელდებოდა ამ ქალს ის გაოცება, შეშფოთება, ყოვლისმძლეველი უარყოფის გრძნობა, რომელიც ყოველთვის დაეტყობოდა ხოლმე, თუკი შეამჩნევდა, კიდევ ერთი ნაბიჯით დაცილებულიყო იგი თავის სიყრმესა და ბავშვობას; როდესაც ბიძიამ შოტლანდიური პონი მოუყვანა, იმას შეეძლო თვრამეტი — ოცი დუიმის სიმაღლეზე გადახტომა და როდესაც მამამ პირველად მისცა ნამდვილი თოთი და ერთხელ შუადღით მეჯინიბემ ჰაიბოი ჩამოიყვანა სატვირთო მანქანით და პირველად შეჯდა, ჰაი-

ბოი ყალყზე შედგა, დედა აკივლდა, მეჯინიბემ კი წყნარად უთხრა: „მაგრად გადაჰკარი თავზე თუ კიდევ იზამს ამას. თორემ ზურგზე გადაენარცხება და ქვეშ მოგიყოლებს“. პირისახე ამ ქალს ჩვეულებისამებრ გახდომოდა, ყურადღებას ვერ აქცევდა და იმიტომ, და ეს ხანგრძლივი ჩვეულება თავისას შვრებოდა, ასევე ხმაც, იმ ხანგრძლივი ჩვეულებისამებრ მისი ხმაც მოჰყვებოდა წუწუნს, თუმცა ახლა რაღაც სხვაც დაეტყობოდა სწორედ ისე, როგორც იმ საღამოს, მანქანაში, მაშინ ასე თქვა ამ ქალმა, ხომ კიდევ გტკივა ეგ ხელი, ხომ კიდევ გტკივაო? მერე კი, სულ სხვა საღამოს, როდესაც მამა სახლში მივიდა და დაინახა, ის ჰაიბოიზე იჯდა და ქვის ბაგაზე ახტუნებდა, დედამისი კი ღობეზე მიყრდნობილი იდგა და იმას უმზერდა, ხოდა, გადაევლო იმ ბაგას და მამის გამძვინვარებული და ამავე დროს შვება შერეული ხმა გაისმა, დედამ კი ამჯერად წყნარად თქვა: „რატომაც არა? ეს ბაგა იმ მიღრინკულ ღობეზე მაღალი არ არის, კი უყიდე ის სახტუნაო, მაგრამ არც კი დაგიჭედებია“. და ახლა იდგა გაბრუებული უძილობისაგან და მაინც მიხვდა და სახე მოატრიალა, ხელები შეიმშრალა და დაიყვირა გაოცებითა და ჯავრით, შენ არ წამოხვალ! შენ არ წამოხვალო! და მერე თუმცა კი იყო გაბრუებული უძილობისაგან, მაინც ჩახვდა თავის უილაჯობასა და გულუბრყვილობას, ამ ქალს ის როგორ მოერეოდა, რაღა უნდა ექნა და სასოწარკვეთილმა თავისი უკანასკნელი კარტი მოიქნია: „შენ წამოხვალ და მაშინ მე აღარ წავალ! გესმის? მე აღარ წამოვალ-მეთქი!“

— სახე გაიმშრალე და თმა დაივარცხნე, — უთხრა დედამ, — მერე დაბლა ჩადი და ყავა დალიე.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. პარალისთან, როგორც ჩანს, კარგად იყო საქმე, რადგან ბიძია შემოსასვლელში უკვე ტელეფონთან მისულიყო, ჩავიდა თუ არა სასადილოში, დაჯდომაც კი ვერ მოასწრო, რომ მამამ ისევ დაუღრიალა:

— დასწყევლოს ღმერთმა, რატომ არ მოხვედი და მითხარი გუშინ საღამოს? კიდევ იზამ და...

— იმიტომ რომ შენ არც დაუჯერებდი რამეს, — თქვა ბიძიამ და შემოვიდა, — ყურსაც არ დაუგდებდი. ამ საქმისთვის ერთი ბერიქალი და ორი ბალღი იყო საჭირო, რათა დაგეჯერებინა, სხვანაირად როგორია დაიჯერებდით იმას, როცა თქვა იმ ბერიქალმა, კი იმსახურებდა ის სიბრალულსა და ნეობას, ხოდა იმანაც ნახა შემბრალებელი მაშინაც კი, როდესაც არც არავინ დაუჯერებდა ნას. პირველად არც შენ გჯეროდა, — ბიძია ახლა მას მიუბრუნდა, — როდის მიხვდი, ტყუილს არ ამბობსო ის კაცი? კუბოს რომ ახადეთ, მაშინ? მინდა ვიცოდე, გესმის? შეიძლება მე იმდენად დაჩაჩანაკებული არა ვარ და იქნებ კი ვისწავლო რამე. როდის-მეთქი?

— არ ვიცი, — მიუგო მან. რადგან მართლაც არ იცოდა, თუმცა კი ასე ეგონა, რომ იცოდა მთელი ეს ხანი. მერე კი ასე ეგონა, რომ არც არასდროს დაუჯერებია საბოლოოდ ლუკასისთვის. მერე კი ასე

ეგონა, რაც მოხდა, არც არასდროს მომხდარიყო და კვლავ გარინდებულმა ამოყვინთა ხანგრძლივი თვლემის ღრმა ჭაბჭრობიდან, მაგრამ ამჯერად გარკვეული დროის შემდგომ იგრძნო ფიქრის ფრთხიალი თავში და გაუძლო ძილქუშის შემოტევას ღამის იმ მძღოლივით, რომელიც რაღაც აბებს ყლაპავს, ღილების ტოლას და ჰყოფნის უახლოეს ქალაქში ჩასვლამდე, რადგან ახლა იმ ოთახში დედაა, წყნარი და დაორხელებული; ჩამოუდგა წინ ფინჯანი ყავა და თუკი პარალი იზამდა ასე, ეს ქალი ეტყოდა, ჭიქებს ნუ ისვრიო. სწორედ ამ ყავის ბრალი თუ იყო, რომ არც მამა და არც ბიძია უცქერდა ამ ქალს, მამამ პირიქით, ასეც კი წამოიძახა:

— ყავაო? ეშმაკმა იცის რა ხდება? მგონია გახსოვს, როგორც იქნა დასტური რომ მიეცი და გევინმა ცხენი უყიდა, იმან სიტყვა მოგცა, არამცთუ მოგვთხოვდა, თავადაც არ დალევდა ერთ წვეთ ყავას თვრამეტ წლამდე, — დედამ არც კი მოუსმინა, იმავე ხელით და ისევე გამოჰკრა თუ გამოიქნია დოქი ნაღებით და საშაქრე, მიტრიალდა და სამზარეულოში გავიდა, მისი ხმა მოისმა იქიდან, ჯავრიანი კი არა, წყნარ-საქმიანი:

— ჩქარა დალიე, ისედაც დაგვაგვიანდა, — და ახლაღა შეხედა იმას პირველად სუყველამ, ჩაცმულ-გამოწყობილი, შლაპითაც კი, ხელზე კალათა ჩამოეკიდებინა, იმაში კი, რაც თავი ახსოვს, ყოველთვის იყო ჩალაგებული მისი, მამისა და ბიძიას წინდები, თუმცა ბიძიამ პირველად ჯერ მისი შლაპა დაინახა და მაშინვე თავზარი დაეცა, ისევე გაოგნდა, როგორც თავად ის საბაზანოში.

— მეგი! — დაიყვირა ბიძიამ, — შენ არ უნდა წამოხვიდე! ჩარლი...

— მე არც მოვდივარ, — თქვა დედამ, არც შეჩერებულა ისე, — ამჯერად მამაკაცებმა უნდა ითავონ იმისი ამოთხრა. მე ციხეში მივდივარ, — მერე ის უკვე სამზარეულოში იყო გასული, საიდანაც მისი ხმა მოისმოდა, — მისს ჰებერშემს მთელი ოლქის ბრიყვების ანაბარად ვერ დავაგდებ. პარალის მივეხმარები სადილის გაკეთებაში და წავალ, — და მერე ხმა კი არ ჩაუწყდა, შეჩერდა, შეხედა, სხვა ფიქრებს მიეცა, თუმცა მამაც კიდევ სცადა:

— სკოლაში უნდა წავიდნენ ისინი...

მაგრამ ახლა ბიძიამაც არ დაუგდო ყური. — მისს იუნისის მანქანის ტარება თუ შეგიძლია? — უთხრა მას ბიძიამ. ზანგების სკოლა დღეს არ იქნება და ალეკ სანდერი იმას ციხესთან ვეღარ მიიყვანს, თუნდაც რომ იყოს, არა მგონია | პარალიმ იმას ამ კვირას სახლიდან ფეხი გამოადგმევინოს, — აქ ბიძიას ნოაგონდა, რომ მამამ რაღაც თქვა ან შეიძლება გაიფიქრა, პასუხი უნდა გავცეო, — თეთრების სკოლაც იქნებოდა ახლა დაკეტილი, ამ ბიჭს ლუკასისთვის ყური რომ არ დაეგდო, ჩემსავით, ანდა მისს ჰებერშემსაც, ჩემი გასაკეთებელი ამათ გაუკეთებიათ. ხომ ასეა? — მერე ბიძიამ დასძინა, — ძალიან ვეძინება? შეგიძლია გზაში წასთვლიმო.

— დიახ, ბატონო, — მიუგო მან. ხოდა, ყავის სმა დაიწყო, საპონნა, წყალმა და პირსახოცმა თავისი ჰქნა, ცოტათი მოცოცხლდა და უკვე გრძნობდა, ეს სასმელი არ მოსწონდა და არც უნდოდა, მაგრამ არც იმდენადაც მოსული იყო გონს, რომ უარი ეთქვა, ამიტომ არც სვამდა, მხოლოდ ნელ-ნელა უსინჯავდა გემოს და თან უმატებდა და უმატებდა შაქარს, სანამ ყავაცა და შაქარიც არ გადაიქცა რაღაც ქინაქინის მსგავს გულისამრევ ბლანტ სითხედ.

— თავი დაანებე ამას, — ასე თქვა და სამზარეულოში გავიდა, გამოიტანა ქვაბი ცხელი რძით და სუპი თასით. გადაუღვარა ის ყავა ფინჯნიდან და რძე ჩაუსხა. — დალიე. ნუღარ დააყოვნებ. გადაჰკარი და ნორჩა, — ასეც მოიქცა, ორივე ხელით მოიყუდა და ისე დალია, როგორც დოქიდან წყალი, ვერც მიმხვდარიყო თუ რას სვამდა, მამამისი კი ამ დროს თავის სავარძელზე გადაყრდნობილიყო და იმას უმზერდა, ელაპარაკებოდა, ეკითხებოდა, რას დაფრთხებოდა ალეკ სანდერი თუ იქნებ შენ იმ ალეკ სანდერზე უფრო დაფრთხი და თავმოყვარეობამ გაიძულა თავი შეგეკავებინა შავკანიანის წინაშე და ახლა თქვი მართალი, შენ და ის, ორივენი როგორ გაეკარებოდით იმ ბნელში საფლავს, ყვავილებსაც ვერ აკრეფდით იქიდან, მისს ჰებერშემმა გიშველათო. ბიძიამ შეაწყვეტინა:

— ალეკ სანდერნა ხომ გითხრა, ვიღაცას უკვე ხელი ეხლო იმ საფლავისთვის, ჩქარობდაო.

დიახ, ბატონო, მიუგო მან და ბიძიამ სთქვა:

— იცი ახლა მე რას ვფიქრობ?

— არა, ბატონო, — უთხრა მან.

— კიდევ კარგი ალეკ სანდერმა ვერ შეძლო იმდენი დაენახა იმ სიბნელეში, რომ სახელი დაეძახნა იმ კაცისთვის, ვინც ფერდობს დაბლა მოჰყვებოდა და რაღაც ჩამოჰქონდა ჯორით. — და ასე წამოაგონდა, სამივენი დგანან იქ და ფიქრობენ და ვერც ერთიც ვერ ამბობს ამას, თავადაც უჩინარნი დგანან იმ უჩინარივე პირდაღებული საფლავის თავზე.

— ჩაყარეთ მიწა, — თქვა მისს ჰებერშემმა. ჩაყარეს, უფრო სწრაფად (ხუთგზის), რადგან სველი მიწის ჩაყრა უფრო ადვილია, ვიდრე ამოყრა, თუმცა ასე გვგონია, მცირეოდნავ მოციმციმე ვარსკვლავების შუქზე ვერც ვერასდროს მოვრჩებითო ამ საქმეს, გაუთავებელი შრიალი გაჰქონდა ქარდაუკრავ ნაძვნარს, ყრუ ხვნეშით თრთოდა, გაოცებით კი არა, ყურადღებით, თვალთვალით, დაკვირვებით, ზნეობა კი თვლემდა, ჩაჩუმქრულიყო, თუმცა კი არც არაფერი რჩებოდა აღუქმელი და დაუმახსოვრებელი. ყვავილები დადევითო, თქვა მისს ჰებერშემმა.

— ამას დრო უნდა, — მან მიუგო.

— უკან დადევით, — გაუმეორა მისს ჰებერშემმა. დადვეს.

— ცხენთან მივალ, — თქვა მან, — თქვენ და ალეკ სანდერი კი...

— ყველანი წავიდეთ, — უთხრა მისს ჰებერშემმა, ყველაფერი აკ-

რიფეს რაც ჰქონდათ, თოკიც არ დავიწყებიათ (ფარანი არ მოუშველებიათ ამჯერად) და ალეკ სანდერმა ამოთქვა, დაიცადეთო, ხელის ცეცებით მონახა ის ფიცარი, რომელმაც ნიჩბის მაგივრობა გასწია, წამოიღო და სადაც იყო, იქ დადო, სამლოცველოს ქვეშ შეაგდო, მერე ჰაიბოი აუშვა, უზანგს ჩაეჭიდა, მაგრამ მისს ჰებერშემმა სთქვა: არაო. უკან. უკან გამოგყვეს. ალეკ სანდერი მე გამომყვება, შენ კი ალეკ სანდერს და შენ უკან ის ცხენი იყოსო.

— ჩვენ უნდა ჩქარა ვიაროთ... — ასე თქვა ნან, ისინი ვერ ხედავდნენ იმ ქალის სახეს, ჩანდა მხოლოდ მისი წვრილი სწორი ლანდი, შლაპა, **რომელიც სხვას რომ ჰქონოდა**, არც იქნებოდა შლაპის მსგავსი, **მაგრამ ამ ქალის თავზე სწორედ ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო**, ბებია ატარებდა ზუსტად ასე, უკეთესს რას ნახავდა კაცი, ხმამაღალი არა ჰქონდა ამ ქალს, სუნთქვაზე უფრო ხმამაღლა არც გაისმოდა, ტუჩებიც კი არ უმოძრავებდა თითქოს და არც ვინმეს მიმართავდა, ასე ჩურჩულებდა თავისთვის:

— ესაა რისი გაკეთებაც შემიძლია, მეტი რა უნდა ვქნა.

— იქნება სჯობს გზის შუაგულში ვიაროთ სუყველაზ, — თქვა მან ხმამაღლა, იმდენად ხმამაღლა, ორგზის უფრო ხმამაღლა, ვიდრე უნდოდა და გულშიაც გაივლებდა: ერთი მილის იქითაც კი გაიგონებდნენ, განსაკუთრებით ამ არემიდამოში, სადაც უკვე ყოველივე გაფაციცებულიყო ძილგამტყდარი შარიშურით — შეიძლება ამის შესახებ ასე ეთქვა პარალის, ხოლო ეფრაიმსა და ლუკასს ნამდვილად, „საკრებულო“ მოუწყვიათო ნაძვებს. ქალი ახლა მას უმზერდა. ის გრძნობდა ამას.

— მე ვერასდროს ავუხსნი ამას დედაშენს, მაგრამ ალეკ სანდერი სულაც არ უნდა წამოსულიყო აქ, — თქვა ქალმა, — მე გამომყევით, თქვენ უკან ეს ცხენი იყოს, ბოლოში,—მიტრიალდა და წავიდა, თუმცა კი ასე რად სჯობდა, ვერ გაეგო, ვერ მიმხვდარიყო, რადგან მას ასე ესმოდა, სიტყვა „ჩასაფრებული“ უნდა ყოფილიყო „გვერდიდან“, „მეორე მხრიდან“; გორაკიდან სულ ქვემოთ ეშვებოდნენ ერთი მეორის მიყოლებით, ალეკ სანდერს იქ დაეყენებინა მანქანა, ბუჩქების უკან; და მან ასე გაიფიქრა, **ეე, რომ ის ვიყო, სწორედ აქ მოხდებოდა** და ქალმაც ასევე, ქალმა თქვა, დაიცადეთო.

— წინ როგორღა დაგვიდგებოდით, თუკი ჩვენ გვერდიგვერდ არ ვიდგებოდით? — თქვა მან და ამჯერად ქალს არც კი უთქვამს, მეტი მე არაფრის გაკეთება არ შემიძლიაო, მხოლოდ იდგა იქ, ხოდა, ალეკ სანდერმა გვერდით ჩაუარა, გაიარა ის ბუჩქნარი, მანქანა აამუშავა, გამოიყვანა და დაბლა დაეშვნენ, ძრავა გუგუნებდა, მაგრამ **შუქი** არ აენთოთ, ქალმა სთქვა, აღვირი გადააბი და მიუშვი, თვითონ ხომ მივაო სახლში.

— კი მგონია, — მიუგო მან, ცხენზე შეჯდა.

— მაშინ ხეზე მიაბი, — უთხრა ქალმა, — უკანვე დავბრუნდებით, როგროც კი ვნახავთ შენს ბიძიას და ბ-ნ ჰემპტონს...

— მაშინ ჩვენ იმას დავინახავთ ქვემოთ გზაზე მიმავალს და შე-

იძლება ის ცხენი თუ ჯორი მის წინაც იყოს, — თქვა ალეკ სანდერმა. გაზს მოუმატა და მერე ისევ დაუკლო. — ამოდით და დასხედით, ან გვითვალთვალებს, ან არა, თუ არა ხომ კარგი თუ არადა მაინც ვეღარ მოგვისწრებს, რახან კი მოგვიშვა მანქანამდე.

— მაშინ პირდაპირ ამ მანქანას გაჰყევით — თქვა ქალმა, — ჩვენ კი ნელა წამოვალთ...

— არა , — მიუგო ალეკ სანდერმა, გადმოიხარა, — თქვენ წადით, მივალთ ქალაქში და მაინც იქ უნდა დაგიცადოთ.

ხოდა, იმას დაჩქარება რაღად უნდოდა, გორაკიდან თავქვე დაეშვა ჰაიბოი, ოღონდ თავი ააწევია. მანქანის შუქი გზას სცემდა და ბოლოს ვაკეზე გავიდნენ, თუმცა შარამდე სულ ცოტა იყო გასავლელი, რაკი ცხენმა იგრძნო სწორი სავალი, გაჭენება მოინდომა, მაგრამ მან არ დაანება, სანამ იმ შარამდე არ გავიდნენ, მანქანის შუქი ხან გაიელვებდა, ხან გაქრებოდა ამ უსწორო თავდალმართზე. გავიდნენ იმ შარაგზაზე და გაჰქუსლა ჰაიბოიმ, ჩვეულებრივ სულ ლამობდა ლაგამის გადმოგდებას, ჩვეულებრისამებრ ფიქრობდა, ერთს დავიფრუტუნებ და კბილებში მოვიქცევო. მოუმატა სიჩქარეს, შარასთან მოახლოებული შუქი ზე აიჭრა, ხათქახუთქი მოიღო ფლოქვებმა ხიდზე, წინ გადახრილიყო უნაგირზე, შავბნელი ქარი სცემდა სახეში, უკან სადღაც ჩაჩუმქრულიყო მანქანის შუქი, ასე გაიარა ნახევარი მილი ,მერე შეანელებინა ცხენს სვლა და ისიც წავიდა. ჩვეულებრივი, მოზომილ-ჩქარი ნაბიჯით, მთელი მილი იარა ასე, სანამ ის მანქანა არ წამოეწიათ და არ ჩაუარა გვერდით, მეწანულიფერის უკან ფარანმა გამოანათა, გაიბრწყინა, გაქრა, გაილია, ნაძვნარს გამოაღწია ბოლოს, სული მოითქვა. უკვე არ მოსდევდა ყოველმხრივ გარსშემოჯარული, გაფაციცებული, მოდარაჯებული, ყულის შემძვრელი თუმცა კი მთელ ამ არემიდამოში არაფრისმქმელი სიტყვები: შეხედე. შეხედე; სადღაც ხომ უთუოდ ისმოდა ეს სიტყვები, უკვე კარგა ხანს გაისმოდა მთელ მეოთხე უბანში და ის გოურები, ინგრიმები, უორკეტები და ფრეიბერები და სუყველანი გაიგონებდნენ ამჯერად, თუმცა არ უნდა ამაზე ფიქრი და უკვე აღარც ფიქრობდა, ისევე შეწყვიტა როგორც წამოაგონდა, გადაყლაპა უკანასკნელი ყლუპი იმ თავისი ფინჯნიდან, დადო მაგიდაზე სწორედ იმ წუთას, როდესაც მამამ გრუხუნით მისწია სკამი და სთქვა:

— სჯობს წავალ წავინუშავებ. ვიღაცამ ხომ უნდა იშოვნოს ლუკშაპური სანამ თქვენ აქ ყაჩაღ-ვაჭრობანას თამაშობთ. და გავიდა და, როგორც ჩანს, ყავამ თავისი ჰქნა, რადგან რაღაცამ გაუფაჩუნა თავში, რასაც ის ფიქრს ეძახდა, ანუ ეს იყო ის, რასაც ხალხი ფიქრს ეძახის, მიხვდა თუ რაც სჭირდა ახლა მამამისს, ის მისი მრისხანება შვებად გარდასახულიყო ამ ამბების შემდეგ. ხოდა, კიდევაც უნდა ენახა ამ გრძნობას გამოსავალი, გაჯავრება არჩია, არა იმიტომ, რომ შეეძლო იქ წასვლა აეკრძალა ნისთვის, უფრო ამიტომ, თავად ვერ წავიდოდა და ის მისი მოჩვენებითი ზიზღნარევი დაცინვა, რა მამაცნი ყოფილხართო შენ და ალეკ სანდერი, არა იმდენად იმ სიბნელეში

გადათხრილი საფლავისადმი იყო მიმართული, უფრო მისს ჰებერშეიის გულმოდგინება აძოეღო მიზანში; იართალი თუ გნებავთ, მთელი ეს ამბავი მის თვალში საბავშვო ბაღის პატარების გართობა-თამაში იყო, როდესაც ბაინი სიცილ-კისკისით კუდიან დედაბრებს დასდევენ. ამას, როგორც ჩანს, ესაძირკვლებოდა მამაკაცური არდაჯერება იმისა, რისი დაჯერება საჭირო იყო, ანუ როგორც მისი ბიძია ამბობდა, ვერა და ვერ შეგუებოდა იმას, რომ მას უკვე თავისით შეეძლო შარვლის ფოლაქების შეკვრა; მამაზე ამით ფიქრს თავი დაანება, გაიგონა, დედამისი უკვე სამზარეულოდან გამოდიოდა, წამოდგა, სკამი უკან ნიაგდო და უცებ მიხვდა, ყავას რა შეუძლია თურმე და არც არავის უთქვამს მისთვის ამის შესახებ, კოკაინის ან ოპიუმის დარად შეიძლება ზმანებები მოჰგვაროს, ხედავს, მამის ყვირილი და ბობოქრობა კვამლივით თუ ნისლივით გაილია, განქარდა და მან არა უბრალოდ აღმოაჩინა, კიდეგაც ცხადლივ იხილა ის კაცი, რომელნაც შექმნა ის და ახლა უმზერდა მისი შექმნის მოზიმზიმე უფსკრულოვანიდან არა მარტო ამაყად, შურითაც; მისი ბიძიას ამ თვითგანქიქებაში, რიტორიკულ თვითდამცირებაში რაღაც არაბუნებრივი იყო, მამამისს კი სულაც უარესი სჭირდა, დროისათვის ფეხი ვერ აეწყო და ამ გასაჭირს მწარე ძალივით ხრავდა, დღენიადაგ წუწუნებდა, ნეტავი ადრე ან გვიან დავბადებულიყავიო და თექვსმეტი წლისა ვყოფილიყავი ახლა, ცხენი გამეჭენებინა ათ ნილზე, ღამით და გადამერჩინაო ის თავხედი, უმეგობრო ბერიკაცი.

დაძინებით კი აღარ დაეძინება, ყავას ასე თუ ისე მოეგვარებინა ეს საქმე, ძილს ახლა რა სჯობდა, მაგრამ არ შეიძლებოდა, თუმცა კი სურდა, თანაც წამოგზნებულიყო, რასაც უნდა სძლიოს, მოთოკოს. რვას გადაცილებულიყო უკვე, ოლქის ერთმა სასკოლო ავტობუსმა ჩამოიარა, როდესაც მისს ჰებერშემის მანქანით გზას უნდა გასდგომოდნენ და ქუჩებში ახლა ბავშვების ჟრიამული უნდა ყოფილიყო, კარგად გამოძინებულნი ორშაბათ დილას გარეთ უნდა გამოფენილიყვნენ, ხელჩანთებში ჩაელაგებინათ წიგნები, რვეულები და საუზმე, რომელსაც დასვენებაზე შეექცეოდნენ; იმ ავტობუსს კი გაჰყვებოდა გაუთავებელ ნაკადად ლაფში გასვრილი და მტვრიანი ავტოები და სატვირთოებიც, შეიძლება ციხემდეც კი ევლოთ იმის ბიძიაა და დედას, სანამ მოახერხებდნენ ამ ნაკადში შეღწევას, რადგან ამ ორშაბათ დღეს მოედნის იქით საქონლით ვაჭრობა გამართულიყო საგანგებოდ აგებულ ბაგებში; თვალწინ წარმოუდგა, ცარიელი სატვირთო მანქანები ნჭიდროდ ჩამწკრივებული გზის პირას იმ სავაჭროების წინ ვითარცა სალაფავად მიმთხვეული ღორები, აქვე სქელკეტებმომარჯვებული საქონლის ვაჭრები, რომლებიც გადმოივლიდნენ მოედანს და მოჰყვებოდნენ სიარულს ბაგიდან ბაგამდე, სადაც ჰყარდა ამიაკი და ფუნა, ზმუოდნენ ხბორები, ფრუტუნებდნენ, ჩლიქებს ურტყამდნენ მიწას ცხენები და ჯორები, გორებად ეყარა სასოფლო მანქანა-იარაღების ნაწილები, მოსართავები, ბოქლომები და მხოლოდ ქალები (ბევრნი

არ იყვნენ მამაკაცების მსგავსად, დღეს შაბათი არ იყო) დადიან მოედნის ირგვლივ, დუქნებში იჭვრიტებიან, თავად მოედანი კი ცარიელია, მსუბუქი და სატვირთო მანქანებიღა დგას, შუადღით კი მამაკაცები თავიანთ დედაკაცებთან ერთად კაფეებსა და რესტორნებში შედიან.

ძალას მოუხმო ამჯერად, რეფლექსის გამოვლინება აღარ იყო ეს, ძილს კი არა, ზმანებებს დააღწია თავი, თუმცა კი ის ჰიპნოზური ბურანი სახლიდანაც გამოჰყვა და დღისით, მზისითაც არ განელებია და ახლა, როცა უკვე იჯდა იმ მანქანაში, რომელსაც წუხელ ღამემდე ვერც იცნობდა და რომელიც ამ უკანასკნელი ღამის შემდეგ განუყოფელი ნაწილი შექმნილიყო მისი მეხსიერებისა, განცდებისა, სუნთქვისა, მსგავსად იმ მოქნეული ნიჩბიდან სტვენით ასხლეტილი ლაფისა ან მეტალის პირის ღრჭიალისა იმ ნაძვის ყუთის თავზე; გზას მიიკვლევდა ზმანებისდარ სიცარიელეში, რომელშიაც არც რა დარჩენილიყო, არც ის უკანასკნელი ღამე და არც ის შემთხვევა, არც ის შაბათი დღეც და უცებ, ამ წუთას დაინახა, ბავშვები არ ისხდნენ იმ სასკოლო ავტობუსში, მხოლოდ დიდები და იმ მსუბუქ და სატვირთო მანქანებშიაც ასევე, ერთმანეთის მიყოლებით რომ მოედინებოდნენ, დაბოლოს, როგორც იქნა, მოექცნენ იმ ნაკადში, ამ მანქანებიდან რამდენიმეში ამ ორშაბათსაც უნდა დაენახა ზანგები (ხოლო შაბათობით კი სულაც სავსენი უნდა ყოფილიყვნენ ღია სატვირთო მანქანები იაფფასიანი ტანსაცმლიანი მამაკაცებით, ქალებითა და ბავშვებით), მაგრამ ერთიც არ ჩანდა შავი სახე.

ერთი მოწაფეც კი არ იყო ქუჩაში, თუმცა მან გაიგონა, ყურს არც უგდებდა, ისე, ბიძიას ნათქვამი ტელეფონში, სკოლის დირექტორს ელაპარაკებოდა ის, იმან ჰკითხა, დღეს სწავლა იქნება თუ არაო, ამაზე კი ბიძიამ მიუგო, კიო. მოედანი გამოჩნდა და მან სამი ყვითელი ფერის ავტობუსი დაინახა, ამ მანქანებს ოლქის ყოველი კუთხიდან ბავშვები ჩამოჰყავდა სკოლაში, მაგრამ იმის მფლობელებს შაბათობით და სხვა უქმე დღეებში ბგზავრები გადაჰყავდათ და გადმოჰყავდათ; მიატანეს იმ მოედანს, ჩვეულებისამებრ აქ მსუბუქი და სატვირთო მანქანები იდგა, მაგრამ ამჯერად ეს მოედანი უკაცრიელი არ იყო ჩვეულებრისამებრ, კაცები დუქნებისაკენ არ მიემართებოდნენ, არც ქალები დაეხეტებოდნენ მაღაზიებში; ხოდა, ის პიკაპი გზისპირას, ბიძამისის მანქანის უკან მიაყენა და იხილა უკვე საცხადო ჩუმი მღელვარება, თუმცა აქ მოხვეტილი ეს ბრბო ერთ ადგილზე იყო გაჩერებული, კარგად იგრძნობოდა მისი გულის ფეთქვა, ფრთხიალი მოედნის ყოველ წერტილში, კარნავალის ან ფეხბურთის დღეს ხდება ხოლმე ასე, ქუჩებშიაც გადასულიყვნენ უკვე და კარგა ბლომადაც შეჯგუფებულიყვნენ ციხის პირდაპირ და იქითაც, მეწიხავენი მალე იმ სამჭედლოსაც მიადგნენ და გვერდით ჩაუარეს, სადაც ის გუშინ იდგა და ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო; თითქოსდა აღლუმზეო, ისე ელოდებოდა ხალხი (და თითქმის ქუჩის შუაგულში, ასე რომ, ის გაუთავებელი ნაკადი მსუბუქი მანქანებისა

გვერდს უვლიდა, დაახლოებით, თორმეტკაციანი ჯგუფი იდგა და აქეთ-იქით იმზირებოდა, ფორმის ნიშნიახი ქუდი იცხო იმათ ძუაში ის პოლიციელისა, ვინც ახლა, ამ საათსა და ამ დღეს სკოლის წინ უნდა მდგარიყო და თვალყური ედევნებინა ქუჩაზე გადმომავალი ბავშვებისათვის, იმ კაცის გვარის გასახსენებლად თავი არ შეუწუხებია, ისე წამოაგონდა, ინგრემი, მეოთხე უბნელი ინგრემი, განდგომილი შექმნილიყო სხვა მეოთხე უბნელების დარად, რომლებსაც ცოლად უთხოვიათ ქალაქელი გოგოები და გახდნენ დალაქები, აღმასრულებელი მოხელეები ან ღამის დარაჯები, სწორედ ისე, როგორც გერმანელი აზნაურები ჩამოდიოდნენ იმ თავიანთი ბრანდებურგის გორაკებიდან ევროპელთა მონარქების ასულთა ხელის (სათხოვნელად) — ბამაკაცები და ქალები და არც ერთი ბავშვი, ჯმუხი სოფლელები, მზეზე გარუჯული კისრები და ხელები ჩანდა მათი, აგრეთვე, სუფთა გახუნებული, უჰალსტუხო ჭრელი ხაკისფერი პერანგები და შარვლები, უბრალო ჩითის კაბები, ტევა არ იყო მათი ამ მოედანსა და ქუჩებში, თითქოსდა ყოველი დუქანი აქ დაკეტილ-დაბეჭდილიყო; ისინი არც კი უმზერდნენ ციხის მოტიტვლებულ წინამხარეს ერთადერთი რიკულებიანი სარკმლითურთ, რომელიც გამოცარიელებული და მდუმარე იყო უკვე ორმოცდარვა საათი, შექუჩებულიყვნენ, ერთ ადგილს ტკეპნიდნენ, მოლოდინს არ შეუწუხებია, არც რამე სანახაობას მოელტვოდნენ და არც მაყურებელნი იყვნენ, უბრალოდ ადგილს იკავებდნენ ვითარცა ჯერ კიდევ ფარდაჩამოშვებულ თეატრში, და მან ასე გაიფიქრა, სწორედ ეს არის ზეიმი, ასეთი დღე ბავშვებს უხარიათ, თუმცა აქ პირიქით უნდა ყოფილიყო, და უცებ მიხვდა, სულ სხვანაირად წარმოედგინა ეს ამბავი; ის შაბათი იმათთვის ცნობილი არ იყო და არც არაფერი მომხდარიყო, არც იმ ღამეს მომხდარიყო რამე, იმ ღამის შესახებ მათ არაფერი არ იცოდნენ და უფრო მეტიც, არც არავის, თავად ჰემპტონსაც არ შეეძლო ეთქვა ნათთვის რამე, რადგან ისინი არც დაუჯერებდნენ; უცებ რაღაც ლიბრის მაგვარი ან აპკის მსგავსი. ასეთი ქათმებს აქვთ თვალზე და თუ ჰქონდა მას ასეთი, ვერც კი წარმოიდგენდა და სწორედ ეს, ფლიკ! მოცილდა იმას და ამ ხნის მანძილზე პირველად იხილა — იგივე მზით გარუჯული, თუმცა კი ჯერ აღუშფოთებელი სახეები და იგივე გახუნებული, სუფთა, ბამბის პერანგები და შარვლები, კაბები, მაგრამ ეს არ იყო ბრბო, რომელიც ფარდის ახდას მოელის თეატრის დაწყების წინ, უფრო ეს უნდა ყოფილიყო სასამართლო დარბაზი, სადაც შერიფის თანაშემწე დაიყვირებს, ყურადღება, ყურადღება, ყურადღება: უზენაესი სასამართლო მოდის; ბრბო მოუთმენლობითაც კი არ იყო შეპყრობილი, რადგან ჯერ არ დამდგარიყო ჟამი ლუკას ბიჩემპის გასამართლებისა კი არა, იმათ უკვე გამოტანილი აქვთ განაჩენი, არამედ მეოთხე უბნისა, იმიტომ კი არ მოსულან აქ, რათა იხილონ ის, რასაც ისინი სამართალს ეძახიან, ანუ იმის პუ-

რის ჭამას, უფრო ეს უნდათ, დაინახონ მეოთხე უბნის დგომა თეთრი კაცის ღირსების სადარაჯოზე.

ხოდა, მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და უნდა გაქანებულიყო, რომ თავი შეიკავა, ნაწილობრივ ღირსების, ნაწილობრივ სიამაყის, ის წუხანდელი ღამე გაახსენდა, როდესაც გადაწყვიტა და ითავა, ყოველ შეითხვევაში ხელი შეუწყო მოგვარებას იმ საქმისას, რომლის მნიშვნელოვანებას ვერ ჩახვდა რიჩელიმე ასაკოვანი კაცი, ვერც მისი აუცილებლობა გაიგო; ნაწილობრივ სიფრთხილის გამოც, რადგან ბიძიას ნათქვამი ახსოვდა, სულ უბრალო რამემ შეიძლება ააბობოქროსო ბრბო, შეიძლება ეს ყოფილიყო ციხისკენ გაქცეული ბავშვიც; კვლავ დალანდა მირიადი სახე, საოცრად მსგავსი ერთმანეთისა, რაკიღა მოკლებული იყო ინდივიდუალობას, ყოველგვარ ინდივიდუალობას, რომლის ნაცვალსახელი შეიძლებოდა ყოფილიყო ხოლოდ „ჩვენ“ და. იმათ მოუთმენლობა არ დასტყობია, არც აჩქარება და თითქმის მოზეიმეც კი შექმნილიყვნენ თავიანთი ძალამოსილების სრულიად დამვიწყებელნი, თუნდაც ასი გამოქცეული ბავშვიც ვერ წარხოცავდა ამ აუმღვრევლობას, და უცებ იმას თავში სუყველაფერი ამოუტრიალდა, არ იქნება იმათი შეჩერება ან უკუგდება თუნდაც ასგზის უფრო მეტნი იხილონ და როდესაც გაითავისა სრული უიმედობა, რომელიც ჯერ გულში გაივლო და მერე სულაც ფიზიკურად, მთელი ტან-იოგით აღიქვა, მაშინღა მიხვდა თუ რას შეჭიდებოდა ასე ბრმად და ცხადი გახდა ის ბრწყინვალე გაუცნობიერებელი წადილი — სახლში გაქცეულიყო, უნაგირი დაედგა, ლაგამი ამოედო ცხენისთვის, შემჯდარიყო ზედ და გაექუსლა სანამ ქანცგაწყვეტილი არ დაენარცხებოდა ძირს და ძილს არ მიეცემოდა, და მას შემდეგ დაბრუნებულიყო, როცა ყველაფერი მოთავდებოდა — მართალი ეს უნდა ყოფილიყო (უპატრონო არ იყო, და არც ამ გაქცევის უნდა შეშინებოდა), რადგან ახლა ასე ფიქრობდა, ის, რაც მან თვალსაჩინო გახადა და დღის სინათლეზე გამოიტანა, თავისმომჭრელი იყო მთელი ამ ოლქის დამაარსებელი თეთრი ხალხისთვის, რომლის სისხლი და ხორციც ისიცაა, არადა სხვანაირად რომ ყოფილიყო, შეიძლება ცეცხლი აბრდღვიალებულიყო იმ მეოთხე უბნის წიაღიდან და ისევ შერთოდა სიბნელეს ან უჩინარი მაინც გამხდარიყო ჯვარცმული ლუკასის ფერფლთან ერთად.

მაგრამ ახლა გვიანღაა, ვეღარ უარყოფს, ვეღარ უკუაგდებს, ვერც გაიქცევა: ციხის კარი ღიაა და იმას პირდაპირ შეუძლია მისს ჰებერშემი დაინახოს ლიგეიტის სკამზე მჯდომარე, ქალს ფეხთან იატაკზე ის მუყაოს კოლოფი უდევს და მუხლებზე რაღაც გადაუფარებია; შლაპა ისევ ახურავს და ინასაც ხედავს, თანაბარზომიერად ამოძრავებს ის ქალი ხელსა და იდაყვს და თითქოსდა იმასაც კი მოკრა თვალი, როგორ ელავს ნემსი იმის ხელში, თუმცა კი იცის, ამ სიშორეზე რას დაინახავდა; მაგრამ ახლა ბიძია გადაეღობა იმას გზაზე და ისიც კედელს გაჰყვა, ამ დროს ბიძია მოტრიალდა, კარიდან გამოვი-

და, აივანი გაიარა და დედამისი დაინახა, მეორე სკამზე იჯდა ნისს ჰებერშემის გვერდით; მანქანა მოუახლოვდა ტროტუარს და იმის უკან გაჩერდა; დედამ ახლა აუჩქარებლად ამოიღო წინდა კალათიდან და საკემსი კვერცხი შეაცურა შიგნით, ნემსიც იქვე ჰქონდა მომარჯვებული-მიმაგრებული კაბაზე და ახლა კი შეეძლო გაერჩია იმისი გაელვება და გაბრწყინება, შეიძლება იმიტომაც, რადგან ის კარგად იცნობდა ამ მოძრაობას, იმის ჩვეულებრივ ხელის მოკლე ნოძრაობას, რასაც მთელი ცხოვრება ხედავდა, ვერც ვერავინ შეედავებოდა ახლა, რომ ის მისი წინდა არ იყო.

— ვინ არის? — გაისმა იმის უკან შერიფის ხმა. შემოტრიალდა, შერიფი თავისი მანქანის საჭესთან იჯდა მხრებში კისერჩარგული და მოხრილი, ასე შეეძლო სარკმლიდან გამოეხედა მინის ზედა კიდის შეუხებლად. ძრავა მუშაობდა და უკან, მანქანაში დაინახა ორი ნიჩბისა და ყერაქვის ტარები, რომელზედაც მათ ხელის მოკიდება აღარ მოუხდებოდათ, იქვე, ზის ორი ზანგი, წყნარად და უძრავად, მხოლოდ თვალის თეთრონს ატრიალებენ და აკვესებენ გაუთავებლივ, ლურჯი პერანგები აცვიათ და პატინრის შავზოლებიანი, ჭუჭყიანი შარვლები, ქუჩებში მუშაობენ იმით.

— ვინ უნდა ყოფილიყო ნეტავი? — იმის უკან ისევ იკითხა ბიძიამ, ამჯერად ის არ მიტრიალებულა და აღარც ყური დაუგდო, რადგან უეცრად ქუჩის მხრიდან სამი კაცი მოვიდა და მანქანასთან გაჩერდა, უმზერდა მათ და კიდევ მოვიდა ხუთი თუ ექვსი, მალე მთელმა ბრბომ გადმოჭრა ქუჩა. გვერდით მანქანან ჩამოიქროლა და უცებ დაამუხრუჭა (კიდევ ერთი მოჰყვა იმას), ვაითუ ხალხში შევიჭრათო, მერე კი იმათში მჯდომარენი გადმოიხარნენ და გადმოხედეს შერიფის მანქანას, იმ მოსულთაგან პირველი კი შეჩერებულიყო და შიგნით ამ მანქანაში შეიჭვრიტა, ყავისფრად შეფერილი ფერმერული ხელებით ჩასჭიდებოდა ღია სარკმლის კიდეს, ყავისფრადვე შეფერილი სახე შეეყო და ცნობისმოყვარე, კითხვის თვალით, აუმღვრევლად უმზერდა იმათ, იმის უკან აუარება მისი ორეული იდგა ფეტრის შლაპებსა და პანამებში, ყურს უგდებდნენ.

— რას იზამ, ჰოუპ? — თქვა იმ კაცმა, — ნუთუ არ იცი, ის დიდი ჟიური არ გაპატიებს საოლქო ფულის გადაყრას? იანკების ლინჩის კანონზე თუ გაგიგონია? ზანგს თუ უზამს ლინჩს ხალხი, კიდევაც ვალდებულნი არიან საფლავი გაუთხარონ.

— იქნებ ეს ნიჩბებ-ყერაქვები ნაბ გოურისა და იმისი ბიჭებისთვის შიაქვთ სავარჯიშოდ, — თქვა მეორემ.

— მაშ კარგია რომ ჰოუპს მუშახელი მოჰყავს, — თქვა მესამემ.— თუკი გოურთაგან ვინმეს გადააწყდებიან ორმოს თხრისას ან კიდევ ამდაგვარ საქმეზე, რომლის გაფიქრებაც კი მზარავს, მაშინ კი დასჭირდებათ ნამდვილად.

— ან იქნებ სულაც არ არიან ნუშახელი, — მეოთხემ თქვა, — იქნებ გოურების გასავარჯიშებლად მიჰყავს ესენი. — ვიღაცამ კი

წაიფრუტუნა, მაგრამ სხვებს არ გაუცინიათ, ახლა თორმეტზე მეტნი შემოხვეოდნენ მანქანას და მალ-მალე გახედავდნენ ხოლმე მრავალმნიშვნელოვნად იქ, უკან, გახევებულ, უძრავად მჯდომარე იმ ორ ზანგს, რომლებიც სულ თავის პირდაპირ, არც არაფერს უცქერდნენ, გაშეშებულიყვნენ, თითქოსდა სუნთქვაც წართმეოდათ, მხოლოდ ქუთუთოები ხან გაუფართოვდებოდათ და ხან გაიბრწყინებდა იმათი თვალის თეთრონი და ხან გაქრებოდა, მერე იმ ხალხმა შერიფს გახედეს და ამ დროს ისეთი სახე ჰქონდათ როგორც სათამაშო ავტომატების წინ ჯილდოს მოლოდინში გარინდებულ მოთამაშეებს.

— მე მგონია გვეყოფა,—თქვა შერიფმა. სარკმლიდან თავი და ცალი ვეებერთელა ხელი გამოჰყო, უახლოეს, ვინც იქ იდგა, გამოჰკრა და გამოაგდო სულ ადვილად, თითქოსდა ფარდა გადაეწიოს, ხმას აუწია, თუმცა არც ისე, უილიო. პოლიციელი მოვიდა და ისიც გაიგონა, თუ რა სთქვა ამ კაცმა.

— გზა მიტიეთ, ბიჭებო, მინდა გავიგო თუ რა აწუხებს ამ დილით ამ ჩვენს ღირსეულ შერიფს.

— რად არ გაყრი ამ ხალხს ქუჩიდან, მანქანებს ვეღარ გაუვლიათ ქალაქში, — უთხრა შერიფმა, — იქნებ იმათაც უნდათ აქ გაჩერება და ციხის მზერა.

— დარდი ნუ გაქვთ, — მიუგო პოლიციელმა. მიტრიალდა, ხელები გაშალა და გაიწია იმათკენ, ვინც იმის ახლოს იდგა, არ შეხებია, ისე, თითქოს საქონელს მიერეკებოდა. აბა ბიჭებოო, დაიძახა იმან.

ისინი კი იქვე იდგნენ, პოლიციელის გვერდიდან შერიფს გამოჰყურებდნენ, არ უძალიანდებოდნენ, არც ბრაზობდნენ, დამყოლად, თითქმის დაყვავებითაც ასე იძახოდნენ:

— ვითომ რადაო, შერიფო.

მერე ვილაცამ დაიყვირა.

— არც არავისია ეს ქუჩა, შერიფო. ჩვენს ქალაქში ხალხმა უნდა იცოდეს თუ როგორ იხარჯება მათი ფული, აქ უნდა დავდგეთ.

— მაგრამ სხვებს ნულარ უშლით ქალაქში სიარულს და რაღაცრაღაცების ყიდვას, — თქვა შერიფმა, — გაიარეთ, ქუჩა გაათავისუფლე, უილ.

— წადით აქედან, ბიჭებო, — დაიძახა პოლიციელმა, — სხვებსაც უნდათ აქ მოსვლა და დადგომა, საიდანაც შეიძლება ამ აგურების დათვალიერება. — კი დაიძრნენ, მაგრამ აუჩქარებლად, პოლიციელი იმათ ქუჩის მეორე მხარეს მიერეკებოდა, დედაკაცი ერეკება ასე ქათმებს ღობის იქით, თვალყურს ადევნებს, რათა იქით წავიდნენ სადაც საჭიროა, თუმცა კი არ ჩქარობს, იმის წინ მირბიან ქათმები, ის კი უქნევს წინსაფარს, ამ დედაკაცის შიში ამათ არა აქვთ, არ უფრთხიან მაინცადამაინც; აქ შეჩერებული ის მანქანა გზას გაუყვა და უკანანიც მიჰყვნენ, ნელ-ნელა, ცოცვა-ცოცვით იმ თავიანთი ტვირთით, ანუ ციხისკენ სახემოტრიალებული მგზავრებით; გაიგონა,

პოლიციელი უყვიროდა მგზავრებს, გასწით, გასწით, მანქანები არისო თქვენ უკან...

შერიფმა ისევ შეხედა ბიძიას, მეორე კი სადღაა?

— ვინ მეორე? — ჩაეკითხა ბიძია.

— მეორე დეტექტივი, ის, ვინც ბნელში ზის.

— ალეკ სანდერი, — მიუგო ბიძიამ, — თქვენ ისიც გჭირდებათ?

— არა, — უთხრა შერიფმა, — ვხედავ რომ არა. ესღა მიკვირს, მთელ ოლქში გამოჩნდა ერთი ადამიანიშვილი, ვისაც ჭკუა ეყო და სახლიდან არ გამოვიდა დღეს. მზადა ხართ? მაშინ წავიდეთ.

— კარგი, — მიუგო ბიძიამ. ცნობილი იყო, ისე დადიოდა მანქანით, რომ ერთი წელიღა უძლებდა, მძიმე ხელის პატრონის მეეზოვეს ასე უცვთება ცოცხი — სიჩქარისაგან კი არა, ხახუნისაგან; ახლაც ის მანქანა მოსწყდა ადგილს და ვერც კი შეამჩნია მძი გაქრობა. ბიძია იმათ მანქანასთან მივიდა და კარი გააღო. აბა შედიო, უთხრა ბიძიამ.

მაშინ კი იმან თქვა, არ გაჭირვებია, ისე, მე არ წამოვალო.

ბიძია შედგა და ახლა პირქუშად, დამცინავად დააცქერდა იმას, დამცინავად მოაჩერდა, საკმარისია ერთი თვალი შეავლოს რამეს და არც არაფერი გაუოეპარება; მართალი თუ გნებავთ, ასეც იცოდა მან, არც არასდროს გამოპარვია რამე წუხანდელ ღამემდე.

— აჰა, — თქვა ბიძიამ, — მისს ჰებერშემი, რაღა თქმა უნდა, ლედია, მაგრამ ის მეორე ქალი ხომ შენი სისხლი და ხორცია.

— ერთი იმათ შეხედეთ, — თქვა მან, უძრავად მდგომარემ, ტუჩების უძრავადაც თითქმის,—ქუჩის იქით. მოედნის იქითაც, არავინაა უილ ინგრემის გარდა იმ თავისი ჯანდაბის ქუდით...

— ხომ გაიგონე როგორ ელაპარაკებოდნენ ჰემპტონს? — თქვა ბიძიამ.

— გავიგონე, — მიუგო მან, — თავიანთ ხუმრობაზეც კი არ იცინიან. იმათ დასცინოდნენ ისინი.

— არც კი გადმოუკრავთ იმაზე, — თქვა ბიძიამ, — ცუდადაც არ უხსენებიათ. უთვალთვალებდნენ მხოლოდ. ინას და მეოთხე უბანსაც უთვალთვალებდნენ, რა მოხდებაო. ეს ხალხი სეირის საყურებლად ჩამოვიდა ქალაქში, უნდა გაიგონ, რას იზამენ ან ერთნი, ან მეორენი, ან ორივენი ერთად სულაც.

— არა, — თქვა მან, — მარტო ეს არ უნდათ.

— კარგი, — უთხრა ბიძიამ, ამჯერად სულაც არ ხუმრობდა, — დავუშვათ და ასეა. მერედა რაო?

— იქნებ... — მაგრამ ბიძიამ შეაწყვეტია.

— იქნებ მეოთხე უბნელები მოვიდნენ და დედაშენი და მისს ჰებერშემი თავიანთ სკამიანად ეზოში გადაიყვანონ და ასე გაიხსნან გზა? ბაგრამ ლუკასი არ არის იმ თავის საკანში, ბ-ნ ჰემპტონის სახლშია, შეიძლება ახლა სამზარეულოში ზის თავისთვის და საუზმობს. როგორ გგონია, რად უნდა შემოსულიყო უილ ლიგეიტი უკანა კარიდან თხუთმეტი წუთის წინ, რაც ჩვენ ჩამოვედით და ბ-ნ ჰემპ-

ტონს ეს ამბავი მოვუყევით? ალეკ სანდერსაც გაუგონია, თუ როგორ რეკდა ტელეფონზე.

— მაშინ ასე რად ჩქარობდა ბ-ნი ჰემპტონი?—თქვა მან, ბიძიას ამაზე ახლა ხუმრობით არ უპასუხია, სულაც არა, ხოდა, მორჩა და ჯათავდა:

— რადგან მთელი ამ ვარაუდებისა და მარჩიელობის ბოლოს მოსაღებად იქ წასვლა სჯობს, ინის გაკეთება რაც გასაკეთებელია და მერე უკან მობრუნება. აბა შედი მანქანაში.

თ ა ვ ი 7

შერიფის მანქანა ვეღარც კი ნახეს, სანამ იმ სამლოცველოსთან არ მივიდნენ. კი უნდოდა, მაგრამ ძილი არ მორევია, თუმცა ასეც უნდა ყოფილიყო იმ დალეული ყავის მერე. იმ წუთამდე, სანამ პიკაპი იმ ადგილამდე მივიდოდა, საიდანაც მოედნისა და ქუჩის მეორე მხარეს ციხის პირდაპირ აუარება ხალხის დანახვა შეეძლო, სულ ასე ფიქრობდა, მე და ბიძია სამლოცველოსკენ მიმავალ გზას დავადექით და, ყავა რა სახსენებელია, რაც უნდა იყოს, მაინც უნდა დავიძინოო, იმ ცხრა მილის ხრეშით მოყრილ გზაზე და მერე იმ აღმართზეც თუნდაც ნახევარი საათით უნდა აენაზღაურებინა იმ რვა საათის მანძილზე რაც ძილი მოიკლო და — ახლა ასე წარმოიდგინა — სამგზის თუ ოთხგზის უფრო მეტადაც ვიდრე წინა ღამეს ცდილობდა, რომ არ ეფიქრა ლუკას ბიჩემპზე.

და როცა ამ დილით, სამი საათისთვის ქალაქს დაბრუნდა, ვერავინ დაარწმუნებდა, რომ მთელი ეს ხანი, სადაცაა ახლა ცხრა საათი გახდებოდა, ხუთნახევარ საათს ან სულაც ექვს საათსაც ვერ წაიძინებდა, გაახსენდა თუ როგორ ის — და, რაღა თქმა უნდა, მისს ჰებერშემიცა და ალეკ სანდერიც — დარწმუნებული იყვნენ, მივიდოდნენ თუ არა ისინი და მისი ბიძია შერიფისას, იმ წუთსავე ყველაფერი მოგვარდებოდა; შევიდოდნენ იმ სადარბაზო კარში და ყველაფერს შერიფის ფართო, ყოვლის შემძლე ხელზე დაალაგებდნენ — ასე შეგიძლიათ თქვენ დადოთ შემოსასვლელში, პატარა ნაგიდაზე, სანამ ოთახში შეხვიდოდეთ — მთელ იმ ღამიმდელ დავიდარაბას, მერყეობას, უძილობას, დაღლილ-დაქანცულობას, დაბნეულობას, გაოცებას და (ასე აღიარა კიდევაც) შიშის ზარსაც მაგრამ ასე არ მომხდარა და ახლა უკვე იცოდა, არც მოელოდა ამას ნამდვილად; ასეთი აზრი სულაც როგორ მოუვიდოდათ თავში, დაღლილ-დაქანცულნი რომ არ ყოფილიყვნენ. უძილობამ და ამდენმა ხანხალმა, მართალია არაქათი გამოაცალათ, მაგრამ უფრო მოულოდნელობამ, გაოცებამ და უილაჯობამ გააოგნათ; ნახვაც არ სჭირდებოდა ამ აუარება, ციხის წინ აგურის შიშველ კედელს

მიჩერებული სახისა, არც ამ ბრბოსი, რომელმაც ქუჩა გადმოსჭრა და გადაკეტა კიდევაც, ზოგი შერიფის მანქანას შემოხვეოდა და შიგნით იჭვრიტებოდა, მერე კი ერთმანეთს გადახედავდნენ მრავალმნიშვნელოვნად, ვიცით რაც არისო და ვერც დაუშტკიცებდით სხვა რამე საწინააღმდეგოს, ასე, მუშაობაში გართული მშობელი გახედავს ხოლმე თავის საყვარელ, თუმცა კი ეშმაკის ფეხის ბალღს. თუ კი რამე უნდოდა, ესეც აქ იყო — ეს სახეები, ეს ხნები, მოქალაქენი კი არა, არცა დამცინავი, არამედ დაუფარავად იქედნური და უწყალოდ მოუბარი — ერთი კი გაგებნას ყურადღება და ლეიბში გარჭობილი ქინძისთავებივით დაგეყობა, ამიტომ რაღა დააძინებდა ბიძამისივით, თუმცა ის მთელი ღამე ან ღამის მეტი წილი კარგადაც იყო გამოძინებული; ქალაქს გამოსცდნენ და ახლა სიჩქარესაც მოუმატეს, ერთი მილი ჯერ კიდევ ხვდებოდნენ უკანასკნელი მსუბუქი და სატვირთო მანქანები, ნერე კი აღარ, რადგან ვისაც ქალაქში უნდოდა ჩასვლა დღეს, უკვე სწრაფადაც გამოევლო ეს უკანასკნელი მილი — ამ ოლქის მთელი თეთრი მოსახლეობა, ვინც მოისურვებდა მგზავრობას კარგ ამინდში, ამ გზით და იმ გზებითაც, რომლებიც კარგი იყო ყოველგვარ ამინდშიც, რადგან იმათი თანხები, იმათი ხმები და ხმები იმათი ახლობლებისა და ნათესავების ზეგავლენას ახდენდა კონგრესმენებზე და ესენიც ძალას არ იშურებდნენ ამ გზების კეთილმოსაწყობად, მოიჩქაროდნენ ქალაქს, რომელიც იმათიც გახლდათ, რადგან ის არსებობდა იმათი მეცადინეობითა და მხარდაჭერით თავისი ციხითა და სასამართლოთი, ბევრნი ირეოდნენ აქ, იყო ერთი ხმაური და ღრიანცელი, ჩოჩქოლი და თუკი ინებებდნენ, აღიჭურვებოდნენ მოთმინებით, შეიქმნებოდნენ უწყალონი და არ აჩქარდებოდნენ, არც დაემორჩილებოდნენ ვინმეს, არც არავის გააგდებინებდნენ თავს, არც არავის დაუგდებდნენ ყურს, რადგანაც ის მოკლულიც მათია და ის მკვლელიც, მათია მცნების უარმყოფელი და ის მცნებაც; თეთრი კაცი და მისი დარდი და ვარამი დანაკლისის გამო, და იმათ აქვთ უფლება არა მარტო უბრალოდ სასამართლოს გადასცენ შური იძიონ ან წინ აღუდგნენ იმას კიდევაც.

ახლა ძალიან ჩქარა მიდიოდნენ, არც ახსოვს, ბიძიას ასე ჩქარა თუ უტარებია მანქანა, იმავე გრძელი გზით მიდიოდნენ, გასული ღამით რომ გაიარა ცხენით, ამჯერად კი დღე იყო, ნათელი, საანური მაისის დილა. თეთრყვავილებდაყრილი შვინდი შეეძლო დაენახა ახლა ცოცხალი ღობეების მიღმა, ძველად დანაწილებული ნაკვეთების შუაგულში ანუ მონაზვნებივით დაყურსულნი ტაძრის ეზოში და იმის გარშემო მწვანედ აშლილი ტევრი. თეთრ-ვარდისფრად აყვავილებული ატმისა და მსხლის ხეები და თეთრვარდისფერადვე იყო ყველაფერი ირგვლივ პირველი ვაშლის ხეები, რომლებსაც წუხელ ყნოსვითღა აღიქვამდა და ყველგან, აქეთაც და იქითაც, მაშვრალი მიწა — სწორი ხნულგავლებული მინდვრები, სადაც სიმინდს თესდნენ მარტისა და აპრილის ბოლოში, პირველი ნტრედები მაშინ იწ-

ყებდნენ ღუღუნს, და ბამბაც, რომელიც მაისის დასაწყისში დაეთესათ, ერთი კვირის წინ, როდესაც ღამღამობით პირველი თხაწველიები აყვირდნენ; ცარიელი, უსულო, სიცოცხლეს მოკლებული ჩანდა ფერმერთა სახლები, კვამლი არ მიიხვეოდა იმათ ზემოთ, რადგან საუზმე უკვე კარგა ხანია მირთმეული ჰქონდათ, ხოლო სადილს აღარ გააკეთებდნენ, რადგან სახლში აღარავინ დარჩებოდა იმისი მჭამელი, ზანგების შეუღებავი ქოხმახები, რომელთა მტვრიან, უბალახო და უხეებო ეზოებში იმ ორშაბათ დილას ნახევრად ტიტლიკანა ბალღები დაფოფხავდნენ, დაძვრებოდნენ კულტივატორის დამტვრეული ბორბლების, ავტომანქანების გაცვეთილი საბურავების, ცარიელი ბოთლებისა და კონსერვის კოლოფებს შუა, უკანა მხარეს კი ცეცხლზე დადგმული მჭვარტლგადაკრული ქვაბები თუხთუხებდნენ ბოსტნეულის კვლებისა და საქათმეებად შემოვლებული გადაქცეული ლობეების გვერდით, ჯერ კიდევ დაღამებამდე გადაფენენ აქ გასაშრობად ჭრელჭრელ სამუშაო ტანსაცმელებს, წინსაფრებს, პირსახოცებსა და საცვლებს; მაგრამ ამ დილით და ახლა ეს არ მოხდებოდა, ბორბლები და ვეებერთელა არეულ-დარეული გროვები გადალეული საბურავების, ბოთლებისა და კონსერვის კოლოფები ჰყრია მტვერში და შაბათიდან მოყოლებული, იმ წუთის მერე, რაც ვილაცამ სახლიდან დაიძახა, არც აღარავინ გაკარებია აქაურობას, უკანა ეზოებში კი იმ უკანასკნელი ორშაბათი დღიდან დგანან ქვაბები, ცარიელი და გამოცივებული, სარეცხის ცარიელივე თოკის ქვეშ; მიჰქრის მანქანა უძრავი, დამუნჯებული კარების გვერდით და ხანდახან თუ მოკრავენ თვალს ღიობში ცეცხლის გაელვებას და თუმცა ვერ ხედავენ, მაგრამ გრძნობენ იმ ჩრდილებსა და ბურანში გაკვეცებას თვალების თეთრონისა, მაგრამ მთავარი ესაა, ცარიელი მინდვრები, არადა ამ დღეს და ამ საათს მაისის მეორე კვირას ერთფეროვნად უნდა გამომზეურებულიყო ამ მხარის ცოცხალი სიმბოლო— რაღაც საზეიმო ჯგუფური რიტუალი, თითქმის მისტიკური მნიშვნელობისა, ერთმანეთის მსგავსი და ერთფეროვანი როგორც ყოველ მილზე დადგმული ბოძები, რომელიც ქალაქის კიდეს უერთებს ოლქის უკიდურეს საზღვარს: საქონელი გუთანი კაცი ერთთავად შეკრულ-შენივთებულა და გარდასახულა ხნულის ტალღებად რაღაც მძვინვარე ძალისხმევის მერე და ამავე დროს შორეთში იკარება ვითარცა სკულპტურული ჯგუფები ამ ბუმბერაზ მიწას შეჭიდებული ადამიანებისა, სანამ უცებ (რვა მილით იყვნენ უკვე დაცილებულნი ქალაქს და კიდევაც გამოჩენილიყო ლურჯ-მწვანე ფერდობი გორაკებისა) არ დაიძახა, თითქოს მოლანდებოდა და გაოცებისაგან თავზარი დასცემოდა, რადგან პარალის, ალეკ სანდერის და ლუკასის გარდა ამ ორმოცდარვა საათის განმავლობაში აღარავინ უნახავს ზანგთაგანი:

— ზანგია იქ.

— დიახ, — მიუგო ბიძიამ, — დღეს ცხრა მაისია და ამ ოლქში

უნდა დაითესოს ხუთას ორმოცდა ორი ათასი აკრი მიწა. ვიღაც ხომ უნდა დარჩეს სახლში სამუშაოდ. — მინდვრის კიდის გასწვრივ ნიჰ-ქროდა მანქანა და, ასე, ორმოცდაათი იარდით დაცილებული. თავად მისი და გუთანს ადევნებული იმ ზანგის თვალები უმზერდნენ ერთ-მანეთს, სანამ იმან იქით არ გაიხედა — შავი, ოფლით გადაპრიალე-ბული, ძალისხმევისაგან მოღრეცილი, დაძაბულ-გაფაციცებული, ყურადღებით მაცქერალი სახე; ჩაუქროლა იმას მანქანამ და პირველ-ად გადაიხარა ღია ფანჯარაში, მიტრიალებული იმზირებოდა უკან და ხედავდა, სწრაფად ინთქმებოდა და ნცირდებოდა — ის ადამია-ნიშვილი და ჯორი და ხის გუთანი, რომელმაც დააწყვილა ისინი და მრისხანედ ეულად წინ წაუწევლად ჩაჭდეოდნენ მიწას და არც არა-ფერზე გადახრილიყვნენ.

ახლა უკვე იმ გორებს ხედავდნენ; თითქმის მისულნი იყვნენ იქ — ნაძვნარით შეფენილი პირველი გორა ჰორიზონტს მიბჯენოდა და იმის უკან კი დანარჩენები უნდა ყოფილიყო, მთელი ეს მთაგო-რიანი არემიდამო თითქოს უცებ კი არ ამოზიდულიყო იმის წინ გადაჭიმული ტაფობიდან, არამედ თანდათანობით და სადაცაა თავზე გადმოემხობოდა; ბიძიას ასე აქვს ნათქვამი მისთვის, სწორედ ასე-თი არისო შოტლანდიისმთიანეთი, ოღონდ სხვანაირი მოხაზულობის და ფერისაო; ორი თუ სამი წლის წინ მომხდარა ეს და ბიძიამ კიდევ ასე უთხრა მაშინ: „ეს ადგილი აურჩევია ამ ხალხს საცხოვრებლად და სულ ჭაწაწინა მიწის ნაკვეთები აქვთ, რვა ბუშელ მარცვალსაც ვერ მოიწევენ აქ, ვერც ორმოცდაათ ფუნტ ბამბას, თუნდაც რომ არ გაუჭირდეს ჯორს გუთნის თრევა (თუმცა ბამბა არ მოჰყავთ, მხო-ლოდ სიმინდი და იმდენი, რომ არაყი გამოხადონ და გაყიდონ მა-მამ და ვაჟიშვილებმა), გოურები, მაკ-კალუმები, ფრეიზერები და ინგრემებია ესენი, ადრე ეს უკანასკნელი ინგრეჰემი იყო, ხოლო უორკიტი — ურკჰარტი, თუმცა იმას, ვისაც ეს გვარი ჩამოჰყვა ჯერ ამერიკასა და მერე მისისიპს, არც შეეძლო ამისი დაწერა; დავიდა-რაბის ატეხვა უყვართ ამათ, ღვთის შიში აქვთ და ჯოჯოხეთისა სჯე-რათ... და თითქოსდა ბიძია მიხვდა იმის ფიქრებს, სიჩქარეს უკლო, სპიდომეტრი ახლა ორმოცდათხუთმეტს უჩვენებდა, ხრეშის უკა-ნასკნელი მილი უნდა გაევლოთ (გზა უკვე ტირიფნარისკენ და კვი-პაროსების ტევრისკენ ეშვებოდა მეცხრე მილის ფშანთან), რომ ბი-ძიამ დაილაპარაკა, თავად მოისურვა ლაპარაკი პირველად მას შემ-დეგ, რაც ქალაქიდან გამოვიდნენ.

— აქ გოურები, ფრეიზერები, უორკიტები და ინგრემები. მდი-ნარისპირა ფართო, უხვ და ნოყიერ ველებზე კი დღენიადაგ ვაჭრობაა გაჩაღებული. ლიტჯონები, გრინლითები, არმსტიდები, მილინგჰემები და ბუკრაიტებია, — ბიძიამ იყუჩა, მანქანა ფერდობზე თავქვე დაშ-ვებულიყო და თავისთავადაც უმატა სიჩქარეს; ახლა შეეძლო დაე-ნახა ის ხიდი, სადაც იმას სიბნელეში ალეკ სანდერი ელოდებოდა, იქ, ქვემოთ კი ჰაიბოი მახრჩობელა ქვიშნარმა დააფრთხო.

— ქვემოთ ჩავალთ და გავუხვევთ,—თქვა მან.

— ვიცი, — უთხრა ბიძიამ, — სამბოს გვარიანები კი იქაც სახლდებიან და აქაც, ამ ორივე მხარეზე, რაკიღა შეუძლიათ იმათთანაც იცხოვრონ და ამათთანაც ყველაფერს უძლებენ ისინი, — ხიდი ახლა უკვე სულ ახლოს იყო, პირდაღებული თეთრთაღოვანი ხახა იმათკენ მოჰქროდა. — ყოველი თეთრი კაცი ვერ გაუძლებს მონობას და როგორც ჩანს არც თავისუფლების ატანაა ადვილი (სიტყვამ მოიტანა და სწორედ ეს — თუკი ვივარაუდებთ, რომ კაცს მართლაც სურს მშვიდობა და თავისუფლება — გაგვიფუჭებს ურთიერთობას ევროპასთან, სადაც ხალხნა არც იცის მშვიდობის ფასი და უფრო მეტიც, ანგლო-საქსების გარდა, შიში აქვთ და გაურბიან კიდეც პიროვნულ თავისუფლებას; ჩვენ კი ვიმედოვნებთ, თუმცა კი რისი იმედი უნდა გვქონდეს ნამდვილად, რომ ის ჩვენი ატომური ყუმბარა საკმარისი იქნება რაღაც ნოეს კიდობანივით უძველესი იდეის დასაცავად); ხოდა, საჩქაროდ შეითქვეგიან, ძალას მოიკრებენ და პირველსავე დემაგოგს მიაჩეჩებენ თავიანთ თავისუფლებას, თუკი თავადვე არ გაანადგურებენ, არ გადაკარგავენ ცხრა მთას იქით და გადაივიწყებენ კიდევაც ისეთი შლეგური ერთსულოვნებით, როგორც მეზობლები გადატკეპნიან ცეცხლწაკიდებულ ბალახს. მაგრამ სამბოდ წოდებულმა ხალხმა გაუძლო ერთს და ვინ იცის? იქნება მეორესაც გაუძლონ... და ვინ იცის-მეთქი...

ქვიშამ გაიელვა, იბრდღვიალა და გაილაპლაპა წყალმაც; თეთრმა მოაჯირმაც გაიგრუხუნა, ჩაიქროლა, გრიალი მოიღო ფიცრების ქვეშ ბორბლებმა. **ახლა კი უნდა უკლოს სვლას**, გაიფიქრა მან, მაგრამ ბიძიამ ასე არა ჰქნა, უბრალოდ სიჩქარე ამოაგდო და მანქანამ **აიშვა**, გაუტია უფრო მეტადაც, ლაფიან გზაზე გაიჭრა; კუდი მოიქნია, კიდევ ორმოცდაათი იარდი ხათქახუთქით გაიარა ნაკვალევზე, სანამ სწორი სავალი არ მოილია და მცირე დამრეცს არ მიადგა და ისევ ისეთივე დიდი სიჩქარით არ გაიარა; და ნაკვალევი დაინახა, სადაც ალეკ სანდერმა პიკაპს გადაახვევინა გზიდან, ბუჩქებში შეიყვანა და სადაც ის იდგა, ხელი კი ჰაიბოის ნესტოებისათვის მიეჭირა, როდესაც ცხენი თუ ჯორი, ანუ ერთი ან მეორე, გორაკიდან თავქვე ეშვებოდა მხედრითა და იმის წინ გადებული ტვირთით, რომელიც ალეკ სანდერმაც კი იმ თავისი ბუს თუ წაულას ან რაღაც ღამე მონადირე სხვა ცხოველს ლვალებითაც კი ვერ გაარჩია (და კვლავ **გააცხენდა**, **მაგრამ** ბიძია კი არა მაგიდასთან ამ დილით მჯდომარე, საკუთარი თავი ეზოში წუხელ, მაშინ როცა ალეკ **სანდერი** უკვე წასული იყო, თუმცა კი მანამ, სანამ მისს ჰიბერშემს შეიცნობდა და როდესაც დარწმუნებული იყო, მარტოდ წავიდოდა იქ და გააკეთებდა იმას, რაც უნდა გაეკეთებინა და ახლა ასე უთხრა თავს, როგორც იქ, მაგიდასთან: **მე უნდა ვიფიქრო ამაზე)**; ხოდა, თითქმის უკვე მოვიდნენ, რაღა იყო დარჩენილი, მილებით აღარ გაიზომებოდა ეს სივრცე.

თუმცა კი ახლა მიფოფხავენ. მეორე სიჩქარით მიღრჭრიალებს მანქანა, მთავარი მთის გარინდებულ ფერდობზე ადის და სჭრის ნაძვნარის მკვრივ სურნელებას, იმ ადგილის ქვეშ შვინდის ბუჩქები მართლაც მოჰგავს მონაზვნებს, ამჯერად გრძელ, მწვანე დერეფნებში მდგომარეთ, სულ ზევით მიიწევენ და ბოლოს გადავლეს უკანასკნელი სიმაღლე, პლატო გამოჩნდა და იმათ თვალწინ გადაიშალა მშობლიური მხარე, იმათი საცხოვრისი — ნიადაგი, მიწა, რომელმაც გამოზარდა ის და ექვსი თაობა მისი მამაპაპანი და ახლა კაცად, განსაკუთრებულ კაცად უნდა გადააქციოს, კაცად, რომელიც ცხოვრობს საკუთარი ვნებებით, მისწრაფებებითა და სასოებით, ოღონდ ეს ვნებები, იმედები, რწმენა, ფიქრის უნარი და მოქმედებანი, განსაკუთრებული ნიშნით არის ცხებული, რაკიღა განსაკუთრებულია მისი გვარი და ჯილაგი და უფრო მეტიც: ამ გვარსა და ჯილაგშიც იშვიათია ის გრძნობები (იშვიათია უმეტესობისა და იმათი აზრითაც, ვინც ქალაქში მოცვივდნენ ამ დილით და ციხის პირდაპირ დადგნენ, გარშემოეხვივნენ შერიფის მანქანას), რადგან ესეც ხომ მისი ნაწილია, მიუხედავად იმისა, თუ რამ აიძულა აქ შეჩერება და ყურის გდება იმ წყეული კუზიანი, თავხედი ზანგისთვის, ვინც მართალია არ იყო კაცისმკვლელი, მაგრამ კინაღამ არ მიიღო ის, რაც არ ეკუთვნოდა, მაგრამ რასაც იგი დაეძებდა უკვე სამოც წელზე უფრო მეტი— თითქოსდა რუკა გადაიშალა იმის წინ ქვენოთ უხმაურო ნელი მოძრაობით: აღმოსავლეთით გორები, მწვანით შეფენილები, ერთი მეორის მიყოლებით ალაკამისკენ გაჭრილები, დასავლეთით და სამხრეთით ოთხკუთხედათ ნახაზი ველები და ჰორიზონტის ცისფერ ბურუსში დანთქმული ტყეები, რომლის იქით ღრუბლებივით გადაჭიმული ჯებირის გრძელი კედელი და თავად ვეებერთელა მდინარე, რომელიც უბრალოდ კი არ მოედინება ჩრდილოეთიდან, არამედ მოელტვის იმის დამატყვევებელ და უცხო სამხრეთს. ამერიკის ჭიპლარია ეს, შემაერთებელი მილი იმ მშობლიური მხარისა, რომელსაც მთელი სამი თაობის წინ სისხლი არ ეყო იმის უკუსაგდებად; თავის ერთი მიტრიალება და მას შეეძლო დაენახა ჯანღის ლაქა ქალაქის თავზე ამ ათი მილის იქით, ხოლო წინ გაიხედავდა და იხილავდა ფშანის გრძელ ზოლს, რომელსაც ეს ხვავრიელი მიწა დაეყო დიდ სამფლობელოებებად, პლანტაციებად (ედმონდსების საკუთრება იყო ერთი, სადაც ცხოვრობდნენ ედმონდსი და ლუკასი, ორივენი იქ იყვნენ დაბადებულნი და ორივეს ერთი ბაბუა ჰყავდა), იმათი საკუთარი პატარა მინდვრის გასწვრივ (თუმცა კი მისი ბაბუას მეხსიერების მიხედვით იმაზე კიდევ დადიოდნენ ორთქლის გემები) და მერე კი სქელი ზოლი ლელიანისა და კიდევ, შორს, აღმოსავლეთით და დასავლეთით, უბრალოდ კი არ გადაჭიმულიყო იქით, სადაც უკიდურესი კონცხებია, ქუშად რომ ერთმანეთთან დამდგარან ზურგით და გადაჰყურებენ ორ ოკეანესა და კანადის მთავრეხილს ხმელეთის გასწვრივ, ჩრდილოეთისკენ, უბრალოდ **ჩრდილოეთისკენ** კი არა,

არამედ ჩრდილოეთისკენ, ქვეყნის დასალიერისკენ, ყოვლის მიღმა, რომელიც არცაა გეოგრაფიული არემიდამო, უფრო გრძნობიერი სამყაროა და იმის მიმართ, ეს დედის რძესთან ერთად ჰქონდა შეთვისებული, უნდა იყოს ფხიზლად და ყურადღებით, შიში არ უნდა ჰქონდეს მისი და არც, რაღა თქმა უნდა, ზიზღი, მხოლოდ — ხანდახან და ხანდახან ცოტათი მოღლილი — ჩუმი უარყოფის გრძნობა; ადრე ბავშვობიდანვე ახსოვდა სიყრმისდროინდელი სურათი, კაცობას მიტანებული ვერ ხედავდა მიზეზს ან საჭიროებას იმის შესაცვლელად და არც იყო მიზეზი რომ ის შეიცვლებოდა როდისმე: ნახევრადწრიული არც ისე მაღალი კედელი (ერთი მოენდომებინა ვინმეს და გადაძვრებოდა; იცოდა, რომ ყოველ ბიჭს შეეძლო ამისი გაკეთება), იმის ზემოდან კი კარგად მოჩანდა მთელი ის სივრცე, ხვავრიელი, ხალხმრავალი, არც არასდროს იავარქმნილი ქვეყანა ბრწყინვალე, დიდი დედაქალაქებითურთ და არც არასდროს გადაუწვავი ქალაქებითურთაც, მდიდარი, ყოველმხრივ დაცული ფერნებით და ამიტომ კიდევაც გაოცებული ხართ, საიდან აქვთ იქაურებს ასეთი ცნობისმოყვარეობა, ჩამოსცქერიან იმას და იმის გვერდით მყოფ ზღვა სახეებს, რომლებიც იმისას ჰგვანან და იმავე ენაზე ლაპარაკობენ და ზოგჯერ გამოეძახებიან კიდევაც მისი სახელის დაძახებისას, მაგრამ იმათ და იმას შორის არ არის და აღარც იქნება ნაბდვილი ნათესაობა, მალე აღარც ურთიერთობა ექნება რამე, რადგან ის ენა, რომელზედაც ლაპარაკობს, აღარ გამოადგება, ადრინდელ მნიშვნელობას დაკარგავს და იმიტომ, მერე კი ესეც აღარ იქნება, რადგან ისე დაცილდებიან ერთმანეთს, რომ ვერც კი გაიგებენ ერთმანეთის ძახილს; მხოლოდ აუარება, უთვალავი სახე ჩამოსცქერის იმას და იმათ ძლივს შესამჩნევი გაკვირვებით, წყენით, უსასოოდ და რაც ყველაზე უფრო გასაოცარია, ურწმუნოდ, უილაჯოდ, თითქმის იმედწარხოცილიც კი და იმ მოლოდინით წამონთებული, რომ ყველაფერი უნდა დაიჯეროს რასაც კი სამხრეთზე იტყვიან, შეიძლება ეს სულაც არ იყოს გულღრძოდ ნათქვამი, არამედ რაღაც არაჩვეულებრივად და გულის შემძვრელი ამოძახილი; უეცრად ბიძიამ დაიწყო ლაპარაკი და სწორედ იმას ამბობდა, რასაც ის ფიქრობდა, აღარც გაოცებულა ასეთი დამთხვევა თუ არისო შესაძლებელი:

— იმიტომაა ასე, შეერთებულ შტატებში ჩვენ ერთადერთი (სამბოს არ ვგულისხმობ ამჯერად: ცოტა ხნის მერე გეტყვით იმის შესახებ) ხალხი ვართ. ერთი სისხლისა და ხორცის, ასე თუ ისე, მე იმის თქმა მინდა, ერთი ჯურისა-მეთქი, ახალი ინგლისელიც, რაღა თქმა უნდა, ქვეყნის სიღრმეში ცხოვრობს, დაცილებული სანაპიროს და იმ ევროპულ ნარწყევსაც, რომელსაც წყალი გამორიყავს და ჩვენი ქვეყანა უვადო კარანტინზე დასვამს წარსულის უქონელ ეფემერულ ქალაქებში, სადაც ფაბრიკა-ქარხნები, მუნიციპალური ნაგებობებია და ისე მაგრადაც მიეჯაჭვებიან ხოლმე, რომ საპოლიციო სამსახურში სიხარულით აღარ არიან; მაგრამ აქ იმათთაგანი ცოტაღა თუ

ლარჩენილა მსგავსად შვეიცარიელებისა, რომლებიც ხალხი კი არ არიან, უფრო ფაქიზი, სუფთა, პატარა, ჩუმი მოქმედი ბიზნესის წარმომადგენლებია. ხოდა, ჩვენ ნამდვილად იმისი წინააღმდეგი კი არა ვართ, რასაც უცხოეთში (და ჩვენშიაც) ეძახიან პროგრესსა და განათლებას. ჩვენ ვიცავთ, ძირითადად, ჩვენს პოლიტიკას, რწმენასა და ჩვენი ცხოვრების წესს კი არა, უფრო ჩვენს მთლიანობას ფედერალური მთავრობისაგან, რომელსაც სასოწარკვეთილების გრძნობით იძულებულნი არიან დაემორჩილონ დანარჩენები ჩვენს ქვეყანაში და ვერც აღუდგებიან წინ იმის მძლავრობას და თანდათანობით სულ უფრო მეტად და მეტად თმობენ თავის პიროვნულ თავისუფლებას მდგომარეობის შენარჩუნებისათვის შეერთებულ შტატებში. და, რაღა თქმა უნდა, ჩვენც სულ მუდამ დავიცავთ მას. ჩვენ [ყველა ჩვენთაგანს ვგულისხმობ მე: მეოთხე უბანს, სადაც არ მოისვენებენ, სანამ ბოლოს არ ნოუღებენ ლუკას ბიჩემპს (ანუ კიდევ ვიღაც სხვას), ვინსონ გოურის შური ხომ უნდა იძიონ. ხოლო ის პირველი, მეორე და მესამე და მეხუთე უბნელები პრინციპულად, განურისხებლად, მშვიდად ლამობენ საკუთარი თვალით ნახონ მეოთხე უბნის ნაცვალგება] არ ვიცით ამის მნიშვნელობა. ჩვენ არც გვინდა ამის ცოდნა. ჩვენთაგან ცოტამ თუ იცის, ხალხის თუ ხალხისთვის წარუვალი მნიშვნელობის მთლიანობაა თავიდათავი — ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ადგილობრივი ხელისუფლება და ადათ-წესები, რომელიც საბოლოო ჯანში თავისუფლება და დამოუკიდებლობაა და იქნებ ყველაზე უფრო უძვირფასესი, რაც კი შეიძლება იყოს ეროვნულ ხასიათში კრიზისის დადგომის ხანს — კრიზისის ხანს ჩვენ ერთად შევიკრიბებით და ასე დავდგებით მტრის პირისპირ, ვისაც იმდენივე ხალხი ჰყავს, რამდენიც ჩვენ და ნედლეული იმდენივე ჩვენ რომ გვაქვს და — ვინ იცის? — სულაც ჩვენსავით შეუძლიათ კვეხნა და ბაქიბუქი.

ჩრდილოეთს ამიტომაც უნდა აღვუდგეთ წინ; იმიტომ კი არა, თავი დავიცვათ მე და შენ, რათა ჩვენი ეროვნული ერთიანობა არ შეიმუსროს, რადგან ეს იქნება თანამდევი იმისა, რასაც ჩვენ შევინარჩუნებთ, სწორედ ეს იქნება ის, რომლის გულისთვისაც ჩვენ ამ თაობის წინ სისხლისნღვრელი ომი წავაგეთ ჩვენს საკუთარივე ზურგში, თუმცა კი გადავრჩით; სიმართლე არის რომ სამბო ადამიანიშვილია, ცხოვრობს თავისუფალ ქვეყანაში და კიდევაც უნდა იყოს თავისუფალი. სწორედ ესაა, რასაც ჩვენ ვიცავთ, გვქონდეს უფლება მისთვის თავისუფლების მოსანიჭებლად, ჩვენი გასაკეთებელია ეს იმიტომ, რომ სხვას არც არავის შეუძლია, რადგან ამ ერთი საუკუნის წინ ჩრდილოეთმა სცადა ეს და უკვე სამოცდათხუთმეტი წელიწადია აღიარებენ კიდევაც თავის ხელის მოცარვას. ხოდა, ჩვენი გასაკეთებელია-მეთქი. სულ მალე არც კი უნდა გვეშინოდეს ამის. არც უნდა იყოს ახლა. არც არასდროს უნდა ყოფილიყო. თუმცა ამ შაბათს ეს მოხდა და შეიძლება კვლავაც მოხდეს, შეიძლება

ერთხელ კიდევ, შეიძლება ორჯერაც. მაგრამ მეტი აღარ, მორჩა, გათავდა. სირცხვილი კი არის, რაღა თქმა უნდა, მაგრამ კაცობრიობის უკვდავების ქრონიკა ხომ ტანჯვა-გვემაა, რომელსაც მან გაუძლო და ვარსკვლავებისკენ მისი ლტოლვაა მონანიების ქვაღორღიანი საფეხურები. შეიძლება ოდესღაც ლუკას ბიჩემპმა თეთრ კაცს ზურგში დაახალოს ტყვია და შიში არ ჰქონდეს ლინჩისმქმნელთა თოკისა ან ბენზინის თეთრი კაცის დარადვე; შეიძლება დრო დადგეს და არჩევნებშიაც მიიღოს მონაწილეობა როცა უნდა და სადაც უნდა, როგორც ამას თეთრი კაცი შვრება და თავისი ბავშვები იმ სკოლაში მიიყვანოს, სადაც თეთრი კაცის ბავშვები სწავლობენ და იმოგზაუროს იქ, სადაც თეთრი კაცები მგზავრობენ ჩვეულებრისამებრ. მაგრამ რომელი კვირის სამშაბათს იქნება ასე. ჩრდილოელი ხალხი კი ასე ფიქრობს, შემდეგი კვირის ორშაბათს ნოგვარდება ყველაფერი, რაკიღა რომელიღაც აწ უკვე გამოქვეყნებული კანონის რატიფიცირებას მოახდენენ; ის კი აღარ ახსოვთ, როდესაც მეოთხედი საუკუნის წინ ლუკას ბიჩემპის თავისუფლება კანონის შესაბამისად სტატიით იქნა დამტკიცებული ჩვენს კონსტიტუციაში, ლუკას ბიჩემპის ბატონი არა მარტო მუხლებზე ჰყავდათ წამოჩოქებული, არამედ ათეული წლების მანძილზე თავზე ნაცარს აყრიდნენ, რათა როგორმე გადაეყლაპებინათ ეს, ხოდა, სულ რაღაც სამი თაობის შემდგომ რას ხედავენ, თურმე ისევ გახდა საჭირო ლუკას ბიჩემპის თავისუფლების დაკანონება.

და ლუკას ბიჩემპს თუ იკითხავთ, სამბოს, ამ კაცსაც არ დაუკარგავს მთლიანობა, თუკი არ ვიგულისხმებთ იმ ნაწილს, რომელიც არას დაგიდევს თავისი რასის საუკეთესო თვისებებს და მორჩილებს იმის მდარე გემოვნებას — ჩირის ფასს, აბდაუბდას, უხამსს, მყვირალა მუსიკას, ჩირის ფასს, ყალბ, ძალაგამოცლილ ფულს, ბრწყინვალე და ყველგან დახვავებულ რეკლამას, რომელიც შეიძლება ქარმა გადააქციოს უფსკრულის პირას დადგმული ხუხულასავით, მთელი ამ პოლიტიკური ცხოვრების ბრახაბრუხს, წარმომდგარს ჩვენი სუსტი ეროვნული მრეწველობის წიაღში, რომელიც ახლა ჩვენი ეროვნული სამოყვარულო დროსტარების სამსახურშია, ამ აგრე უგვანოდ ხალხის ხმაურს, ვინც ჯერ შეგნებულად ხელს უწყობს ანგარების გულისთვის ეროვნულ ლტოლვას ყოველი მდარე საგნისადმი; ჩვენ კი ვიღებთ, ყველაფერ საუკეთესოს, თუმცა კი ამ პირობით, უნდა მოგვართვან დასვრილი და ფასდაკარგული; მთელ დედაწიაზე ერთადერთი ხალხი ვართ, ვისაც საჯაროდ თავი მოაქვს თავისი დაბალი დონით, ე. ი. სიბრიყვით. სამბოს მე არ ვგულისხმობ, იმათთგან იმას, რომლებმაც ჩვენზე უკეთ დაინარჩუნა თავისი მთლიანობა და კიდევაც დაგვანახვა ეს მიწას მიჯაჭვული იმ თავისი ფესვებით; სწორედაც უნდა მოეხერხებინა მას თეთრი ხალხის ადგილის დაკავება, მათი ძლევა, რადგან მაშინ კი იყო მოთმინებით აღჭურვილი, როდესაც იმედი წარხოცოდა, მოკლებული იყო შორსმჭ-

ვრეტელობას და წინ არც აღარაფერი ჩანდა რამე ბოლოს მაგვარი; გაძლების ეს მისი სურვილი ჩვეულებრივი არ იყო, უფრო ეს იყო ყოვლისმომცველი ვხება, რაკიღა მას უყვარდა ის ოდინდელი ძველი უბრალო რამდენიმე საგანი, რომლის წამრთმევიც არც არავინ იყო: ეს არც მანქანა იყო, არც ჭრელჭრელი სამოსელი, არც მისი საკუთარი სურათი გაზეთში, ეს იყო ცოტაოდენი მუსიკა (მისი საკუთრება), თავისი კუთხე, მაინცდამაინც მისი ბავშვი კი არა, ვისიც უნდა ყოფილიყო, სულ ერთია, ზეცაში მამა ღმერთი, ვისთანაც ყოველ წუთს უნდა შეეძლო ცოტათი მიახლოება მაშინ, როცა კი მოისურვებს და არა მხოლოდ სიკვდილის მერმე, ცოტაოდენი მიწა, რომელშიაც შეუძლია საკუთარი ოფლი ჩაღვაროს ჯეჯილის მოყვანისას. ჩვენ — ის და ჩვენ — უნდა გავერთიანდეთ: მივუბოძოთ მას რაც დაგვრჩა მიუცემელი, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პრივილეგიები, ეს მისი უფლებაა, იმისი მოთმინების, ლოდინის, გაძლების დარჩენის უნარის სანაცვლოდ, მაშინ კი ჩვენ დავძლევთ, შეერთებული შტატების მფლობელები ვიქნებით ასე ხელიხელჩაკიდებულები; ჩვენ ვიქნებით შედუღაბებულნი და არა მარტო შეუპოვარნი, შეუმუსრავნიც, თუნდაც აუარება ხალხმა შემოგვიტიოს, ვისაც მხოლოდ ესა აქვთ საერთო, შლეგური სურვილი ფულის მოხვეჭისა და თანდაყოლილი შიშიანობა, რაკიღა წარხოცილი აქვთ ეროვნული ნიშანი მიუხედავად იმისა რომ დღენიადაგ გაჰყვირიან თავიანთ ერთგულებას ამერიკული დროშისადმი.

ახლა კი უკვე მოსულიყვნენ აქ, ცოტათი ჩამორჩენილიყვნენ შეიფს. რადგან იმას თუმცა მოესწრო მანქანის გზიდან გადაყვანა და ტევრში სამლოცველოს წინ დაყენება, ჯერ კიდევ იმასთან იდგა და ერთ ზანგს სწორედ ახლა მოეწოდებინა მანქანის ახდილი სახურავიდან მეორე პატიმრისთვის წერაქვი, იმას კი უკვე აეღო ის ორი ნიჩაბი. ბიძიამ აქ მოიყვანა მანქანა და გააჩერა, მხოლოდ ახლა, დღის სინათლეზე შეეძლო დაენახა ეს სამლოცველო, პირველად, თუმცა ის აქედან ათ მილზე ცხოვრობდა და მთელ მის სიცოცხლეში ვინ იცის რამდენჯერ ჩაუვლია გვერდით და სულ ცოტა ხუთჯერ მაინც ექნებოდა ნანახი. მაგრამ არც ახსოვს, კარგად თუ დაეთვალიერებინა როდისმე — ფიცრული, სულ უგუმბათო, დაახლოებით იმ ქოხმახების სიმაღლისა, რომელშიაც აქაურები ცხოვრობენ. შეუღებავი იყო, მაგრამ (იმისდა გასაოცრად) სულაც არ ჩანდა უბადრუკი და მიგდებული ან დაძველებული, რადგან აქვე დაენახა მიყრილ-მოყრილი ახალი ფიცრები და სინთეტიკური თუნუქის ნაჭრები მიკერებულ-მიჭედილი იმის ძველ კედელზე რაღაც გააფთრებული, თითქმის ბინრაცხმყოფელი სიჩქარით; ის ნაგებობა როგორღაც დაყურსული. ან მიშალული, ან დაყუდებული კი არ იყო, ჩვეულებრივ იდგა ცამდე აზიდულ, ვეებერთელა მაღალი ხუჭუჭა ტოტებიანი ნაძვების შუა, მარტოსული იყო, თუმცა მიტოვებული არ ჩანდა, შეუმუსრავი და მედიდური იერისა, არც არაფრის მთხოვნელი და არც არაფრის დამთ-

მობი გამოიყურებოდა და მაშინ წამოაგონდა წვრილი წერწეტი გუნ-ბათები, თითქოსდა ამისი მთქმელნი; აქა მშვიდობაო, დაბალი ჭკუა-დამრიგებლური სამრეკლოები, რომლებიც ასე ამბობენ, მოინანიე-თო და ესეც გაახსენდა, ერთი ასე ამცნობდა, გაფრთხილდითო, მაგ-რამ ეს სამლოცველო უბრალოდ ასე ღაღადებდა, დაიწვითო; ხოდა, ის და ბიძია მანქანიდან გადმოვიდნენ; შერიფი და ის ორი ზანგი თავიანთი მოწყობილობით უკვე შევიდნენ დაბალი მავთულის ღობე-ში დატანიებულ ჭიშკარში, ის და ბიძიაც იმათ მიჰყვნენ, ცხრა-ტყავა იზრდებოდა აქ და უსუნო პაწაწინა თეთრი ვარდები, და კი-დევაც იხილა ეს საფლავი, ესეც პირველადვე; იმან, ვინც არა მარ-ტო სამარე შემუსრა, კიდევაც უარყო ერთი დანაშაული და აღმოა-ჩინა მეორე; ეს იყო ღობეშემოვლებული ოთხკუთხედი მიწისა, უფ-რო ნაკლები, ვიდრე იმ ბაღის ნაკვეთები, რომლებიც უკვე ნახა; სექტემბერში აქაურობა სულ გადაიბურება და თითქმის არც შემო-ისვლება, სადღა გამოჩნდებოდა იმ საძვლის გორაკი, დანთქმული აბზინდის, ჯინჭრისა და ცხრატყავას აბურდულ ჯგროში, ანუ ისე, თითქოსდა ასე თუ ისე ჩაჩრილი მუყაოს კოლოფში, ანუ პურის ნა-ჭერში ჩარჭობილი კბილის საჩიჩქნები, მცირეოდნავ გადახრილიყო ეს მცენარეები, თითქოსდა ასე დამსგავსებოდნენ პირდაპირ, თუმცა არც არასდროს სულ სწორად აღმართულ, მარად მონანავე ნაძვებს; დაინახა, ეს მცენარეები და კრამიტივით თხელი იაფფასიანი ნაცრის-ფერი გრანიტის ფილები, ისეთივე ფერისა როგორც ეს შეუღებავი სამლოცველო, თითქოსდა ეს რუხი უსწორო კიდეებიანი ნაჭრები ნაჯახით ამოეჩეხათ იმისი კედლებიდან (ამ ფილებზე ამოტვიფრუ-ლი იყო უბრალოდ სახელები და თარიღები, უეპიტაფიოდ, თითქოს-და დამკრძალავთათვის არც არაფერი იყო დასამახსოვრებელი გარდა იმისა, რომ აქ დაკრძალულნი ერთ დროს ცოცხლები იყვნენ და დაიხოცნენ), რომლის არც ნგრევამ, არც დრო-ჟამმა აიძულათ შე-ეკეთებინაო ეს შეუღებავი და გაურანდავფიცრებიანი ნაგებობა, არამედ უბრალოდ სიკვდილის ძალამ, ხვედრმა ხორცისამ.

იმან და ბიძიამ იმათ შუა გაიარეს, მივიდნენ, სადაც შერიფი და ორი ზანგი თავს დადგომია იმ ახალ შეზვინულ მიწას, რომელიც იმან შებილწა და პირველად ახლა ხედავდა ცხადლივ, მაგრამ ჯერ კიდევ იმათ არ დაუწყიათ თხრა. შერიფიც მიტრიალებული იდგა და უკან იმზირებოდა, სანამ ის და ბიძია თავადაც არ შედგნენ.

ახლა კი რალაო? თქვა ბიძიამ.

მაგრამ შერიფმა ასე უთხრა იმას თავისი რბილი ბოხი ხმით:

— მე მგონია თქვენ და მისს იუნისი და ის თქვენი მდივანი რაც შეიძლება ფრთხილობდით, ვაითუ ვინმემ მოგვისწროსო გუშინ ღა-მით, ხომ ასეა?

ბიძიამ უპასუხა, მნახველების ამ დროს მოსვლა ვერ არისო კარგი საქმე.

მაგრამ შერიფი ისევ ისე უყურებდა მას.

— ის ყვავილები რაღატომ არ დადევით თავის ადგილას?

ხოდა, იმანაც დაინახა — ის ხელოვნური გვირგვინი, ვერაფერი ნახელავი იყო, თუმცა კი ერთად დაეხვიათ მავთული, ძაფი, პრიალა ფოთლები, რომელიც ვიღაცას ეყიდა თუ გამოეგზავნა ქალაქის საყვავილე მაღაზიიდან, და კიდევ უკვე შემჭკნარი მინდვრისა და ბაღის ყვავილების სამი თაიგული ერთმანეთთან ბამბის თოკით გადანასკვული, ყველაფერი ეს, როგორც ალეკ სანდერმა თქვა ვუშინ ღამით, უწესრიგოდ იყო მიმობნეული თუ დაგდებული საფლავზე; ესეც ახსოვდა, ალეკ სანდერმა და იმან აიღეს და გადააწყვეს, რათა ხელი არ შეშლოდათ და ესეც არ დავიწყებოდა, უკანვე დააწყვეს, როდესაც ის ორმო ამოავსეს; ისიც შეეძლო გაეხსენებინა, მისს ჰებერშემმა ორჯერ უთხრა იმათ, ისევ უკან დადევითო, მას შემდეგ, რაც იმან უარი უთხრა, რა საჭიროა, ტყუილად დროს დავკარგავთო; შეეძლო, აგრეთვე, ესეც მოეგონებინა, როგორ ეხმარებოდა მისს ჰებერშემი იმ ყვავილებს უკანვე დალაგებაში; ან შეიძლება სულაც არ ახსოვდა, თუ დააწყვეს უკან, შეიძლება ჰგონია რომ ასე იყო, რადგან ახლა კარგად ხედავს, გვერდზე ჰყრია ერთ აბურდულ გროვად და, როგორც ჩანს, იმან და ალეკ სანდერმა კიდევაც ფეხით გადათელეს, თუმცა ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს. ბიძიაც სწორედ ასე ამბობდა:

— რაღა დროს ამაზე ლაპარაკია. მოდით დავიწყოთ. თუმცა აქ საქმეს რომ მოვრჩებით და ქალაქს წავალთ, მხოლოდ დასაწყისი იქნება.

— კარგი. ბიჭებო, — დაუძახა შერიფმა ზანგებს, — მოდით აქ, დაიწყეთ, რაღას უყურებთ... — და მას არაფერი არ გაუგონია, ისეთი, რასაც მისი შეშფოთება შეეძლო, იქით გაიხედა და ირგვლივაც მოავლო მზერა, ბიძიასა და შერიფს მიბაძა, ხედავს, ზეზოდან, გზიდან კი არა, საიდანღაც სამლოცველოს უკნიდან თითქოს ქარით აშრიალებული ნაძვნარის წიაღიდან გამომტყვრალიყო ვიღაც კაცი ფართო კიდეებიან ჩალისფერ შლაპასა და სუფთა გახუნებულ ლურჯ პერანგში, რომლის მარცხენა სახელო ცარიელი იყო, ფაქიზად ახვეული და ქინძისთავით მხარზე მიმაგრებული, ცეცხლისფერ პატარა ფაშატზე იჯდა, ეს ოთხფეხა მალ-მალე ატრიალებდა თვალის თეთრონს და იმას ორი ყმაწვილკაცი მოჰყვებოდა, ვეებერთელა უუნაგირო, ქამანდმოგდებულ ჯორზე ერთად მჯდომარენი, იმათ უკან კი მოსდევდათ (ფრთხილობდნენ, ჯორმა წიხლი არ გამოგკვრასო), ორი ტანმოგრძო მწევარი, სწრაფად გადმოვლეს ტევრი და იმ კაცმა ჭიშკართან დააყენა თავისი ლაფშა, მოიშველია ის ცალი ხელი, სწრაფად და მსუბუქად ჩამოხდა, აღვირი ცხენის კისერზე გადააგდო და მსუბუქივე, ზამბარისებრი ნაბიჯით ჭიშკარი გამოიარა და აქეთ წამოვიდა — პატარა გაჩხინკული ბერიკაცი, იმასაც შერიფივით ნათელი თვალები ჰქონდა და მზით გარუჯულ სახეზე არწივის

ნისკარტისებრი ცხვირი გამოშვეროდა, მოდიოდა და ასე თქვა მაღალი წვრილი დაუბზარავი ხმით:

— აქ რად მოსულხართ, შერიფო?

— ამ სამარის გასათხრელად მოვსულვართ, ბ-ნო გოური, — მიუგო შერიფმა.

— არა, შერიფო, — მაშინვე გამოსძახა ნას იმავე ხმით; არ დავობდა და არც არაფერი. მხოლოდ ასე განუცხადა, ამ საფლავს არაო.

— დიახ, ბ-ნო გოური, — თქვა შერიფმა, — მე ამის გასათხრელად მოვსულვარ აქ.

ფაცაფუცს არ მოჰყოლია, არც აჩქარებულა, თითქმის დინჯად ამ ბერიკაცმა ცალი ხელით პერანგის ორი ღილი შეიხსნა და მაშინვე მცირეოდნავ მიტრიალდა, რათა ასე უფრო მარჯვედ ამოეღო მძიმე ნიკელირებული პისტოლეტი და ასევე აუჩქარებლად, თუნცა კი დაუხანებლად მარცხენა იღლიაში ამოედო ეს იარაღი ტარით წინ, შემდეგ ფოლაქები შეიკრა და ისე დაიკავა ხელში პისტოლეტი, არავისთვის არ მიუშვერია.

მაგრამ კარგა ხნით ადრე ამ ამბამდე მან დაინახა, შერიფი გაქანდა, გაქანდა ნიავქარივით იმ მოხუცისკენ კი არა, სამარეს გვერდი აუქცია და იქით შეჩერდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ის ზანგები მიტრიალებას მოასწრებდნენ, და როცა ნოჰკურცხლეს რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, კლდესავით აყუდებულ შერიფს გადააწყდნენ, თითქოსდა უკანაც კი გადმოვარდნენ ცოტათი, მაგრამ შერიფმა ხელი სტაცა ორივეს და ერთი ერთ ხელში ჩაბღუჯა და მეორე — მეორეთი პატარა ბალღებივით, კიდევ ერთი წამიც და ორნივე იმის ხელთ იყვნენ თოჯინებივით ჩამოკონწიალებულნი, მერე შერიფი მთელი სხეულით მოტრიალდა და ასე გაჩერდა იმათ და იმ პისტოლეტიან ჩიატანის ძარღვიანი ბერიკაცის შუა, ასე წარმოთქვა თავისი ნამძინარევი კაცის რბილი ხმით:

— ნანდ დადექით. როგორ გგონიათ, ამაზე უარესი რა უნდა მოუვიდეს იმ ზანგებს, რომლებიც ახლა, დღეს, აქ არიან და პატიმრის ტანსაცმლით გაქცევას ლამობენ?

— ეს მართალია. ბიჭებო, — თქვა ბერიკაცმა თავისი მაღალი, უგრძნობელი ხმით, — მე თქვენ რას გერჩით. შერიფთან მაქვს საალაპარაკო. ჩემი ვაჟის სამარე არა-მეთქი, შერიფო.

— გაგზავნეთ უკანვე მანქანაში, — სწრაფად ჩასჩურჩულა ბიჭიამ. მაგრამ შერიფმა პასუხი არ გასცა, ისევ მოხუც კაცს გასცქეროდა.

— თქვენი ვაჟი ამ სამარეში არ არის. ბ-ნო გოური, — უთხრა შერიფმა. ის კი უმზერდა და ფიქრობდა, ამაზე კი რაღას იტყოდა ეს მოხუცი — იქნებ გაოცებულიყო, არ დაეჯერებინა, გაჯავრებულიყო ან შეიძლება სულაც ასე იფიქრა ხმამაღლა: საიდან უნდა იცოდეთ, რომ ჩემი ვაჟი აქ არ არის? — შეიძლება ეფიქრა, განსჯას მოჰყო-

ლოდა და ისევე ეთქვა, როგორც შერიფმა თქვა ამ ექვსი საათის წინ: **თქვენ არც კი დამანებებდით ამის თქმას, რომ არ იცოდეთ, ასეა სწორედ;** უმზერდა და თითქოსდა ამ მოხუცთან ერთად მოიცილა ეს ყოველივე და უცებ თავში ასე გაუელვა განცვიფრებულს: **ჰე, დარდით აღარაა ეს კაცი;** ხოდა, ასე გაიფიქრა, ამ ორ წელიწადში ორჯერ მოუხდა სევდა-კაეშნის ხილვა, როცა სულაც არ მოელოდა, იმათ გულს დათუთქვა თუ შეეძლო, ვერც კი წარმოიდგენდა; პირველად ეს ბებერი ზანგი იყო, ვისაც სულ ახლახან დაესაფლავებინა თავისი ცოლი, ზანგის ბერიქალი, ახლა კი ეს მძვინვარე, პირმყრალი უღმერთო ბერიკაცი იყო, ვისაც დაეკარგა იმ ექვსი ვაჟიდან ერთ-ერთი, სუყველანი უსაქმურები, რეგვნები და წყალწაღებულები იყვნენ, ღირსეული ძენი იმას არ ჰყოლია, მხოლოდ ერთმა თავისი უკანასკნელი საქციელით კი ჰქნა იმდენი, რაც წაადგებოდა იმის ხალხს, თავი მოაკვლევინა; კვლავ გაიგონა ის მაღალი დინჯი ხმა, მაშინვე და მტკიცედ, დაუხანებლად, უგრძნობლად წარმოთქვა, საუბარს იწყებსო თითქოს:

— ხოდა, მე მგონია, თქვენ არ დამისახელებთ იმას, ვინც გაიგო, ჩემი ვაჟი რომ აქ არ არის, შერიფო. მე მგონია თქვენ ამას არ იტყვით. — პატარა მკაცრი ნათელი თვალებით მოაჩერდა პატარა მკაცრ ნათელ თვალებს, შერიფის ისევ ის რბილი ხმა გაისმა, თუმცა კი არ აღშფოთებულა სულაც;

— არა, ბ-ნო გოური. ცარიელი არ არის, — და მერე, ამის შემდეგ ის მიხვდა, სწორედ ახლა იყო, რომ მას ეგონა, რაღაც კი ვიციო, შეიძლება ის კი არა, თუ რატომ ჩამოაღწია ლუკასმა ქალაქს ცოცხალი, ეს ისედაც ნათელი იყო: მოხდა ისე რომ მაშინ გოურთაგან იქ არავინ ყოფილა გარდა იმ მკვდრისა; ბაგრამ ახლა კი ის ბერიკაცი და მისი ორი ვაჟი ამხედრებულნი გამოვიდნენ ტყიდან სწორედ იმ სამლოცველოსთან და ზუსტად მაშინ, როცა ის, მისი ბიძია და შერიფი საფლავთან იდგნენ, და უკვე ორმოცდარვა საათი ლუკასი ჯერ კიდევ საღსალამათი იყო. ბ-ნი ჯეკ მონტგომერიაო, ასე უთხრა შერიფმა.

მოხუცი იმწამსვე შემოტრიალდა, თუმცა კი აუჩქარებლად და არც მარდათაც, მაგრამ როგორღაც მსუბუქად, თითქოსდა მისი პატარა უხორცო ჩონჩხი იოლად მოარღვევდა ჰაერს და არც ბორკავდა **იმის კუნთებს, იქით ლობისკენ გასძახა, სადაც** ის ორი ყმაწვილკაცი ისევ იჯდა იმ ჯორზე, ერთი მეორის მსგავსნი როგორც მანეკენები **მზა** ტანსაცმლის ნაღაზიაში და ისეთივე უმოძრაონი, არც კი ჩამოდიოდნენ დაბლა, სანამ იმ ბერიკაცმა არ შეუყვირა, აქ მოდითო, ბიჭებო.

— ნუ სწუხართ, — დაუძახა შერიფმა, — ჩვენ ვიზამთ ამას. — იმ ორ ზანგს მიუბრუნდა, — აბა, წამოიღეთ ის თქვენი ნიჩბები...

— მე შენ გეუბნები, — ისევ სწრაფად ჩასჩურჩულა ბიძიამ. — უკანვე გაგზავნე მანქანაში-მეთქი.

— მართალი ბრძანდებით, ადვოკატო... ადვოკატო სტივენს, თუ არა ვცდები? — თქვა იმ მოხუცმა, — აქედან წაიყვანეთ ისინი. ეს ჩვენი საქმეა. ახლავე დავიწყებთ.

— ეს ჩემი საქმეცაა ახლა, ბ-ნო გოური, — უთხრა შერიფმა.

ბერიკაცმა ზეაღმართა პისტოლეტი, წყნარად და აუჩქარებლად, მკლავი ასწია და ისე გასწორდა, როგორც საჭირო იყო, მუათითით ჩახმახი მოზიდა და კიდევაც გაამზადა იარაღი, თუმცა ჯერ სრულიად არა და არც მიზანი იყო ზუსტად ამოღებული, მხოლოდ მომართული შერიფის შარვლის იმ ადგილისკენ, სადაც ქამარი უნდა ჰქონოდა გაყრილი. აქედან წაიყვანეთ-მეთქი ისინი, შერიფო, დაიძახა ბერიკაცმა.

— კარგი, — თქვა შერიფმა, არც კი შერხეულა, ისე, — მანქანაში დაბრუნდით, ბიჭებო.

— იმას იქითაც — განუცხადა მოხუცმა კაცმა, — უკან ქალაქში გაგზავნეთ.

— პატიმრებია ესენი, ბ-ნო გოური, — უთხრა შერიფმა, — ვერსადაც ვერ გავგზავნი. — გაუნძრევლად იდგა, — დაბრუნდით და ისევ იმ მანქანაში ჩაჯექით, — ასე დასძინა მერე. წავიდნენ ისინი, ჭიშკრისკენ კი არა, ღობეს მიაშურეს, მიიჩქაროდნენ, მაღლა-მაღლა სწევდნენ ფეხებსა და მუხლებს იმ ზოლებიან, დასვრილ შარვალში, მიისწრაფოდნენ და მოპირდაპირე მხარეს, ღობეს მიადგნენ, გადაბიჯეს თუ გადაახტნენ, მერე მიტრიალდნენ და იმ ორი მანქანისკენ გასწიეს, სანამ არ მიაღწიეს შერიფის მანქანას, ცდილობდნენ არ მიახლოებოდნენ ჯორით მოსულ იმ ორ თეთრ კაცს; უმზერდა ის ჯორზე მჯდომარეთ, რომლებიც სარეცხის სამაგრებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ერთნაირი სახეები და ერთნაირადვე შერუჯული, მძვინვარედ პირქუშნი და წყნარნი, სანამ ისევ არ დაუძახა იმ ბერიკაცმა:

— აბა, ბიჭებო, — და ორივენი ერთად ჩამოხდნენ, ერთდროულად როგორც ერთად ნავარჯიშები წყვილი ვოდევილში გამოსასვლელად, ერთად აღმართეს მარცხენა ფეხი და ღობეზე გადმოევლნენ, ჭიშკრისკენ არც კი გაუხედიათ; ტყუპ გოურებს ტანსაცმელ-ფეხსაცმელიც ერთნაირი ეცვათ, მხოლოდ ერთს ხაკის პერანგი გადაეცვა, მეორეს უსახელო ჯერსი; ოცდაათ წელს იყვნენ ნიტანებულნი, მამაზე მთელი თავით უფრო მაღალნი, ოღონდ მამასავით ნათელი თვალები ჰქონდათ და ცხვირიც ისეთივე, თუმცა არწივისებრი არა, უფრო ქორისებრი, მოვიდნენ სიტყვის უთქმელად, არც კი შემოუხედავთ რომელიმე იმათგანისთვის, დადგნენ აქ სახემოქუფრულნი, დაღვრემილნი, სანამ იმ ბერიკაცმა არ მიუთითა პისტოლეტიანი ხელით (დაინახა, დაცველი ახლა ყოველი შემთხვევისთვის ახსნილი ჰქონდა) იმ ორ ნიჩაბზე და ასე უთხრა თავისი მაღალი ხმით, რომელსაც თითქოსდა გამოცოცხლება დასტყობოდა ახლა:

— აბა ხელში დაიკავეთ, ბიჭებო. ოლქის საკუთრებაა ეს, თუკი რომელიმე გაგიტყდებათ, არავინ მოგთხოვთ გარდა დიდი ჟიური-

სა, — ტყუპები ახლა ერთი მეორის პირისპირ იდგნენ საფლავის იქედან და აქედან, სრულიად შეთანხმებული იყო მათი მოძრაობა მოცეკვავეების დარად; ეს ორნი ბოლონი იყვნენ იმ უკანასკნელის, მოკლული ვინსონის გარდა, მეოთხე და მეხუთე ამ ძმებში—ფორესტი უფროსი გახლდათ, რომელმაც არა მარტო შეძლო თავი დაეღწია მრისხანე და ტირანი მამის კლანჭებს, დაოჯახდა კიდევაც და უკვე წელია მმართველად მუშაობდა ბამბის პლანტაციაში მდინარის შესართავთან ვიკსბერგის ზემოთ; კროუფორდი იყო მეორე, ჯარში იქნა გაწვეული 1918-ის 2 ნოემბერს და ამავე თვის ათს გამოიქცა (ვინ იფიქრებდა ამას, ბედი არ გინდა, უთქვამს ბიძიას, არა კაცს ვუსურვებ ამას — სწორედ ასეთი აზრისანი იყვნენ, როგორც ჩანს, ფედერალური ხელისუფალნიც, რომლებმაც კიდევაც ჩასვეს ერთი წლით ლივენუორტის ციხეში), დეზერტირი გახდა და თვრამეტი თვე იმალებოდა იმ გორების სხვადასხვა გამოქვაბულებსა და გვირაბებში, სულ თხუთმეტი მილით რომ იყო დაცილებული ჯეფერსონის ფედერალურ სასამართლოს, სანამ არ დაიჭირეს და ამისთვის ნამდვილი ბრძოლის გადახდა მოუხდათ (თუმცა იმის ბედად მაშინ მაგრად არავინ არ დაჭრილა), ოცდაათ საათზე უფრო მეტს იცავდა თავს, რადგან ის შეიარაღებული იყო (და ბიძიას ასე აქვს ნათქვამი, დიდი სიმამაცე და ვაჟკაცობა გამოუჩენია შეერთებული შტატების არმიის ამ დეზერტირს თავისი თავისუფლების დასაცავად შეერთებული შტატების მთავრობისგან სწორედ იმ იარაღით, რომელიც წაართვა მტერს, ვისთანაც ბრძოლა არ უნებებია) ავტომატური პისტოლეტით, რომელიც მაკ-კალუმის ვაჟთაგან ერთმა ტყვე გერმანელ ოფიცერს აართვა და სულ მალე სახლში დაბრუნებულმა გოურის გაუცვალა მელიებზე მონადირე მაძებრებში; ხოდა, მოითავა ის ერთი წელიწადი და შინ ჩამოვიდა, ასე ლაპარაკობდნენ ქალაქში იმის შესახებ, მემფისშიაო ახლა. სადაც მას (1) ჩუმად ლიქიორი ჩამოაქვსო ნიუ ორლეანიდან, (2) საიდუმლო აგენტად დაუდგაო ვიღაც მეპატრონეს მუშების გაფიცვის ხანს, მაგრამ ასე იყო თუ ისე, უცებ ჩამოვიდა მამის სახლში და მას მერე არავის არ უნახავს, სანამ დაბრუნების დღიდან რამდენიმე წლის შემდეგ ქალაქში ისევ არ დაირხა ხმა, დაბინავებულიყო ავად თუ კარგად, ცოტა ტყით და საქონლით ვაჭრობდა, პატარა ნაკვეთიც დაუმუშავებია; და ბრაიანი, ნესამე ვაჟი, ვინც იყო იმ ოჯახის ბურჯი და ქვითკირი, შეგიძლიათ რაც გნებავთ ის უწოდოთ ამას, მშობლების ფერმა მას ჰქონდა წამოკიდებული; მერე კი ეს ტყუპები, ვარდამენი და ბილბო, რომლებიც მთელი ღამეები მორეგისა და კუნძების კოცონთან ისხდნენ, იმათი მაძებრები კი ამ დროს მელიებს დასდევდნენ, დღე კი შიშველი ფიცრების იატაკზე ეძინათ, დაღამდებოდა და ისევ აუშვებდნენ იმ მაძებრებს; დაბოლოს, ის ნაბოლარა ვინსონი, რომელმაც ბავშვობიდანვე ვაჭრობასა და ფულის შოვნას მიჰყო ხელი და თუმცა ოცდარვა წლის მომკვდარიყო, ბევრი ასე იძახდა, რამდენიმე მიწის ნაკვეთს ჰფლობს ამ

ოლქში და გოურთაგან პირველი იყო, ვისაც შეეძლო ჩეკზე ხელი მოეწერა და ყოველი ბანკიც გაუნაღდებდა; ტყუპებმა ჯერ მუხლამდე და მერე წელამდე თხარეს საფლავი, ჩქარა, პირქუშად და ბოღბით, რობოტისებურად სრულიად შეთანხმებული მოძრაობით და ორი ნიჩაბი თითქმის ერთსა და იმავე წამს მოხვდა საპახლის სახურავს, მერე კი სიტყვის უთქმელად და მიუნიშნებლადაც, ფრინველებივით თუ ცხოველებივით როგორღაც ამცნეს ერთმანეთს და ერთმა იმათთაგანმა ამოიქნია მაღლა ნიჩაბი და სულ ადვილად ამოვიდა ორმოდან, სხვებთან ერთად დადგა იმის კიდეზე, ამ დროს კი მისი ძმა საბოლოო ტალახს აცილებდა კუბოს სახურავს, მერე არც ამოუხედავს, ისე ამოაგდო ნიჩაბი — თავად რომ ჰქნა წუხელ ღამით, ისე — მიწის ნარჩენი მოაცილა სარქველის კიდეს, ცალი ფეხით დაეყრდნო და წამოიწია და გადასწია ის სახურავი იმდენად, რომ საფლავის პირას მდგართ შეეძლოთ შიგ ჩაეხედათ.

ცარიელი იყო. არც არაფერი იყო იმაში, სანამ მცირეოდენი მიწა არ ჩაიღვენთა ჩუმი ფხაჭუნითა და შხრიალით.

თავი 8

და იმას ასე ახსოვს: ხუთნივე დგანან საფლავის პირას ცარიელი კუბოს თავზე, ნერე თავისი ტყუპისცალივით მსუბუქად მეორე გოური ამოიჭრა ორმოდან, დაიხარა და დაღვრემილი, ზიზღმორეული სახითაც დაჟინებით დაუწყო წმენდა შარვლის ტოტებს, პირველი ტყუპისცალი მაშინვე, დახრისთანავე მიუახლოვდა ძმას, თითქოსდა ბრმად, აუჩქარებლად და უცილობლად დამორჩილებოდა შემაერთებელ ღვედს იმავე მანქანისას, ვთქვათ, დაზგის იმავე ნაწილისას, რომელიც ტრიალებს და ისევ და ისევ უბრუნდება თავის საკისარს, ისიც დაიხარა და დაუწყო ჩამოწმენდა, ჩამოცილება ლაფს ძმის შარვლის ტოტიდან; და ანჯერად ტალახის ვეებერთელა გუნდა ჩაენარცხა დაბლა ცარიელ კუბოს და იმისი სიდიდე და წონა მცირეოდენ ექოდაც ამოისმა იქიდან.

— ორივე წაუღია სადღაც, — თქვა ბიძიამ.

— დიახ, — მიუგო შერიფმა, — სად?

— ჯანდაბას ის ორნივე, — წარმოთქვა მოხუცმა გოურიმ, — ჩემი ვაჟი კი სადღაა, შერიფო?

— ჩვენც აქ ამის მოსაკვლევად მოვედით, ბ-ნო გოური, — უთხრა შერიფმა, — კიდევ კარგი რომ ეს ორი ნაძებარი წამოიყვანეთ. შეინახეთ ეგ თქვენი პისტოლეტი და თქვენმა ბიჭებმა ეს ძაღლები დაიჭირონ სანამ ჩვენ მოვემზადებოდეთ.

— ამ პისტოლეტისა და ძაღლების დარდი ნუ გაქვთ, — თქვა მოხუცმა გოურიმ, — კი მიაგნებენ და დაიჭერენ ისინი ყოველს,

ვინც აქ დარბოდა თუ დაეთრეოდა. მაგრამ ჩემი ბიჭი და ის ჯეკ მონტგომერი — თუკი ჯეკ მონტგომერი იყო ჩემი შვილის კუბოში— კვალის დაუტოვებლად ვერ წავიდოდნენ აქედან.

შერიფმა უთხრა, დაწყნარდითო, ბ-ნო გოური. მოხუცმა კაცმა გამოხედა შერიფს. კანკალი არ ატეხოდა, არც წამონთებულიყო, არც გაოცებულიყო და არც არაფერი. უმზერდა იმას და წარმოიდგინა ცივი, ლურჯ-ნათელი ცრემლის დარი მხურვალებას მოკლებული ცეცხლის ალი, რომელსაც ტკაცატკუცი არ გააქვს, ისე მოვლებია გაზქურას.

— კარგი, — მიუგო მოხუცმა კაცმა, — წყნარად ვარ. თქვენ კი საქმეს უნდა შეუდგეთ. თქვენ ის კაცი ხართ, ვინც ყველაფერი იცის, დილის ექვს საათზე შემომითვალეთ, უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, ისე წამოვედი, რომ არც მისაუზმია. თქვენ კი საქმეს უნდა შეუდგეთ-მეთქი.

— ჩვენც ასე ვაპირებთ ახლა, — უთხრა შერიფმა, — ერთი ვნახოთ საიდან უნდა შევუდგეთ და შევუდგებით კიდევაც, — ბიძიას მიუბრუნდა, განსჯას მოჰყვა, თუნცა არც ისე თავდაჯერებული ჩანდა: — ვთქვათ და დაახლოებით ღამის თერთმეტი საათია. თქვენ გყავთ ჯორი ან იქნებ ცხენიც, ერთი სიტყვით რაღაც, სიარული რომ შეუძლია და ორმაგი ტვირთის წაღება, და უნაგირზე გადაკიდებული გვამებისაც, და მაინცდამაინც ბევრი დრო არცა გაქვთ, იმას ვერ იტყვით, ბევრი დრო მაქვსო. რაღა თქმა უნდა, თერთმეტ საათზე უკვე ბევრი დაწოლილია, კვირას საღამოს კი მით უმეტეს, რადგან მეორე დილით ადრე უნდა ადგნენ, ახალი კვირა იწყება, შუაბამბის თესვაა. უმთვარო ღამეა და, თუკი ხეტიალს მოისურვებთ, ამ მივარდნილ ადგილას არა მგონია ვინმეს შეხვდეთ. მაგრამ თქვენს ხელთაა ტყვიით ზურგგახვრეტილი მკვდარი კაცი და თუმცა კი თერთმეტი საათია, დღე უნდა დადგეს ადრე თუ გვიან. კეთილი და პატიოსანი. თქვენ კი რაღას იზამდით.

გამოხედეს, დააცქერდნენ ერთმანეთს, ანუ ბიძია დააცქერდა იმას სახეგამხდარი, ძვლოვანი, წამონთებული, ნათელი, დაკვირვებული თვალებით, რომლის პირდაპირაც კი შერიფის ფართე, ნამძინარევი სახეა და მისი თვალები თითქოსდა არც იმზირება აქეთ, არც არის აქეთ მომართული, ხამხამებენ თითქოსდა თვლემარეულნი. სიტყვის უთქმელად ამ ორთა თვალწინ გაიელვებს ასეთი სურათი: — დიახ, — თქვა ბიძიამ, — კვლავ დავმარხავდი. და შორს კი არა, თქვენ ხომ ამბობთ, დღე უნდა დადგეს ადრე თუ გვიან, თუმცა კი აქვს იმდენი დრო, რომ უკან დაბრუნდეს და ყველაფერი ისევ გააკეთოს მარტოდმარტომ, თავად, მხოლოდ თავისი ხელითა და ნიჩბით... და მგონია, ესეც უნდა იყოს, ეს მას სჭირდება, საშინლად სჭირდება იმიტომ კი არა. რომ ყველაფერი თავიდან უნდა გააკეთოს, თავიდათავი ისაა, იძულებულია ასე ჰქნას; როგორ ფიქრობთ, ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, ყვე-

ლაფერი რაც საჭირო იყო და რაც მოსალოდნელი იყო იმისგან და არც არავის ძოუვიდოდა თავში თუ იზამდა ამას; კიდევაც დამში მოიყვანა საქმე, მეტს ვერც ინატრებდა... და მაშინ გზად მიმავალს, რაღაც ხმა ჩაესმა თუ ჩქამი ან შეიძლება სულ შეეთხვევით იმ მანქანას გადააწყდა. ან შეიძლება სულაც მისი ბედი იყო, ბედ-იღბალი, რომელიღაც ღვთაების თუ ჯინის ან ავი სულის წყალობით, რამდენსამე ხანს მფარველად რომ მოევლინება კაცისმკვლელს, იცავს და სდარაჯობს მას სანამ სხვა მხარეს არ გადაქანდება ბედის სასწორი... რაც უნდა იყოს, კიდევ მოუხდა მოფოფხვა, ჯორი თუ ცხენი ან კიდევ რაღაც ხეზე მიაბა, ხოდა, მიფოფხდა მუცლით და ჩაიმალა (ვინ იცის? შეიძლება სწორედ იმ ღობის ძირას), რას ხედავს, ამ მეტიჩარა ბერიქალსა და ორ ბალღს, რომლებიც ამ ორი საათის წინ ათი მილის იქით ლოგინში უნდა ყოფილიყვნენ ჩაგორებულნი და რომლებიც წყალში ჰყრიდნენ იმის ამდენ წვა-დაგვასა და მეცადინეობას, სასწორზე აგდებდნენ იმის სიცოცხლეს, უფრო მეტიც, ანდერძსაც უგებდნენ... — ბიძია შეჩერდა და იმან დაინახა, როგორ მოსჩერებოდა წამონთებული, თითქმის მოელვარე თვალები, — და შენ თავში აზრად როგორ მოგივიდა, ჩვენთან ერთად წამოვაო მისს ჰენბერშემი, სანამ სახლში არ დაბრუნდი. უიმქალოდ ალეკ სანდერი რას გაბედავდა შენთან ერთად წამოსვლას. და თუ შენ ფიქრობდი აქ მოსვლასა და საფლავის ამოთხრას, ახლა ნუღარ მეტყვი...

— ახლა ამას თავი დავანებოთ, — უთხრა შერიფმა, — კმარა. ადღაც უნდა ჩაეფლა. და სად, რა ადგილას? რანაირ მიწას ამოთხრის კაცი ადვილად და სწრაფად, როდესაც ის ჩქარობს და მარტოა, თუნდაც ნიჩაბი ჰქონდეს ამ დროს? რანაირ მიწაში შეიძლება გვამის დამალვა სწრაფად, როდესაც არც არაფერი გაქვთ გარდა ჯიბის დანისა?

ქვიშაში, — მაშინვე, სასწრაფოდ მიუგო ბიძიამ, ისე, სხვათა შორის, თითქმის გონდაბნეულმაც, — ფშანის ფსკერზე. ასე არა თქვეს, ღამის სამ საათზე შევნიშნეთო ის იმით მიმავალი? რალას ვუცდით?

— კარგი, — თქვა შერიფმა, — წავიდეთ. — მერე იმას მიუბრუნდა, ზუსტად გვიჩვენეო ის ადგილი...

— სწორედ იმ ალეკ სენდერმა თქვა, შეიძლება ის არც იყოო ჯორი, — მიუგო მან.

— კარგი-მეთქი, — თქვა შერიფმა, -- ცხენი იყოს. ზუსტად გვიჩვენე ის ადგილი...

ასე ახსოვს: ხედავს, იმ ბოხუცმა კაცმა ისევ ამოიჩარა ილიაში პისტოლეტი ტარით წინ და ცალი ხელით პერანგი გაიხსნა, ჩამალა პისტოლეტი და ისევე სწრაფად შეიკრა ღილები, მერე მიტრიალდა და იმ თავის, შედარებით უფრო ყმაწვილ ვაჟიშვილებზე ყოჩაღად გადაევლო ღობეს. მივიდა ლაფშასთან, აღვირმომარჯვებული ცალი

ხელით უნაგირის კეხს ჩაეჭიდა და მოახტა, მერე ის ორი მანქანაც დაიძრა და მეორე სიჩქარით, რაკიღა თავდალმართზე იყვნენ, დაბლა დაეშვნენ, სანამ იმან არა თქვა, აქაო, სადაც პიკაპის ნაკვალევი გზიდან ბუჩქებში უხვევდა და მერე ისევ გზაზე გამოდიოდა, ბიძიამ აქ მანქანა გააჩერა, და მან დაინახა, მძვინვარე ცალხელწაკვეთილმა კაცმა თავის გაქანებულ ცეცხლისფერ ლაფშას გზიდან გადაახვევია და ტყისკენ გასწია, ლაწალუწით ჩაუყვა ფერდობს, მერე ის ორი ძაღლიც გამოენთო იმას და იმ ჯორით ის ხისთავა ორნი, ტყუპებიც, მისი ვაჟიშვილები; აქ კი ის და ბიძია გადმოვიდნენ მანქანიდან. შერიფის მანქანა კი იმათ უკან იდგა ცხვირით იმათ საბარგულს მიბჯენილი, კარგად ესმოდათ იმ ლაფშის ფლოქვების ჯახაჯუხი იქით, ფშანებთან და მოხუცი კაცის კიჟინი, ძაღლებს გასძახოდა ის:

— ჰაი, ჰაი! მიდი. ეცი იმას, რინგო! — მერე კი ბიძიამ ასე თქვა:

— ბორკილები დაადევი და საჭეს მიაბი,—შერიფმა კი მოუგო:

— არა. ჩვენ ნიჩბები დაგვჭირდება, — და ის მომაღლოდ აძვრა, ყური მიუგდო, ლაწალუწი და ყიჟინი მოისმოდა ქვემოდან, მერე მისი ბიძია, შერიფი და ის ორი ნიჩბებიანი ზანგიც იმის გვერდით დადგნენ, თუმცა კი ფშანი თითქმის სწორი კუთხით სჭრიდა შარას იმ გადასახვევის ახლოს, საიდანაც ის ტალახიანი გზა უხვევდა, მაინც იქ მისასვლელად დაახლოებით მეოთხედი მილის სავალი იყო, თუმცა ისინი აქ აღარ იდგნენ, ანუ ეს წუთია დაიძრნენ და იმას ესმოდა მოხუცი გოურის ყვირილი, ძაღლებს მიერეკებოდა ის ცხენდაცხენ, ის ჯორიც არ ჩამორჩენოდა იმას, მიტკეპნიდნენ ბუჩქნარს, ნაგრამ შერიფი იქით არ წასულა, ფერდობს გაუყვა გზის სიახლოვეს და მხოლოდ მაშინ გვერდით აიღო გეზი, როდესაც დაფნარ, ტირიფის და ჭინჭრებით გადაბურულ ადგილს მიატანეს გორისა და იმ ფშანის შუა, გადასჭრეს ის ადგილი, უცებ შერიფი შედგა, დაბლა დაიხედა, მერე თავი მოატრიალა და გაიხედა, უმზერდა აქეთ მომავალ იმასა და იმის ბიძიას.

— შენი მდივანი პირველად არ შემცდარა, — თქვა შერიფმა, — ჯორს გაუვლია აქ.

— არა ის თოკით დაბმული შავფერი, — მიუგო ბიძიამ, — სწორედაც არა. თუნდაც კაცისმკვლელი არ იზამს ამ სიბრიყვეს.

— დიახ, — უთხრა შერიფმა, — ამიტომაც არიან საშინელნი, ამიტომაც უნდა მოისრან ან ციხეში უნდა გამოკიტონ.—და იმანაც დაიხედა დაბლა და დაინახა, ვიწრო, ნაზი, თითქმის ნატიფი ნაფეხურები ჯორისა, სულაც რომ არ იყო შესაფერისი ამ ცხოველის ნამდვილი ზომის და ჩაღრმავებული, მეტად ჩაღრმავებული, სწორედაც არ უნდა ყოფილიყო ასეთი სიმძიმისა ერთი ჯორი, რომელსაც ერთი კაცი გადაჰყავდა, ნაფეხური უკვე წყლით იყო გავსებული და ისიც კი შეამჩნია, როგორ გასხლტა წყლის პაწაწინა ცხოველი და ამოყელყელავებული ძაფივით წვრილი ლამი. ხოდა, ამ ნაკვალევთან მდგართ ესეც შეუნიშ-

ნავთ, მხრის სიმაღლეზე აწვართული მცენარეები გადათელილი იყო და გახრთხული მინდვრის ხნულივით ან ნავის კიჩოს უკან გავლებული ტალღის ზოლივით, ისარივით პირდაპირ მიეშურებოდა ამ ჭანჭრობში წყაროს თავამდე, ტირიფნარში. მიჰყვნენ. მიაბიჯებდნენ ნაფეხურების ორ რიგს შუა, ჩანდა რომ იქით წასულიყო ეს ნაკვალევი უკან მოუბრუნებლად, ერთი მიმართულებით მიდიოდა ეს ორივე რიგი, ხანდახან კი ერთი და იგივე ფლოქვის ნაფეხური აღბეჭდილიყო მეორეში, უფრო ადრინდელში. შერიფი ისევ ისე წინ მიდიოდა და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ხმამაღლა, თუმცა კი უკან მოუხედავად, თითქოს პირველად ასე გაიფიქრა — არც არავის მიმართავსო.

— ამ გზით აღარ მობრუნებულა უკან. სწორედ მაშინ გაიფიქრა პირველად, დრო აღარ მაქვსო. პირდაპირ წასულა ამჯერად, მისთვის სულ ერთი იყო აღმართი თუ ტყე, ან სიბნელე. რაღაც ჩაესმა მაშინ. — მხოლოდ ახლა მიხვდა, შერიფი მას ეუბნებოდა თურმე. — იქნებ შენი მდივანი უსტვენდა თუ რაღაც კიდევ ამდაგვარი. სასაფლაოა ნაინც და თანაც ღამეა.

ფშანის ახლოს, ნაპირზე შედგნენ ახლა — ფართო შენაკადი იყო აქ, ზამთარსა და გაზაფხულის წვიმების დროს წყალი მატულობდა და მიექანებოდა გურგურით, მაგრამ ახლა ერთი დუიმის სიღრმისა იყო ნავალი, სიგანე კი ერთ იარდზე ცოტათი უფრო მეტი, წუმპედან წუმპემდე თეთრი ქვიშნარი მოჩანდა... ბიძიამ ამის თქმაღა მოასწრო, ვინ სულელი ყოფილაო, რომ ათი იარდით წინ ნაპირზე მიმავალმა შერიფმა დაიძახა:

— აქ არის, — ხოდა. მივიდნენ იმასთან და მაშინ დაინახა სადაც იდგა ის ჯორი ნორჩ ხეზე მიბმული და მერე კაცის ნაფეხურებიც, ნაპირ-ნაპირ მიმავალი და ისევე ჩაღრმავებული, რაც უნდა სიმძიმისა იყოს კაცი, ასე მაინც ვერ აღბეჭდავდა მიწას; თვალწინ წამოუდგა, რა ტანჯვა-ვაება. რა სასოწარკვეთილება, რა აუცილებლობა მიერეკებოდა იმას ბნელუკუნეთსა და ეკალ-ჯაგებში. რა გულისამრევი სასასტიკით მიქროდა წამები, იმას კი ის წამოეკიდებინა, რაც არა კაცმა არ უნდა წამოიკიდოს; ფხაჭაფხუჭი და ლაწალუწი ამოესმა ქვემოდან, შორი ნაპირიდან, ის ლაფშა უკვე იქ იყო და მერე მოხუცმა გოურიმაც დაიყვირა, მერე კი ისევ გრიალი, ეს უკვე ჯორი უნდა ყოფილიყო და მერე კი ჯოჯოხეთური ხმაური ატყდა, ბერიკაცის ყვირილი და გინება, ყეფა, ყრუ ხათქახუთქი კაცის ფეხსაცმლისა ძაღლების გვერდებზე; მაგრამ ისინი ძლივსღა მიიკვლევდნენ გზას, რადგან მთლად ეკალჯაგითა და ველური ვაზით იყო დაბურული ეს ადგილი. ბოლოს, როგორც იქნა, გააღწიეს, კბოდის პირას შედგნენ და გადაიხედეს, ახალშეზვინული თიხნარი დაინახეს, სწორედ მასთან მიჭრილიყო ის ორი ძაღლი, გამალებით თხრიდნენ თათებით, მოხუცი გოური გინება-გინებით წიხლს ჰკრავდა იმათ და მაშინ კი ყველანი კისრიტეხით დაეშვნენ დაბლა გარდა იმ ორი ზანგისა.

— დაიცადეთ, ბ-ნო გოური, — დაიძახა შერიფმა. — ეს ვინსონი არაა. — მაგრამ მოხუც კაცს თითქოსდა არც არაფერი გაუგონია, თითქოსდა ვერც ამჩნევდა თუ კიდევ იყო აქ იმის გარდა ვინმე, თითქოსდა დავიწყებოდა თუ რად ჰკრავდა წიხლს ძაღლებს, უნდოდა როგორმე გაეყარა ისინი ამ შეზვინული ადგილიდან, დასდევდა იმათ ცალ ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით, მეორეთი კი ურტყამდა და ურტყამდა, დაბოლოს, მოცილდნენ ძაღლები იმ შეზვინულ ადგილს და გარიდება უნდოდათ, მაგრამ მოხუცი კაცი აღარ ეშვებოდა, იგინებოდა და ილანძღებოდა და მაშინაც არ გაჩერებულა, როდესაც იმის ცალ ხელს წაეტანა.

— ერთი ამ მიწას დახედეთ, — უთხრა შერიფმა, — თუ ხედავთ? ისე ჩქარობდა რომ დამარხვაც ვერ მოასწრო. ეს მეორე იყო და ის ჩქარობდა, სადაცაა უნდა გათენებულიყო და ხომ უნდა დაემალა. — და ახლა უკვე ხედავდა — სულ ახალმიყრილი მიწის გროვა, იმის ქვემოთ კი, სულ ახლოს, ფერდობი და ამ ფერდობზე გამძვინვარებული ნიჩბის ნაკვალევი, თითქოსდა ნაჯახის პირით დაეჩეხათ მიწა (და კვლავ ასე გაიფიქრა, რა სასოწარკვეთილი, რა გააფთრებული, რა ცოფებმორეული შებმოდა ამ მწარედ უსიცოცხლო ნიადაგს), სანამ იმდენი არ ამოჭრა, რომ დაეფარა ის, რისი დაფარვაც სურდა.

ამჯერად ნიჩაბიც არ დასჭირვებიათ. მცირეოდენავლა იყო დაფარული გვამი. ძაღლებს უკვე მოესწროთ მიწის მოშიშვლება და ის ახლა მიხვდა ჭეშმარიტ სიცხოველეს იმ სასოწარკვეთილებისა და გააფთრებისა, რაკიღა დროით ბანკროტი შექმნილიყო და იმდენიც არ დარჩენოდა, რომ დაემალა თავისი საცხადო სასოწარკვეთილება და მიზეზი იმ გააფთრებისა; ეს იყო ორი საათის შემდეგ, როდესაც ის და ალეკ სანდერი, ორნივე სულმოუთქმელად მიწას ჰყრიდნენ საფლავში; იმ კაცისმკვლელს კი სულ მარტოდმარტო უნდა ამოეთხარა ექვსი ფუტის მიწა და მერე ისევ უნდა ჩაეყარა და ყველაფერი ეს მზის ჩასვლის შემდეგ უნდა ეაეკითებინა, მერე კი ის მეორე გვამი უნდა ამოეთხარა და ისევ უნდა ჩაეყარა მიწა, ამასობაში ინათლა, კარგადაც ინათლა, თავად მზე უთვალთვალებდა იმას და მეორედ გადმოეშვა გორიდან და იმ ეკალჯაგებით ფშანს გაეშურა. განთიადი უთვალთვალებდა უკვე იმას, როდესაც გვამი ხევში გადაუშვა და გააფთრებული დაუწყო ჩეხვა თიხნარს, ცდილობდა იმდენი მაინც ჩაეცურებინა დაბლა, რომ უცებ ვეღარ დაენახა ვინმეს, ვითარცა თავზარდაცემული და გააფთრებული ქალი საყვარლის ხელთათმანს სახელდახელოდ პერანგს წააფარებს, ქმარმა არ ნახოსო; ის (გვამი) პირქვეჩაბრუნებული ეგდო და წარმოეჩინა კეფაშემუსრული თავის ქალა, მერე კი ის მოხუცი დაიხარა და იმ ცალი, გაშეშებული ხელით გადმოატრიალა.

— დიახ, — წარმოთქვა ბერიკაცმა მაღალი ომახიანი ხმით, — მონტგომერია ეს, ჯანდაბას, — წამოდგა, განართა თავისი გაჩხინკული სხეული საათის ზამბარასავით და ძაღლებს შეჰყიჟინა კვლავ, —

აქეთ, აქეთ! ჰეი, ბიჭებო! ვინსონი ეძებეთ! — და ბიძიამაც დაიყვირა, ვაითუ ვერ გაიგონონო:

— დაიცადეთ, ბ-ნო გოური, დაიცადეთ, — მერე შერიფს მიუბრუნდა, — სისულელე მოუვიდა, რადგან დრო აღარ ჰქონდა და არა იმიტომ, სულელი რომ იყო, ვერ წარმოიდგენია, ოჯერ როგორ...— ირგვლივ მიმოიხედა წამის უმალესად, ნერე ტყუპებს დააცქერდა. მკვეთრად ამოთქვა, ის მახრჩობელა ქვიშნარი სად არისო?

რაო, ჩაეკითხა ტყუპთაგან ერთი.

— მახრჩობელა ქვიშნარი, — უთხრა ბიძიამ, — მახრჩობელა ქვიშნარი იმ ფშანის შესართავში სად არის-მეთქი?

— მახრჩობელა ქვიშნარიო? — წამოუძახა მოხუცმა გოურიმ. — ძაღლიშვილი! ადვოკატო, კაცი ნოისროლა მახრჩობელა ქვიშნარში? მახრჩობელა ქვიშნარშია ჩემი ბიჭი?

— იყუჩეთ, ბ-ნო გოური, — თქვა შერიფმა. მერე ტყუპებს მიუბრუნდა, — რაო? სად არის?

მაგრამ ბიჭმა დაასწრო ყველას. ისედაც უნდოდა ეთქვა ამ ორიოდე წამის წინ. ხოდა, ახლა განაცხადა, იმ ხიდთან არისო, მერე თავად არ იცის რად დასძინა ასე, თუმცა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამას. — იმჯერად ალეკ სანდერი არ ყოფილა, ჰაიბოი იყო.

— იმ ხიდს ქვემოთ, გზაზე, — შეუსწორა ტყუპისცალმა, — სადაც ყოველთვისაა ის ქვიშნარი.

— ჰაი, — თქვა შერიფმა, — ეს ჰაიბოი კი ვინღაა? — და იმას უნდა ეპასუხა, რომ უცებ ის ბერიკაცი, ვისაც თითქოს ის თავისი ლაფში ცხენიც კი დავიწყებოდა, წინ გაიჭრა და სანამ სხვანი და ისიც ადგილს მოსწყდებოდნენ, გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი იმ ლბილ ქვიშაზე, ისინი კი იმას უმზერდნენ, კატისებურად მიიჭრა ლაფშასთან და მოახტა, ფერდობზე გააქანა და იმ ცალი ხელით ტოტებს იცილებდა, ლაწალუწით მიიკვლევდა გზას ტევრში და სულ მალე თვალს მიეფარა ვიდრე ისინი ნაპირზე ასვლას ნოასწრებდნენ, ის ზანგნი კი ჯერ იქით დარჩნენ.

— მიდით, — დაუძახა შერიფმა ტყუპებს, — ნუ გაუშვებთ. — მაგრამ ვეღარ დაეწივნენ, მაშინ ლაწუნით და ტოტების მტვრევით მიჰყვნენ იმას, ყველაზე უფრო წინ ტყუპთაგან ერთ-ერთი იყო, იმის უკან კი დანარჩენები, ის ზანგებიც გამოიქცნენ, მიარღვევდნენ ეკალ-ჯაგებს, ბუჩქნარს, ფშანის გასწვრივ გაიჭრნენ, გამოცვივდნენ მოტიტვლებულ სანაპიროზე, იმ გზის ქვეშ, ხიდთან; დაინახა, ქვევით ჩამავალი ჰაიბოის ნაფეხურები და ის ადგილიც წყალთან, სადაც ეს ოთხფეხი ყალყზე შედგა და მერე უკან გამოქანდა; ბეტონის კედელი ამართლიყო ნაპირის მეორე მხარეს, დუჟმორეული წყალი მიჰქუხდა და მილოკავდა იქითა ნაპირის სოველ ქვიშნარს, რომლის ნაპირი რძე მოვლებულივით უხინჯოდ გადასწორებულიყო და გაკრიალებულიყო; ხევის პირას დაგდებულ, სამი-ოთხი ფუტი შემხმარი ქვიშის ფენით დაფარულ, თითქოსდა საღებავიან ვედროსა თუ

კასრში ამოვლებულ ჭიგოს გადაახტა, და შერიფმა გასძახა წინ გაჭრილ იმ ტყუპებს, დაიჭით, არ გაუშვათო; დაინახა, გაქანდა ის ბერიკაცი ნაპირზე, თითქოს არც გაეკარა იმ პრიალა ზედაპირს, გაჰყვა იმის კიდეს, თითქოს კლდის თუ ფანჯრის რაფის კიდეზე მირბოდა, ისე, მერე უცებ შეჩერდა, არ წაუფორხილებია, არც ჩაკეცილა, სანახევროდ ჩაეფლო ქვიშაში, წამოიწია და გაშეშდა, თითქოსდა ცელით წააცალეს ფეხები ბარძაყებამდე და წელს ზემოთ კი დატოვეს ასე ამოშვერილი რძისფერ ქვიშნარზე.

— ყველაფერი კარგადაა, — დაიყვირა ბოხუცმა გოურიმ, ომახიანად და ცოცხლად, — ის აქ არის, მე იმაზე ვდგავარ.

და მაშინ ტყუპთაგან ერთმა ჯორს ქამანდი და ტყავის ღვედი მოხსნა, იმ ლაფშას კი მოსართავი, ხოლო იმ ორმა ზანგმა ცულებივით მოიმარჯვეს ნაჩბები და ტოტების ჩეხვა დაიწყეს, სხვებმა კი ფიჩხი და ნაფოტები მოზიდეს, ყველაფერი, რისიც ნახვა, მოტეხვა და მოგროვება შეიძლებოდა, შემდეგ იმ ტყუპებმა და ზანგებმა ფეხსამოსი წაიძვრეს, ნაპირზე დაყარეს და ქვიშნარს ჩაჰყვნენ; გორებიდან კი მოისმოდა გაუთავებელი გუგუნი ნაძვებისა და სხვა აღარაფერი, თუმცა კი ჰქონდა დაცქვეტილი ყურები და გზის ორივე მხარესაც უთვალთვალებდა, იმ ჩუმი ხმაურის გარდა არც არაფერს შეერყვნა სიკვდილის ზარზეიმურობა, თუმცა კი რა ზარზეიმური უნდა იყოს სიკვდილი, რადგან სიკვდილი და ზარზეიმურობა ერთმანეთს ძალიან შორავს, ზარზეიმურობა დეკორაციაა ამ დროს უსუსური უფლება ყოველი ადამიანიშვილისა, სანამ იმისი მოწყვლადი ნეშტი არ ეაიფარება დაცინვისა და სირცხვილისგან; გვამი გამოჩნდა, ჯერ ფეხები დაინახეს მისი, ექაჩებოდნენ, ეჯაჯგურებოდნენ, ეწეოდნენ ქვიშნარის მძიმე მარწუხებიდან, ბოლოს ამოზიდეს. წკლაპუნი გაისმა, თითქოსდა მძინარე კაცის ტუჩებმა გამოსცა. და იმ წამსვე მოსწყდა ქვიშნარს, რომელსაც მცირეოდენი ზოლიღა დაეტყო და მერე ისიც გაქრა, განქარდა ჩუმი ღიმილივით; უკვე ნაპირზე იდგნენ და დასცქეროდნენ იმას, ის კი, თითქოსდა თავად ყოფილიყო კაცისმკვლელი, თავსრეტდაბნეული უგდებდა ყურს ყოველ ჩქამს, მალ-მალე იხედებოდა ფეხის ორივე მხარეს, არაფერი არ ჩანდა ისევ, თავისი, ასე ნაცნობი ხმა ჩაესმა მანამ, სანამ სხვები გაიგონებდნენ, იმ ბერიკაცს უმზერდა, ქვიშაში რომ იყო ამოვლებული იმ ტირიფის ჯოხივით, ის გვამს დაჰყურებდა, სახე მოღრეცოდა და მალე ზედა ტუჩიც მოეღრიცა და გამოჩნდა უსიცოცხლო პრიალი ჩადგმული კბილების ფაიფურისა და ვარდისფერი უსიცოცხლო ღრძილებისა, ასე ამცნო იმ ხმამ:

— ოჰ, ბიძია გევინ, ოჰ, ბიძია გევინ, გზიდან გადავიყვანოთ, სადმე ტევრში...

— დაწყნარდი, — მიუგო ბიძიამ, — უკვე სუყველამ ჩაიარა აქ. ქალაქში არიან სუყველანი უკვე. — და სულ უმზერდა, მოხუცი კაცი დაიხარა, ცალი ხელით უნდილად ქვიშა ჩამოწმინდა თვალებიდან,

ნესტოებიდან და პირიდან, საოცრად გახევებოდა ახლა ის ხელი, რომელიც ისე მოხერხებული და სწრაფი ჩანდა გააფთრებისას: პერანგის ღილების ერთი წაკარება და იმავე წამს ხელთ ჩახმახშემართული პისტოლეტი; მერე ხელი უკან წაიღო და ჯიბეში დაიწყო ფათური, ბიძიამ თავისი ცხვირსახოცი გაუწოდა, მაგრამ დააგვიანა, ბერიკაცმა უკვე მუხლი მოიყარა, პერანგის კალთა მოჭიმა და რაც შეიძლება მოსწია, მკვდრის სახის გამშრალება დაიწყო, შემდეგ კიდევ უფრო დაიწია და სცადა სულის შებერვით მოეცილებინა სველი ქვიშა, თითქოსდა დავიწყებოდა რომ ჯერ კიდევ ნესტგამჯდარი იყო და ვერ იზამდა აცას. შემდეგ ბერიკაცი წამოდგა და თქვა თავისი მაღალი თანაბარი გამყინავი ხმით, ახლაც არ ეტყობოდა რა იმის ხმას.

— რაო, შერიფო?

— ლუკას ბიჩემპი არ ყოფილა ის კაცი, ბ-ნო გოური, — თქვა შერიფმა, — ჯეკ მონტგომერი იყო ვინსონის დაკრძალვაზე გუშინ. და ვინსონს რომ მარხავდნენ, ლუკას ბიჩემპი ქალაქის ციხეში გამომწყვდეული მყავდა უკვე.

— ჯეკ მონტგომერის შესახებ მე არ გეუბნებით, შერიფო, — ნიუგო მოხუცმა გოურიმ .

— მეც არ გეუბნებით, ბ-ნო გოური, — უთხრა შერიფმა, — რადგან ლუკას ბიჩემპის ძველი ორმოცდაერთი კალიბრის კოლტით არ მოუკლავთ ვინსონი.

და ის უმზერდა იმათ და ფიქრობდა. **არა! არა! ასე ნუ ამბობ! ასე ნუ ეკითხები!** და კიდევ რამდენიმე წამს იმედი ჰქონდა, მოხუცი კაცი არაფერს ჰკითხავდა, რაკი ის თუმცა შერიფის პირისპირ იდგა, იმას აღარ უმზერდა, დანაოჭებულ ქუთუთოებს დაეფარა მისი თვალები, ისე, როდესაც ის დაბლა დასცქეროდა რაღაცას ფეხქვეშ და სწორედ არც კი იცით, მოხუცს დახუჭული აქვს თვალები თუ ქვევით უმზერს იმას, რაც მიწაზეა იმისა და შერიფის შუა. მაგრამ ის შემცდარიყო, ისევ აიწია ქუთუთოები და მოხუცი კაცის თვალები კვლავ მიაცივდა შერიფს, კვლავ გამოცოცხლებული ეგონებოდა იმისი ხმა ცხრაას ერთიდან ცხრაასს:

— რითიღა მოკლეს ვინსონი, შერიფო?

— გერმანული „ლუგერით“, ბ-ნო გოური, — უთხრა შერიფმა,— სწორედ ისეთი ჩამოუტანია ბადე მაკ-კალუმს საფრანგეთიდან 1915 წელს და იმავე ზაფხულს ორ მწევარში გაუცვლია.

და ახლა მან ასე გაიფიქრა, ისევ ისე დაეხურება ან უკვე დახურულიც კი აქვს იმ ბერიკაცს ქუთუთოები, მაგრამ კვლავ შეცდა, როდესაც ის ნოტრიალდა, სწრაფად და მკვირცხლად. და მაშინვე ასე ამოთქვა მტკიცედ და ხმამაღლა, გულშიაც არ გაუვლია, წინ ვინ უნდა აღმიდგესო:

— კარგი, შვილებო, მოდით და ეს ჩემი ბიჭი ჯორზე გადაკიდეთ და სახლში წავიდეთ.

თავი 9

და უკვე ორ საათზე, იმავე დღეს, როდესაც ისინი ბიძიას მანქანით იმ სატვირთოს უკან მოჰყვებოდნენ (ესეც პიკაპი იყო, იმათ — უფრო სწორად შერიფს, — წამოუყვანია და იმაზე ხის საჩიხე იყო გაკეთებული პირუტყვისთვის, იმ ტყუპი გოურებიდან ერთ-ერთს სცოდნია, რომელიღაც ცარიელი სახლის ეზოში მდგარა ეს მანქანა ორი ნილის იქით, აქ თურმე ტელეფონიც ყოფილა, და გაახსენდა, მაშინ გაუკვირდა, როგორ იდგა ეს მანქანა ამ ეზოში, ქალაქს როგორღა წავიდნენ ისინი, რომლებმაც აქ დატოვეს? შემდეგ გოურებმა ძრავა აამუშავეს ჩვეულებრივი ჩანგლით, სწორედ გოურებმა უთხრეს იმ სამზარეულოში არის და მოგვიტანეო, ბიძია კი ამ დროს სახლში იყო შესული და გამომძიებელს ურეკავდა, გოურთაგან ერთსაც მანქანა მოჰყავდა) და ინას გაუთავებლივ და მალ-მალე უცემდა თვალი, მზის სხივებისგან კი არა, რაღაც დაფშვნილი მინასავით მწველი და ბასრი მოხვედროდა ქუთუთოს ქვეშ (მართალი თუ გნებავთ, ეს უნდა ყოფილიყო და იყო კიდევაც მტვერი, რადგან მთელ ოც მილზე მეტი ხრეშიან-მტვრიან გზაზე მოუხდა ხანხალი ამ დილას, მაგრამ ჩვეულებრივ თვალის ამდენი ხამხამისგან ცრემლი უნდა გამოსვლოდა, ნაგრამ ახლა ეს არ დამართნია), ასე მოეჩვენა, ქუჩის მეორე მხარეს, ციხის პირდაპირ არა მარტო ოლქიდან და პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე ოლქებიდან იყვნენ მოსულნი გახუნებული ხავსის ფერის უჰალსტუხო ჰერანგებსა და ბამბის და ჭრელ-ჭრელი ჩითის კაბებში, ქალაქიდანაც გახლდნენ აქ; სხვებიც იყვნენ, აგრეთვე, და არა მარტო მხოლოდ ისინი, რომლებიც მეოთხე უბნიდან ჩამოდიოდნენ მანქანებით შაბათ დღეს და სადალაქოსა და საბილიარდოს მიაშურებდნენ, და მეორე დილით, კვირასაც იყვნენ სადალაქოში, ხოლო კვირასვე შუადღით ქუჩაში გამოეფინებოდნენ ხოლმე, სწორედ ამ დროს მოუყვანია შერიფს ლუკასი ციხეში, ვის არ ნახავდით ახლა აქ; ექიმების, ადვოკატებისა და მღვდლების გარდა. სწორედ ესენი იყვნენ სოლი და გული ქალაქისა — ვაჭრები, ბამბის შიმსყიდველები, მანქანებით მოვაჭრეები და ყმაწვილკაცებიც, მაღაზიებისა და ბამბის კანტორების მოსამსახურეები, გამყიდველები, გარაჟებისა და ბენზინის წერტილების ნექანიკოსები, რომლებიც საუზმის მერე თავიანთ სამუშაოზე ბრუნდებოდნენ, ხოდა, არც კი დაუცადეს, სანამ შერიფის მანქანა იმდენად მოუახლოვდებოდა, რომ ეცნოთ, მიტრიალდნენ და უკან, მოედნისკენ გაქანდნენ ვითარცა ტალღები მოქცევის ხანს, და როდესაც შერიფის მანქანა ციხესთან მივიდა, მაშინვე გამოტრიალდნენ და აქეთ, ერთი მიმართულებით განოჰყვნენ მოედანს მუჯლუგუნების კვრითა და სირბილით; გზა უნდოდათ გადაეღობათ იმ მანქანისთვის, მაგრამ მალე ამან და იმის უკან პიკაპმა და ბიძიას აიტომობილმაც ციხეს შემოუარეს და სატვირთო ტრაპს მიადგნენ დამჭრძალავი ბიუროს უკანა კართან. სადაც უკვე გამომძიებელი ელოდებოდათ მათ; მაგრამ ბრბოს

უკვე ენახა სხვა გზა და იმათ პარალელურად კი არ წამოვიდნენ, გვერდი აუქციეს, მეზობელი უბანი გამოირბინეს და იმ დამკრძალავ ბიუროსთან პირველად ესენი უნდა მოსულიყვნენ, და უცებ, სანამ ის შეტრიალდებოდა მანქანაში და უკან გაიხედავდა, მან უკვე იცოდა, ამ მოსახვევში შემოჭრილიყვნენ და სადაცაა წამოეწეოდნენ, კიდევ წამიც და ნოსწვდებიან, დააცხრებიან ერთი მეორის მიყოლებით, ჯერ ბიძიას ავტომობილს, მერე პიკაპსა და ბოლოს შერიფის მანქანას, ხოდა სამივეს საქათმეებივით დაეძგერებიან, მიგრიხ-მოგრიხავენ და ერთ ალუფხულ გროვად დაახვავებენ გამომძიებლის ფერხთით; ისევ ისე იჯდა, გაუნძრევლად და ასე კი ეგონა, სარკმელში გამოუხედავს ან სულაც მანქანის საფეხურზე დამდგარიყო და გამძვინვარებულ-გააფთრებული აღრიალებულიყო:

„თქვე რეგვნებო, ნუთუ ვერ ხედავთ, გვიანღაა, სუყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოთ და ეძიოთ ახალი მიზეზი!“ მერე კი მიტრიალდა და გაიხედა, უკანა სარკმელში გაიჭვრიტა, ერთი თუ ორიოდე წამით და იხილა — **სახეები** კი არა, **სახე**, მრავლის უმრავლესი კი არა და არც მოზაიკა სახეებისა, არამედ სახე, ხარბი კი არა არც მსუნაგი, არამედ ჩვეულებრივი, ოღონდ ამოძრავებული, უგრძნობელი, ფიქრაუშლელი და ბოლმისგანაც კი დაცლილი, თავად სიცარიელე ამეტყველებულიყო და წარმომდგარიყო წარსულის უქონელი მსგავსად იმისა, როდესაც გართული იყავით ხეების, ღრუბლების ან ბუნების სხვა სურათის თვალთვალით და უეცრად წამის ან წუთის მერეც გულგახეთქილი და ცოფებმორეულიც კი ხედავთ რაღაც საკვირველ საბნის რეკლამას ან საგაზეთო ფოტოს, რომელზედაც აღბეჭდილია ბალკანეთსა თუ ჩინეთში მომხდარი სიველური — მოკვეთილი თავი, ღირსება წაგვრილი თუ რაინე შემზარავისგანაც კი წარხოცილი, მხოლოდ უკისრო, დაბრეცილი და გონწართმეული, სახე სწორედ იმის სახესთან, აქვე, მანქანის უკანა მინასთან, იმწუთსავე რომ გამოეინთება, მიეჭრება მძვინვარედ და ისე ცხადლივ, რომ უკან გაოგაქანდა და ასე გაუელვა **აი ახლა, ახლავე** და ფლიკ და გაქრა არა მარტო ერთი **სახე**, არამედ სახეები, და დაცარიელდა იმათუკან მოსახვევი: აღარავინ და აღარაფერი, მხოლოდ სულ იქით, პირაშკმული ქუჩის ბოლოში ათიოდე კაცი თუ იქნებოდა, აქეთ იმზირებოდნენ და ისინიც, როცა იგი უმზერდა, მიტრიალდნენ და ნოედანს მიაშურეს.

ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია. **იქიდან უნდა მოუარონ, იმ კართან უნდა მივიდნენ** ასე გაუელვა თავში, არც აღელვებულა, ისე, ცოტა კი გაუჭირდა (შენიშნა, რომ მანქანა უკვე გაჩერებული იყო) კარის სახელურის მონახვა; შერიფის მანქანა და პიკაპი გაჩერდა ტრაპთან, რომელზეც ოთხი თუ ხუთი კაცი საკაცეს მიაგორებდა პიკაპის გადახსნილ კართან, უკნიდან ბიძიას ხმაც კი გაიგონა:

— ახლა კი სახლისკენ მოვუსვათ, ლოგინში უნდა დაწვე, სანამ დედაშენს ექიმი არ გამოუძახებია, შეიძლება ორივეს ნემსი გაგვიკეთონ, — მერე სახელურს მიაკვლია და მანქანიდან გადმოვიდა,

ცოტათი ფეხი წაიკრა, თუმცა კი ერთხელ, მაშინვე გასწორდა და გაუყვა, მაგრად ურტყამდა ასფალტს ფეხს, მანქანაში ჯდომისგან დაბუჟებოდა ან იქნებ გახევებოდა სულაც, რადგან ამდენი ირბინა ზევით და ქვევით იმ ჭახჭრობსა და ეკალჯაგებში, თანაც მთელი წინა ღამე საფლავის თხრასა და მიწის ჩაყრას მოუნდა; ამდენმა ხანხალმა ან იქნებ სიომ თუ გამოაღვიძა; ყოველ შენთხვევაში თუკი ახლა რამის გაკეთება მოუხდება, საღი გონებით შეუდგება საქმეს; დამკრძალავი ბიუროს და მეზობელი შენობის შუაში მიდიან, თუმცა, რაღა თქმა უნდა, დააგვიანეს, ერთხელ იმძლავრა იმ სახემ, ყველაფერი გადაბამზღვრია, გადმოჭრა მოედანი, ტროტუარს მიაწყდა და მილეწ-მოლეწა ვიტრინა. გადმოტკეპნა პატარა ბრინჯაოსფერ ასოებ გამოყვანილი შავი აბრა დამკრძალავი ფირმის კომპანიონების გვარებითურთ და ყავისფერ ქოთანში ერთადერთი და ტანმომცრო ხე, გადახია შინდისფერი, გამოხუნებული ფარდაგი, ეს უკანასკნელი და უსუსური ზღუდე, რომელიც იფარავდა იმას, რაიც დარჩენილიყო ჯეკ მონტგომერისგან. იმას, რაიც დარჩენილიყო იმისი კაცობრივი ღირსებისგან.

ის გამოსასვლელი გამოიარა და მოედნისკენ გაუყვნენ ტროტუარს და გახევდა, თითქოსდა პირველად მას შემდეგ, რაც იმან და ბიძიამ ვახშამი მოათავეს და სახლიდან გამოვიდნენ ერთი კვირის ან ერთი თვის, ან ერთი წლის წინათაც, ანუ სულ ერთია, რამდენიც უნდა გასულიყო იმ კვირა ღამის მერე. რაკიღა მთელი ეს ხანი თვალიც არ დაუხამხამებიათ, ისე იდგნენ მინაზე ცხვირმიჭერილები, მაგრამ ახლა უკვე ბევრნი არ იყვნენ და ვეღარ შექმნიდნენ სახეს, ათიოდე თუ იქნებოდა და ანათგან მეტი წილი ბიჭბუჭები, რომლებიც ახლა სკოლაში უნდა ყოფილიყვნენ, გლეხკაცი აქ არავინ იყო და არც ნამდვილი მამაკაცი, ოთხნი თუ ხუთნი გახლდნენ კაცის სიმაღლისა. და ამათ არც მამრი ეთქმოდათ და არც ბიჭი, სულ აქ იყვნენ ესენი, მაშინაც, როდესაც ბებერ ბნედიან ბიძია ჰოგაი მოსბის, მოხუცთა თავშესაფრის ბინადარს დუჟი მოერია პირზე და თხრილში გადავარდა და მაშინაც, როდესაც უილ ინგრემ, როგორც იქნა ფეხსა თუ გვერდში მოარტყა ტყვია ძაღლს, ვიდაც ქალმა დაურეკა მას და უთხრა, ცოფიანიაო; ხოდა, მოედნის შემოსასვლელში იდგა, ბიძია კი ამ დროს იქით ადიოდა, ის დაწითლებული თვალების ხამხამით უთვალთვალებდა ყოველს, ვისაც მოედნისკენ გამოეწია და სულ გადაეჭრელებინა აქაურობა, ხაკისფერისაში იყვნენ გამოწყობილები, ჩითისა და სატინის კაბიანიც იყო ბევრი, მსუბუქი და საკვირთო მანქანების სადგომებისკენ მიდიოდნენ. შეჯგუფებულიყვნენ და ირეოდნენ კარებთან, ზოგი კი ძარაზე მიძვრებოდა და ჯდებოდა, ზოგიც კი საჯდომზე გადაწვებოდა, ანდა მოაჯირთან მიიკუნჭებოდა; სტარტერების ხრიალი გაისმა და ძრავებიც აგუგუნდნენ, სიჩქარეც ჩართეს და მგზავრები ჯერ კიდევ სუყველანი არ ჩამსხდარიყვნენ, რომ ერთი კი არა, ხუთი თუ ექვსი მანქანა ნოცილდა სადგომს. მიტრიალდნენ და გაუყ-

ვნენ, ბევრნი კი მისდევდნენ მათ, ახტებოდნენ ძარას და ზედ ძვრებოდნენ, მერე კი სათვალავი აერია სულაც და თავი დაანება თვლას; ბიძიას გვერდით მჯდომარე ხედავდა, ოთხ ნაკადად შეიკვრა ხალხი და ოთხი მთავარი ქუჩით ოთხივ მიმართულებით მიეშურებოდა ქალაქიდან და ჯერ კიდევ მაშინ იღებდნენ სიჩქარეს, სანამ მოედნიდან გავიდოდნენ; კიდევ ერთხელ მოკრა თვალი იმათ სახეებს, უკან მაცქერალთ კი არა, გვერდზე და გაქრნენ, წამითღა იხილა მათი პროფილი და განქარდნენ უფრო სწრაფად ვიდრე ის მანქანები, რომლებსაც ისინი მიჰყავდათ; ესეც ეტყობოდა სახეზე, უფრო მალე წასულიყვნენ ქალაქიდან, სანამ თვალს მიეფარებოდნენ და ორგზის უფრო სწრაფად, ვიდრე ის მანქანები გააქროლებდათ; უეცრად დედამისი დადგა იმის გვერდით, არც კი შეხებია, ისე, როგორც ჩანს, იმანაც გადმოუხვია აქეთ, როდესაც ციხიდან წამოსულმა იმ ტრაპს ჩამოუარა, იქ კი ჯერ კიდევ მანქანიდან გადმოჰქონდათ მონტგომერის ნეშტი, მაგრამ აკი ბიძიამ არ უთხრა იმას, რომ ერთი პირობითღა დგანანო მაგრად ქალები, სულ მუდამ უნდა ჰქონდეთ იმის უფლება, რომ თქვან, არც არაფერი გვინახავსო, ხოდა, ასე ჰკითხა ბიძიას:

მანქანა სადღა არისო? პასუხისთვის არც კი დაუცდია, მოტრიალდა და ტროტუარს გამოუყვა იმათ წინ ტანსარო, მკაცრი, თითქოსდა ზურგით მაცქერალი, პაკაპუკი გააქვს იმის ქუსლებს ასფალტზე, სახლში რომ შვრება, ისე, და მაშინ ის, ალეკ სანდერი, მამა და ბიძია ოთხივენი ცდილობენ წყნარად იყვნენ; ისევ იმ ტრაპს ჩაუარეს, მხოლოდ შერიფის ცარიელი მანქანა იდგა აქ და ასევე ცარიელი პიკაპი, გასასვლელს მიაშურეს და დედამ მანქანის კარი გააღო, სწორედ მაშინ მოვიდნენ აქ ის და ბიძია და იმ გასასვლელს რომ გააყოლეს თვალი, თითქოსდა სცენაზეო, მთავარ ქუჩაზე გამოჩნდა მანქანები, მსუბუქი და საკვირთოებიც და კვლავ იხილეს სახეები, ბუნდად, პროფილში, არა გაოცებულნი, არც თავზარდაცემულნი, როგორღაც მარადიულად შეუვალნი, იმ გასასვლელის პირას განუწყვეტელ და მალიად მიმავალნი, თითქოსდა იმათგან მეტი წილი მაღალი კლასის აღსაზრდელები იყვნენ ან მსახიობთა დასის წევრები, რომლებიც იქიდან ბრუნდებოდნენ, სადაც წარმოდგენა დაესრულებინათ — „ომი სენ ხუანის გორაზე“, და თქვენ არც კი გესმით და არცა გსურთ ყური მიუგდოთ კულისების მიღმა მიბუნდვილ ხმაურს, და არც ხედავთ, შემოტევაზე გადმოსული თუ მოალყე ჯარისკაცები გამოივლიან სცენას და ფაცაფუცს, წინ და უკან სირბილსა და ტანსაცმლის, ქუდებისა და სახვევების გამოცვლას მოჰყვებიან, რათა მერე ისევ გამოჩნდნენ კეც-კეცად ჩამოშლილი, ბრძოლის, ვაჟკაცობისა და სიკვდილის სურათებით მიხატულ-მოხატული ფარდაგებიდან და უკან გაჰყვებიან თავისიანებს დაფისა და ნალარის ცემით.

— ჯერ მისს ჰებერშენს წავიყვანთ სახლში, — თქვა მან.

— დაჯექი, — უთხრა დედამ და როდესაც მარცხნივ გადაუხვიეს და ციხე ჩამოიტოვეს, მან ისევ გაიგონა იმათი ხმაური და კიდევ

ერთხელ გადაუხვიეს მარცხნივ და კიდევ ერთი ქუჩა გადაჭრეს, კვლავ იხილეს გაუთავებელი და შეუმუსრავი ნაკადი სახეებისა, პროფილით, გაიგონეს ბორბლების ზათქი და გრუხუნი და გაახსენდა, ორი თუ სამი წუთი ლოდინი მოუხდა ამ დილით, რათა როგორმე მოეხერხებინა შეღწევა მანქანების იმავე მიმართულების ნაკადში, ხოლო ბიძიას ხუთი-ათი წუთი დასჭირდება იმ ნაკადიდან გამოსაღწევად და უკან, ციხეში დასაბრუნებლად.

რასა შვრები, უთხრა დედამ, ნუ მიეჭრები, მიჰყევიო, — და ის მიხვდა, ციხესთან სულაც არ მიდიოდნენ და ასე თქვა:

— მისს ჰებერშემი...

— იმ ქალს ხომ პიკაპი ჰყავს, — თქვა ბიძიამ, — ნუთუ არ გახდეს? — თავადაც უკვე ხუთი წუთია ფიქრობდა ამაზე და სამჯერაც კი სცადა ეთქვა ამის შესახებ: მისს ჰებერშემი ხომ იმ თავის პიკაპშია და იმის სახლამდე ნახევარი მილიც კი არ არის, მაგრამ იქ როგორ უნდა მივიდეს, რაკი მისი სახლი ერთ მხარეზეა, მისი პიკაპი მეორეზე, შუაში კი ეს გადაულახავი ზღუდეა — ზათქითა და გრუხუნით მიმავალი მსუბუქი და სატვირთო მანქანები, ასე რომ, იქ მისვლა იმ მიღრინკული პიკაპით ისევე შეუძლებელია ამ მოხუცი ქალბატონისთვის როგორც მონღოლეთსა ან მთვარეზეო; ზის ეს ქალი მანქანაში, ძრავა გუგუნებს, სიჩქარე ჩართული აქვს და ფეხიც აქსელატორზე უდევს, მარტოსული, თავისუფალი, წელგამართული და გაჩხინკული დედაკაცი, თავზე ახურავს ძველისძველი, გამომხმარი და გამოხუნებული შლაპა, ელოდება, უყურებს და ესღა უნდა, გააღწიოს ამ ნაკადში, სახლში მივიდეს და მიხედოს თავის სარეცხს, ჭუჭულებს საკენკი დაუყაროს, ივახშმოს და დაწვეს, დაისვენოს ამ ოცდათექვსმეტი საათის წეწვა-გლეჯის შემდეგ, სამოცდაათი წლის ქალს უფრო გაუჭირდება ამდენი დავიდარაბა, ვიდრე მთელი ასი საათი თექვსმეტი წლისას. უმზერს და ელოდება, როდესაც გაილევა ამდენი პროფილების გალა, შეიძლება ცოტა ხანი დაიცადოს, შეიძლება ბევრიც, მაგრამ ძალიან დიდხანს, სამუდამოდ ხომ არ დარჩება აქ, რადგან ის ხომ პრაქტიკული ქალია და მთელი ღამე ხომ არ მოუნდება იმის ფიქრს, რომ სამარიდან გვამის ამოსაღებად სამარესთან მისვლა და ამოთხრაა საჭირო, ხოდა, ახლა არ მოჰყვება ბევრ ფიქრს, თუ როგორ შემოუაროს ამ დაბრკოლებას, სადაცაა მზე ჩავა, და გააქანა თავისი მანქანა იმ მთავარი გზის პარალელურად და იმავე მიმართულებით, ამ ყოვლისგან დავიწყებულმა, მარტოსულმა და თავისუფალმა, ჩუმმა დედაკაცმა, თუმცა ახლა კი ცოტათი აფორიაქებულია, შეიძლება ახლა კიდევაც მიმხვდარია, რომ უფრო სწრაფად მოუხდა მანქანით სიარული, ისე არა, როგორც ჩვეულებრისამებრ შვრება და მოსწონს, მართალი თუ გნებავთ, ასე ჩქარა არც უვლია არასდროს, და მაინც არ გასწორებია იმათ, თუმცა კი არც ბევრი დაკლებია, რადგან ჯარგა მაგრად მიქრის და თითქოს გათანაბრებია იმ მანქანების ზათქსა და გრუხუნს, იმათ პროფილებსაც, და იცის.

რომც გაუსწროს, იმათსავით მარჯვე ვერ იქნება, არც ძალა ეყოფა, არც სისწრაფე, არც თვალის სიმახვილე ან სულაც ნერვები; ხოდა, სულ უფრო სწრაფად მიექანება და ცდილობს ცალი თვალით მაინც დაინახოს ის ადგილი, სადაც გავლა შეიძლება, მეორეთი კი გზას გასცქერის და ამასობაში მიხვდება, თურმე სამხრეთით კი არა, აღმოსავლეთით გაუხვევია და არა მარტო მისი სახლი სულ უფრო და უფრო მცირდება და იკარგება სადღაც იმის უკან, არამედ ჯეფერსონიც, რადგან ქალაქიდან გასასვლელად ისინი ერთი მიმართულებით კი არ აგორებულან, არამედ ყოველმხრივ, ყოველი მთავარი ქუჩით და ასე სცილდებიან ციხეს, დამკრძალავ ბიუროსა და ლუკას ბიჩემპს და იმასაც, რაც დარჩენილიყო ვინსონ გოურისა და მონტგომერისგან, სწორედ ასე გაიფანტებიან ერთად შეჯგუფულნი დამდგარი წყლის პირზე შეფენილი მოფუთფუთე ხოჭოები, რომელსაც ქვას ესვრით; და მაშინ ამ ქალს სასოწარკვეთილება მოიცავს, იშვიათად თუ მოსვლია ასე, რადგან მანძილი იმასა და იმის სახლს შუა სულ უფრო იზრდება, სადაცაა კი ისევ დაღამდება და უნდა როგორმე გასასვლელი, რამე ხვრელი ნახოს, მიქრის, მიფრინავს მისი მრავალჭირგამოვლილი პიკაპი და სულ უფრო და უფრო უახლოვდება ერთ ლაქად შეკრულ-შენივთებულ ამ სახეების ჯგროს და მოხდა მოსახდენი, თვალმა უმტყუნა თუ დაახამხამა თუ ხელი აუკანკალდა თუ მანქანის ბორბალი წამოედო ქვას თუ გორახს თუ კიდევ რაღაცას, ღმერთმა უწყის და ძალიან ახლოს მიეჭრა იმ მანქანებს და ველარაფერს გახდა, პიკაპი მოექცა იმ ნაკადში, რომლებიც თვლების გრიალით, ფოლადის საკისრების ხათქუნით მიიგრაგნება, მიზანზარებს და საჭეს რაღას აქნევს, მხოლოდ რაც ძალი და ღონე აქვს ფეხს აჭერს აქსელარატორს და მიექანება უკვე გალეული დღის წიაღში მოქცეული, მთელ არემიდამოს კი თავს მოვლებია ნაზად შეფერილი უქარო ბინდბუნდი, დაბოლოს კიდევაც გაისმის უკანასკნელი კრეშჩენდო და მიატანს საბოლოო წერტილს ამ ოლქისას, სადაც მთელი ეს ხროვა გაიფანტება ყოველი მიმართულებით, გაძვრება სოფლის შუკებსა და ორღობეებში. ჩაიჩუმქრებიან სადღაც კურდღლებივით და ვირთხებივით და ჩაძვრებიან თავ-თავიანთ სოროებში, პიკაპი კი მხოლოდ ახლა შეანელებს სრბოლას და ბოლოს შეჩერდება კიდევაც გვერდულად რომელიღაც გზაჯვარედინზე, სადაც ამოაპურჭყებს ის ნაკადი და ახლა აღარაფერი უჭირს კროსმენის ოლქში, შეუძლია სამხრეთით გადაუხვიოს და გამოჰყვეს იოკნაპატოფას საზღვარს, სინათლეები ჩართოს და როგორც უნდა ისე წამოვიდეს სოფლის აღუნიშნავი გზებით; კარგა დაღამებულია უკვე და მოტის ოლქსაც მიაღწიეს, აქედან შეუძლია დასავლეთით წავიდეს და კარგად უნდა დაუკვირდეს, ჩრდილოეთისკენ სად უნდა გაუხვიოს; უკვე ცხრა და ათი საათიც მიჰყვება ისევ აღუნიშნავს სავალს, სადღაც უხილავი ზოლის იქით გაიელვებს მანქანების შუქი და ჩაიკარგება რაღაც ბუნაგებსა და სოროებში; ოკატობას ოლქში გამოვა მალე და უკვე შუაღამეა,

აქედან კი შეიძლება ჩრდილოეთისკენ, იოკნაპატოფასკენ გადაუხვიოს ამ მარტოსულმა და არაქათგამოცლილმა ქალმა, გარშემო კი ჭრიჭინობელები, ბაყაყები, ციცინათელები, ბუკიოტები და თხაწველიები: ხანდახან კი საიდანღაც ძაღლებიც გამოხტებიან ყეფა-ყეფით მიძინებული სახლების ქვეშიდან, დაბოლოს, კაციც გამოჩნდება პერანგის ამარა და ზონარგახსნილი ფეხსაცმლებით, გამოვა, ფარანს გამოანათებს:

საით გაგიწევიათ, ქალბატონო?

ჯეფერსონში უნდა მივიდე როგორმე.

ჯეფერსონი შორს უკან დაგრჩათ, ქალბატონო.

ვიცი. შემოვლა მომიხდა, ისე გვერდს ვერ ავუქცევდი ერთ თავხედ და საშინელ ზანგს, რომელმაც მთელი ოლქი შეაწრიალა, ვითომცდა მე მოვკალიო ვიღაც თეთრი კაცი.

უეცრად გამოერკვა, მიხვდა, რომ საცაა ახარხარდებოდა, თითქმის დროზე მიხვდა, თუმცა მთლად დროზე არა, მაგრამ იმდენად მაინც, რომ შეჩერება მოახერხა და უფრო გაოცდა, ვიდრე სხვა რამ გრძნობამ მოიცვა და ამ დროს დედამ მკვახედ თქვა:

— დააყვირე, დააყვირე-მეთქი საყვირი, გზა მოგვცენ, — და მან შენიშნა, ეს არ იყო ხარხარი, ანუ, ჩვეულებრივი ხარხარი მაინც. თუმცა კი შეიძლებოდა კაცს ასე ჰგონებოდა, ხარხარიაო, რაღაც უფრო მეტი იყო და მკვეთრადაც გაისმა, თითქოსდა ამან უფრო შეაჭირვა, რაკი თავის შეკავება მოინდომა და ჩააცხრო ყელამდე ამოსული ხმაური; გაახსენდა, თუ რად უნდა ახარხარებულიყო და უცებ სახე დაუსველდა, ცრემლი კი არ წამოუვიდა, წასკდა, იხუვლა; ამხელა ბიჭი კი იყო, იმ სამთაგან ტანის სიდიდით მეორე, უფრო დიდი, ვიდრე დედამისი, უფრო დიდი, ვიდრე ბიძამისი იყო იმის ასაკში, ჩვიდმეტი წლისა, თითქმის უკვე კაცი, თანაც ძლივსღა სხედან სამნი მანქანაში, განძრევაც კი უჭირთ, ქალის მხარს გრძნობს და იმის ვიწრო ხელს მუხლზე, ზის მიტყეპილი ბალღივით და ვერც კი მიხვდა, რომ დროზე შეჩერებულიყო.

გაიქცნენო ისინი, თქვა მან.

— რა ჯანდაბა მოგივიდა, გადი, — უთხრა დედამ, — იქით გადაუხვიე! — ასეც ჰქნა ბიძიამ, აკრძალულ მხარეზე გადავიდა და მანქანა გააქანა, სწორედ ასევე ჩქარა მიდიოდა ამ დილით სამლოცველოსკენ, რაკი ცდილობდა შერიფს არ ჩამორჩენოდა, თუმცა იმიტომ კი არ გადაუხვია, რომ დედა ასე ეუბნებოდა, ყველა ახლა ამასღა ლამობს, როგორმე ქალაქიდან გავიდეს და არც არავინ იქნება ამჟამად მოედნისკენ მიმავალი ამ ქუჩით, უფრო ეს იყო, მგზავრებიდან ერთერთი ქალია და მართალია იმას არ მიჰყავს მანქანა, მაგრამ იძულებული ხარ წესი დაარღვიო; და გაახსენდა, როდესაც სწორედ ასევე მიდიოდნენ ისინი მანქანით და ბიძიამ თქვა:

— რაო, რა ვქნა, ორივე თვალდახუჭული ვიჯდე აქსელარატორზე ფეხმიჭერილი? — ამაზე კი დედამ მიუგო:

— შენ თუ გინახავს მანქანები ერთმანეთს შეჯახებოდნენ, როცა საჭეს ქალები უსხედან? — ბიძიამ კი ასე უპასუხა.

— კარგი, ოღონდ შეიძლება ერთ-ერთი მანქანა სარემონტოდაა დაყენებული, რაკი მეორე დაეჯახა და იმისი მძღოლი ქალი ყოფილა თურმე; — მერე იმას აღარაფერი არ ესმოდა გარდა გაქანებული მანქანის გაუთავებელი ხმაურისა და ამას არც დასაწყისი ჰქონდა და არც დასასრული, თითქოსდა ბორბლები არც კი ეხებოდა ქვაფენილს და აბრეშუმის შარიშურივით ესმოდა მისი ხმა. საბედნიეროდ სახლიც აქვე იყო, სწორედ სავალად აკრძალულ მხარეს. შევიდნენ ეზოში და ის ხმაური მაინც არ განელებია ყურში, ახლა კი ძალუძს რაღაც მაინც მოუხერხოს იმ ხმაურს და ჩახვდეს, გაითავისოს, რა ძალამ გამოაშკარავა, არც ისე სასაცილოა ეს ამბავი, დაახლოებით ათასი მილი მაინც იქნება გასავლელი, სასაცილო რომ გახდეს, რაკიღა დედამაც კი შეიკურთხა:

— გაიქცნენ ისინი, — თქვა ეს და მაშინვე მიხვდა, არ იყო მართალი, შეცდომა მოსვლოდა, მაგრამ რაღა დროს, გვიანღა იყო მაშინაც კი, როდესაც დადგა და თავი მოითვალიერა, მერე კი სწრაფად გაუყვა ეზოს და მერე უცებ შეჩერდა, გამოსტაცა, თითქმის გამოგლიჯა დედას ხელი და ასე თქვა, — თავი დამანებე, ხეიბარი ხომ არა ვარ, დაღლილი ვარ. ჩემს ოთახში ავალ და წამოვწვები, — მერე ბიძიას მიუბრუნდა, — ცოტას დავისვენებ, თხუთმეტ წუთში ამოდით და დამიძახეთ, — მერე ისევ შეჩერდა და ისევ მოუბრუნდა ბიძიას, — თხუთმეტ წუთში მზად ვიქნები, — წავიდა და თან გამოატარა მთელ ამ სახლში ეს ხმაური, თავის ოთახშიაც არ მოსცილებია, ჩამოშვებულ ფარდებშიაც კი შემოატანა ამ ბინდბუნდში. მეწამულისფრად უხტოდა ქუთუთოებს მიღმა სანამ იდაყვზე არ წამოიწია, დედაც წამოეშველა ამ დროს და ისევ იმის ფეხებთან მდგომარე ბიძიას მიმართა:

— თხუთმეტი წუთი მინდა. უჩემოდ ხომ არ წახვალთ? სიტყვას ხომ მომცემთ?

— აბა როგორ, — უთხრა ბიძიამ, — უშენოდ არ წავალთ. მე მხოლოდ...

— კეთილი ინებე და აქედან მომწყდი, გუვინ, — თქვა დედამ და მერე იმას მიუბრუნდა ,— დაწექი, — ასეც ჰქნა და მაინც არ წასულა ბურანში დედის წვრილი, თხელი, გრილი ხელის შემგრძნობელი, თუმცა ის ხელი მეტად მშრალი და შეიძლება მეტად ცივიც იყო ამავე დროს, არადა კი ერჩია ისევ შეეგრძნო მშრალი, ქვიშამინაყარი გახურებული შუბლი, ვიდრე დედის ხელი ზედ, რადგან რაც უნდა იყოს უკვე შეეჩვია იმ მხურვალე ქვიშას, თუნდაც თავის ტრიალს მოჰყვეს, ვერა და ვერ მოიცილებს ამ თხელ, ვიწრო გარდუვალ ხელს, სწორედ ასევე არ შეიძლება ხალის მოცილება სახიდან, თუმცა ახლა ისინი იმის პირისპირ არ იდგნენ, ზურგით იყვნენ შემობრუნებულნი და იმის კეფას ხედავდა, უფრო სწორად, რამდენიმე

კეფას ერთი თავისას, სიმრგვლეა, სათუთი მინარევით ამოვსებულ. კვერცხივით მოწყვლადს, მაგრამ საშინელს ერთიანი, ყოვლის დამანგრეველი ძალით, რომელიც მისკენ კი არა, იქითაა მიმართული.

— ისინი გაიქცნენ, — თქვა მან, — თავიანთი სინდისი არ შეუწუხებიათ და კიდევაც გადაინარჩუნეს ამით ათი ცენტი, თამბაქოს ერთი კოლოფიც არ უყიდიათ და არ შეუტყობინებიათ, გვიპატიებიაო შენთვის.

— დიახ, — უთხრა დედამ. — ამისი დარდი ნუ გაქვს. — ეს იმასა ჰგავს, კლდეზე ცალი ხელით დაკიდებულ კაცს უთხრა, გამაგრდიო, იმას კი მეტი არაფერი არ უნდა, ოღონდ დავიწყებას მისცეს თავი, თუნდაც სულ მცირეოდენი დარჩეს ამ არც არაფრისა, წუხელ კი უნდოდა დაძინება და დრო აღარ ჰქონდა ამისთვის, ახლაც ძალიან უნდა დაძინება და დროც თავზე საყარად აქვს, თხუთმეტი წუთი (ან თხუთმეტი დღე, ან თხუთმეტი წელიწადიც, რადგან არავინ არ იცის და არც არავის შეუძლია რამის გაკეთება, იმედიღა თუ ექნება კაცს, რომ კროუფორდ გოური თავად ინებებს ქალაქში ჩამობრძანებას, მონახავს შერიფს და ასე ეტყვის, დიახ, მე ვქენიო ეს ყველაფერი, რაკიღა იმათ მხოლოდ ლუკასი ჰყავთ, ვისაც ასე აქვს ნათქვამი, ვინსონ გოური არ მოუკლავთო ორმოცდაერთი კალიბრის კოლტით, ანუ, ყოველ შემთხვევაში შეიძლება ეს მაინც თქვას, არც ლუკასის ორმოცდაერთი კალიბრის კოლტით მომხდარაო ეს ამბავი, და კიდევ ბადი მაკ-კალუმი, ვინც იტყვის ან არ იტყვის, დიახ, მე გავუცვალეო კროუფორდ გოურის გერმანული პისტოლეტი ამ ოცდახუთი წლის წინათ; ვინსონ გოურიც არაა, რომ მემფისიდან ჩამოსულმა პოლიციამ დაადგინოს თუ რა ტყვიით იყო ის მოკლული, რადგან შერიფმა დაანება მოხუც გოურის იმისი გვამი, იმანაც სახლში წაასვენა, ქვიშა მოაცილა. დაბანა და კვლავ მიწას უნდა მიაბაროს ხვალე; ხოდა, ჰემპტონს და ბიძამისს შეუძლიათ ხვალვე ღამით წავიდნენ და ისევ ამოთხარონ), მხოლოდ ესაა, დავიწყებული აქვს ძილი ან შეიძლება სულაც ვერ ბედავს მოსვენებას, არ უნდა მისცეს იმ არაფერს ის მცირეოდენი, რაც კი დარჩა, არც არაფერი, არც მწუხარება დაამახსოვრდა, არც სიბრალული და არც სირცხვილი, არც შეუმუსრავი და უკვდავი ლტოლვა ადამიანისა ადამიანისადმი, ამ სიბრალულისა და სირცხვილის წიაღში რომ განიწმინდება, მაგრამ სამაგიეროდ ბერიკაციღაა, ვისაც სიბრალული არ სჩვევია და რაც შეიძლება მხოლოდ დროებითი და იშვიათი მოვლენა იყოს იმის ცხოვრებაში. ხოდა, ვაჟი მოუკლეს და ის უცხო კაცის გვამთან მიიჭრა, გადმოაბრუნა და ზურგზე დააგდო იმიტომ კი არა, რათა უხმო, ბუნდი ყვირილი დაეოკებინა და ასე სიბრალული და თუნდაც შურისძიების წყურვილი წარმოეჩინა, არამედ სამართლიანობა მოეთხოვა ასე, მაგრამ როცა კი დარწმუნდა, შეცდომა არისო, ომახიანად დაიძახა, არც კი შეჩქვიფებულა, ისე: „დასწყევლოს ღმერთმა, მონტგომერი ყოფილა“, და მერე კიდევ სახე, რომელიც სულაც აღარ მოელოდა, რომ ხელ-

ში ატატებულს გამოიყვანდნენ საკნიდან ლუკასს და აგრე ზარზეიმით მოსდებდნენ ქვეყნიერებას მისი უდანაშაულობის ამბავს და ბესვამენ, ვთქვათ, კონფედერატების ძეგლის კვარცხლბეკზე (ან შეიძლება სულაც ფოსტის აივანზე გამოიყვანონ და დააყენონ ეროვნული დროშის ქვეშ); სწორედ ისე არც არაფერს გამოელოდნენ თავისთვის ალეკ სანდერი და მისს ჰებერეშმი; იმას კი (თავად) არამცთუ სურდა ეს, არამედ გულშიაც კი არ გაუვლია, რადგან მაშინ არარაობა გახდებოდა, გაცამტვერდებოდა ყველაფერი, რაც კი მოიმოქმედა, და მაშინღა ექნებოდა ფასი, თუკი უცნობი დარჩებოდა თავადაც და მისი საქმენიც. თუმცა, რაღა თქმა უნდა, კი უნდა დატოვოს ყვალი დროებაში, კაცურიკაციაო, მაგრამ მეტი კი არამცდაარამც; რაღაც კვალი ამ მიწაზე, მაგრამ თავმოზღუდული კი უნდა იყოს, თავმოზღუდული უნდა დაელოდოს, თუმცა კი ისე, რაღაც იმედი რომ არ დარჩეს და არც არაფერი (თავიდათავი; რაღა თქმა უნდა, ეს უნდა იყოს) გარდა იმისა, რომ გამოუჩნდება რაღაც სახელშეურქმეველი შემთხვევა და შეიძლება თავი ისახელოს, იცხოვროს ვაჟკაცურად, სახელიც მოიხვეჭოს, ღირსეულადაც გალიოს წუთისოფელი და კიდევაც მოიხსენიებენ მატიანეში (ვინ იცის? იქნებ დიდება შემატა ამ სახელშეურქმეველმა შემთხვევამ და ასე გახადეს მატიანეში აღბეჭდვის ღირსი) და ასე ეტყვიან მადლობას იმას, ვინც ჯილდოდ მოუვიდა ამ დროებას, რომლის წიაღშიაც ის დავანებულიყო; იმედის ნატამალად ღვიოდა ეს მისი ოცნება და იქნებ კიდევაც შეგუებოდა იმ აზრს, ღირსი არ იყო და ამიტომაც დაიკარგა დასაკარგავი; ამას კი ალარ მოელოდა, თავიდათავი აქ არც სიბილწე იყო, გამძაფრებული თავისივე ხელმოცარულობის სირცხვილით, არცა ზეობა და მოკრძალება და მედიდურობა. რომელიც სულმუდამაა ჩაჭდეული მეხსიერებაში, არცა მედიდურობა ვაჟკაცობისა და ვნება სიბრალულისა, არამედ გულცივობა სინანულისა, გულცივობა იმის მიმართ, რაიც უკვე მოპოვებულია, ვაჟკაცობა და ვნება, გასვრილი წუთისოფლის შლვრიე მორევით — სახე, ნაკრები სახე მისი თანამემამულეებისა, მისი მამულისვე წიაღში შობილისა, მისი სისხლი და ხორცი ადამიანებისა, ვისთანაც ის ნახულობდა შვებასა და სიხარულს, იმედს, მოიმკიდა ღირსებას და გახდებოდა მტკიცე სალი კლდესავით და ასე დაუსხლტებოდა წკვარამი ღამის ხვანჯებს... სახე ურჩხულისებრი, არამსუნაგი და არცა გაუმაძღარი, ზედ არც მოლოდინის გაცრუება ასახულიყო და არც რამე სურვილი, რადგან დღესა და ხვალაა არს; ბანუყოფელი; ერთადერთი (ბიძიაც სწორედ ასე აფრთხილებდა ორი, სამი და შეიძლება ოთხი წლის წინათაც და რაც უფრო კაცდებოდა, მით უფრო ხვდებოდა. მართალი იყო ბიძია: „ყველაფერი ახლაა. გუშინ არ დასრულდება, სანამ არ დადგება ხვალე და ხვალე კი ამ თუული წლის წინათ დაიწყო. ყოველი თორმეტი წლის სამხრეთელი ბიჭისთვის ერთხელ კი არა. მისი სურვილისამებრ მრავალგზის დად-

გება წამი, როდესაც არ დაჰკრავს ორი საათი 1863 წლის ივლისის დღისა:* ზღუდეთა მიღმა მებრძოლები მზად არიან, ასევე ტყეში განლაგებული ზარბაზნებიც, დროშები მიწაზე აქვთ გაფენილნი და სულ მალე ააფრიალებენ, თავად პიკეტია აქ თავის დახუჭუჭებულ გრძელ ლოკონებიანი პარიკით, ერთ ხელში ქუდი აქვს, მეორეში კი დაშნა მოუმარჯვებია, დგას გორაზე და ლონგსტრიტის ბრძანებას ელოდება, სასწორზეა შეგდებული ყველაფერი, ჯერ არ მომხდარა მოსახდენი, არც კი დაწყებულა ჯერ კიდევ, უფრო მეტიც, ჯერ კიდევ არის დრო, რომ არც დაიწყოს მიმძლავრება იმ პოზიციასა და იმ გარემოებებზე, რომლებმაც საგონებელს მისცა არა მხოლოდ გარნეტი და კემპერი, არმსტიდი და უილკოკსი, სხვა ბევრნიც, ხოდა, მაინც დაიწყო და ყველამ ვიცით, მეტად შეგვიტოპავს და მეტადაც გადაგვიდვია თავი და ასეთ წამს თუნდაც თორმეტი წლის ბიჭი ასე გაიფლებს გულში **დროა. სწორედ ახლაა დრო** როდესაც შეიძლება მრავლის დაკარგვა და მრავლის მოხვეჭა: პენსილვანია, მერილენდი, ქვეყნიერება, ვაშინგტონის ოქროს გუმბათი კი გახდება გვირგვინი სასოებაწარხოცილი, ენით უთქმელი გამარჯვებისა, სასოებაწარხოცილი თამაშისა ორი წლის წინანდელ ფსონზე, ან იმისთვის, ვისაც უმოგზაურია იალქნიანი ხომალდით და 1492 წლის* რომელიმე წამს ასე უფიქრია **აი ისიც** — საბოლოო ზღვარი, რომელსაც მიწეული ან მაშინვე უნდა უკუიქცეს და სახლში გამოსწიოს, ან იცუროს წინ და იქნებ მიაკვლიოს მიწას, ან გადაიმზღვრეს ქვეყნის დასალიერის დუჟმორეული კიდის მიღმა. ჩემი სიყმაწვილის დროინდელ ერთ გრძნობიერ, უცნობ პოეტ ქალს ასე აქვს ნათქვამი **სევდიანია პაწაწინა ფოთოლი საღამო ჟამს. მიიცვალება მზის ჩასვლის ხანს.** პოეტის ჭკუამიუტანებელი ნათქვამი სიტყვები ხშირად სარკეა ჭეშმარიტებისა, მაგრამ ამოტრიალებულ-გადმოტრიალებული, რადგან ამის მთქმელს უჭირს სარკის მომარჯვება, ავიწყდება, რომ სარკის უკანა მხარეც მინაა და იმიტომ; რადგან მას არ ესმის, გუშინდელი მზის ჩასვლა და გუშინდელი ფოთოლიც, ორივე, არ შეიძლება გამოვაცალ-კევოთ წარუვალ და გაუმქრალ მტვერს, რომელსაც წამოშლის ხვალის სასრულისუქონელ სავალში შეჭრილი ჩვენი ფეხსამოსი, იქ რომ არ გავიაროთ, ისე არ იქნება და ეს მტვერი მისწვდება იმ ზეწრებსაც, რომელშიაც ჩვენ გვძინავს (ანუ, ვცდილობთ რომ დავიძინოთ): რადგან ჩვენ არ შეგვიძლია გავექცეთ რამეს, დავუსხლტეთ

---

* აშშ-ის 1861—1865 წწ. სამოქალაქო ომის ერთ-ერთი დრამატული ეპიზოდი — ბრძოლა გეტისბერგთან. 1863 წლის 3 ივლისს, 2 საათზე კონფედერატების გენერალმა პიკეტმა შეუტია სემეტერ-რიჯის სიმაღლეს და კიდევაც აიღო ეს კარგად გამაგრებული პოზიცია. თუმცა ეს გამარჯვება ხანმოკლე იყო და ბოლოს საშინელი მარცხით დასრულდა.

* კოლუმბმა ამერიკა ამ წელს აღმოაჩინა

რამეს, მდევარი თავად შეიქნება დევნილი და ხვალ ღამით ძილი და შოსვენება არ გვიწერია, თეთრად უნდა გავათენოთ, რაკი გაგვტანჯავს გუშინდელი მარცხი და წყენა"), ხოდა, იმას ხელიდან დაუსხლტა სიკვდილი კი არა, ლუკასის სიკვდილიც კი არა, ჩვეულებრივი ლუკასი, ლუკასი, ათეული ათასობით სამბოს განსახიერება რომ არის და ჭკუამიუტანებლად და უგუნურად გასხლტება ამ ხვრელში ვითარცა თაგვი გილიოტინის ღარში და იქნება იქ მანამ, სანამ ერთ ანაზდეულ წამს ანაზდეულად, მოულოდნელად არ დაჰკრავს უდარდელი მახვილი; ხვალე ანუ ხვალე ადრე, ანუ ხვალე გვიან და სწორედ იქნებ ახლა დადგა ჟამი შეჭრისა იქ, სადაც ანგელოზებიც კი შიშით აღარ არიან, არამცთუ თეთრი და შავი თექვსმეტი წლის ბიჭები და ერთი თეთრი შინაბერა, ვინც სულ მალე ოთხმოცისა გახდება; ხოდა, ესენი თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ, იმიტომ კი არა, ლუკასზე ხელი რომ აეღოთ, არამედ ამიტომ, აფთიაქიდან მისთვის ერთი კოლოფი თამბაქო გამოეგზავნათ და სიბრალულის სიტყვა არ დასცდენოდათ და მით უმეტეს ხმამაღლა არ ეთქვათ, შემცდარი ვართო; და აქ მოსწყდა კლდეს, შორს, ზევით აიჭრა და მერე სრბოლა შეანელა, ყური მიუგდო, ჰაერის მცირეოდენი ჩქამი ჩაესმა და გაირინდა, თვალიც აღარ გაუხელია, ისე, კვლავ ყური მიუგდო წამით და მერე გამოიხედა და დაინახა, ბიძიას ზურგიდან შუქი სცემს და ლანდად აღმართულა საწოლთან, სიჩუმე გამეფებულა ირგვლივ, რომლის მიღმაც ფშვინავს სიბნელე, ჩუმი ხმაური ისმის ვასაკებისა და ხოჭოების; არცა გაქცევა და არცა განკვეთა და ამ წამს არა სცხია გარდაუვალობის რამე ნიშანი, არც ამ ოთახს და არც გარეთ, არც მაღლა და არც დაბლა, არც წინ და არც უკან ამ მირიადი სულიერის სულთქმას, რომელიც შერთვია ზაფხულის მსუყე ღამეს.

— მორჩა, — თქვა მან.

— დიახ,—უთხრა ბიძიამ,—მგონია ახლა ყველას ლოგინში უნდა სძინავდეს. სახლებში უნდა მივიდნენ, ძროხა უნდა მოწველონ, შეშის დაჩეხვა უნდა მოასწრონ, ხვალინდელი საუზმის თადარიგი დაეჭირონ.

პირველად ასე გადმოუკრა, მაგრამ იმან არ შეიმჩნია. დასძინა, გაიქცნენო.

— არა, — მიუგო ბიძიამ, — მთლად მასე არ ყოფილა საქმე.

— გაიქცნენ ისინი, — თქვა მან. — მეტი რაღა უნდა ექნათ, ხომ არ აღიარებდნენ, ვცდებოდითო, ხოდა, ამიტომაც გაიქცნენ სახლში.

— რაც უნდა იყოს, ხომ დაიძრნენ, — უთხრა ბიძიამ, უკვე მეორედაც გადმოუკრა, თუმცა იმას არც პირველი სჭირდებოდა, რაკი გარდაუვალობა, აუცილებლობა, მოთხოვნილება ისევ დაძვრისა, ანუ, მართალი თუ გნებავთ, შეჩერებული არც კი გახლდათ იმ წამს, ოთხი ზუთი და ექვსი საათის წინაც, ანუ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ნამდვილად უნდოდა ერთი თხუთმეტი წუთი მაინც წამოწოლილიყო

(ახსოვდა თუ არა, კი იყო ჩათვლემილი თხუთმეტი წუთი), არამცთუ დაბრუნებია, არც იყო საიდანღაც დასაბრუნებელი, მთელი ეს ხანი აქ იყო და იმიტომ, წამითაც არ მოცილებია, არ გადამზღვრეულა საკვირველ-ფანტასმაგორიულ მორევტრიალში და კიდევაც იყო თავსრეტდასხმული ამასთან ერთად ანუ ამის წიაღში თხუთმეტი საათი და არა თხუთმეტი წუთი; ჯერ კიდევ მასთან იყო ხსენებული გარდაუვალობა, ანუ, უფრო სწორად, გაუსრულებელი ნაწილი მისი, პატარა კი არა, სულ პაწაწინა იმასთან შედარებით, რაც ბიძამისისა და შერიფის წილ მოდიოდა ლუკას ბიჩემპისა და კროუფორდ გოურის ამ აბურდულ საქმეში, რადგან, რამდენადაც მან იცოდა, დღევანდელ დილამდე არც არვინ უწყოდა, თუ რა უნდა მოემოქმედათ იმის შემდეგ, რაც ჰემპტონმა ის პატარა სამხილიც უკანვე დაუბრუნა პისტოლეტით შეიარაღებულ ცალხელა გოურის, ასე რომ, ის ორი ბალღიც და ის ბერიქალიც ვეღარაფერს გახდება ამჯერად; იმის საჭიროება კი არ არის, რაღაც რომ დაასრულოს, არამედ იმის, არ შედგეს, არ შეყოვნდეს იმიტომ კი არა, რომ არ დარჩეს იქ, სადაც არის, უფრო ამიტომ, არ ჩამორჩეს როგორმე მსგავსად ამისა, ზუსტად და მაგრად უნდა დაჰკრა კბილანა ბორბალს და კარგადაც უნდა შეეჩვიო ამ საქმიანობას ამ სიზუსტის მეშვეობით და აღარ აგერევა თავგზა, ხელი აღარ მოგეცარება, არ ჩაითრევს ეს გაუთავებლივ მბრუნავი ბორბალი, რომლის თანაბარი ხმაური, ბრუნვის არეალი ისევ ისეთივე უცვლელია, როგორიც მაშინ იყო, დაწყებისთანავე და სრულიად უვნებელი, სწორედ ასე გადარჩება ვინმე შარახვეტია თუ ორ ლიანდაგს შორის ჩაწვება და იქნება იქ გასუსული, სანამ იმის თავზე მატარებელი არ გადაიქროლებს.

ხოდა, ამოძრავდა ახლა, დროაო, ლოგინიდან ფეხები ჩამოუშვა, რა დროს იქნება ახლა? მე ხომ გითხარით, თხუთმეტი წუთის მერეო. თქვენ ხომ დამპირდითო...

— ახლა ათის ნახევარია, მეტი არა, — უთხრა ბიძიამ, — ბევრი დრო გაქვს, მოასწრებ ბანაობასა და ვახშმობასაც. უჩვენოდ არ წავლენ.

— არ წავლენო? — იკითხა მან, შიშველი ფეხები მოაფათურა იატაკზე (მხოლოდ ფეხსაცმლები და წინდები წაეძრო დაწოლის ხანს) და ფოსტლებს მიაგნო. — თქვენ ქალაქში ყოფილხართ უკვე. უჩვენოდ არ წავლენო? ჩვენ ხომ იმათთან ერთად მივდივართ?

— არა, — მიუგო ბიძიამ, — მისს ჰებერშემის შეყოლიება მოგვიხდება ჩვენ ორივეს. კანტორაში უნდა მოვიდეს. ჩვენთან ის ქალი. ხოდა, გაინძერი, იქნებ უკვე სულაც მისულია იქ.

— დიახ, — უთხრა მან და მაშინვე ერთი ხელით პერანგის ღილები შეიხსნა, მეორეთი შარვლისა, თითქოსდა უნდოდა ერთსა და იმავე წამს ორივე მოეცილებინა. ამჯერად კი გაეცინა გულიანად. თუმცა კი ძლივს გასაგონად. — აი თურმე რატომ, — ასე დასძინა,—

იმათ ქალებს შეშის დაჩეხვა რომ არ მოუხდეთ სიბნელეში, ხოლო ნამძინარევ ბალღებს ხელში ფარნის დაკავება.

— არა, — თქვა ბიძიამ, — ლუკასს არ გამოქცევიან ისინი, სულაც დავიწყებიათ ამ კაცის არსებობა...

— მეც სწორედ ამას არ გეუბნებოდით, — უთხრა მან, — ისინი არც კი შეჩერებულან, რათა ერთი კოლოფი თუთუნი ეყიდათ მისთვის და ეთქვათ, რას იზამ, ბერიკაცო, შეცდომა ვის არ მოსვლია, აღარაფერს გერჩით.

აი თურმე რა გნდომებიაო შენ, მიუგო ბიძიამ, ერთი კოლოფი თუთუნი? ხოდა, ეს კი იქნებოდა საკმარისი? რაღა თქმა უნდა, არა. თუმცა ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი და ლუკასიც სწორედ ამიტომ მიიღებს, ბოლოსდაბოლოს, თუთუნს. ისინი კი იზამენ ამას, კი იზამენ-მეთქი. სულ ექნება თავისი წილი თუთუნი სანამ პირში სული უდგას და უნდა თუ არ უნდა, ჩვენს ოლქში არ მოაკლებენ ამას, ჩვეულებრივ ლუკასს კი არა, **ლუკას სამბოს,** რადგან იმიტომ კი არ წრიალებს კაცი უძილოდ მთელი ღამე, რაღაც დავუშავეო ჩემს მოყვასს, უფრო ამიტომ, მართალი არა ვარო; ჩვეულებრივი დანაშაული (თუკი ვერ შეძლებს იმით გამართლებას, რასაც ლოგიკას ეძახიან) იქნებ სულაც გააცამტვერო, მსხვერპლი და მოწმენი აღგავო მიწისაგან პირისა და ასე, მაგრამ შეცდომა კი იმასთან რჩება და იმას ესღა ადარდებს, წარხოცოს, შენიღბოს, შეუმჩნეველი გახადოს. ასე რომ, ლუკასს ექნება თავისი თუთუნი. თუმცა, რაღა თქმა უნდა, უარს იტყვის, არ მინდაო. მაგრამ ექნება და ჩვენ, მცხოვრებთ იოკნაპატოფას ოლქისა, მოგვიხდება ხილვა ადამის ჟამინდელი აღმოსავლური ურთიერთობისა გადამრჩენელსა და გადარჩენილის სიცოცხლეს შორის, ოღონდ კი ისე, რომ თავსა და ბოლოს ვეღარ გაიგებთ: ლუკას ბიჩემპი, ვისაც ვიღაც თეთრმა კაცმა თვალი მოჰკრა და მონად გაიხადა, ტირანი შეიქმნა მთელი ოლქის მოსახლეობისა და მეუფედ მოევლინა იმათ სინდისს. და ისინიც — პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე უბნელები — კარგად არიან მიმხვდარნი, საჩქაროდ არც უნდა შეიწუხონ თავი მისთვის ათცენტიანი თუთუნის გასაგზავნად, სულ ერთია, მაინც მთელი სიცოცხლე **არ მოუხდებათ ამის** გაკეთება? ხოდა, გარკვეული ხნით კიდევაც დაანებეს თავი ამ კაცზე ფიქრს. იმას კი არ გაქცევიან, კროუფორდ გოურის გაექცნენ ისინი, უარყვეს უბრალოდ, შიშის ზარით კი არა, არამედ როგორღაც ერთხმად და ეს ყველაფერი — არ უნდა, არ ეგების — სრულიად მოულოდნელ ამბად გარდაისახა, **არა ჰქნა. არა კაც კლა,** თქვენ ხედავთ, **ეს არ არის** დამადანაშაულებელი, მძვინვარებით აღსავსე სიტყვა, ჩვეულებრივი მცნებაა სულის სახსნელად მოწოდებული: შორეული, ბუნდი წარსულიდან მოგვყავს მამაპაპათა ეს სიტყვა და უკვე დიდი ხანია გათავისებულიც გვაქვს, ველოლიავებით, ვასაზრდოებთ, ყურში სულ მუდამ გვესმის ამათი ჟღერა და რაკი ხელიხელ საგოგმანებელი გაგვიხდია, უხინჯო შექმნილა, ასე რომ კიდევაც შეგვიძლია იმასთან

ერთად ქვეშაგებში დაძინება, შხამსაწინააღმდეგო საკუთარი საშუალებები გამოგვიმუშავებია იმის მიმართ მსგავსად თადარიგიანი დიასახლისისა, ვისაც ყოველთვის აქვს მდოგვის ხსნარი ან კვერცხის ცილა თაროზე, ვირთხის წამლის გვერდით. ბაბუას სახესავით ახლობელი გამხდარა ეს მცნება და ამავე დროს ისეთივე შეუცნობელი როგორც ბაბუასავე სახე ინდოელი უფლისწულის ჩალმის ქვეშ, ანუ ისეთივე განყენებულ-აბსტრაქტული როგორც ვახშმობის დროს; და მაშინაც კი, როდესაც იგი ფეხქვეშ ითელება და დაღვრილი სისხლი ანწუხზე გვაგებს, თუმცა ეს მცნება მაინც რჩება ჩვენთვის ჭკუის მასწავლებელი, წარუვალი, ჭეშმარიტი: **ნუ ვიქნებით მკვლელები** და იქნებ შემდგომ ჩვენ არც ვიზამთ ამას. მაგრამ **ნუ იქნები მკვლელი შენი დედის შვილისა**. სწორედ ეს არ გამოსტყვრა მაშინ ქუჩაში, დღის სინათლეზე და შენს გვერდით. ხომ ასეა?

— ხოდა, იმ გოურებისა და უორკიტებისთვის ლუკასისთვის ბენზინის გადასხმა და ცეცხლის წაკიდება ერთია, ხოლო გოურისთვის ძმის მკვლელობა სულ სხვაა.

დიახ, მიუგო ბიძიამ.

— ამას როგორ ამბობთ, — უთხრა მან.

— დიახ, — თქვა ბიძიამ, — **არა კაც კლა** მიუხედავად იმისა, რომ კლავენ, მაინც რჩება ცნებადვე, შეურყვნელი და წაუბილწავი: **არა კაცი უნდა კლა** და ვინ იცის, შეიძლება შემდგომ კიდევაც ასე იზამ. მაგრამ **გოურიმ არ უნდა მოკლას გოურის ძმა;** აქ არ შეიძლება ამის თქმა, არც იმის შემდგომო, როცა გოური არ მოუკლავს გოურის, რადგან ეს აღარ იქნება პირველადი და მხოლოდ გოურისთვის **არ იქნება** ასე, არამედ ყველასთვის: სტივენსებისთვის, მალისონებისთვის და მაკ-კასლინებისთვისაც. თუკი ჩვენ არ გვექნება გულში ჩაჭდეული: კი არ უნდა, არამედ **არ შეიძლება** რომ გინდ გოურიმ, გინდ ინგრემმა, გინდ სტივენსმა და გინდ მალისონმა დაღვაროს გინდ გოურის, გინდა ინრემის, გინდ სტივენსის და გინდ მალინსონის სისხლი, გულში არ გვექნება ჩაჭდეული-მეთქი და აღარც გვექნება ამის იმედი, **არამცდაარამც არა კაც კლა** ხოდა, ლუკას ბიჩემპის სიცოცხლე დაცული იქნება იმიტომ კი არა, რომ ის ლუკას ბიჩემპია, არამედ ამიტომ, ის არის?

— იმიტომ გაიქცნენ ისინი, ვაითუ კროუფორდ გოურის ლინჩი მოგვიხდესო, — თქვა მან.

— კროუფორდ გოურის ისინი არ უზამდნენ ლინჩს, — უთხრა ბიძიამ, — ძალიან ბევრნი იყვნენ და იმიტომ. თუ გახსოვს, სავსე იყო მთელი ქუჩა იმ ციხის წინ და მთელი მოედანი დილიდანვე, თუმცა კი ეგონათ, რომ იმან მოკლა ვინსონ გოური, მაგრამ არც არაფერს აპირებდნენ მაშინ.

— მეოთხე უბნელები მოვლენ და ისინი იზამენო ამას, ასე ფიქრობდნენ.

— მეც სწორედ ამას ვამბობ — ვთქვათ და მართლაც ასე იყო. ნაწილი მეოთხე უბნელი გოურების და უორკიტებისა და კიდევ ოთხნი თუ ხუთნი, რომლებიც გოურებსა და უორკიტებს გროშის თუთუნსაც არ მისცემენ და რომლებიც თუკი იქ მივიდოდნენ, მხოლოდ სეირისა და სისხლის საცქერლად, ბრბოსაც სწორედ ესენი ქმნიან. მაგრამ ასე არ არის, თუ სუყველანი ერთად მოიყრიან თავს, რადგან ბრბო მხოლოდ გარკვეული რაოდენობაა, ხოლო უფრო მეტი არც აღარაფერია, და შეიძლება არც კი დაიტიოს იმ წყვდიადმა, ქვაბოვანმა, რომელმაც ის შვა, ვეღარ მოისვრის თავის სტომაქში და ვეღარ დაუმალავს დღის სინათლეს, მერე კი რაღას იზამს, თავი უნდა გამოამზეურის და იქნებ ერთი ადამიანიშვილის სისხლმა ვერც გააძლოს, სწორედ ასე ერთი მიწის თხილი კი მოჰგვრის მადას ერთ სპილოს, მაგრამ არა ორსა და ათს. ან შეიძლება კაცი ბრბოში გაითქვიფოს, ამის შემდეგ კი ეს ბრბო ისე გაფუვდეს, გასივდეს, რომ აუარება ხალხი შთანთქას, ყლაპი უყოს, შეხანხლოს და ვეღარც ვიტყვით, ბევრიაო. მაშინ იქიდან ისევ გამოვა კაცი და კვლავ გახდება შემბრალებელი, სამართლიანი, ნამუსიანი, თუნდაც ბუნდი მოგონებების სახით მოევლინოს და მტკივნეული ლტოლვა განიცადოს ამათკენ, ანუ რაღაცისკენ, რონელსაც თვალმომჭრელი და წმინდა ნათელი გადა'ადის.

— ხოდა, კაცი ყოველთვის მართალია — თქვა მან.

— არა, — მიუგო ბიძიამ, — კი ცდილობს იყოს, როცა ის, ვინც იმას განდიდებისა და ძლიერების მოსაპოვებლად იყენებს, თავს ანებებს მას. სიბრალული, სამართლიანობა, ნამუსიანობაც დიდი რწმენის საფუძველი ხდება, ცალკეული ადამიანის ღვთაებრიობა რა მოსატანია (თუმცა ეს ჩვენთან, ამერიკაში გულ-გვამის ეროვნულ რელიგიად შეიქნა, რადგან არად აქნევს სულს და მოვალეობასაც იმის წინაშე, სამაგიეროდ დაბადებიდანვე მას აქვს დღენიადაგ წაუგვრელი უფლება ჰყავდეს ცოლი, ავტომობილი, ჰქონდეს რადიო და პენსია სიბერის ხანს), ხსენებული საფუძველი ეს არის რწმენა მისი კაცური კაცობის ღვთაებრივი წარუვალობისა; მიდი და იფიქრე, სულ ადვილი იყო იმათთვის მოეკლათ კროუფორდ გოური: ესენი ბრბო არ იყვნენ და არც ცდილობდნენ სიბნელეში მოესწროთ ყველაფერი ყოველ წამს უკან მაცქერალთ, არამედ ეს არის ერთიანი საზოგადოებრივი აზრი; ის მიწის თხილი უკვე ჩაიკარგა ფეხქვეშ იმ ჯოგისა, რომელიც ერთად შეკრული, აუჩქარებლად მიაბიჯებს და არა მგონია თუნდაც ერთმა სპილომ იცოდეს თუ იყო როდისმე ის მიწის თხილი, რადგან თავიდათავი ეს არის, ბრბოს შემართებას ესაძირკვლება ეს აზრი, ყულფის გამომნასკველი, თოკის მომქაჩველი სისხლიანი ხელი სამუდამოდ უცნობი დარჩება და არც არავინ გათქვამს იმის სახელს, სწორედ ასევე არ გაუტყდება ძილი ჯალათს, რომელმაც თავისი მოვალეობა მოიხადა. კროუფორდ გოურის განადგურება იმათ არ ინებეს. უარყვეს ის და მორჩა. ლინჩი რომ ეყოთ

მისთვის, მხოლოდ სიცოცხლეს წაართმევდნენ მას. სინამდვილეში კი უარესი უყვეს: ყველაფერი იღონეს რაც შეეძლოთ, რათა ამოეკვეთად ის ადამიანთა მოდგმიდან.

ისევე გაუნძრევლად იყო. თქვენ ხომ ადვოკატი ხართო. მერე კი ასე დასძინა: — ისინი არ გაქცეულან კროუფორდ გოურისგან და არც ლუკას ბიჩემპისგან. საკუთარ თავსვე გაექცნენ, სახლში გაიქცნენ და სირცხვილით საბანი წაიხურეს თავზე.

— სრული ჭეშმარიტებაა, — მიუგო ბიძიამ, — სულ ამას არ გეუბნები? ძალიან ბევრნი იყვნენ. იმდენი იყვნენ ამჯერად, რომ სირცხვილმა შეაწუხათ და აღარ მოიმოქმედეს ის ერთადერთი, რასაც ბრბო იზამდა: ის (ბრბო) თავისი სიმცირის და, როგორც იმას უნდა იფიქროს, თავიანთი ფარული და მტკიცე შეკავშირების გამოც, თუმცა მან ესეც კარგად იცის, ცალ-ცალკე, ერთმანეთისა სრულიად არა სჯერათ, სხვა რამეს ამჯობინებდნენ სწრაფ და სულ უბრალო საშუალებას სირცხვილის უარსაყოფად, მოწმის განადგურებას. შენი არ იყოს, სწორედ ამიტომ გამოქცეულან ისინი.

— თქვენ და ბ-ნი ჰემპტონი კი ნარწყევის მოსარეცხად დაგტოვეს, ძაღლებიც არ იზამდნენ ამას. თუმცა ბ-ნი ჰემპტონი, რაღა თქმა უნდა, მოსამსახურე ძაღლია და მგონია შეიძლება თქვენზეც ვთქვათ ასე... რადგან ჯეფერსონიც არ უნდა დაგვავიწყდეს, — ასე დასძინა, — წამის უმალესად აიყარნენ და სადღაც გაქრნენ, თუმცა ზოგიერთებმა ვერ შეძლეს, რადგან ჯერ კიდევ შუადღე იყო და თავიანთ დუქნებს ვერ დაკეტავდნენ და სახლში ვერ გაიქცეოდნენ, თანაც ხომ უნდა ჰქონოდა იმას საშუალება რომ გროშის საღირალი მაინც მიეყიდათ ერთმანეთისთვის.

— მე ხომ გითხარით, სტივენსი და მალისონიც ასევე-მეთქი, — უთხრა ბიძიამ.

— სტივენსი არა, — მიუგო მან, — და არც ჰემპტონი, რადგან ვიღაცას ხომ უნდა გაესრულებინა ეს საქმე, ვინც ისე მოწმენდდა იატაკს, რომ გული არ არეოდა. შერიფს უნდა დაეჭირა (ანუ ცდილიყო, იმედი ჰქონოდა, ან კიდევ რაღაც, რის გაკეთებასაც შენ აპირებდი) მკვლელი, ადვოკატს კი დაეცვა ლინჩის მქნელები.

— ლინჩი არავის არ უქნია და დაცვაც არავის არ დასჭირვებია, — თქვა ბიძიამ.

— კარგი, — უთხრა მან, — პატიება კი ხომ სჭირდებოდათ.

— არც ასეა, — უთხრა ბიძიამ, — მე ლუკას ბიჩემპს ვიცავ. მე სამბოს ვიცავ ჩრდილოეთისგან, აღმოსავლეთისა და დასავლეთისგან— იმ უცხოელებისგან, რომლებიც ათეული წლებით უკან სწევენ მათ და იმათი ხვედრი არა მარტო უსამართლობა, ტანჯვა, წამება და დევნაა, ამის მიზეზი ჩვენს თავს მოხვეული კანონებია, რომელსაც სა-

ფუძვლად ეს იდეა უდევს, თითქოს კაცის უსამართლობის აღკვეთა კაცისადმი პოლიციას შეუძლია, სამბო ამას, რაღა თქმა უნდა, უძლებს, მეტის გაკეთება ჯერ კიდევ არ ძალუძს. და ის გაუძლებს, მოინელებს და კიდევაც ცოცხალი გადარჩება, რადგანაც ის სამბოა და კი აქვს ამისი უნარი; კიდევაც შეუძლია ამით ჩვენი დამარცხება, რაკიღა ის აღჭურვილია გაძლებისა და სიცოცხლის უნარით, მაგრამ მთელი ათწლეულების მიღმა რომ გადაისროლოთ, ამას არ დაგანებებო, თუმცა რასაც ის მოიპოვებს, შეიძლება ამას ჩვენთვის აღარც ჰქონდეს რამე მნიშვნელობა, რადგანაც შეიძლება უკვე იმდენად დავჭუცმაცდეთ, რომ კიდევაც დავკარგოთ ამერიკა.

— მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ მაინც ამართლებთ იმას.

— არა, — უთხრა ბიძიამ, — მე მხოლოდ ამისი თქმა მინდა, ჩვენი, სამხრეთელებისაა ეს უსამართლობა. ჩვენვე უნდა ვზღოთ და უარვყოთ. მარტოდ ვინმეს დაუხმარებლად და (ვმადლობთ) არც არავის რჩევა გვინდა. ლუკასის წინაშე ეს ჩვენი ვალია მიუხედავად იმისა უნდა თუ არ უნდა (რაც უნდა იყოს, ამ ლუკასს არა სურს) და იმისი წარსულის გულისთვის კი არა, რადგან კაცმა და თუ გნებავთ, მთელმა იმისმა მოდგმამაც უნდა გადაიტანოს თავისი წარსული, ოღონდ ისე, არ გაექცეს იმას და არც გაიბრუოს თავი ამაღლებული, როგორც ეს ხშირად ხდება, ჰუმანურობის მეტისმეტად რიტორიკული რიტორიკით, ეს უფრო მომავლის პრაქტიკული მიზნების გათავისების მეშვეობით უნდა მოხდეს და ამისი უცილობელი პირობაა, სიძლიერე, სიმტკიცე, მოთმინება, დიდსულოვნება.

— კარგი, — თქვა მან ისევ, — თქვენ მაინც ადვოკატი ხართ და ისინი მაინც გაქცეულნი არიან. შეიძლება ასე გაიფიქრეს, ლუკასმა უნდა აწმინდოსო, რადგან ცოცხის მოქნევა იმისი ჩამომავლობის ხალხს ემარჯვება. ლუკასი, ჰემპტონი და თქვენც, რადგან ჰემპტონმა ხანდახან ხომ უნდა ჰქნას რამე თუ არადა ფულს რაღატომ უხდიან, თქვენც ისეთ თანამდებობაზე აგირჩიეს, ხელფასი გაქვთ დანიშნული. მიხვდნენ კი ისინი და გითხრეს თქვენ, როგორ უნდა ამის გაკეთება? როგორ უნდა მოიყვანონ კროუფორდ გოური და ათქმევინონ, კარგი, ბიჭებო, ბასსა ვარ, თავიდან დაარიგეთო. თუ იქნება ისინი იმასღა ცდილობდნენ, იმასღა ცდილობდნენ-მეთქი...

ამაზე ბიძიამ ჩასჩურჩულა, სამართლიანობის დაცვასო?

ახლა კი ხმა აღარ ამოუღია. მაგრამ ბოლოდ წამით. მერე ასე თქვა გაიქცნენო ისინი წყნარად და მტკიცედ, და არა ზიზღით სულაც, წამოიჭრა და ზურგს უკან გადაიქნია პერანგი და მაშინვე გადაბიჯა ფეხშიშველმა, გაიხადა შარვალი და პერანგის ამხანაგის ამარა დარჩა.—თუმცა ასე არა სჯობს. ოცნებამ წამიღო, ჩემს ოცნებაში ჩაჭდეულიყვნენ ისინიც და მორჩა, ეს ოცნებაც წარიხოცა, დარჩნენ

იმ თავიანთ საწოლებში ან დილა-ბნელზე ადგნენ ძროხის მოსაწველად ან შეშას დაჭრიან დაღამებამდე, ან იმის მერეც გინდ ფარნითა და გინდ უფარნოდაც. რადგან იმათ ჩემს ოცნებასთან რა ხელი აქვთ, მე მხოლოდ ჩავუარე იმათ გვერდით და ჩემს ოცნებას მოვაშორე, — ის ჩქარა, სულ უფრო ჩქარა და ჩქარა ლაპარაკობდა და მაინდა მიხვდა ამას, როცა უკვე გვიანი იყო — რაღაც იყო... თუ ვიღაც... რაღაც, რასაც ჩვენ არც მოველით თექვსმეტი წლის ბავშვებისგან, ოთხმოცი, ოთხმოცდაათი, რამდენი წლისაც არ უნდა იყოს, იმ ბერიქალისგან, და მერე თავად მე გიპასუხეთ ასე, თქვენა გაქვთ ნათქვამი, თუ გახსოვთ, ინგლისელი ბიჭების შესახებ, ცოტათი ჩვენზე უფროსები რომ იყვნენ, რაზმის მეთაურებად იბრძოდნენ და მტრის განლაგებას ზვერავდნენ თვითმფრინავებით საფრანგეთში, 1918 წელს. თქვენ ისიც გაქვთ ნაამბობი ჩემთვის, 1918 წელსვე ბრიტანელი ოფიცრები, ჩვიდმეტი წლის ლეიტენანტები ან ცალთვალა, ცალფეხა და ცალხელა ოცდასამი წლის პოლკოვნიკები... — შეჩერდა თუ შეეცადა შეჩერებულიყო, რადგან უეცრად ცხადლივ იგრძნო გაფრთხილება, პირზე მომდგარი სიტყვის ბრალი ეს არ ყოფილა და არც იმის აღქმა, რაც უკვე წარმოთქმული ჰქონდა, არამედ ის, თუ რა აიძულებს ამ სიტყვების თქმას და მერე რა მოჰყვება ამას, ხოდა, რახან ასეა, თავი უნდა შეიკავოს როგორმე, მაგრამ რაღა უნდა ჰქნას, გვიანია, მსგავსად იმისა, როდესაც გორიდან თავქვე მიექანება მანქანა და რაც ძალი და ღონე გაქვს ამუხრუჭებ და უცებ ზარგანხდილი მიხვდები, მუხრუჭი მოშლილია... — და ამის გარდა კიდევ რაღაც მინდოდა... კი ვცდილობდი, — და აქ უკვე შეჩერდა საბოლოოდ, გულმა დოლაბივით დაუწყო ბრუნვა, მთლად წამოენთო სახე და კისერი, მზერა აარიდა მას იმიტომ კი არა, თითქმის ტიტლიკანა რომ დგას, არამედ მიხვდა, გინდ ტანსაცმელი, გინდ გამომეტყველება და განუსჭვრეტელი კვამლი ვერ დამალავს ბიძიას ნათელ, დაკვირვებულ თვალს.

— ჰო? — უთხრა ბიძიამ, მერე კი ასე დასძინა. — ჰო. კი ხდება ისეთი რაღაც, რასაც შენ არ უნდა შეეგუო. რაღაც, რისიც მოთმენა არ შეიძლება და კიდევაც უნდა უარყო. კაცის უსამართლობა, უპატიოსნება, კაცის დამცირება, თავის მოჭრა. თუნდაც სახელის მოსახვეჭად, თუნდაც გამოსარჩენად, თუნდაც გაზეთში შენი პორტრეტის დაბეჭდვა შემოგთავაზონ, თუნდაც ბანკში ანგარიში გაგიხსნან. უნდა უარყო, მორჩა და გათავდა. ხომ ასეა?

— ვინ, მე? — თქვა მან და ოთახი გაიარა, ფოსტლებში არ ჩაუყვია ფეხი. — ისე მე ახალბედა სკაუტი აღარ ვარ მას მერე რაც თოთხმეტი წლის გავხდი.

— რაღა თქმა უნდა, არა, — მიუგო ბიძიამ, — კი შეიძლება გული დაგწყდეს, სირცხვილი კი რას მიქვიან.

შეიძლება საჭმელმა იმოქმედა იმაზე როგორღაც და ჭამა არც კი შეუწყვეტია, ისე შეეცადა, თუმცა სხვათა შორის, გამოეთვალა რამდენი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ნაგიდასთან იჯდა საჭმელზე და უცებ თითქოსდა ერთი წამით წამოაგონდა, ერთი დღეც არ იყო ჯერ კიდევ გასული, რაც კინაღამ არ ჩაეძინა, როდესაც საუზმეს შეექცეოდა. შერიფისას დილის ოთხ საათზე, გაახსენდა ბიძიამ რომ (ყავას სვამდა იმის პირდაპირ მჯდომარე) ასე თქვა, კაცის საკვების მეშვეობით არა მარტო გზას იკვლევს სამყაროში, არამედ ჭამის აქტი არის სამყაროში მისი გამოჩენის თავიდათავი. სამყარო კი არ უნდა გაიაროს მან, იმის შუაგულში უნდა მოექცეს. სამყაროსეული თანაცხოვრების სარბიელს უნდა დააცხრეს ვითარცა ჩრჩილი შალს და ცხადლივ შეხანხლოს იმისი დედაარსი, ამავე დროს, განსხეულდეს, თავისი მეობისა და თავისი მეხსიერების ნაწილი აზიაროს ისტორიას ან შეიძლება სულაც ჭამის, ღეჭვის, კვების ხანს საზრდოდ მიიღოს სიამაყის, პატივმოყვარეობის მცირეოდენი ნაწილი რომელსაც ის მეხსიერებას, თავისთავადობასა და მე ვარ-ს უწოდებს, რათა შთაინთქას, გადაიმზღვრეს თანაცხოვრების უსახელო ყოვლისმომცველ სამყაროში, რომლის წიაღიდანაც მერე ამოიჭრება გალეული კბოდე, მხურვალებადაკარგული წარიხოცება, მტვრად და ფერფლად გადაიქცევა, აღარავინ აღარ დაინახავს და აღარც არაფერი გაახსენდება, რადგან არ არის არავითარი გუშინ და ხვალ. ვინმე განდეგილს, ვინც გამოქვაბულში ცხოვრობს, საჭმელად რკო აქვს და სასმელად წყაროს წყალი, შეიძლება მხოლოდ იმას ჰქონდეს კიდევ შემორჩენილი ფუჭი ღირსება და სიამაყე; შეიძლება სულაც უნდა იცხოვრო ამ გამოქვაბულში, საზრდოობდე რკოთი და წყაროს წყალით, დღენიადაგ მოწიწებით უმზერდე საკუთარ პატივმოყვარეობას, სამართლიანობას, სიამაყეს, რათა დარჩე თაყვანისცემის ამ საშინელ, თავბრუდამხვევ სიმაღლეზე და უარყო ყველანაირი კომპრომისები; სულ ჭამდა ბევრსაც და სწრაფად, თექვსმეტი წელიწადი სულ ამას ჩასჩიჩინებდნენ, ნუ ჩქარობო. დადო ხელსახოცი, წამოდგა და ბოლოს დედის წუწუნი ჩაესმა (და ასე გაიფიქრა, არც არაფერი შეუძლია ქალს, გარდა იმისა, რომ შეეჭიდოს ტრაგედიას, სიდუხჭირესა და ფიზიკურ ტკივილებს; როცა ამ დილას იქ მივიდა, სადაც თექვსმეტი წლის ბიჭს სწორედაც არ უნდა დაედგა ფეხი ორჯერ თექვსმეტი წლისაც რომ ყოფილიყო, მაინც, მთელი ოლქი შემოიარა შერიფთან ერთად და ხნარცვიდან მოკლულთა გვამებს ათრევდა. ხოდა დედას ასგზით უფრო ნაკლები ხმაური აეტეხა ვიდრე მამას და ათასგზის უფრო მეტი სარგებლობაც მოეტანა. ახლა ესლა უნდა, ბიძიას გაჰყავს ქალაქში და საათით თუ საათნახევრით იმის კანტორაში დაჰყოს, მერედა რა მოხდა, თავისი სიცოცხლის მეოთხედი სულაც აქ არ გაუტარებია, ამ ქალს უკვე აღარც ახსოვდა ლუ-

კას ბიჩემპი და კროუფორდ გოური, ორნივე, და ცოცხლად დაუბ-
რუნდა თხუთმეტი წლის წინანდელ დღეს, როდესაც პირველად უთხ-
რა ჩვილს, შენით უნდა შეიკრაო ღილები შარვალზე):

— მისს ჰებერშემს არ შეუძლია იქ მივიდეს და დაიცადოს?—
ჰკითხა დედამ.

— კი შეუძლია მოვიდეს, — მიუგო ბიძიამ, — ვიცი, არ გაუ-
ჭირდება ამ სახლის მიგნება.

— თუ გესმის რას გეუბნები, — უთხრა დედამ, — ხომ შეგიძ-
ლია შეატყობინო? ღამის თორმეტ საათზე ლედი რად უნდა იჯდეს
ვიღაც ადვოკატის კანტორაში?

— ანდა ჯეკ მონტგომერის ნეშტი რად უნდა ამოეთხარა იმ ღა-
ნით!—თქვა ბიძიამ,—მაგრამ იქნებ როგორმე ამჯერად იმ ქალს ლუ-
კას ბიჩემპი მოვაცილოთ და თავისი სული და გული იმ კაცს აღარ
შეალიოს, წამოდი, ჩიკ, — ხოდა, როგორც იქნა გამოვიდნენ სახლი-
დან, სახლიდან გამოსულს იქ არ შეუბიჯებია, რადგანაც ეს თან გა-
მოჰყვა სახლიდან, სადღაც, რომელიღაც წერტილზე, იმის ოთახს და
სადარბაზოს კარის შუა მან არამცთუ იპოვა თუ დაიბრუნა ან სულაც
კი არ შეაბიჯა ამაში, უფრო ეს იყო, თავისი შეცდომა გამოასწორა
იმის წინაშე და კვლავ იგრძნო თავი იმის ღირსად, რომ წილნაყარი
ყოფილიყო ამასთან, მისი იყო უკვე და იმიტომ, ანუ, უფრო სწორად,
ის გაშინავებოდა ამას, თანაც ჭამასაც მოეხდინა უკვე ზემოქმედება,
ხოდა, ის და ბიძია ერთხელ და ზუსტად ისევე გაუყვნენ იმ ქუჩას,
როგორც ამ ოცდაოთხი საათის წინ, მაშინ აქაურობა ცარიელი იყო
და თითქოსდა შეძრწუნებულად გარინდებული; ახლა კი არ იყო ცა-
რიელი, კი შექმნილიყო უკაცრიელი, უმოძრაო და უსიცოცხლო, მიც-
ვალებულიყო ლამპიონიდან ლამპიონამდე, თითქოსდა სულიერი აღა-
რავინ ჭაჭანებდა ქალაქში, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ იყო
უსულო და მივარდნილი, რადგანაც გადახსნილიყო იმათ წინაშე და
ისინიც კარგად მოაგვარებდნენ ყველაფერს, მხოლოდ რამე დაბრ-
კოლება არ ნახონ გზაზე, არ დაუწყონ ჭკუის დარიგება და სწავ-
ლება, ჩარევა არ გაბედონ, არ უთხრან, ასე და ასე უნდა ჰქნათო
(მადლობელი ვართ თქვენი), ასე და ასე აჯობებსო, კი იყო შინაუ-
რულად დამში მოყვანილი ეს საქმე; გასაკვირი აქ რა არის, ეს ხომ
იმათი სირცხვილი და თავის მოჭრაა, იმათი სინანული და ტანჯვა-
წამება, და აქ ისევ გაეცინა, ყველაფერი კარგად იქნებაო და ასე გა-
იფიქრა: **რადგანაც იმათ მხარში ვუდგევართ ყველანი, მე, ალეკ
სანდერი, მისს ჰაბერშემი. აღარაფერი რომ არ ვთქვათ ბიძია გივინსა
და შერიფზე, რომელსაც ფიცი აქვს დადებული,** და უცებ ახლალა
მიხვდა, ესეც იმისი ნაწილი იყო — იმისი გააფთრებული სურვილი,
რომ ისინი უნაკლონი უნდა იყვნენ, მისიანები არიან და იმიტომ,
ისიც იმათია და იმიტომ. ხოდა, მძვინვარე შეურიგებლობით წამონ-
თებულიყო იმის მიმართ, რაც თუნდაც იოტისოდნავ, თუნდაც მცი-

რეოდნავაც კი შეუბღალავდა აბსოლუტურ სიწმინდეს — ეს მძვინვარე ანაზდეული სურვილიღა ამოძრავებდა, ზეწამოიჭრეს, მიაშუროს და დაიცვას, ვისგანაც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა იყოს და თუ გაკიცხვა მოუხდება, თავად იზამს ამას, არც დაინდობს და არც არაფერი, რადგან მისიანებია ისინი და სულსა და გულს არ დაიშურებს იმათთვის; და თუკი სირცხვილს ჭამენ, იყოს სირცხვილი, ამას მონანიება მოჰყვება, უსათუოდ და უცილობლად, ოღონდ ერთად იყვნენ. ერთ მუშტად შეკრულნი და უძლეველნი: ერთი ხალხი ერთი გული ერთი მიწა, და უეცრად ასე ამოთქვა მან:

— მომისმინეთ... — და შეჩერდა, ამჯერადაც არ სჭირდებოდა დამატება.

— რაო?—თქვა ბიძიამ, და რაკი იმან ხმა აღარ გასცა: — ოჰ, მესმის, თავიდათავი ის კი არაა, ისინი იყვნენ მართალნი, შენ იყავი შემცდარი.

— მე უარესი ვიყავი, — უთხრა მან, — მართლმსაჯული გახლდით.

— მართლმსაჯულად ყოფნა კარგია, — მიუგო ბიძიამ, — იქნებ შენ იყავი მართალი და ისინი მტყუანი. წინ უნდა იარო.

— სად წინ უნდა ვიარო? — ჩაეკითხა ის.

— შეიძლება ბაქიბუქსა და ტრაბახს მოჰყვე, — თქვა ბიძიამ,— მაგრამ არა უშავს. წინ უნდა იარო.

სად წინ უნდა ვიაროო? ისევ თქვა მან. მაგრამ ახლა კი მიხვდა რაც იყო, ხოდა ასე დასძინა:

— იქნებ სულაც თქვენ დგახართ. ახალბედა სკაუტობა რა საკადრისია.

— რის ახალბედა, — მიუგო ბიძიამ, — მესამე ჯგუფშია უკვე გადასული.

შენ როგორ ეძახი ამას?

— სკაუტი-არწივი, — უთხრა მან.

— სკაუტი-არწივი, — თქვა ბიძიამ, — ახალბედა ასე იტყვის, ნუ იზამო, სკაუტი-არწივი კი, ნუ დგახარო. გესმის? შეცდომა ეს არ უნდა იყოს. ნუ სწუხარ, ნუ სწუხარ-მეთქი, არ დამავიწყდესო. წინ უნდა იარო მხოლოდ.

— არა, — ასე მიუგო, — ჩვენ იმისი შიში არ უნდა გვქონდეს, რომ დავდგებით. ეს უნდა ვიფიქროთ, საით უნდა გავწიოთ და როგორ.

— დიახ, სწორედაც, — უთხრა ბიძიამ,—თავად არ მითხარი ამ თხუთმეტი წუთის წინ, ხომ გახსოვს? ბ-ნმა ჰემპტონმა და ლუკასმა როგორ უნდა გამოიტყუონ კროუფორდ გოური, რათა ბ-ნმა ჰემპტონმა ის ხელში ჩაიგდოს. ლუკასის მეშვეობით აპირებენ ამას...

და იმას ახსოვს, ის და ბიძია შერიფის მანქანასთან დგანან გასასვლელში, ციხესთან, და ხედავს, ლუკასი და შერიფი გამოვიდნენ ციხის გვერდითა კარიდან, გადმოჭრეს ჩაბნელებული ეზო და იმათ

მოაშურეს. სრული სიბნელეც კი იყო, რადგანაც არ აღწევდა ქუჩის კუთხეში დაკიდებული ფარნის შუქი, გარინდებულიყო აქაურობა, თერთმეტის რამდენიმე წუთი თუ იქნებოდა, ორშაბათი დღის მიწურული, ძოშავბნელებული ცარგვალი გადმომხობია ქალაქსა და მოედანს, ვითარცა მინის ხუფი ძველ საქორწილო თაიგულს და ყოველივე აქ ჩამკვდარა, გაუდაბურებულა, წამოვიდა და მაშინაც არ შეჩერებულა, როდესაც ძოსახვევში შედგა და გამოსძახა: საით გაგიწევიაო? მაგრამ იმან არც კი უპასუხა, გამოიარა უკანასკნელი ჩუმი და უკაცრიელი უბანი, ამ მდუმარებაში მკვეთრად გაისმა მისი აუჩქარებელი ნაბიჯების ხმა, მარტოსული იყო, მაგრამ მიტოვებული სწორედაც არ ეთქმოდა, რადგანაც გრძნობდა, ბატონკაცი თუ არადა, პატრონი, ნაცვალი მაინც იყო, თავმოდრეკილ-თავმოზღუდული. მეუფე თავად არ გახლდათ, მაგრამ კი ჰფლობდა რაღაც ძალას იმ მსახიობივით, რომელიც კულისებიდან იმზირება ან სულაც ცარიელი ლოჟიდან დაბლა დაჰყურებს მოლოდინით აღვსებულ სცენას, სადაც მოქმედ პირთაგან ჯერ არავინაა, მაგრამ კიდევ ორიოდე წამი და თავად გამოჩნდება უკანასკნელ სურათში, მხოლოდ ის და მეტი არავინ, შეიძლება ეს არც იყოს საქვეყნოდ ცნობილი პიესა, ოღონდ სწორედ მან უნდა გაასრულოს იგი როგორც წესი და რიგია, კარგად და ლამაზად; და აი უკვე შავად შეფენილ და გამოცარიელებულ მოედანზე შეაბიჯა, შედგა, რაკი მიხვდა, სულ ადვილად შეეძლო ეხილა მოქუფრული ოთხკუთხა სივრცე, სადაც შუქის მხოლოდ ერთი წყაროლა იყო, ფარანი კაფეს სიახლოეს, მთელი ღამე რომ არ იქეტებოდა, რაკიღა აქ ჩერდებოდნენ ზორეულ გზაზე მიმავალი სატვირთო მანქანები, მაგრამ იმისი (ამ კაფეს) ჭეშმარიტი დანიშნულება, როგორც ზოგიერთები ამბობდნენ, უფრო სხვა რამე უნდა ყოფილიყო და ქალაქმაც სწორედ ამიტომ მისცა ოცდაოთხსაათიანი ვაჭრობის უფლება იმის მფლობელებს — იქნებ როგორმე ფხიზლად ყოფილიყო უილი ინგრემის მეწყვილე, ვისაც ქალაქმა რომელიღაც ჩიხში ჯიხური გაუკეთა სამორიგეოდ და ღუმელიცა და ტელეფონიც დაუდგა. ის კი მაინც ვერ ჩერდებოდა იქ და კაფეში მოდიოდა, ვინმეს მაინც გამოველაპარაკებიო, რაღა თქმა უნდა, აქაც შეიძლებოდა მასთან დარეკვა, მაგრამ ვიღაც-ვიღაცებს, განსაკუთრებით მოხუც ქალბატონებს არ სიამოვნებდათ პოლისმენისთვის დაერეკათ მთელი ღამე გადანათებულ კაფეში, სადაც აუღებელი სუფრა და ცეკვა-თამაში იყო გამართული. ამიტომაც იმ სამორიგეო ჯიხურის ტელეფონი გარეკედელზე დიდ საგანგაშო ზარს შეუერთეს, ხოდა კიდევაც შეეძლოთ გაეგონათ იმისი ხმა დახლიდარს ან რომელიმე მძღოლს და შეეტყობინებინა პოლიციელისთვის, გირეკავენო; და კიდევ ორი განათებული ფანჯარა მეორე სართულზე (და ასე გაიფიქრა, მისს ჰებერშემი აღარ მოეშვა ბიძიას და კანტორის გასაღები გამოართვაო, მერე კი ესეც გაუელვა თავში, თავად ბიძიამ მისცა გასაღები, თუ არადა შესასვლელთან დაყენებულ პიკაპში მოუხდებოდა ჯდომა, და მე-

რე ასე დასძინა თავის გულში, თუკი ამდენს დაიცდისო ეს ბერიქალი; თუმცა მართალი ეს უნდა ყოფილიყო, ბიძიამ ჩაკეტა ის თავის კანტორაში, რათა შერიფსა და ლუკასს ქალაქიდან გასვლა მოესწროთ) მაგრამ რადგანაც ადვოკატის კანტორაში სინათლე შეიძლება სულ ენთოს, ადვოკატს ან დარაჯს ავიწყდებოდათ ხოლმე მისი გამორთვა წასვლის ხანს, ხოლო კაფე, ასე იფიქრებდით, ელექტროსადგურივით საზოგადოებრივი შენობაა, კაფეშიც ჩვეულებრივ ენთო შუქი (თუ რა იყო შიგნით, ვერ ხედავდა, მაგრამ კი გაიგონებდა, და ასე გაიფიქრა, პატეფონ-ავტომატის თორმეტი საათით გამორთვა ღამის გუშაგი-პოლიციელის უპირველესი მოვალეობის მოხდა იყო გარდა იმისა, რომ ყოველ საათს უნდა აღენიშნა ბანკის უკანა კართან მიმაგრებული ტაბელი მას შემდეგ, რაც გასულ აგვისტოში ცოფიანმა ძაღლმა ხალხი დააშინა) და სხვა ორშაბათი დღის ჩვეულებრივი საღამოები გაახსენდა, როდესაც არავის არ აბობოქრებია სისხლი ძარღვებში და მთელი საგვარეულო არ გამოვარდნილა ღრიალ-ღრიალით მეოთხე უბნიდან შურისძიებებით წამონთებულნი (პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე უბნებიდანაც, თუ გნებავთ, ქალაქის გარეუბნებიდანაც სადაც სვეტებიანი სახლები დგას გეორგიანული სტილით ნაგები), აღარ გაისმის ყვირილი და ძახილი აგურის ძველი კედლების, ბებერი ხეებისა და ისტორიული სვეტების შუა, რათა შიშით სული კოჭებში გაპარვოდათ აქაურებს ერთი ღამით მაინც; ორშაბათ საღამოს კი, ათ საათზე, თუმცა პირველი კინოსეანსი უკვე ორმოცი-ორმოცდაათი წუთია რაც დამთავრდა, ვიღაც-ვიღაცეებს, რომლებიც სულ აქ ტრიალებენ და ჩვეულებისამებრ დაგვიანებით შედიან კინოში, უკვე სახლებისკენ გაუწევიათ, ხოლო ყმაწვილკაცები მას მერე სულ კოკა-კოლას შეექცევიან და პატეფონ-ავტომატს ამღერებენ, თუ უნდათ ხეტიალსაც მოჰყვებიან და არსადაც არ ჩქარობენ, რადგან თავად მაისის ღამეა მათი დანიშნულების ადგილი და იმათაც თან დააქვთ, დასეირნობენ იმასთან ერთად, და კიდევ (ვაჭრობა-აუქციონი უნდა გაიმართოს დღეს) აქ ორიოდე ავტომობილი და სატვირთო მანქანაა, რომელთა პატრონებიც კინოში შესულან ან სავახშმოდ დამსხდარან ნათესავებთან თუ მეგობრებთან და ახლა, რაკი ღამეა, წავლენ-წამოვლენ დასაძინებლად, გაუდგებიან ჩამობნელებულ გზებს, რომლის ყოველი მილიც აღნიშნულია, ხვალ ბევრი აქვთ საქმე; წამოაგონდა, ჯერ კიდევ გუშინ საღამოს, როდესაც ასე გაიფიქრა, რა ცარიელიაო მოედანი, მაგრამ ყური მიუგდო, სულაც არ იყო ცარიელი: კვირა საღამოა, მაგრამ ეს მდუმარება კვირისმიერი არ უნდა ყოფილიყო, მართლაცდა, ასეთი მდუმარება არ იცის საღამოს, სამუშაო დღეს და მით უმეტეს კვირა საღამოს, და სწორედ ეს საღამო ამიტომაა კვირის, რომ უკვე აღბეჭდილი იყო კალენდარზე, შერიფს ლუკასი ციხეში მოუყვანია; ხოლო ამ სიცარიელეს მაშინ დაერქმევა სიცარიელე თუ არც არავინაა და უდაბური შექმნილა საბრძოლოდ დაწყობილი არმიის წინაშე, ანუ ასევე შეგვიძლია მშვი-

დობიანი დავარქვათ დენთის საწდაფში შესასვლელს, ან კაშხლის ქვეშ მოქცეულ წყალს — ეს მოლოდინის გრძნობა კი არ იყო, არამედ ზეობისა, ხალხი კი არ იყო აქ — ქალები და ბალღები — არამედ ბრბო მამაკაცებისა, რომლებიც იმდენად პირქუშნი კი არ ჩანდნენ, უფრორე გონებადაუნჯებულნი, დაძაბულნიც არ გახლდნენ, გულმშვიდნი, გულმშვიდად სხედან, სულ ცოტას ლაპარაკობენ და ისიც სადღაც, უკანა ოთახებში, სააბაზანოებში, სადალაქოებშიაც სიჩუმეა, საბილიარდოს უკანაც, სადაც უამრავი ყუთი დგას გამაგრილებელი სასმელებით, იატაკზე კი ბევრი ცარიელი არყის ბოთლია, ყველგან ნახავთ მათ, მაღაზიების საწყობებშიც, გარაჟებშიც, ფარდაჩამოშვებულ სარკმლებიან კანტორებშიც, რომელთა მფლობელები, აგრეთვე მაღაზიებისა და გარაჟების მეპატრონეები, თანახმა არიან უგულვებელჰყონ თავიანთი სამსახური და მიჰყვნენ თავიანთ მოწოდებას, კი. არ მოელიან იმ მოვლენებს, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ წუთს მოხდეს, არამედ იმ წამის დადგომას უცდიან, როდესაც თითქმის თავისდაუნებურად თავად შექმნიან მოვლენას, მოიხელთებენ და მოართმევენ კიდევაც ამ წამს, რომელმაც ექვსი, თორმეტი თუ თხუთმეტი საათი კი არ დააგვიანა, არამედ უბრალოდ იყო გაგრძელება იმ წამისა, როდესაც ტყვიამ ვინსონ გოური დასცა და ამ წამებს შუა არც არა დრო იყო და შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ უკვე სულაც მკვდარი გახლდათ, რადგან ის მომკვდარა სწორედ იმ წამს, როდესაც სიცოცხლის უფლება დაკარგა, ხოდა, იმათ ესღა დარჩენიათ, იხილონ თუ როგორ დაიწვავს ეს კაცი თავს და ამაღამვე უნდა მოიხსენიონ, რადგან ხვალ ყველაფერი მორჩება, გათავდება, ხვალე კი რასაკვირველია, მოედანი გაიღვიძებს, გამოცოცხლდება და გავა კიდევ ერთი დღეც, გამოფხიზლდება და სულ მალე თავსლაფსაც მოიცილებს, ასე რომ უკვე შაბათს მთელი ოლქი ერთად შეიკვრება, აყაყანდება, აგუგუნდება და სულაც უარყოფს იმ მომენტს თავისი არსებობისას, როდესაც შეიძლება შემცდარი იყვნენ, ასე რომ იმას არც კი დასჭირდებოდა თავისთვის შეეხსენებინა, თუმც მდუმარეაა გამეფებული ქალაქში, ის არ მომკვდარა, არც გაუდაბურებულა, უბრალოდ უკან დაიხია, რათა შინაურულად გაეკეთებინათ ის, რისი გაკეთებაც მხოლოდ შინაურულად შეიძლება, ვინმეს დაუხმარებლად, ანუ ჩაურევლად და (მადლობელი ვარ თქვენი) რჩევა-დარიგების გარეშეც, სამ მოხალისეს, ერთ თეთრ ბერიქალს და ერთ თეთრსა და ერთს შავ ბალღს სააშკარაოზე გამოეჭენებინათ კაცისმკვლელი, რომელმაც ლუკასი იფარა, ხოლო თავად ლუკასმა და ოლქის შერიფმა სულაც დაიჭირეს ის, და უკანასკნელად ასე მოაგონდა: ბიძიას წინაში იდგა ნოხზე ფეხშიშველი ნახევარი საათის წინ და ორივე ხელით ლილებშეუკრავ პერანგს ჩასჭიდებოდა, იმის საუბარს ისმენდა, და მაშინაც, როდესაც თერთმეტი საათის წინ იმ სამლოცველოსკენ მიმავალი უკანასკნელი ფერდობი აიარეს, ათასგზისაც ჰქონდა მოსმენილი და ყველაფერს გებულობდა, იმახსოვრებდა: — **ლუკასს კი არ უნდა**

დაცვა, არც შეერთებული შტატების კავშირს არამედ შეერთებულ შტატებს ჩრდილოელი, აღმოსავლელი და დასავლელი მომხდურებისგან, რომლებიც დიდებული მოტივებითა და განხრახვითაც (შეიძლება ასეც ვთქვათ) ცდილობენ იმის გათიშვას სწორედ იმ დროს, როდესაც არც ერთი ხალხი არ შეაგდებს სასწორზე თავს და არ მოიწადინებს გათიშვას ფედერალური კანონებისა და ფედერალური პოლიციის მეშვეობით, ლუკასის სამარცხვინო ყოფისგან დახსნას ვგულისხმობ, შეიძლება ისეც იყოს, სადაც არ მივალთ, სულ ერთი, ათასი სამხრეთელისგან ერთიც არ იქნება, ვისაც ჭეშმარიტად სწყინს ან ჭეშმარიტად ადარდებს ეს ყოფა, მაგრამ ამ ხალხში ყოველთვის როდის მოიძებნება ვინმე, ვინც, რაც უნდა იყოს, ლუკასის ლინჩს მოინდომებდა, მიუხედავად ამისა, ეს ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტი და პლუს ის ერთიც, რათა მთლიანად ათასი გახდეს, უთუოდ წინ აღუდგებიან (ის ერთი— ლინჩისმქმნელიც) იმ უცხოელს, ვინც აქ მობრძანდება და იმის დაცვასა თუ დასჯას მოისურვებს; თქვენ შეგიძლიათ მითხრათ (ჩაიცინოთ და ისე), კარგად უნდა იცნობდეთ სამბოს, რაკი ასე გულმშვიდად ვარაუდობთ იმის პასიურობასო, მე კი ასე გიპასუხებთ, სულაც არ ვიცნობ მე იმას და ჩემის აზრით, არც თეთრთაგან რომელიმეს; მაგრამ მე ვიცნობ სამხრეთელ თეთრ კაცებს, არა მარტო იმ ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტს, არამედ იმ ერთსაც, რადგან ისიც ჩვენთაგანია და უფრო მეტიც, ასეთი მხოლოდ სამხრეთში კი არ არსებობს, და თქვენ დაინახავთ, რომ არა მარტო ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამბო შეკრულა ერთი მუჭა სამხრეთელი თეთრი კაცების წინააღმდეგ, არამედ ეს არის ქაღალდით განმტკიცებული შეთქმულება თეორეტიკოსების, ფანატიკოსებისა და საკუთრივ დაქირავებული შურისმაძიებლებსა და კიდევ პლუს ბევრნი სხვანიც არიან დაცილებულნი მრავალი მილის იქით, რათა პრინციპულად წინააღუდგნენ და რიცხობრივად აჯობონ კიდევაც ასე შედუღაბებულ სამხრეთს, რომელსაც უხდებოდა სამარქაფო ძალის მოხმობა თქვენივე ზურგიდან, თქვენი შიდა მხრიდან კი არა, მშვენიერი ქალაქებიდან, რომლებიც თქვენი კულტურის სიამაყეა, ჩიკაგოებიდან, დეტროიტებიდან და ლოს ანჯელესებიდან, ყველგან სადაც კი ცხოვრობენ ბრიყვები, რომლებსაც შიშის ზარი აქვთ ყველანაირი კანის ფერისა და ცხვირის მოყვანილობისაც, გარდა საკუთარისა, რომლებიც ინდიელებს, ჩინელებს, მექსიკელებს, კარიბის კუნძულელებს, ებრაელებს ანთხევენ იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ნარევი სიძულვილის, შიშიანობისა და სიკეთის, ხოდა თქვენ მძლავრობთ ჩვენზე, უფრო სწორად იმ ერთზე, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ პირველ ათასეულში და მეორე ათასეულის ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტში, ვინც ვერ შეეგუა ლუკასის სამარცხვინო მდგომარეობას და ლამობს იმის გაუმჯობესებას და ასე იქნება მანამ (თუმც ხვალეო, ამას ვერ ვიტყვით), სანამ ამ იმის მდგომარეობას ბოლო არ მოეღება და თუ სრულიად ვერ დაივიწყებენ, არც მოიგონებენ ასეთი გულისტკივილით, რადგან ლუკასისთვის სამართლიანობა ის არის, რაც ჩვენ იმას მივუბოძეთ და არა ის, რაც

ძალით წაგვგლიჯეს და თავს მოახვიეს ხიშტების მეშვეობით, და ამისდა კვალად იძულებული ვხდებით მოკავშირეებად გავიხადოთ ისინი, რომლებიც სულაც არ გვეხატებიან გულზე და მივყოთ ხელი დაცვას იმ პრინციპებისას, რომლებსაც თავადვე უარვყოფთ და გვზარავს, ჩვენა ვართ იმ დღეში, რომელშიც აღმოჩნდა გერმანია 1933 წლის შემდეგ მაშინ აქ ასეთი არჩევანი უნდა გაეკეთებინათ, ან ნაცისტები, ან ებრაელების მეუფება, ანდა თუნდაც დღევანდელი რუსეთი ავიღოთ* (საერთო ევროპელებიც, თუ გნებავთ) არც აქაა ბევრი არჩევანის საშუალება, ან კომუნისტებს უნდა დამორჩილდნენ, ან უნდა დაიხოცონ, მხოლოდ ეს განსხვავებაა, ჩვენ თავად უნდა ვქნათ, ვინმეს დაუხმარებლად და ჩაურევლადაც (გმადლობთ, ბატონო) და ყოველგვარი რჩევა-დარიგების გარეშეც, რადგან ჩვენღა შეგვიძლია მოვახერხოთ ლუკასის თანასწორუფლებიანობა უფრო მეტი რამ იყოს, ვიდრე შინაპატიმრობა მიღმა იმ აუღებელი ბარიკადებისა, რომელიც აღმართეს 1861—65 წწ. გამარჯვებულთა მემკვიდრეებმა, ხსენებულმა გამარჯვებამ, შესაძლოა, ჯონ ბრაუნზე უფრო მეტადაც მოამწყვდია ჩიხში ლუკასის თავისუფლება, მართლაცდა, აგერ უკვე თითქმის ასი წელიწადია გასული, რაც ლი მოწინააღმდეგეს დანებდა და თქვენ მაინც ამას გაიძახით, ლუკასი არ უნდა ელოდოს იმ ხვალეს, რადგან არც არასდროს დადგება ეს ხვალე, რადგან თქვენ არამცთუ არც არაფერი შეგიძლიათ, არც გსურთ. თქვენ მხოლოდ ამის გამეორება ძალგიძთ, თქვენ ვერ იზამთ ამას. და ასე გეუბნებით, მობრძანდით და გვნახეთ, ვიდრე რამეს გადაწყვეტდეთ, თქვენ კი ასე გვპასუხობთ, არა, გმადლობთ, ისე ჰყარხართ, ველარ გავჩერდებით აქ. ჩვენ კი ასე ვამბობთ, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ნახოთ ის ძაღლი, რომელიც გინდათ სახლის მოსვრას გადააჩვიოთ, ის ხალხი, რომელიც არეულობას მოუცავს და ისტორია გვიჩვენებს, არეულობა დაკნინებისა

---

* „ნეშტის შემბილწველი" დაწერილია 1948 წ. ჩვენის აზრით, აქ საჭიროა ფოლკნერის გმირის პირით წარმოთქმული ამ პასაჟების ინტერპრეტირება. რაღა თქმა უნდა, ფოლკნერი რასიზმის წინააღმდეგია, ამას თუნდაც ეს მისი თხზულებაც მოწმობს, მაგრამ ამავე დროს იგი წინააღმდეგია ამ პრობლემის მოგვარებისა ძალადობის გზით. ერი თავად, ყოველგვარი მიმძლავრების გარეშე, უნდა ამაღლდეს და სძლიოს თავის სულში დავანებულ ბნელ ძალებს. მხოლოდ ასეა შესაძლებელი ადამიანის უფლებათა ამა თუ იმ ურთულესი პრობლემის გადაჭრა. ფოლკნერი ამ შემთხვევაშიც წარმოგვიდგება როგორც ჭეშმარიტი დემოკრატი და ჰუმანისტი, რადგან, მისი შეხედულებით, ყოველგვარი, თუნდაც უმშვენიერესი იდეა, რომელიც ძალადობით უნდა განხორციელდეს, ყოველთვის განწირულია და საშინელი ბოროტების, მასობრივ მკვლელობათა საფუძველი და გამართლება ხდება.

აშშ-ის უახლესი (1960—1990 წწ.) ისტორია კარგად გვიდასტურებს ფოლკნერის ამ სიბრძნეს. ამ ქვეყანაში რასიზმი, მართალია, სრულიად არაა აღმოფხვრილი, მაგრამ ძალზე შესუსტებულია სწორედ ამერიკელთა შინაგანი, სულიერი ზრდისა და სრულყოფილების მეშვეობით **(მთარგმნელის შენიშვნა).**

და გადაგვარების საწინდარია. თქვენ კი ასე განაცხადებთ, შეიძ-ლება დავიღუპოთ ამ ჰუმანურობის სახელით და ჩვენ კი ასე ვუპა-სუხებთ, წარიხოცება ყოველი გარდა ამ ნაცვალსახელის და ზმნისა, მაშინ კი რაღა იქნება ლუკასის ჰუმანურობის ფასი და მიტრიალდა, გაიქცა, გადაჭრა პატარა, ჩამკვდარი და გამოცარიელებული უბანი, იმ კუთხეს მიატანა, საიდანაც ბიძიამ გზა განაგრძო, აღარ დაუცადა, ისე, ისიც მოჰყვა და შერიფის მანქანამდე მივიდნენ, დაინახეს შერიფი და ლუკასი, ბნელი ეზოთი იმათკენ მოდიოდნენ, წინ შერიფი და ხუთი ნაბიჯით უკან ლუკასი, აუჩქარებლად, თუმცა კი მტკიცედ, არც არავის ემალებოდნენ და არც მერყეობა ეტყობოდათ, სწორედ ისე, როგორც ორი საქმიანი კაცი, რომლებიც თუმც არ აგვიანებენ, მაგრამ აღარც დრო აქვთ დასაყოვნებლად, ჭიშკარი გამოიარეს, მანქანას მოაშურეს, შერიფმა უკანა კარი გამოაღო და ასე თქვა:

შედიო, ლუკასი შეძვრა, შერიფმა კარი მიუკეტა, წინა გამოაღო, დაიხარა, ხვნეშა-ხვნეშით დაჯდა, ჭრიალი მოიღო მანქანამ, გასაღები გადაატრიალა, ძრავა აამუშავა, მისი ბიძია სარკმელთან იდგა და ორივე ხელით იმის კიდეს ჩასჭიდებოდა, თითქოსდა ამას ფიქრობდა, თუ უცებ ასე გაუელვა თავში, მანქანას შევაჩერებო, ამოთქვა ის, რასაც თავად ფიქრობდა ამ ოცდაათი, თორმეტი წუთის წინ.

— თან ვინმე წაიყვანეთ.

— მიმყავს, — მიუგო შერიფმა, — დღეს ხომ სამგზის ვიმსჯელეთ ამის შესახებ.

— ერთი ხართ, რაც უნდა იყოს, თუნდაც რამდენიმეჯერაც გქონდეთ ლუკასი მითვლილი, — უთხრა ბიძიამ.

— ჩემი პისტოლეტი მომეცით, — თქვა ლუკასმა, — და მაშინ არც აღარავის მითვლა დაგჭირდებათ. მეც საკმარისი ვიქნები, — და მან ასე გაიფიქრა, შეიძლება რამდენჯერმე აქვს შერიფს ნათქვამი მისთვის, შენი ხმა არ გავიგონოო, და იქნებ ამიტომ შერიფმა აღარაფერი უთხრა, უეცრად მძიმედ და ნელინელ, ხვნეშა-ხვნეშით შემოტრიალდა ეს კაცი, ლუკასს გამოხედა და საწყლად ჩაილაპარაკა:

— ამდენი დავიდარაბის შემდეგ, რაც იმ შაბათ დღეს გადაგხდა, როდესაც პისტოლეტით ჯიბეში ათიოდე ნაბიჯის იქით იდექი, სადაც საღსალამათი გოური იდგა, ახლა კიდევ როგორ გინდა იმას გაეკარო და თავიდან დაიწყო ყველაფერი. ჩუმად იყავი და ხმა არ ამოიღო. და როდესაც უაიტლიფის ხიდს მივუახლოვდებით, მანდ ჩაიმალე და **ხმა აღარ ამოიღო-მეთქი გესმის ჩემი თუ არა?**

— მესმის, — მიუგო ლუკასმა. — მაგრამ ჩემი პისტოლეტი რომ მქონდეს...

მაგრამ შერიფი უკვე ბიძიასკენ იყო მიტრიალებული.

— რამდენჯერაც არ უნდა მიითვალოთ კროუფორდ გოური, სულ ერთია, ისიც მაინც ერთია, — და მერე ასევე განაგრძო რბილი მფშვინავი, ძლივსგასაგონი ხმით, თითქოსდა ბიძიას იმ კითხვებზე პასუხობდა, ჯერ რომ არ ჰქონდა იმას ამოთქმული, — ვინ უნდა წაიყ-

ვანოს თან? — და იმანაც გაიფიქრა ეს, რაკი გაახსენდა ასფალტზე გააფთრებული მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანების ბორბლების გაუთავებელი ღრჭიალი, ყველა ერთბაშად მოსწყდომოდა ადგილს და ზათქითა და გრუხუნით გაეწიათ თავის საშველად ამ ოლქის აღუნიშნავი არემიდამოებისკენ, ყოველი მიმართულებით გარდა ერთი პატარა კუნძულისა, რომელიც მეოთხე უბანშია და ეძახიან კალედონიურ სამლოცველოს, იმ საცხოვრისს მიელტვიან, სადაცაა ძველი, მამაპაპისეული კერა, სახლები, სადაც ტრიალებენ ქალები და უფროსი ასულები, ბავშვები, რომლებიც ძროხას წველიან და შეშას სჭრიან, თადარიგს იჭერენ ხვალე დილისთვის, პატარებიცაა აქვე და ხელში ფარანი აქვთ მომარჯვებული. მამაკაცები და უფროსი ვაჟები ჯერ ჯორებს აჭმევენ, მოსახნავად ემზადებიან სახვალიოდ და შემდეგ აივნებზე შემოსხდებიან შებინდების ხანს ვახშმობის მოლოდინში: თხაწველიები, ღამე, ჟამი ძილისა, და თითქოსდა ხედავდა კიდეც (ის მონუსხული კაცისმკვლელი, კროუფორდ გოური კი შეიძლება გაჩნდეს იქ, სადაც მოსწვდება ის წაჭრილი ხელი — კროუფორდიც ხომ გოურია და თუმცა თავადაც ეთანხმება შერიფის აზრს, რას გაბედავსო — და ახლა მიხვდა, თუ რატომ გადარჩა ლუკასი ცოცხალი ფრეიზერის დუქანთან იმ შაბათ დღეს, იმას თავი დავანებოთ, ხელს რაღას ახლებდნენ ციხესთან, შერიფის მანქანიდან გადმომავალს, ცხადია, გოურებმა კარგად იცოდნენ, ის უბრალო იყო და დროის გაყვანა უნდოდათ, ელოდებოდნენ, რომ ვიღაც სხვა, ჯეფერსონის მკვიდრი გამოათრევდა იმას ქუჩაში. ასე წამოაგონდა — რაღაც სირცხვილის ალმა გადაჰკრა სახეზე ცისფერჭერანგიან, მუხლებმოყრილ ბერიკაცს, რომელმაც გახევებული ხელით ქვიშა მოაცილა მიცვალებულის განაცრისფერებულ ლოყებს, ახლა კი იცის, რაც უნდა გამძვინვარებული ყოფილიყო ის მოხუცი კაცი მეორე დღეს, იმ წუთას არ ჰქონდა ლუკასის ჯავრი, თავის ვაჟიშვილს დაჰფოფინებდა), საღამო ხანია, სასადილო ოთახში შეიძლება კვლავ მოგროვებულა შვიდი მამრი გოური, ამ სახლში უკვე ოცი წელია ქალი არ გაჭაჭანებულა, ფორესტი ჩამოსულიყო გუშინ გასვენებაში ვიკსბერგიდან და იქნებ იმ დილასაც იქ იყო, როდესაც შერიფმა კაცი გამოუგზავნა მოხუც გოურის, სამლოცველოსთან დაგიცდიო, ლამპაა მაგიდის შუაგულში, იმის გარშემო შაქრით გასვრილი ფინჯნები, ბადაგი დოქით და კეტჩუპი, მარილი, ეტყობა რომ ახალი მოტანილია დუქნიდან, რადგან იარლიყები არც კი მოსცილებიათ, სუფრის თავში ის ბერიკაცი ზის მაგიდასთან და თავისი ერთადერთი ხელი დაუდვია ვეებერთელა პისტოლეტზე, განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს და თავადაც სიკვდილით დასჯის გოურის, რომელმაც ხელი აღმართა თავის სისხლსა და ხორცზე გოურიზე, ძმა მოაკვდინა, მერე კი გზა შავბნელი და მანქანა (ამჯერად არც არავისთვის წაურთმევიათ, რადგან ვინსონს ჰყავდა სულ ახალი, დიდი და მძლავრი სატვირთო მანქანა მორების გადასაზიდად და საქონლის გადასაყვანად), საჭესთან სწორედ ეს ტყუპისცალი ზის

და იქნებ ისე ეხეთქება სხეული მანქანის ძარაზე, როგორც მძიმე ჯაჭვებით დამაგრებული კუნძი. სწრაფად წამოვიდნენ, უკან რჩებათ ის კალედონიური სამლოცველო და მეოთხე უბანი, მოშავბნელებულ და ჩუმ, მომლოდინე ქალაქს მოატანეს, შეუჩერებლივ მიექანებიან შერიფის სახლისკენ და მალე შერიფის აივანზე ზღართანს მოადენს სხეული, შეიძლება ის სატვირთო მანქანა იქვეა, სანამ გოურების მეორე ტყუპისცალი ზარს რეკავს.

— კროუფორდის დარდი ნუ გაქვთ, — ამბობს შერიფი, — მე არას მერჩის. არჩევნებზე ის მე მაძლევს ხმას. მისი უბედურება ის არის, უფრო მეტის მოკვლა მოუხდა ვიდრე ჩაფიქრებული ჰქონდა, ჯეკ მონტგომერი გავიხსენოთ. თავიდან კი ეს აწუხებდა მხოლოდ, ვინსონს არ გაეგო, რომ შეშას ჰპარავდა იმასა და ბიძია სედლი უორკიტს, მანქანის საფეხურზეც რომ ამოხტეს, სანამ რამეს მოვასწრებდე, მაინც ერთი ან ორი წამი უნდა გავიდეს, კარის გაღება ხომ უნდა სცადოს, რათა დაინახოს რომელ მხარეს ზის ლუკასი — ოღონდ იმ პირობით, ლუკასი სწორედ ისე უნდა მოიქცეს, როგორც მე ვუთხარი, მგონია, კი იზამს ამას თუ სიცოცხლე არ მობეზრებია.

— კი ვიზამ, — უთხრა ლუკასმა, — მაგრამ ის ერთი ჩემი...

— კარგი, — მკაცრად მიუგო ბიძიამ, — თუკი ის იქ მობრძანდება...

შერიფმა ამოიხვნეშა, თქვენ ხომ შეუთვალეთო იმას.

— შეძლებისდაგვარად, — თქვა ბიძიამ, — როგორც მოვახერხე, ისე შეუთვალე, რათა მკვლელი და პოლისმენი ერთმანეთს შეხვედროდა, და იმას, ვინც იმას გადასცემდა, არც უნდა სცოდნოდა მკვლელს რომ მიმართავდა, რაც უნდა იყოს, მკვლელი როგორ დაიჯერებს, მე მომმართავენო, აზრადაც არ მოუვა ეს ამბავი.

— კარგი, — უთხრა შერიფმა, — ან მოუვა ეს ამბავი, ან არა, ან დაიჯერებს ამას, ან არა, ან უატლიფის დაბლობში დაგვიცდის, ან არა, და თუ არა, მე და ლუკასი შარაგზაზე გამოვალთ და ქალაქს დავბრუნდებით. — ჩართო და ისევ გამორთო ძრავა, მერე ფარნის ღილაკს მიაჭირა თითი. — მაგრამ ის შეიძლება იქ იყოს. მეც შევუთვალე იმას.

— რაო, — ჩაეკითხა ბიძია.—ეს რაღად ჰქენით ბ-ნო დავიდარაბავ?

— მე ვთხოვე მერს გაეშვა უილ ინგრემი, რათა იმან ისევ შეძლოს ვინსონის გაცილება კვლავ, ამ საღამოს, ხოდა, უილი წავიდოდა, მე ვუთხარი საიდუმლოდ, ლუკასს ჰოლიმაუნტს წავიყვან, იმ ძველ უატლიფის არხზე გადავატარებ და ლუკასი შეძლებს ხვალ ჩვენება მომცეს ჯეკ მონტგომერის საქმეზე. ესეც გადავუკარი უილის, უატლიფზე ჯერ სამუშაო არ დაუმთავრებიათ და მანქანა ძლივს-ძლივს ივლის იქ, ისიც ვუთხარი, სიტყვა არ დაძრა იმაზე ვინმესთან-მეთქი

— ჰოო, — თქვა ბიძიამ, ჯერ კიდევ ისევ კარის ჩარჩოს იყო ჩაჭიდებული, — ვისზეც არ უნდა იყოს მიწერილი ცოცხალი ჯეკ მონტგომერი, ის ახლა იოკნაპატოფას ოლქის საკუთრებაა. მაგრამ ჩვენ

ხომ, — სწრაფად დასძინა მან და როგორც იქნა კარს ხელი გაუშვა, — ჩვენ ახლა მკვლელი გვჭირდება და არა ადვოკატი... კარგი, — თქვა მან, — რად აღარ მიდიხართ?

— მივდივართ, — მიუგო შერიფმა, — თქვენ კი თქვენს კანტორაში ადით და მისს იუნისს მიხედეთ, ჩაივლიდა იქ უილი და შეეძლო დაენახა ის ქალი, ხოდა, ვაითუ თქვენზე ადრე მივიდნენ უაიტლიფის ხიდთან იმ პიკაპით.

ხოდა, **მოედანზე** არიან ახლა ისინი, ის კუთხე გაიარეს, სადაც პიკაპი იდგა ცარიელი ცხვირით ცარიელი მოედნისკენ მიტრიალებული, გრუხუნი და ჭრაჭუნი მოიღო კიბემ, ვიდრე კანტორის ღია კარს არ მიატანა, შევიდა და გაიფიქრა, არ გაოცებულა, ისე, შეიძლება იქ არის ერთადერთი ქალი, ვისაც კი ის იცნობდა, რომელიც ნათხოვარი გასაღებით გააღებს კარს, მერე გასაღებს გამოაძრობს და იქ კი არ დადებს, სადაც მოხვდება, უკანვე ხელჩანთაში ან ჯიბეში ჩაიდებს არც მაგიდასთან რომელიმე სავარძელში მოკალათდება, სარგადაყლაპულივით დაჯდება თავისთვის თავზე შლაპა დაკოსებული, ამჯერად სხვა კაბა აცვია, თუმცა კი ძალიან ჰგავს წუხანდელს, ხელჩანთა იგივე, მუხლებზე უდევს, იმაზე კი თვრამეტდოლარიანი ხელთათმანები, იმისი ოცდაათდოლარიანი უქუსლო ფეხსაცმელი იატაკსაა მკვიდრად დაბჯენილი ერთი მეორის გვერდით იმ სკამის წინ, რომელიც ყველაზე უფრო მაგარი და უხეშნახელავია ამ ოთახში და კართან ახლოს დგას, ამ სკამზე არც არავინ ჯდებაა, თუნდაც აუარება ხალხი იყოს კანტორაში მისული, მხოლოდ მაშინ გადაჯდა მაგიდასთან სავარძელში, როდესაც ბიძია აღარ მოეშვა; ორი წუთი ეხვეწებოდა, ორი ან სამი საათი მოგიხდებათ აქ ყოფნა, რადგან როცა აქ შემოვიდნენ, გულზე მიბნეული ოქროს საათი გახსნა და დახედა, და როგორ ჩანს, ასე გაიფიქრა, შერიფმა უკვე რახანია მოიყვანა კროუფორდ გოური, იქნებ ციხეში ჩასვაო კიდეც; მერე ის, ჩვეულებისაებრ, იმ სკამზე დაჯდა, იქ, სადაც წყლის გამაგრილებელი ჭურჭელი დგას და ბოლოს ბიძიამ ის თავისი სიმინდის ტარიანი და თიხის თავიანი ჩიბუხი გააჩალა და საუბარი განაგრძო, კვამლს იქიდან კი არა, კვამლში, კვამლის მეშვეობით:

— როგორ მოხდა ასე, რადგან ჩვენც ხომ რაღაც-რაღაცები ვიცით, თუნდაც ლუკასს ბოლოს არ მოეთხრო ჩვენთვის, ფხიზლად იყო ქორივით თუ უცხოელი ჯაშუშივით, რათა არ წამოსცდენოდა რამე, მაშინ ყველაფერი აიხსნებოდა და თავადაც გადარჩებოდა, ვინსონი და კროუფორდი შეამხანაგებულები იყვნენ და ხე-ტყეს ყიდულობდნენ იმ ბერიკაკისგან, ვინც ქ-ნ გოურის ყვავის-ბუის მამიდაშვილი უნდა ყოფილიყო. კიდევაც ფასზე მოურიგდნენ მოხუც სიდლის, რა უნდა მიეცათ კუბურ მეტრ ხის მასალაში, მაგრამ ანგარიშსწორება მორების გასაღების შემდეგ უნდა მომხდარიყო, ჯერ უნდა სულ დაეხერხათ, გაეტანათ და ა. შ. ხოდა, ამის მერე მისცემდნენ ფულს მოხუც სიდლის, სახერხის პატრონს და იმის შემნახავს, აქვე, ორი მილით და-

ცილებული ცხოვრობდა მოხუცი სედლის სახლიდან, ერთი ნაფოტიც არ უნდა გაეტანა, სანამ სულ არ დახერხავდნენ. და თუ მერე რა მოხდა, ვერ გავიგეთ, სანამ ჰემპტონმა კროუფორდი არ დაიჭირა, ისე იყო ყველაფერი, როგორც უნდა ყოფილიყო, თუ არა და მაშინ რაღატომ შეიწუხეთ თავი და რად ამოთხარეთ ჯეკ მონტგომერის გვამი ვინსონის საფლავიდან? და ყოველთვის, როცა კი ამაზე ვფიქრობ, მახსენდება, თქვენ სამნი, უკანვე გორიდან ეშვებით და სწორედ იქ ამოჰყოფთ თავს, სადაც თქვენგან ორმა გაიგონა, ერთმა კი დაინახა კიდევაც ის კაცი, ვინც უკვე ჯორზე გადაკიდებული გვამით მიიძურწებოდა და უეცრად მიხვდა, უარი უნდა ეთქვა თავდაპირველ გეგმაზე, ფაცაფუცით ისე ჰქნა, რომ უკვე ექვსიოდე საათის შემდეგ, როდესაც ჰემპტონთან ერთად იმ სამარესთან მივედით, იქ აღარაფერი იყო...

მაგრამ იმას უარი ხომ არ უთქვამს, თქვა მისს ჰებერშემმა.

— რაო? — მიუგო ბიძიამ, — ... რას ვამბობდი? ჰო, დიახ... ხოდა, ერთხელ ლუკას ბიჩემპს, ჩვეულებისამებრ, ღამით სეირნობის დროს რაღაც ჩაესმა თუ რაღაც დაინახა ან იქნებ რატომღაც მოისურვა იმ არემიდამოში გასეირნება, გასეირნება სწორედ იმ ღამით და რას ხედავს, ნაცნობი სატვირთო მანქანა. მორებს ტვირთავენ იმაზე ბნელში, იმისთვის კი, ყველამ ასე იცოდა ირგვლივ, ხელი არ უნდა ეხლოთ, სანამ სულ არ დახერხავდნენ, სახერხს არ დახურავდნენ და მუშტარს არ ნახავდნენ, ამას კი როდის იზამდნენ ვინ იცის, და ლუკასი უთვალთვალებდა და ყურს უგდებდა, შეიძლება კროსმენის ოლქშიაც კი ჩასულა, გლაზგოსა და ჰოლიმაუნტს, იქ კი გაიგებდა, სად და რად გააქვთ ხე-ტყე ყოველღამე, ცოტ-ცოტა, იმდენი არა, რომ მიმხვდარიყვნენ (და ერთადერთი, ვინც ყოველდღე მიდიოდა იქ ან დაინტერესებული იყო მაინც, თუ როგორ იყო საქმე, ეს კროუფორდი გახლდათ, ვინც თავისი და თავისი ძმის სახელით მოქმედებდა და კიდევ ის ბერიკაცი, ხეების მფლობელი, ამისდ კეალად, მზა მასალისაც, ამათ კი შეეძლოთ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მოესურვებოდათ, ერთი იმათთაგანი მთელი დღეები ოლქში დადიოდა და დამში მოჰყავდა თავისი საქმეები, მეორე კი რევმატიზმით გატანჯული ბებერი კაცი, ნახევრად დაბრმავებულიც და ვერც მიხვდებოდა ვერაფერს თავისი სახლიდან ამ სიშორეზე რომც წამოსულიყო, ხოლო იმ სახერხზე ვინ არ მუშაობდა, თითქმის ყოველდღე იცვლებოდნენ და რომც სცოდნოდათ, ვინ დადიოდა აქ ღამღამობით, არაფერს არ იტყოდნენ, ოღონდ კი თავიანთი ჯამაგირი მიეღოთ ყოველ შაბათ დღეს), ხოდა, რასა იქს ის ბერიკაცი, უთვალთვალებს და შეიძლება ჯეკ მონტგომერის შესახებაც გაიგო რაღაც-რაღაცები, თუმცა ლუკასმა ჯიკის შესახებ რაღაც-რაღაცეები რომ გაიგო, ის ვერ შეეწყლოდა საქმეს, ოღონდ ამ კაცის სიკვდილმა და ვინსონის სამარეს მოხვედრამ სიცოცხლე შეუნარჩუნა ლუკასს. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ჰოუპმა მიამბო, ლუკასს რაღაც-რაღაცები ვათქმევინეო ბოლოსდა-

ბოლოს, იმ დილით, თუ გახსოვს, უილ ლიგეიტმა ლუკასი ციხიდან გამოიყვანა და ჩვენ ყველანი შენსას მივედით, ყველაფერი ჩემთვის მაშინ ცნობილი მაინც არ იყო, მხოლოდ ნაწილი, რადგანაც იმასვე გეუბნები, რასაც იმ განთიადს, როდესაც ყველანი მოხვედით, გამაღვიძეთ და ჩიკმა იგივე გამიმეორა, ლუკასმა რომ უთხრა იმ პისტოლეტის შესახებ, ვინსონი კი რაღატომ? ქურდობის მოწმის მოსაცილებლად კროუფორდს ვინსონის მოკვლა რამ მოაფიქრაო? მაგრამ ისე არ მოხდა, რაღა თქმა უნდა, რადგან ლუკასი მაშინვე უნდა მომკვდარიყო, როგორც კი პირველმა თეთრმა კაცმა დაინახა ვინსონის გვამთან დაყუდებული, ჯიბიდან კი პისტოლეტის ტარი მოუჩანდა, მაგრამ საკითხავი ის არის, ასე უცნაურად მოაკვდინეს თავისი სისხლი და ხორცი? ხოდა, კი გვქონდა ჩვენ ლუკასთან სალაპარაკო, პირდაპირ ჰემპტონისას მივედი ნაშუადღევს, იმის სამზარეულოში მაგიდის ერთ მხარეს იჯდა ჰემპტონის მზარეული და მეორეზე კი — ლუკასი, რომელიც მწვანილსა და სიმინდის კვერს შეექცეოდა თეფშიდან კი არა, ორგალონიანი ქილიდან. მე ვუთხარი:

„და იმან მოგისწრო... კროუფორდს არ ვგულისხმობ მე...“ ასე მომიგო:

„არა. ვინსონზე გეუბნებით. მაგრამ შეაგვიანდა, მორეებით დატვირთული მანქანა უკვე წასული იყო, შუქჩამქრალი გადგომოდა გზას და ამან მითხრა, ვისი არისო ის მანქანა? მე კი არაფერი არ მითქვამს“.

„კარგი, — ვეუბნები, — მერე კი რა მოხდა?“

„მორჩა, — თქვა ლუკასმა, — არც არაფერი“.

„რევოლვერი თუ ჰქონდა თან?“

„არ ვიცი, — მომიგო ლუკასმა, — კეტი ჰქონდა თან“, და მე ვუთხარი:

„კარგი, მიდი განაგრძე“, იმან კი თქვა:

„რა უნდა განვაგრძო, იდგა ის ერთხანს კეტმომარჯვებული და მერე მითხრა, ვისი იყოო ის მანქანა. არ მიპასუხია. მერე იმან დაუშვა კეტი, მიტრიალდა და წავიდა და მეტი აღარ მინახავს“.

„ხოდა, შენ აიღე შენი პისტოლეტი, — მე ვუთხარი, — და წახვედი“. იმან კი ასე მომიგო:

„არსადაც არ წავსულვარ. ჩემთან მოვიდა, მე კროუფორდზე ვეუბნებით ახლა. ჩემთან სახლში; მეორე დღეს საღამოს, ფული შემომაძლია, მითხარი ვისი იყოო ის მანქანა. ბევრ ფულს მაძლევდა, ორმოცდაათ დოლარს, მიჩვენებდა და მეუბნებოდა, მე კი ვუთხარი, დარწმუნებული არა ვარ, ვისი იყო ის მანქანა-მეთქი, იმან კი ასე მითხრა, ამ ფულს დაგიტოვებ, იქნებ დარწმუნდეო. დაბოლოს გადავწყვიტე, ხვალამდე დავიცდი — მაშინ პარასკევი საღამო იყო — შეიძლება გავიგო, ბ-ნმა ჯორკიტმა და ვინსონმა თავისი წილი ფული თუ მიიღეს-მეთქი იმ მორეებში“.

„რაო, — მე ვუთხარი, — მერე რა მოხდა?“

„მერე კი წავალ და ვეტყვი ბ-ნ უორკიტს, კი სჯობს-მეთქი...“

„გაიმეორე, — ვუთხარი, — ოღონდ ნუ ჩქარობ, ისე“.

„ვეტყვი ბ-ნ უორკიტს, კი სჯობს-მეთქი ხანდახან ის შენი მორეები დაითვალო“.

„ხოდა, შენ, ზანგის კაცი, უნდა მისულიყავი თეთრ კაცთან და გეთქვა, შენი ნათესავი ქალის ვაჟები გქურდავენო... თანაც მეოთხეუბნელი თეთრი კაცისთვის. თუ იცი რას გიზამდნენ?“

„რაღა უნდა ექნათ, — მომიგო მან, — რადგან სწორედ მეორე დღეს, შაბათს იმან ბარათი გამოგიგზავნა...“ და ახლა კი ხომ რაღაც უნდა მომეფიქრებინა იმ პისტოლეტის შესახებ, რაკი გოურიმ, როგორც ჩანს, იცოდა მისი არსებობის ამბავი, **ბარათში კი ასე ხომ არ ჩაუწერდა, იმ ნაქურდალში ფული მივეცი, კარგი იქნება თუ პირადად მობრძანდებით თქვენი პისტოლეტით და ნურც დაშალავთო ამას** თუ კიდევ რაღაც სხვა ამდაგვარი, ხოდა, მე ვუთხარი:

„პისტოლეტი კი რაღად გინდოდა?“ — იმან კი თქვა:

„შაბათი დღე იყო“, მე კი მივუგე:

„ჰო, ცხრა რიცხვი. პისტოლეტი კი რაღად გინდოდა-მეთქი“, და სწორედ მაშინ მივხვდი. ასე დავსძინე: „ვიცი, შაბათობით კარგად გამოეწყობი და ცხადია უპისტოლეტოდ გარეთ როგორ გამოხვალ, ის ბებერი კეროზერსი ასე შვრებოდა, სანამ იმას მოგცემდა“. იმან კი მითხრა:

„მომყიდდა“, ამაზე მე ვუთხარი:

„კარგი, განაგრძე-მეთქი“, იმანაც განაგრძო:

„... ხოდა, ბარათი გამომიგზავნა, დუქანთან შემხვდი, მხოლოდ...“ და ბიძიამ კვლავ ასანთს გაჰკრა, ჩიბუხი გამოაბოლა, კვამლში მელაპარაკებოდა, თითქოსდა თავად ის კვამლი სიტყვებად გარდასახულიყო, — მხოლოდ არც არასდროს მისულა იმ დუქანთან, კროუფორდი იმას ტყის პირას დახვდა კუნძზე მჯდომარე, ბილიკის ახლოს, კარგა ხანია ელოდებოდა, ლუკასი არც კი იქნებოდა სახლიდან გამოსული, ის რომ აქ მოვიდა და პისტოლეტზე გადმომიკრა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ლუკასს სალამს ეტყოდა ანდა იმას, ვინსონი და ბ-ნი უორკიტი კმაყოფილები არიან, ფული მიიღესო და სხვა ამდაგვარს. ხოდა, ასე გადმოუკრა: „თუკი საერთოდ ისვრის, არა მგონია რამეს მოარტყა“, დანარჩენი კი თქვენვე შეგიძლიათ თავად დაასრულოთ. ლუკასმა მიამბო, **კროუფორდმა ბოლოს ნაძლევი წაგო**, ნახევარი დოლარი, ლუკასმა თხუთმეტ ნაბიჯზე მოარტყა და იმიტომ. მისცა იმან ის ნახევარი დოლარი, მერე აქედან ორ მილზე დაცილებული დუქნისკენ გაეშურნენ. მოსული არ იყვნენ, რომ კროუფორდმა უთხრა ლუკასს, ბ-ნმა უორკიტმა ხელწერილი უნდა გამომიგზავნოსო, ფული აქვს აღებული იმ გაყიდულ მორებში, თავად ის, კროუფორდი, მოიტანს ამ ხელწერილს, ლუკასს შეეძლო საკუთარი თვალით დაენახა ის ქაღალდი, მე ვთქვი:

„ნუთუ შენ ეჭვიც კი არ აგიღია?“ მან კი მომიგო.

„არა. ჩვეულებისამებრ იგინებოდა და ილანძღებოდა“, და ახლა კი თქვენ თავად მიხვდებით, რაღა საჭიროა იმის მოჩხრეკა, თუ როგორ წაკიდებიან ერთმანეთს ვინსონი და კროუფორდი, არც ბევრი ფიქრი უნდა იმას, რა თქვა კროუფორდმა, რათა ძმას დუქანთან დაეცადა, მერე კი წინ გაუშვა, ბილიკზე, საკმარისია თუნდაც ასე ეთქვა ბისთვის: „კარგი. მე შენ ის მოგიყვანე. და თუკი არ გვეტყვის ვისიც იყო ის მანქანა, თავპირს დავამტვრევთ“. ამას არც აქვს რამე მნიშვნელობა, ესღა უნდა დავსძინო, მერე ლუკასმა ვინსონი დაინახა, დუქნიდან წამოსული ბილიკს მოჰყვებოდა. უფრო სწორად, მოიჩქაროდაო, როგორც ლუკასმა თქვა, გაოგნებული და გამძვინვარებული იყო, უფრო გამძვინვარებული უნდა ყოფილიყო და, რაღა თქმა უნდა, მოელოდა, რომ ლუკასი იტყოდა იმას, რაც უნდა ეთქვა, უნდა აეხსნა და აეწერა მისთვის, მაგრამ ვინსონს, ლუკასის აზრით, ლოდინი აღარ შეეძლო და არც კი შეჩერებულა, ისე მითხრა, გადაიფიქრე, აღარაფერს მეტყვიო... და აქ, ლუკასმა თქვა, რაღაცაზე ფეხი წამოიკრა და თავქვე დაენარცხა, მაშინღა გაახსენდა ლუკასს, სროლის ხმა რომ ჩაესმა და მიხვდა, ვინსონმა რაზეც ფეხი წაიკრა, ეს მისი ძმა კროუფორდი იყო, მერე კი, ასე თქვა ლუკასმა, ჯერ კიდევ მანამ, სანამ რამეს გავიგონებდი, ტყიდან გამოცვივდნენ და გარშემოეხვივნენო. მე ვუთხარი:

„მგონია, მაშინ კი მიხვდა, რა მაგრად წაიკარი ფეხი ვინსონზე, ბებერ სკიპუორტსა და ადამ ფრეიზერზე, ხომ ასეა“, — ყოველ შემთხვევაში მე ასე არ მითქვამს მისთვის, რატომ მაშინვე არ ავუხსენი-მეთქი ყველას და თავის მხრივ ასე არ მომიგო, ვისთვისღა უნდა ამეხსნაო, ასე რომ ყველაფერი კარგად მოგვარებულიყო, რაღა თქმა უნდა, მე ლუკასს არ ვგულისხმობ, კროუფორდს ვგულისხმობ, ვინც არა მარტო უბედური ბალღი იყო... და აქ ისევ, თუმცა ამჯერად კი იცოდა, რაც არის მისს ჰებერშემმა ჰქნა, თუ რა მოიმოქმედა ვერ იტყოდა, სიტყვა არ დაუძრავს, არც კი შეტოკებულა, ოღონდ გაქვავებული იყოო, ამას ვერ იტყოდით, რაღაც მოსვლოდა ამ ქალს, გარემოც კი არ იყო მიზეზი, უფრო მისი შინაგანი ბრალი თუ იყო და ამას არა მარტო გაუოცებია იგი, თავად გადაუწყვეტია ასე, ოღონდ არც კი შერხეულა, არც კი ამოუსუნთქავს და ბიძიამაც ვერც ვერაფერი შენიშნა — კაცი რჩეული და მაღლადმხედი, ღვთაებრივი ნიშნით აღბეჭდილი, ხალხის სათაყვანებელი, რა ლარი და ხაზი უნდოდა ამას, მათთვის ეს ისედაც კარგად იყო ცნობილი და ამასვე უმტკიცებდნენ ადამიანიშვილს, რომელსაც აქვს სული და რომელზეც მიმძლავრებამ ბოლოსდაბოლოს მოაკვლევინა თავისი ძმა.

— მახრჩობელა ქვიშნარში ჩაჰფლა, — თქვა მისს ჰებერშემმა.

— დიახ, — მიუგო ბიძიამ, — რა საშინელებაა... თავიდათავი სულ უბრალო შემთხვევა გახდა, ვიღაც ბებერი ზანგის მთვარეულობა და ამის კვალობაზე დაბადებული აზრი, რომ დამში მოიყვანდა საქმეს,

სწორედ ეს გარემოება ესაჭირკვლებოდა ამას და კიდევაც იყო გამარ-თლებული ბიოლოგიურად, გეოგრაფიულად და ფსიქოლოგიურადაც, ასე რომ ამას ჩიკი ბუნებრივსაც შეარქმევდა სულაც, მაგრამ ამ გეგ-მას განხორციელება არ ეწერა, ამისი მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ ოთხი წლის წინ ვილაც ბალღმა, ვისი ქვეყნიერებაზე არსებობა ამ ზანგმა არც კი იცოდა, ზღართანი მოადინა წყალში ამ მთვარეული კაცის თვალწინ. იმის დადგენა კი ჭირს, თუ რა მოუვიდა ჯეკ მონ-ტგომერის და იმ მდგომარეობისდა კვალად, რომელშიაც ის ახლა გახ-ლავთ, ბევრს ვერაფერს გავიგებთ, თუმცა ამას არ უნდა ჰქონოდა დიდი მნიშვნელობა, ფაქტი ისაა, რომ ვინსონის მაგივრად სხვა ვინ უნდა ყოფილიყო იმის საფლავში, რაკი კროუფორდისგან მორების მყიდველი ეს კაცი იყო სწორედ (ტელეფონზე დავრეკეთ და გავიგეთ, ასე გვითხრეს მემფისის ხე-ტყის საწყობში). თავის, მხრივ ჯეკ მონ-ტგომერიმაც იცოდა ამ ხის მასალის ამბავი, იმას რა გამოეპარებოდა, თანაც მისი პროფესიის კაცს უნდა სცოდნოდა საქონლის სადაურობა და როდესაც კროუფორდს შეამხანაგებული ვინსონი დაგორდა მკვდა-რი ტევრში, ფრეიზერის დუქნის ახლოს, ჯეკს ბევრი ფიქრი არ დასჭირ-ვებია, თუ რა უნდა ექნა და კიდევაც რაც შეიძლება მეტი ხეირი ენა-ხა ან ჰემპტონისთვის შეეტყობინებინა და ამით შეემსუბუქებინა თა-ვისი დანაშაული, ჯეკმა იცოდა ბადი მაკ-კალუმის ძველი ნაალაფევი იარაღის ამბავი და მგონია რაღაც საშველი უნდა ენახა კროუ-ფორდს — და აქ ისევ გაირინდა, სუნთქვა შეეკრა, მაგრამ ამჯერად ბიძიამ დაინახა, მიხვდა თუ გუმანით იგრძნო (ან კიდევ რაღაც ამ-დაგვარად), შეჩერდა, წამით მოეჩვენა, რაღაც უნდა ამოეთქვა, ოღონდ მეორე წამს, როგორც ჩანს, დაავიწყდა და ასე განაგრძო — შეიძლე-ბა ჯეკმა გარკვეული საფასური მოსთხოვა, რათა ხმა არ ამოეღო და იქნებ კიდევ რაღაც მოგება ნახა, მიიღო რაც სურდა, თუმცა ეთელი ეს ხანი ფიქრი ვერ მოეცილებინა, კროუფორდმა პასუხი უნდა აგო-სო მკვლელობისთვის და სანამ მისი ბედი იმის ხელთ იყო, რაც შე-იძლება მეტი უნდა გამორჩენოდა ან შეიძლება სულაც არ უყვარდა კროუფორდი, შურისძიება სწყუროდა, ან იქნებ პურისტი გახლდათ და ვერ აეტანა კაცის ასე მოკვდინება. ამოთხარა ვინსონის ვვამი, ჯორს გადაკიდა, შერიფისთვის უნდა ეჩვენებინა და ეს ამბავი მოხდა ღამით, გასვენების შემდეგ, ერთი სიტყვით იმას, ვისაც აუცილებლად სჭირდებოდა ვინსონის საფლავიდან ამოთხრა, კიდევაც ამოთხარა და ამისი მქნელი ჯეკი უნდა ყოფილიყო, ხოლო ვილაცას ძალიან არ სურ-და, რომ ვინსონი ამოეთხარათ და კიდევაც ჰქონდა საფუძველი თვალ-თვალი დაეწყო იმისთვის, ვისაც გვამის ამოთხრა მიზნად დაესახა და დაინახა, უკვე ამოთხარეს კიდევაც — შენა თქვი, დაახლოებით ათი იქნებოდა, როდესაც ალეკ სანდერთან ერთად პიკაპი გააჩერეს და უკვე კარგადაც ჩამობნელებულიყო, გვამის ამოღება შვიდი საათიდა-ნაც შეიძლებოდა, ანუ სამი საათი დრო იყო ამ საქმისთვის, და ახ-ლა წარმოდგენილი მაქვს, თუ რასა შვრება კროუფორდი, — თქვა

ბიძიამ და ბიჭმა შეამჩნია, რომ ბიძია გაჩერდა და ელოდებოდა პასუხს, მაგრამ მისს ჰებერშემი ჩუმად იყო, თავისთვის იჯდა გაუნძრეველად, თავზე ქუდიც გაშეშებოდა, ხელთ ფაქიზად ეპყრა ხელთათმანები, მუხლებზე ჩანთა დაედო, იმის ქვემოთ კი ფეხსაცმლები მოუჩანდა ერთი მეორის გვერდით, მწყობრად დაწყობილი თითქოსდა ცარცით შემოხაზულ ოთხკუთხედებში: — ბუჩქებში ჩამალული იმ ღობის მიღმა უთვალთვალებს და რას ხედავს, შანტაჟს აღარ აკმარებენ, მისი გაცემა უნდათ და ზარგანხდილი, ეჭვებით ჭკუაარეული, სულიერად და ფიზიკურად არაქათგამოცლილი მიხვდება, თუკი ერთმა იცის, რომ კაცის ნეშტად გარდასახვის მიზეზს სულ ადვილად დაადგენენ საპოლიციო უბანში, ვინ იცის, რამდენი დადის, ვინც გრძნობს ან სულაც დარწმუნებულია ვინ არის ნამდვილი მკვლელი, მაშინ რაღა დარჩენია, ნეშტი იმ საფლავში აღარ უნდა გააჩეროს და რახან ასეა, ამ მხრივ ეხმარებიან კიდევაც მიუხედავად იმისა, იცის თუ არა იმისმა მწე და მშველელმა ამის შესახებ. ხოდა, ელოდება, როდის ამოთხრის ჯეკი ნეშტს და სადაცაა გადაკიდებს კიდევაც ჯორს (ჩვენ ესეც გავიგეთ, გოურებისა ყოფილა ეს საგუთნე ჯორი, სწორედ ამით მოსულიყვნენ ამ დილით ტყუპები, კვირა საღამოს ჯეკმა თავად სთხოვა ჯორი გოურებთან სტუმრად რომ იყო, მაშინ, თუ ვის სთხოვა, იქნებ მიხვდით, თავად კროუფორდს) და ახლა გასროლას ვერ ბედავს, თუმცა ძალიან კი უნდა, შეიძლება კიდევ ერთხელ შესთავაზა ჯეკს ფული, შანტაჟს თავი დაანებეო და ამ დროს იყოჩაღებს, თავის ქალას გადაუხსნის მას, კუბოში ჩააგდებს და მიწასაც დააყრის — და აქ კვლავ სასოწარკვეთილება, შემზარაობა მოსახდენის და გარდაუვალის, მარტოსულობა განკიცხულისა, ვისაც ყოველი უარყოფს და თავზარდაცემული გაურბის, რამდენი ძალისხმევა უნდა კიდევ, რათა სძლიოს მძვინვარე უსულგულობა მიწისა და შეაჩეროს საშინელი და უწყალო სრბოლა დრო-ჟამისა, დაბოლოს, ყველაფერს მოაგვარებს, საფლავი ამოვსებულია კვლავ, ყვავილებიც დევს თავის ადგილას, თავდაპირველი დანაშაულის სამხილი კარგად და საიმედოდაა გადამალული, — ბიძია არც კი შეჩერებულა ამჯერად, — დაბოლოს, ახლა კი შეუძლია წელი დაასვენოს, სული მოითქვას, პირველად მას შემდეგ, რაც ჯეკი მოუახლოვდა თითების ფშვნეტით, და უცებ, ეს რა მესმისო, გორაზე აიჭრება, ფორთხვა-ფორთხვით მოაშურებს ღობეს, მიიკუნჭება, სული ეხუთება, ჩვეულებრივ შიშის ზარს და მძვინვარებას არ მოუცავს, გაოგნებულია. ბედი არ გინდა, ერთ კაცს ამდენი როგორ უნდა გადახდეს თავს, დამში რომ ეგონა ეს საქმე მოყვანილი, თქვენ, სამნი. უკვე მეორედ, წყალში უყრით ყველაფერს, რაკი არა მარტო დაადგინეთ, ჯეკ მონტგომერი რომ იყო საფლავში, მიწაც დააყარეთ ისევ და ყვავილებიც დააწყვეთ, სამუშაო გაუორკეცეთ, იმან ხომ საფლავში აღარ დააყენა თავისი ძმა ვინსონი, მით უმეტეს ამის შემდეგ ჯერ მონტგომერის როგორ დააყენებდა.

როდესაც (იმისთვის უკვე ცნობილი იყო)ჰოუპ ჰემპტონი უნდა მოსულიყო აქ ხვალ, — ბიძია აქ შეჩერდა და ქალმა ასე დასძინა:

— თავისი ძმა მახრჩობელა ქვიშნარში მოისროლა.

— ჰო, — თქვა ბიძიამ, — დადგება ჟამი და ადამიანიშვილს აღარაფერი დარჩენია, უნდა მოაკვდინოს ძმა ან ქნარი, ან ბიძია, ან ბიძაშვილი თუ დეიდაშვილი, ან სიდედრი. მაგრამ თქვენ იმათ მახრჩობელა ქვიშნარში არ მოისვრით. ხომ ასეა?

— თავისი ძმა მახრჩობელა ქვიშნარში მოისროლა, — წარმოთქვა ქალმა გულმშვიდად და მტკიცედ, არც კი შეტოკებულა, ისევ ისე სარგადაყლაპულივით მჯდომარემ მხოლოდ ბაგების მოძრაობით ამოთქვა ეს, შემდეგ ხელი აღმართა, მკერდზე მიბნეული საათი გახსნა და დახედა.

— ჯერ კიდევ არ იქნებიან მისული უაიტლიფის დაბლობამდე, — თქვა ბიძიამ, — ამის დარდი ნუ გაქვთ, კი მივა იქ, შეიძლება უკვე უთხრეს რაც შევუთვალე, ამ ოლქში არც არავინ იქნება, ვინც მოახერხებს და არ გაიგონებს იმას, ფრიად საიდუმლოდ რომ გაანდვეს უილი ინგრემს, რადგან რაღას იზამს, თავადვე კარგად გესმის, მკვლელები იგივე მოთამაშეები არიან და მოყვარულ მოთამაშეებს დარადვე უპირველეს ყოვლისა თავიანთი ბედ-იღბლის კი არ სჯერათ, არამედ უცილობელი წარმატების მოპოვებისა, თუკი სასწორზე შეაგდებენ თავს, თავის სასწორზე შეგდება ხდება მათთვის გამარჯვების რომ, ვთქვათ, მიხვდეს, აღარაფერი უშველის და დასაკარგავიც არც საწინდარი ინიტომ, რომ სასწორზე აქვთ შეგდებული თავი, თუნდაც არაფერი აქვს, ბიუხედავად იმისა თუ რა ჩვენება მისცა ლუკასმა ჯეკ მონტგომერიზე ან ვისზეც არ უნდა იყოს, ვისაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა მისთვის და მისი სულ უკანასკნელი მცირეოდენი იმედი ესღაა, უნდა გადაიხვეწოს ამ ოლქიდან, ან, ვთქვათ, იცის, რომ უკვე დაღუპულია, დარწმუნებულია, თვალდახელშუა უქრება უკანასკნელი გროშ-კაპიკი, რომელსაც ის თავისუფლებას ეძახის და მიმხვდარია, შეიძლება ვერც კი იხილოს ხვალინდელი მზე და რახან ასეა, პირველადვე ამას მოისურვებს, უკანასკნელად სცადოს თავისი მტკიცე და უკვდავი მეობის დამკვიდრება ჯერ კიდევ მანამ, სანამ დატოვებდეს თავის მშობლიურ მიწას და, თუ გნებავთ, ამ ქვეყანასაც. თქვენი სახელი ხომ გოურია და თქვენი ფიქრები, სისხლი და ქმედებანიც ხომ გოური იყო მთელი თქვენი სიცოცხლე და იცით ან გჯერავთ კიდევაც, ან იმედოვნებთ მაინც, რომ რაღაც დროსა და წამს, მიუსაფარი ღამით. ფშანის სიახლოეს ძლივს მცოცავ მანქანაში იხილავთ საფუძველს და მიზეზს მთელი თქვენი ტანჯვა-ვაებისა და მღელვარების, ზიზღისა და სინანულის, სირცხვილისა და საბოლოო ხელმოცარვის და ის თეთრი კაციც კი არ არის, ვიღაც ზანგია და ამ დროს ის თქვენი პისტოლეტი ისევ თქვენთანაა და იმასთან ერთად ათიდან ის ერთადერთი ტყვია, რომელიც გერმანიიდან ჩამოჰყვა... დარდი ნუ გაქვს, — სწრაფად დასძინა მან, — ბ-ნ ჰემპტონის დარდი

ნუ გაქვთ-მეთქი. იმას შეიძლება არც კი დასჭირდეს თავისი პისტოლეტის ამოღება და არც ვიცი, იქნებ სულაც არ წაუღია, რადგან სადაც არ უნდა იყოს და რაც არ უნდა შეემთხვას, ყოველთვის, თუკი კაცს ვერ დააშოშმინებს, ვერ მოათოკვინებს ქვენა გრძნობებს, მცირე ხნით მაინც შეაყოვნებს იმის ბობოქრობასა და მძვინვარებას თუნდაც იმით, რომ ნელინელ, ხვნეშა-ხვნეშით დადის. ეს მოხდა ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინათ, ოციან წლებში ორი ფრანგისხეველი ქალბატონი, ნუღარ დავასახელებთ იმათ, ერთმანეთს წაეკიდა, ყველაფერი ამით დაიწყო (როგორც გამოირკვა), საღღესასწაულო ნამცხვარი უნდა მიეძღვნა ერთ ქალბატონს ვიღაცასთვის საეკლესიო-საქველმოქმედო ბაზრობაზე და სწორედ მაშინ მოუვიდა უსიამოვნება მეორე ქალბატონთან, ვისი ქმარიც ჰფლობდა არყის გამოსახდელ მოწყობილობას და ფრანგისხეველებს ამარაგებდა ამ სასმელით, ვიდრე პირველმა ქალბატონმა განცხადებით არ მიმართა ბ-ნ ჰემპტონს, მისულიყო იმისას, გაენადგურებინა ეს მოწყობილობა და დაეპატიმრებინა არყის გამომხდელი. ათიოდე დღეც არ იყო გასული ამის შემდეგ და ეს ქალი თავად ჩამობრძანდა ქალაქს და პირადად უთხრა მას, თუკი არ იზამ რასაც გეუბნები, შტატის გუბერნატორთან ან სულაც ვაშინგტონში, პრეზიდენტთან გიჩივლებო, ასე რომ ჰემპტონს რაღა უნდა ექნა, იქ უნდა წასულიყო. ქალმა არა მარტო აუხსნა თუ საით უნდა გაეწია, ესეც კი უთხრა, მუხლებამდე წყალში სიარული მოგიხდებაო აქა და აქო, სადაც წლების მანძილზე არყიანი კასრების თრევამ ორმოები გააჩინა. და მართლაც, ისე მივიდა იქ, ფარანი არც კი მიუშველებია, კარგ ადგილას დაედგათ საარყე მოწყობილობა, ყოველი მხრიდან იყო მოფარებული და არ ჩანდა, თუმცა სულ ადვილად მივიდა იქ, რადგან ქვაბის ქვეშ ტკაცატკუცი გაჰქონდა ცეცხლს და თავს ერთი ზანგი დასტრიალებდა. რაღა თქმა უნდა, იმან არ იცოდა ვისი იყო არყის გამოსახდელი მოწყობილობა, გაგონილიც არ ჰქონდა ვინ იყო მისი პატრონი, მაშინაც ვერ თქვა ვერაფერი, როდესაც ტანვეება ჰემპტონი იცნო და დაინახა მისი ბალთა, ჰოუპს ასე ჰქონდა ნათქვამი, იმწამსვე დალევა შემომთავაზა და მერე წყაროს წყალიც მოუტანა, მოხერხებულად დასვა ხის ძირას და უფრო კარგად გააჩაღა ცეცხლი, რათა დაუპატიჟებელ სტუმარს ფეხები გაეშრო, ამასობაში კი პატრონიც დაბრუნდებოდა. ცეცხლი ბრდღვიალებდა და მისი ენები შავბნელ არემიდამოს ელამუნებოდა, ჰოუპი დიდებულად მოკალათებულიყო. აქეთურ-იქითურზე მოჰყვა საუბარს იმ ზანგთან, ის კი ხანდახან ჩაურთავდა, ხომ არ მოგართვათო კიდევ ცივი წყალი, სანამ, ასე აქვს ნათქვამი ჰემპტონს, კაჭკაჭმა ერთი ამბავი არ ატეხა. თვალი გამოაჭყიტა და რას ხედავს, მზე ამოსულიყო, თავს ზემოთ, ხის ტოტზე კაჭკაჭი იყო დასკუპებული. ვიდრე იმ ქვაბს დატვირთავდნენ და წაიღებდნენ, ვიღაცას მოესწრო ჭახლოეს სახლში მისვლა, საბნის მოტანა და მისთვის გადაფარება, თავიც ააწევიეს და ბალიშიც დაუდვეს, სუფთა ბალიშისპირიც არ დავიწყებიათ. ეს მაშინ შეამჩნია, როდესაც

საბანიცა და ბალიშიც ვერნერის დუქანში წაიღო, რათა დაებრუნებინათ და მადლობა ეთქვათ იმისთვის, ვისიც იყო, მერე კი ქალაქს დაბრუნდა. მეორედ კი...

— მე არც ვწუხვარ, — თქვა მისს ჰებერშემმა.

— რაღა თქმა უნდა, არა, — მიუგო ბიძიამ, — რადგანაც მე ვიცნობ ჰოუპ ჰემპტონს!..

— დიახ, — უთხრა მისს ჰებერშემმა, — მე კი ლუკას ბიჩემპს ვიცნობ.

— ჰოო, — თქვა ბიძიამ, მერე კი ასე დასძინა, — კარგი, — მერე კი, — რა თქმა უნდა, — მერე კი, — მოდი და ჩიკს ვთხოვოთ, ის ჩაიდანი შეაერთოს, ყავა დავლიოთ სანამ აქ ვართ, თქვენც რას იტყვით?

— ამას რა სჯობს, — მიუგო მისს ჰებერშემმა.

თავი 11

დასასრულს, ის ადგა და ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა, მოედანს გახედა, რადგან ორშაბათობით აქ საბითუმო და სხვადასხვა სახის ვაჭრობა იმართებოდა, შაბათობით კი რადიოებისა და ავტომობილების დღე იყო; ორშაბათობით უმეტესწილად მამაკაცები მოდიოდნენ, მოედანზე დააყენებდნენ თავიანთ მსუბუქ და სატვირთო მანქანებს და დახლებსა და გასაყიდი საქონლის სადგომებს მიაშურებდნენ, სადილად ისევ მოედანზე ბრუნდებოდნენ, მერე კი ისევ ამოჰყოფდნენ თავს დახლებთან, გასაყიდი საქონლის სადგომებთან, საღამოხანს ჩასხდებოდნენ თავ-თავიანთ ავტომანქანებში, დაღამებამდე სახლში მისვლა უნდა მოესწროთ. მაგრამ შაბათობით ასე არ იყო, ამ დროს ვინ არ მოდიოდა აქ, კაცები, დედაკაცები და ბავშვებიც, ბერიკაც-ბერიქალებიც, ჩვილებიცა და ახლად შეღერებული წყვილებიც. რომლებიც საქორწინო ნებართვის ასაღებად ჩამოსულიყვნენ, ხვალ კი ჯვარსაც დაიწერდნენ სოფლის ეკლესიაში. მთელი კვირის საყიდლებზეც იყვნენ ჩამოსულნი, რა არ მიჰქონდათ, ტკბილეულობა, ხილი, ბანანები, ოცდახუთცენტიანი სარდინები, მანქანური წესით დამზადებული ნამცხვრები და ღვეზელები, ტანსაცმელი, საქონლის საკვები, საჭმელ-სასმელი, სასუქები და საგუთნე ნაწილები. ბევრი დრო არც სჭირდებოდათ ამისთვის და ზოგი დიდხანს არც რჩებოდა საყიდლებზე, იმათი მანქანები ერთი საათითაც კი არ ჩერდებოდნენ და მალე მოჰყვებოდნენ მოედანზე ნება-ნება ტრიალს, უფრო ხშირად მეორე სიჩქარით. ბევრნი იყვნენ და ასე უცებ ვერ გაიგნებდნენ გზას გასასვლელისკენ. დაბოლოს, გააღწევდნენ, გაუყვებოდნენ ხეებით გაწყობილ მთავარ ქუჩებს, შემოტრიალდებოდნენ, უკანვე დაბრუნდებოდნენ მოედანზე და კვლავ და კვლავ მოჰყვებოდნენ ტრიალს, თითქოსდა იმიტომ დაეგდოთ მივარდნილი სოფლები, გზაჯვარედინებზე დადგ-

მული დუქნები, სადღაც გადაკარგული ფერმები და იმიტომღა წამოსულიყვნენ ამ სიშორეზე, რათა დამტკბარიყვნენ უცხო სანახაობით, ნაირნაირად გამოწყობილი ხალხით, რომლებიც დაყიალებდნენ, დასეირნობდნენ, ერთმანეთს იცნობდნენ, უმზერდნენ კრიალა მოასფალტებულ ქუჩებსა და გადასახვევებს, მშვენიერ, სულ ახალაგებულ და შეღებილ პატარა სახლებს კარგად მოვლილი ეზოებით, ყვავილნარებითა და ბაღებით, მჭიდროდ განლაგებული ეს კარმიდამოები, მიწყობილები იყო ერთმანეთთან სარდინებივით თუ ბანანებივით; ირგვლივ კი ჭრიამული დგას, რადიო ხმამაღლა უკრავს, ბევრი ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობა გაჰკივ-გაჰყვირის ამ ორომტრიალში, რათა დაფაროს გამონაბოლქვი კვამლის ტკაცატკუცი, ბორბლების ზათქი და გრუხუნი, სიჩქარეების ღრჭიალი და საყვირების გაუთავებელი ყმუილი, ასე რომ ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოედანს მიიტანდეთ, არა მარტო ვერც კი გაარჩევთ, რომელი ხმის გამაძლიერებელს დაწყებული თუ დამთავრებული აქვს მღერა, ვერც კი გაიგებთ თუ სად და რას უკრავენ თუ ამბობენ.

მაგრამ თითქოსდა ამ შაბათმა აჯობა ყოველ შაბათს და ბიძიაც კი ვეღარ გაჩერდა თავის ადგილას, წამოდგა და მეორე ფანჯარასთან მივიდა, ამიტომაც ლუკასი სულ ადრე დაინახეს, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ამ კანტორას მოაღწევდა; ის კი იდგა (როგორც ფიქრობდა) მარტოდ იმ ფანჯარასთან და დაბლა იმზირებოდა, მოედანი ხალხით იყო გადატენილი, არც ახსოვს, ასე თუ იყო როდისმე — მზე ბრდღვიალებს, თითქმის ჩახუთულ ჰაერს სასამართლოს ეზოდან გადმოდენილი აკაციის სურნელება შერთვია, ქუჩებში ტევა არ არის, შავებიცა და თეთრებიც ნელინელ შემოდიან დღეს ქალაქში და თითქოსდა ასე აქვთ მოლაპარაკებული, არა მარტო ანგარიშიდან თუ ჯამიდან ამოაგდონ, მეხსიერებაშიც აღარ გააჩერონ სულ შვიდი დღის წინანდელი ის შაბათი დღე, რომელიც შერყვნა ერთმა ბებერმა ზანგის კაცმა, რაკიღა ისეთ ყოფაში ჩაიგდო თავი, კინაღამ არ დაიჯერეს, თეთრი კაცი მოეკლავსო, — ის შაბათი, მერე კვირადღე და ორშაბათი, ერთმა კვირამ ისე გაიარა, თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყო და წარხოცილიყო ყოველი. ვინსონი და მისი ძმა კროუფორდი (დამარხეს ვითარცა თვითმკვლელი და უცხონი კიდევ მთელი დღეები აღარ გაათავებენ იმის გამოძიებას, რა ცხენია და ვინ შერიფია იოკნაპატოფას ოლქში, სადაც უკვე პარიმარ, მკვლელობის ბრალდებით გამომწყვდეულ კაცთან აღმოაჩნდება ლუგერის ტიპის პისტოლეტი თუნდაც ამ ერთადერთი ტყვიით და კიდევ მრავალი კვირა გაივლის და იოკანაპატოფას ოლქში ვერავინ ვერათერს იტყვის ამის შესახებ) ერთმანეთის გვერდით წვანან, კალედონიური სამლოცველოს ეზოში, აქვე კი მათი დედის სათლავის ქვაა, ჯერ მონტგომერი კი კროსმენის ოლქშია, სადაც ის მოითხოვეს იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც აქ მოხვდა კროუფორდი: მისს ჰებერშემი კი თავის სახლშია და წინდებს კემსავს მანამ, სანამ ჭუჭულების ჭმევის დრო არ მოვა. ალეკ სანდერი კი ქვემოთ,

მოედანზეა, საკვირაო ჭრელ-ჭრელ პერანგსა და ვიწრო შარვალშია გამოწყობილი, ხელში აქვს ერთი მუჭა არაქისი ან ბანანები; ის კი დგას ამ სარკმელთან და უმზერს ზღვა ხალხს, არავინ ჩქარობს, არავინ არსად არ მიდის. აქვეა საქმიანი უილ ინგრემი, რომლის ქუდსაც ბრჭყვიალა ფრთა ამშვენებს, მაგრამ ყოველ ხმაურს რადიოსა და ავტომანქანების გრიალი სჭარბობს, ბარებში, საბილიარდოებსა და კაფეებში მღერა გაისმის მუსიკალური ავტომატებისა, გაჭკივის ხმა გამაძლიერებლების არა მარტო შენობების კედლებზე, სადაც ჰყიდიან ფირფიტებსა და რადიომიმღებებს, სამხედრო და სამხედრო საზღვაო მოწყობილობათა მაღაზიებისა და დუქნის კედლებზეც (რათა ვინმეს გზა-კვალი არ აერიოს), ვიღაც კი სასამართლო ეზოში სკამზე შემომდგარა და **სიტყვას ამბობს** მიკროფონში, ზარბაზანივით ხახადაღებული ხმის გამაძლიერებელი კი მანქანის სახურავზე დგას, რაღა სახსენებელია ბევრი ასეთი, რომლებიც ბინებშია, სადაც დიასახლისები ლოგინებს ასწორებენ, ხვეტავენ და საჭმლის გაკეთებას დაიწყებენ მალე. ხოდა, არსად ამ ქალაქში, თუნდაც იმის სულ შორეულ კუთხე-კუნჭულში, ქალთაგან, ქალთაგან, ბავშვთაგან, სტუმართაგან, ოჯახთაგან **არც არავინ მოითქვამს** სულს თუნდაც წამიერი სიჩუმით; მანქანები კი, რადგან, მართალი თუ გნებავთ, ის ვერც კი ხედავდა მოედანს, მხოლოდ სახურავებისა და კაპოტების სქელი, უკიდეგანო ნაკადი მოიგრაგნებოდა, თვალს წვავდა უხილავი გამონაბოლქვი აირი, ზათქი და გრუხუნი იდგა ძრავების, გრიალი გაჭქონდა საყვირებს, წრიპინი გაისმოდა ბუფერების წაკარებისას და მანქანები თანდათანობით, ერთი მეორის მიყოლებით მოედნიდან ქუჩებში გადიოდნენ და ამავე დროს ასევე ნელინელ, საპირისპირო მხრიდან მოტორტმანი ნაკადს შეისრუტავდა და კიდევ უფრორე გამსხვილდებოდა და გასაოცარ მოზაიკად გარდაისახებოდა. მოძრაობა არც კი ეთქმოდა ამ ტორტმანს და კიდევაც შეგეძლოთ ზედ გადაგევლოთ და ასე დაგეტოვებინათ მოედანი, ან სულაც ქალაქის განაპირამდეც მიგიღწიათ, ერთი სიტყვით, ამხედრებული გევლოთ, ჰაიბოისთვის, ასე, მაგალითად, ხუთი-ექვსი ფუტი სიგრძის სახურავებზე გადავლება სულ უბრალო საქმეა ან სულაც შეიძლებოდა ამ გარინდებულ სახურავებ-კაპოტების თავანზე გადაგეფინათ რაოაც გრძელ-გრძელი ფიცრებივით და ხიდივით გაგემართად, ზედ ჰაიბოი კი არა, თუნდაც ერთი კარგი ბიდაური ცხენი გაგეჭინებინათ: **მიქრის** ჰაერში, **შვიდი ფუტი სიმაღლეზე ფრინველივით, მინავარდობს** ქორივით თუ არწივივით... გაიოიქრა ის და გულმა დოლაბივით დაუწყო ბრუნვა, თითქოსდა სოდიანი წყლის ბოთლმა იხუვლა და ქათქათი მოიოო, წარმოიდგინა, თანაბარზომიერი, დიდებული, გულის წამოები თქარათქური ფლოქვებისა. მიაქროლებს მას მერანი ამ სხივებდაფრქვეული, ორმილიანი ხიდის პირზე და უცებ მეორე სარკმელთან მდგომარე ბიძიამ სთქვა:

— მართალი თუ გინდა, ამერიკელს არც უყვარს არათერი გარდა თავისი მანქანისა, არც ცოლ-შვილი, არც სამშობლო და არც საბან-

კო ანგარიში (არც იმდენადაა შეყვარებული ამ თავის ანგარიშზე, როგორც ამას, ჩვეულებისამებრ, უცხოელები ფიქრობენ, რადგან შეუძლია დიდძალი ან სულაც მთელი თანხა წყალს გადააყოლოს), მისთვის ავტომობილია სუყველაფერი, რადგანაც იგი გადაქცეულა სქესის მაჩვენებელ ჩვენს ეროვნულ სიმბოლოდ. არც გვსიამოვნებს რამე, რაც ამასთან დაკავშირებული არ არის. მთელი ჩვენი წარსული, ჩვენი აღზრდა და განათლება გვიკრძალავს ორპირობასა და სიცრუეს, ხოდა, ამიტომ დღეს ჩვენს ცოლს უნდა გავცილდეთ, რათა საყვარლობას არ უკიჟინებდნენ ჩვენს საყვარელს, მერე კი ჩვენს ცოლს უნდა გავეყაროთ და ავაცილოთ ჩვენს საყვარელს... და ა. შ. ხოდა ამის შედეგად ამერიკელი ქალი ხდება ცივი და აღარც სცხია სქესის ნიშანწყალი, თავისი ლიბიდო ავტომობილზე გადააქვს მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მისი ბრწყინვალება, ზიზილპიპილოები და მოწყობილობანი მიესადაგება იმის თავმოყვარეობასა და სიზარმაცეს (რასაც ხელს უწყობს ჩვენი ეროვნული წარმოება, რაკი მეტად უცნაურ კაბებს უშვებენ), ფეხით გავლა უჭირს, თანაც მანქანაში მჯდომარეს არც არაფერი ეჭმუჭნება, არ ეხევა, ოფლი არ ასდის და არც თმა ეწეწება. ასე რომ, ამერიკელ მამაკაცს თუ უნდა ხელთ იგდოს და დაეუფლოს რაც კი ქალური დარჩენილა მასში, მანქანა უნდა შეიძინოს. ასეა, შეიძლება სულაც ნაქირავებ სოროში იცხოვროს, მაგრამ უთუოდ უნდა ჰყავდეს საკუთარი მანქანა და თანაც ყოველ წელს ახალი, ქალწულივით ხელი არავის არ უნდა ჰქონდეს წაკარებული, არავის არასდროს არ ათხოვებს, არავის არ დაანებებს ჩახვდეს იმისი სახელურებისა თუ სატერფულების თავისებურებებსა და იდუმალებას, თუმცა კი ბევრი სასიხარულო არცა აქვს და თუკი გამოუჩნდება, არც წავა, ვაითუ დავსვარო, გავკაწრო, გავაფუჭო, მთელი კვირადღეები დილიდანვე რეცხავს, აპრიალებს და ასუფთავებს, რადგან ამას რომ აკეთებს, ეფერება სხეულს იმ ქალისას, რომელიც კარგა ხანია უარს ეუბნება და ლოგინში არ უშვებს.

— არ არის სწორი, — უთხრა მან.

— მე უკვე სამოცი წლისა გავხდი, — მიუგო ბიძიამ, — თხუთმეტი წელიწადი ქალებს დავსდევდი, მეტი არაფერი არ გამიკეთებია. გამოცდილებით ვიცი, ცოტას თუ გადაუდვია თავი სიყვარულისთვის ან სექსისთვის. გათხოვება უნდათ იმათ.

— მაინც არა მჯერა, — თქვა მან.

— კარგი, — უთხრა ბიძიამ, — ნუ გჯერა. ორმოცდაათს რომ გადააბიჯებ, მაშინაც ნუ დაიჯერებ. — და უცებ ლუკასი გამოჩნდა მოედანზე მომავალი, შეიძლება ორივემ ერთდროულად იხილეს მისი გვერდზე მოქცეული ქუდი და ბრწყინვა ოქროს საჩიჩქნისა და, მან სთქვა:

— თქვენ როგორ ფიქრობთ, სად ჰქონდა მთელი ეს ხანი? მე არ დამინახავს, თუმცა ვიცი, თან ექნებოდა იმ შაბათ დღეს, როდესაც

თავის შავ კოსტიუმში გამოეწყო და ჯიბეში ის თავისი პისტოლეტი ჩაიდო. იცი, ისე არ გამოვიდოდა სახლიდან, თავისი კბილის საჩიჩქნი რომ არ ჰქონოდა თან.

— მე ხომ გითხარი, — უთხრა ბიძიამ, — როცა ჰემპტონი სკიპუორტისას მივიდა სახლში, სადაც სკიპუორტს ლუკასი ლოგინის ფეხზე ჰყავდა მიჯაჭვული, პირველად ეს უთხრა ჰემპტონს, ეს ჩემი კბილის საჩიჩქნი შემოინახე სანამ არ მოგთხოვო.

— ოჰ, — თქვა მან, — აგერ არ მოდის.

— დიახ, — მიუგო ბიძიამ, — ქუდი ყავარზე აქვს შეგდებული. ჰო, — მერე კი სწრაფად დასძინა, — ის ხომ ჯენტლმენია, არც გამიხსენებს და არც მომახლის სცდებოდიო, ამასღა მკითხავს, რამდენი გერგებათო თქვენ, ჩემს ადვოკატს.

მერე ის თავის სავარძელში ჩაჯდა, წყლის გამაგრილებლის ახლოს, ბიძია კი თავის მაგიდას მიუჯდა და გაიგონეს ხანგრძლივი გრუხუნი და ჭრაჭუნი საფეხურების, მერე ლუკასის მტკიცე, აუჩქარებელი ფეხისხმა და ლუკასიც შემოვიდა უჰალსტუხოდ და უსახელოდ, მაგრამ იმისი დასამაგრებელი კი მაინც ჰქონდა მიბნეული, ძველისძველი თეთრი ჟილეტი ეცვა, დასვრილი არ იყო, თუმცა რაღაც ლაქები კი დასტყობოდა შავი ქურთუკის ქვეშ, საიდანაც ოქროს ძეწკვი მოუჩანდა საღილეში ჩამარყუქებული, სახე იგივე, სწორედ ისეთი, როგორიც პირველად ნახა ამ ოთხი წლის წინ იმ დილას, როდესაც გალუმპული იმ ფშანის ყინულიანი წყლიდან ამოძვრა, სულაც არ იყო შეცვლილი, თითქოსდა არც წლები შემატებოდა, საჩიჩქნი ჟილეტის ზედ ჯიბეში შეინახა და ასე წარმოთქვა შემოსვლისთანავე.

— ჯენტლმენებო, — მერე კი მას მიუბრუნდა, — ყმაწვილო კაცო, — თავაზიანი, შეუვალი და ღირსებით აღსავსე გახლდათ, თითქმის გულგახსნილიც, ის თავისი გვერდზე მოქცეული ქუდი მოიძრო, — მგონია მეტი აღარ გადავარდნილხართ წყალში, ხომ?

— მეტი აღარ, — მიუგო მან, — ჯერ დავიცდი სანამ თქვენსკენ ყინული არ მოიმატებს.

— მობრძანდით როცა გნებავდეთ, ყინვას ნუღარ დაუცდით, — უთხრა ლუკასმა.

— დაჯექი, ლუკას, — თქვა ბიძიამ, მაგრამ ეს კაცი უკვე თავად ჯდებოდა კართან მდგარ იმ მაგარ სკამზე, მისს ჰებერშემს რომ მოსწონდა, თითქოსდა ფოტოაპარატის წინო, მცირეოდნავ დოინჯშემოყრილი მოკალათდა, მოხრილ ხელზე კი კეხით ზემოთ ქუდი დაიდო და თვალს არ აცილებდა იმათ, კვლავ წარმოთქვა, ჯენტლმენებო.

— იმიტომ არ მოსულხარ ჩემთან, რომ გითხრა, აწი ასე და ასე უნდა მოიქცე-მეთქი, მაგრამ მაინც გეტყვი, — უთხრა ბიძიამ.

ლუკასმა მაშინვე თვალი დაახამხამა და ბიძიას დააცქერდა.

— ვერ გეტყვით, ამისთვის მოვედი-მეთქი, — მერე კი სახეგაბადრულმა დასძინა, — მაგრამ ყოველთვის მზადა ვარ კარგ რჩევას ყური დავუგდო.

— მიდი და მისს ჰებერშემი ნახე, — უთხრა ბიძიამ.

ლუკასი ბიძიას უმზერდა, ორჯერ დაახამხამა თვალი ამჯერად, არც არავის სანახავად დავდივარო მე, თქვა მან.

— მე მგონია არც სახრჩობელის სანახავად დადიხარ — უთხრა ბიძიამ, — მგრამ რომც არ გითხრა, თავად იცი, ძალიან ახლოს მოგიხდა იქ მისვლა.

— არა, — მიუგო ლუკასმა, — არა მგონია, იმ ქალს კი რაღა უნდა ვუთხრა?

— არ შეგიძლია და რას ეტყვი, — თქვა ბიძიამ, — არც იცი თუ როგორ ამბობენ მადლობას. კარგად მესმის. ყვავილები შეგიძლია წაუღო.

— ყვავილებიო, — უთხრა ლუკასმა, — რაც მოლი მოკვდა, ყვავილები არც მინახავს.

— არა უშავს, — მიუგო ბიძიამ, — სახლში დავრეკავ, ჩემი დაი ერთ თაიგულს დაგახვედრებს. ჩიკი წაგიყვანს მანქანით, გამოართვი და მერე მისს ჰებერშემის ჭიშკართან მიხვალთ.

— სულ ადვილი საქმეა, — თქვა ლუკასმა, — ყვავილები თუ მექნება, გავლას რა უნდა.

— შეგიძლია ყვავილები მოისროლო კიდევაც, — უთხრა ბიძიამ, — მაგრამ ვიცი, არც ერთსაც იზამ და, მე მგონია, არც მეორესაც, თუკი ჩიკთან იქნები მანქანაში.

— კარგი, — თქვა ლუკასმა, — სხვანაირად რით გემსახუროთ... (და მერე, როცა ისევ უკან ქალაქს დაბრუნდა და სამი უბნის იქით ძლივს ნახა მანქანის დასაყენებელი ადგილი, კიბეზე ავიდა და ბიძიასთან მივიდა, იმან ასანთს გაჰკრა და ჩიბუხთან მიიტანა, კვამლით გარშემობურვილმა წარმოთქვა, — შენა ხარ და კიდევ ბუკერ ტ. ვაშინგტონი*, უფრო სწორად, შენ, მისს ჰებერშემი, ალეკ სანდერი, შერიფი ჰემპტონი და ბუკერ ტ, ვაშინგტონი, რადგან ამ კაცმა ის გააკეთა, რასაც მოელოდნენ მისგან და არც ჰქონდა მიზეზი, რომ არ გაეკეთებინა. თქვენ ყველამ კი ის გააკეთეთ, რასაც არც არავინ მოელოდა მთელ ჯეფერსონსა და იოკანაპატოფას ოლქშიაც, და კიდევაც შეგიშლიდნენ ხელს დროზე რომ გაეგოთ, და თუნდაც ერთი წელიც გავიდეს (როცა მოესურვებათ და გაიხსენებენ), ამის გულისთვის დაგძრახავენ და შეგიკურთხებენ კიდევაც იმიტომ კი არა, თქვე წურბელებო, თქვენივე კანისფერი რომ დაგავიწყდათ, ამას კი გაპატიებდნენ, მაგრამ იმას კი რაღა ვუყოთ, ზანგის გადასარჩენად თეთრი კაცის სამარე რომ ხელჰყავით, თქვენ გქონდათ მიზეზი სწორედ ასე მოქცეულიყავით და არა სხვანაირად. ამაზე ნუღარ გაჩერდები. — და შემდეგ ბიჭმა მოუგო:

---

* ამერიკელი ზანგი საზოგადოებრივი მოღვაწე (1858—1915) — ზრუნავდა შავკანიანი მოსახლეობის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისთვის.

— მაგრამ თქვენ ხომ ასე არ ფიქრობთ, დღეს შაბათია და იმიტომ ვიღაც ჩაიმალაო მისს ჰებერმემისას ჟასმინის ბუჩქებში და ლუკასს ელოდება კიბესთან პისტოლეტმომარჯვებული. თანაც ლუკასს დღეს არა აქვს თავისი პისტოლეტი და კროუფორდ გოური კი... — ბიძიამ ასე მიუგო:

— რატომაც არა, ის ჯელი, რომელიც კალედონიურ სამლოცველოსთან საფლავში წევს, კროუფორდ გოური გახლდათ რაღაც ერთი თუ ორი წამით ამ გასულ შაბათს, ლუკას ბიჩემპი კი იმ თავისი კანისფერით კიდევ გაებმება ათი ათას ასეთ დავიდარაბაში, რომელსაც ათი ათასჯერვე თავს აარიდებდა შედარებით ბრძენი და შედარებით ნათელი კანისფერის კაცი მას შემდეგ, რაც ის, ლუკას ბიჩემპს რომ გადახდა თავს წამით თუ უფრო მეტითაც იქ გასულ შაბათს, ისევე წევს მიწაში იმ კალედონიურ სამლოცველოსთან, რადგან იოკნაპატოფელებს რომ შეძლებოდათ შენი, ალეკ სანდერისა და მისს ჰებერშემის გაჩერება იმ კვირაღამით, კი იქნებოდა სწორი ნამდვილად, რაკიღა არც არავის აქვს ლუკასის დარდი, უდგას თუ არა პირში სული, რას ჭამს და სად სძინავს, არც შენი და ჩემი დარდი აქვთ, ესღა აწუხებთ, თავად იყვნენ კარგად და მშვიდობიანად, შეუვალი იყოს მათი უფლება და კი აჯობებდა, ბევრნი რომ არ ყოფილიყვნენ ამ მიწაზე თუნდაც სულ სხვადასხვა ფერისანი ეს ბიჩემპები, სტივენსები და მალისონები და კიდევაც ენახათ რამე უმტკივნეულო ხერხი აღეგავათ მიწისაგან პირისა იმათი ვეებერთელა, დიდზე დიდი ნეშტნი, კი შეიძლება ამის გაკეთება, მაგრამ მეხსიერებას რაღას მოუხერხებ, წარუშლელ, მარად ცოცხალ მეხსიერებას, ამის შეგნებას, რაკი იყო ოდესღაც ადამიანიშვილი, არც წარიხოცება ათი ათასი წელიწადი და დარჩება ათი ათასი მოგონება უსამართლობასა და წამებაზე, ბევრნი იმიტომ კი არა ვართ, ბევრი ადგილი რომ გვაქვს დაკავებული, უფრო ამიტომ, ჩვენ მიველტვით ვაჭრობის საგნად გავიხადოთ თავისუფლება და გროშ-კაპიკი მოვიგოთ როგორმე, რათა ჩვენი ერქვას ამ მონაგარს, კონსტიტუციურად გვაქვს მონიჭებული უფლება ვიყოთ ისე როგორც მოგვესურვება და მოვიხვეჭოთ ჩვენი წილი ბედნიერება და არც ვწუხვართ, რომ ვიღაც, რომლის ცხვირის მოყვანილობა და კანისფერი არ მოგვწონს, უნდა დაიტანჯოს და ჯვარს ეცვას კიდევაც. თუმცა კი შეიძლება ამასაც შეებრძოლოთ თუკი ის მცირეოდენი სხვანი — ვისაც სჯერა, ადამიანის სიცოცხლე თავისთავად არის ძვირფასი და ყოველს მონიჭებული აქვს უფლება მიუხედავად იმისა, თუ რა ფერის კანს გადმოსცემს თრთოლვას იმის ფილტვები და რანაირი ცხვირით აღწევს იქ ჰაერი — არ დაიშურებენ ძალასა და ღონეს, ბევრი არც უნდა, სამიც კი ეყო ამ სამ კვირაღამით, ერთიც კი შეიძლება ეყოს, ხოდა, როდესაც ამ ერთეულებს შერცხვებათ და აღშფოთდებიან და, უფრო მეტიც, მხნეობას მოიკრებენ, მაშინ ლუკასს აღარაფერი უჭირს და არც დასჭირდება უეცრად ვინმეს საშველად მოხმობა...

და მან:

— შეიძლება იმ ღამით ჩვენ სულაც არ ვიყავით სამნი, ვიყავით ერთი და ორი ნახევარ-ნახევარი, მართალი ეს უნდა იყოს, — ამაზე კი ბიძიამ მიუგო:

— მე ხომ გითხარი, უნდა გეამაყებოდეს-მეთქი. შეიძლება წაიტრაბახო კიდევაც. ამაზე ნულარ გაჩერდები — და ბიჩემპი მაგიდასთან მივიდა, ქუდი დადო და გულის ჯიბიდან ამოიღო მისს ჰებერშემის ჩანთასავით დიდი ტყავის საფულე, რომელსაც ტკაცუნა საკეტი ჰქონდა და ძველი ვერცხლივით გაუფერულებულიყო, სთქვა:

— მე მგონია, მცირეოდენი ანგარიში გაქვთ ჩემთვის.

— რისთვის? — ჰკითხა ბიძიამ.

— რაკი ჩემი საქმე ითავეთ, — მიუგო ლუკასმა, — რამდენი მმართებს, ოღონდ კი უნდა შევძლო გადახდა. უნდა გავსწორდეთ.

— ჩემთან რა ხელი გაქვთ, — უთხრა ბიძიამ, — მე არაფერი არ გამიკეთებია.

— მე ხომ თქვენ მოგმართეთ, — თქვა ლუკასმა, — თქვენ დაგავალეთ. რამდენი უნდა მოგცეთ?

— რა უნდა მომცეთ,—მიუგო ბიძიამ, — მე თქვენ არ დაგიჯერეთ. ეს ბიჭი არის მიზეზი, დღეს რომ თქვენ გავლა-გამოვლა შეგიძლიათ.

ახლა ლუკსმა შეხედა მას, ცალ ხელში ის თავისი საფულე ეკავა და მეორეთი უნდა გაეხსნა — სახე იგივე, ფერი არ შეცვლოდა, თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყო და ყოველივე მტვერივით მოეცილებინა. ხოდა, საფულე გახსნა, — კარგი მაშინ იმას გადავუხდი.

— მაშინ მე ორივეს დაგაპატიმრებთ, — უთხრა ბიძიამ, — თქვენ მცირეწლოვანის ცდუნებისთვის, იმას კი იმიტომ, რომ საადვოკატო პრაქტიკას ეწევა უნებართვოდ.

ლუკასმა ახლა ბიძიას გახედა; ის კი ორივეს ამ ერთმანეთის მაცქერალ კაცებს უმზერდა, მერე ლუკასმა ორჯერ დაახამხამა თვალი.

— კარგი, — წარმოთქვა მან, — ხარჯი ხომ უნდა აგინაზღაუროთ. მითხარით, რამდენია, ოღონდ კი უნდა შევძლო გადახდა და მოვრჩეთ ამ საქმეს.

— ხარჯიო? — ჩაეკითხა ბიძია, — კი, ამ სამშაბათს დავიხარჯე, იმ დღეს აქ ვიჯექი და ვცდილობდი ჩამეწერა ის უთავბოლო ამბავი, თქვენ რომ მომიყევით ბოლოს, ასე რომ ბ-ნ ჰემპტონს რამე ხელმოსაჭიდი ჰქონოდა თქვენი ციხიდან გამოსაშვებად. რაც უფრო მეტს ვცდილობდი, ბით უფრო უარესად გამომდიოდა და სულ უარესადაც

ვხდებოდი, მერე კი გავიხედე და რას ვხედავ, ჩემი ავტოკალამი ისარივით იატაკზე წვერით არის ჩარჭობილი. თქმა არ უხდა, ქალალდი სახელმწიფო საკუთრებაა, ის ავტოკალამი კი ჩემია და წვერის გამოცვლა ორი დოლარი დამიჯდა. თქვენ ჩემი ორი დოლარი გმართებთ.

— ორი დოლარი? — მიუგო ლუკასმა. კვლავ ორჯერ დააცამცამა თვალი. მერე კიდევ ორჯერ, — მხოლოდ ორი დოლარი? — ამჯერად ერთგზის დაცამცამა, მერე ამოისუნთქა, ოღონდ ისე, ცვნეშა არ მოუყოლებია, უბრალოდ და ჩვეულებრივად. ორი თითით იმ თავის საფულეში ჩაძვრა. — ბევრი არ არის, მაგრამ მე ფერმერი კაცი ვარ, თქვენ კი კანონის კაცი ხართ და იცით თუ არა თქვენი საქმისა, ჩემი სადარდებელი ეგ არ არის, ვისაც როგორც უნდა ისე უკრავს, მე თქვენი ჭკუის სწავლებას ვერ დავიწყებ, — შემდეგ საფულედან დაჭმუჭნული დოლარიანი ამოაძვრინა და რაკი ზეითუნის მარცვალივით დამრგვალებულიყო, კიდე გადმოუწია და დააკვირდა, მერე მაგიდაზე დადო და გაასწორა, ნახევარდოლარიანი მონეტაც ამოიღო საფულედან და იქვე დადო, მერე კი ოთხი ათცენტიანი და ორიც ხუთცენტიანი, ყველა რომ ჩაამწკრივა, შუანა თითით ისევ გადაითვალა ულვაშებში ბურტყუნ-ბურტყუნით, ხელში ისევ ეკავა ღია საფულე, მერე მაგიდიდან აიღო ორი ათცენტიანი და ერთიც ხუთცენტიანი მონეტა, მოაქცია იმ ხელში, რომლითაც ღია საფულე ეკავა, მერე საფულედან ოცდახუთცენტიანი ამოაძვრინა, მაგიდაზე დადო, მერე სასწრაფოდ მოათვალიერა, მერე ისევ დადო მაგიდაზე ის ორი ათცენტიანი და ერთი ხუთცენტიანი, ნახევარდოლარიანი კი აიღო და საფულეში შეინახა.

—აქ მხოლოდ სამოცდათხუთმეტი ცენტია, — უთხრა ბიძიამ.

— დარდი ნუ გაქვთ, — თქვა ლუკასმა და ერთი ოცდახუთცენტიანი აიღო, საფულეში ჩააბრუნა, ის კი ლუკასს უმზერდა და დაინახა, თუ მეტი არა, ორი განყოფილება მაინც ექნებოდა იმ საფულეს, ერთი კი ისეთი დიდი იყო, რომ შიგ იდაყვამდე ჩავიდოდა კაცი, ლუკასი ერთხანს იდგა და საფულეს ჩაჰკირკიტებდა, სწორედ ასე ჩასცქერის კაცი თავის გამოსახულებას ჭაში, მერე იქიდან ამოიღო თამბაქოს გაზინზლული ფუთა, გამობერილიყო, შიგ რაღაც მკვრივი უნდა ყოფილიყო მოქცეული როგორც ჩანს, მაგიდაზე რომ დააგდო, ყრუდ გაიჟღრიალა.

— ახლა კი ზუსტი უნდა იყოს, — თქვა მან, — აქ ორმოცდაათი პენია. ბანკში უნდა შემეტანა, მაგრამ თქვენ გადამარჩინეთ ამას, მგონია, ხომ არ გადაითვლით?

— კი, ბატონო, — უთხრა ბიძიამ, — მაგრამ რაკიღა თქვენ უნდა გადაიხადოთ ფული, თქვენვე უნდა დაითვალოთ.

— ორმოცდაათია სწორედ, — მიუგო ლუკასმა.

— რას იზამ, — თქვა ბიძიამ. ხოდა, ლუკასმა ფუთა გახსნა, მაგიდაზე გადმოყარა და თვლას მოჰყვა, ერთი მეორის მიყოლებით ხმამაღლა გადათვალა შუანა თითით აუარება ათცენტიანი და ხუთცენტიანი, მერე საფულე დაკეტა, გულის ჯიბეში ჩაიდო, მეორე ხელით კი ეს აუარება მონეტა და ის დახვეული დოლარიანი ისე მისწია, სანამ ქალალდის საშრობს არ მიაბჯინა, მერე გვერდის ჯიბიდან ჭრელ-ჭრელი ცხვირსახოცი ამოაძვრინა, ხელები შეიმშრალა და ისევ ჯიბეში ჩაიდო, ისევ ისეთი აუმღვრეველი და მშვიდი ჩანდა, აღარავის აღარ უმზერდა ახლა, გარედან კი მოისმოდა რადიოების ღრიალი, ცოცვა-ცოცვით მიმავალი ავტომანქანების კივილი და ყაყანი ამ მზიანი შაბათ დღეს მთელი ოლქიდან აქ ჩამოსული ხალხისა.

— რაო? — უთხრა ბიძიამ, — ახლა კი რას უცდი?

— ხელწერილს, — მიუგო ლუკასმა.